ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა

თამარ ორჯონიკიძე

# პოლიტიკური მითები თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში (მითები სტალინის შესახებ)

ნაშრომი წარმოდგენილია პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ მაცაბერიძე
პროფესორი პოლიტიკის
მეცნიერების დოქტორი

თბილისი
2025

# აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია შეისწავლოს თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში გავრცელებული მითების სპეციფიური კატეგორია - მითები სტალინის შესახებ. ნაშრომის თეორიულ ჩარჩოს ქმნის პოლიტიკური მითების კონცეფცია, წარმოდგენილია ამ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული აზრთა სხვადასხვაობა და არჩეული თემიდან გამომდინარე, დიდი ყურადღება ექცევა ისტორიული მითების ფენომენს.

ნაშრომის მიზნიდან გამომდინარეობს დასახული ამოცანები: 1. რა განაპირობებს სტალინის შესახებ მითების არსებობას და გამოყენებას თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში; 2. სტალინის შესახებ მითებში მოცემული ინფორმაციის ანალიზი; 3. რატომ იქმნება და ვრცელდება ხშირ შემთხვევაში პოზიტიური ხასიათის ლიტერატურა სტალინის შესახებ; 4. რატომ უთმობს საკმაოდ დიდ ადგილს ქართული მედია-საშუალებების ნაწილი სტალინის თემას; 5. რა გავლენას ახდენს სტალინის შესახებ მითები საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაზე; 6. რა კეთდება სტალინის შესახებ გავრცელებული მითების დასაძლევად.

მოცემულ ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები: ლიტერატურის და მედია-პუბლიკაციების შინაარსობრივი ანალიზი, პირისპირი, ნახევრად-სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ.

არჩეული თემიდან გამომდინარეობს ნაშრომის სტრუქტურა: განხილულია სტალინის შესახებ გავრცელებული მითები და მოცემულია მათი კლასიფიკაცია. წარმოდგენილია სტალინის შესახებ მითების გავრცელების ძირითადი არხები (ბეჭდური მედია, სოციალური ქსელები, სტალინის სახელით მოქმედი პოლიტიკური ჯგუფები). შესწავლილია ის საკითხები, რაც განაპირობებს სტალინის თემის გააქტიურებას ქართულ პოლიტიკაში (სტალინის ძეგლები, სტალინის მუზეუმის საკითხი, სტალინის დედის საფლავი მთაწმინდის პანთეონში, დავით გარეჯი და საზღვრების საკითხი, საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის დღე, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების დღე, სტალინის დაბადების დღე). სტალინზე არსებული მითების დაძლევის ერთ-ერთ ძირითად გზას წარმოადგენს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები. წარმოდგენილ ნაშრომში შესწავლილია საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები, რომელთა

შორის შეიძლება გამოიყოს სახელმძღვანელოების სამი თაობა. კვლევამ აჩვენა, რომ თანამედროვე პოსტსაბჭოთა სახელმძღვანელოებში ფაქტობრივად წარმოდგენილია სწორი ინფორმაცია სტალინის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად საკითხზე.

მითები სტალინის შესახებ ძირითადად ორი ტიპისაა:

ა) სტალინი - დიდი პოლიტიკოსი, რომლის მოღვაწეობამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მსოფლიო ისტორიაზე. ამგვარი მითების დიდი ნაწილი რუსეთშია შექმნილი და შემოტანილია საქართველოში. პოსტსაბჭოთა პერიოდში რუსეთში შეიქმნა „სტალინური" ლიტერატურის უდიდესი რაოდენობა. იქ მოთხრობილი ისტორიები საქართველოშიც აქტიურად ვრცელდება და დამატებით სტიმულს წარმოადგენს სტალინის თემატიკისადმი ინტერესის შენარჩუნებისათვის;

ბ) სტალინი - საქართველოზე მზრუნველი, რომელსაც არასოდეს დავიწყებია თავის სამშობლო და ზრუნავდა მასზე. ასეთი მითები „ქართულ ნიადაგზეა" შექმნილი და ხელს უწყობს სტალინისადმი პოზიტიური დამოკიდებულების შენარჩუნებას.

კვლევამ დაადასტურა ნაშრომში წამოყენებული ორივე ჰიპოთეზა: 1. პოსტსაბჭოთა საქართველოში სტალინის შესახებ მითების არსებობის საფუძველია სტალინის ქართველობა, რაც გამოარჩევს მას სხვა საბჭოთა ლიდერებისგან, რომელთა მიმართ დამოკიდებულება საზოგადოებაში კრიტიკული ან გულგრილია; 2. მითები სტალინის შესახებ ემსახურება საბჭოთა წარსულისადმი პოზიტიური დამოკიდებულების შენარჩუნებას, „ერთიანი დიდი სახელმწიფოს" ნოსტალგიას და, შესაბამისად, დასავლეთისგან დისტანცირებას და რუსეთთან დაახლოებისთვის ხელშეწყობას.

პოსტსაბჭოთა საქართველოში სტალინის შესახებ მითების არსებობის საფუძველი გახდა ისტორიისადმი გაზრდილი ინტერესი, როდესაც საბჭოთა პერიოდში ისტორიული ფაქტების მიჩუმათებას მოჰყვა წარსულზე თავისუფლად წერის შესაძლებლობა და ბევრი ისტორიული დოკუმენტისა და ფაქტის გამომზეურება. ცხადია, ყურადღების ქვეშ მოექცა სტალინი და მის მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი. ამ თემისადმი ყურადღებას ზრდიდა და განსაკუთრებულ მგრძნობელობას ანიჭებდა „სტალინის ქართველობა".

სტალინთან დაკავშირებული თემატიკისადმი ინტერესის ზრდას ხელს უწყობდა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა თაობა, რომელიც ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ძალა იყო პოსტსაბჭოთა პერიოდის დასაწყისში. ვეტერანები ქმნიდნენ მნიშვნელოვან ელექტორალურ სეგმენტს, რომელთაც გავლენის მოხდენა შეეძლოთ თავის ოჯახის წევრების პოზიციაზეც. ვეტერანთა დიდი უმრავლესობა პოზიტიურად იყო განწყობილი სტალინისადმი. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, პოსტსაბჭოთა პერიოდში ქართველ პოლიტიკოსები, როგორც წესი, თავს არიდებდნენ სტალინის კრიტიკას. თუმცა, სტალინის სახელით მოქმედება პოსტსაბჭოთა ქართულ პოლიტიკაში არასოდეს ყოფილა წარმატების მომტანი. არჩევნებში მონაწილეობა აჩვენებდა მათ მარგინალურ ხასიათს.

სტალინის შესახებ მითების შენარჩუნებით და გავრცელებით დაინტერესებული არის ერთი მხრივ რუსეთი, რომელიც პუტინის მმართველობის პერიოდში „პოსტსაბჭოთა სივრცის რეინტეგრაციას“ და „ისტორიული რუსეთის აღდგენას“ თავის უმთავრეს ამოცანად მიიჩნევს - სტალინი კი „საერთო, დიდებული წარსულის“ შემოქმედია. მეორე მხრივ კი საქართველოში გააქტიურებული პრორუსული ძალები, რომლებიც ცდილობენ საქართველოს დასავლეთისგან დისტანცირებას და ქვეყნის რუსულ ორბიტაზე გადაყვანას.

// Abstract

This paper aims to study a particular category of myths commonly found in contemporary Georgian politics—those surrounding Stalin. The paper's theoretical framework is built around the concept of political myths, the diversity of opinions on this issue in the scientific literature is presented, and due to the chosen topic, great attention is paid to the phenomenon of historical myths.

The objectives of the paper are as follows: 1. What conditions the existence and use of myths about Stalin in modern Georgian politics? 2. Analysis of information given in myths about Stalin; 3. Why is positive literature about Stalin often created and disseminated? 4. Why do some Georgian media outlets devote so much time to the topic of Stalin? 5. What impact do myths about Stalin have on Georgia's democratic development? 6. What is being done to overcome the myths spread about Stalin?

This paper uses qualitative research methods: content analysis of literature and media publications, face-to-face, semi-structured in-depth interviews.

The structure of the work derives from the chosen topic: the myths spread about Stalin are discussed and their classification is given. The main channels for spreading myths about Stalin are presented (print media, social networks, and political groups acting in the name of Stalin). The issues that determine the activation of the Stalin topic in Georgian politics are studied (Stalin monuments, the issue of the Stalin Museum, the grave of Stalin's mother in the Mtatsminda Pantheon, David Gareji and the issue of borders, the Day of the Soviet Occupation of Georgia, Victory Day in World War II, Stalin's Birthday). One of the primary methods for dispelling myths about Stalin is through history textbooks in schools. The presented work studies school history textbooks of the Soviet and post-Soviet periods, among which three generations of textbooks can be distinguished. Studies have showed that modern post-Soviet textbooks present correct information on all key issues related to Stalin's work.

Myths about Stalin are mainly of two types:

A) Stalin - a great politician whose actions greatly influenced world history. Many of these myths originated in Russia and were later brought to Georgia. The largest amount of "Stalinist" literature was created in Russia during the post-Soviet period. The stories told

there are also actively distributed in Georgia and serve as an additional stimulus for maintaining interest in the topic of Stalin;

B) Stalin - A person who cared about Georgia, and who never forgot his homeland and cared about it. Such myths are created due to “Georgianness” and contribute to maintaining a positive attitude towards Stalin.

The study confirmed both hypotheses put forward in the paper: 1. The foundation for the existence of myths about Stalin in post-Soviet Georgia lies in his Georgian origin, which distinguishes him from other Soviet leaders, for whom society generally holds a critical or indifferent view. 2. The myths about Stalin help preserve a positive attitude towards the Soviet past, foster nostalgia for the “United Great State” and, as a result, encourage a distancing from the West while promoting rapprochement with Russia.

The basis for the existence of myths about Stalin in post-Soviet Georgia was the increased interest in history, when the suppression of historical facts during the Soviet period was followed by the opportunity to write freely about the past and the publication of many historical documents and facts. Obviously, Stalin and various issues related to his work came under attention. Stalin’s Georgianness increased attention to this topic and gave it special sensitivity.

The growth of interest in Stalin-related topics was facilitated by the generation of World War II veterans, who were a significant political force in the early post-Soviet period. Veterans were an important electoral segment, able to influence the positions of their family members. The vast majority of veterans had a positive attitude towards Stalin. Given this factor, Georgian politicians in the post-Soviet period generally avoided criticizing Stalin. However, acting in Stalin’s name has never been successful in post-Soviet Georgian politics. The results of the election participation highlighted their marginal nature.

On one hand, Russia, under Putin’s rule, views the reintegration of the post-Soviet space and the restoration of historical Russia as key objectives and thus has an interest in preserving and disseminating such myths about Stalin-and Stalin is the creator of a "Common, Glorious past." On the other hand, pro-Russian forces in Georgia are working to distance the country from the West and draw it closer to the Russian sphere of influence.

# შინაარსი

შესავალი ..... 1
თავი I. მითები პოლიტიკაში: თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები ..... 17
1.1.პოლიტიკური მითების კონცეფცია ..... 17
1.2.ისტორიული ხასიათის მითები პოლიტიკაში და მათი ინსტრუმენტალიზაცია ..... 31
1.3 მითები სტალინის შესახებ ..... 35
თავი II. სტალინის შესახებ მითების გავრცელების ძირითადი არხები ..... 40
2.1. სტალინის თემა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ სამეცნიერო-პუბლიცისტურ ლიტერატურაში ..... 41
2.2. სტალინის თემა ქართულ ბეჭდურ მედიაში ..... 46
2.3. სტალინის თემა ქართულ სოციალურ ქსელებში ..... 55
2.4. სტალინი ქუჩებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებებში ..... 61
2.5. სტალინის სახელით მოქმედი პოლიტიკური ჯგუფები ..... 64
თავი III. სტალინის შესახებ მითების ძირითადი ტიპები ..... 69
3.1.სტალინი - დიდი პოლიტიკოსი ..... 69
3.2.სტალინი - საქართველოზე მზრუნველი ..... 72
თავი IV. საკითხები, რის გამოც სტალინის თემა აქტიურდება ქართულ პოლიტიკაში ..... 75
4.1.სტალინის ძეგლების თავსატეხი ..... 75
4.2.სტალინის მუზეუმის საკითხი ..... 79
4.3. პროექტი - სტალინის გარშემო არსებული დეზინფორმაციისა და ნოსტალგიის დაძლევა: ახალი იდენტობა ქალაქ გორისთვის ..... 85
4.4.რატომ უნდა იყოს სტალინის დედის საფლავი მთაწმინდაზე ..... 89
4.5. დავით გარეჯი, საზღვრები და სტალინის როლი საქართველოს ოკუპაციაში ..... 92
4.6. „გამარჯვების დღე“ - 8 თუ 9 მაისი? - დისკუსია ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით ..... 93
4.7. სტალინის დაბადების დღე ..... 97
4.8. სტალინი და მართლმადიდებლობა ..... 99
თავი V. ისტორიის სახელმძღვანელოები - სტალინზე მითების დაძლევის ერთ-ერთი გზა ..... 104
5.1. ისტორიის სახელმძღვანელოები დამოუკიდებელ საქართველოში ..... 107

5.2. სტალინის როლის გაშუქება საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარებაში .. 112
5.3. სტალინის როლის გაშუქება საბჭოთა კავშირის შექმნასთან დაკავშირებით .... 118
5.4. სტალინის როლის გაშუქება საქართველოში 1924 წლის აჯანყების დროს ........ 120
5.5. ისტორიის სახელმძღვანელოები სტალინის მიერ საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის შექმნის შესახებ ........ 122
5.6. მეორე მსოფლიო ომი და „გვიანი სტალინიზმი“ ისტორიის სახელმძღვანელოებში ........ 127
5.7. დესტალინიზაცია და 1956 წლის 9 მარტი ისტორიის სახელმძღვანელოებში .. 135
5.8. სტალინზე გავრცელებული მითები და სახელმძღვანელოებში მოცემული ინფორმაცია ........ 146
5.9. რას იმახსოვრებენ სასკოლო სახელმძღვანელოებიდან ........ 150
**დასკვნა** ........ **154**
**გამოყენებული ლიტერატურა** ........ **159**
დანართები ........ 182
დანართი N 1 ევროპარლამენტის რეზოლუცია საბჭოთა ნოსტალგიის შესახებ საქართველოში ........ 182
დანართი N 2 „სტალინის ღვაწლი საქართველოზე“ ........ 184
დანართი N 3 ილიას საფლავის ხელყოფა და სტალინის პასუხი ........ 189
დანართი N 4 ფრანგული გაზეთი სტალინის სახლ-მუზეუმის შესახებ ........ 187

# შესავალი

სხვადასხვა სახის მითების არსებობა თანამედროვე პოლიტიკური პროცესის დამახასიათებელი ნიშანია, გამონაკლისი არ არის დღევანდელი საქართველოც. პოლიტიკური მითები და მათი როლი პოლიტიკურ პროცესში პოლიტიკური მეცნიერების აქტუალურ კვლევით მიმართულებას წარმოადგენს, რომლის შესახებაც დიდძალი ლიტერატურა არსებობს. თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურის სიუხვე არ ნიშნავს, რომ პოლიტიკური მითების ფენომენი კარგად არის თეორიულად გააზრებული და შემდგომ კვლევას არ საჭიროებს. აღნიშნული საკითხი განხილულია ნაშრომის პირველ თავში.

რაც შეეხება საქართველოს, პოლიტიკური მითების შესახებ ლიტერატურა ფაქტობრივად არ არსებობს. შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ რამდენიმე ნაშრომი მითების გააზრებასთან დაკავშირებით. შეუსწავლელია ასევე თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ პროცესში მითების ადგილისა და როლის, მათი ფორმირებისა და ფუნქციონირების, ხასიათისა და ტიპოლოგიის საკითხები.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია თავისი წვლილის შეტანა ქართულ პოლიტიკაში არსებული მითების შესწავლის საქმეში. კერძოდ, ნაშრომში შესწავლილია მითების სპეციფიური ჯგუფი - სტალინის შესახებ არსებული მითები.

**საკვლევი თემა.** საქართველოში დემოკრატიის დამკვიდრების ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი არის სტალინის შესახებ არსებული პოლიტიკური მითები. ამ მითების დიდი ნაწილი საბჭოთა პერიოდშია შექმნილი, ნაწილი კი პოსტსაბჭოთა პერიოდში იღებს სათავეს და პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებში. აღსანიშნავია, რომ სტალინზე მითების დიდი ნაწილი რუსეთშია კულტივირებული და მიზანმიმართულად ვრცელდება ჩვენს ქვეყანაში. მაგალითად, მითი სტალინის რელიგიურობის შესახებ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდგომ შეიქმნა რუსეთში და საქართველოში მალევე გავრცელდა.[1]

[1] რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია ისტორიულად იყო რუსული იმპერიული იდეის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი. სწორედ აქ მოხდა თანამედროვე მითის რეალიზება: რუსული ეკლესია, რომელიც მხარს უჭერს რუსულ იმპერიულ იდეას და სტალინი, როგორც რუსული იმპერიული იდეის ერთ-ერთი რეალიზატორი და შესაბამისად, ივანე მრისხანეს, პეტრე პირველის საქმის გამგრძელებელი მეოცე საუკუნეში. ეს ხაზი, რომელიც უკავშირდება ერთიან რუსულ იმპერიულ იდეას, სწორედ ამ კონკრეტულ მითში გამოიხატება. საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილი კი, რომელიც იზიარებს და სხვებსაც მოუწოდებს სწამდეთ ეს კონკრეტული მითი, შეგნებულად თუ შეუგნებლად რუსული იმპერიალიზმის გავლენის ქვეშაა. ამ თემის გაგრძელებად შეგვიძლია მივიჩნიოთ 2015 წელს

გასათვალისწინებელია, რომ სტალინის მითოლოგია 2000-იანი წლებიდან თანამედროვე რუსული სახელმწიფო იდეოლოგიის ერთ-ერთ დასაყრდენს წარმოადგენს.

ვინ იყო იოსებ სტალინი? - მის საქმიანობას შეფასებითი ნაწილი რომ ჩამოვაშოროთ, მოკლედ შეიძლება შემდეგი ითქვას: საბჭოთა მმართველი, რომელიც საბჭოთა კავშირს ხელმძღვანელობდა 1924 (1929 წლიდან ერთპიროვნულად) – 1953 წლებში. სტალინს გვერდს ვერ ავუვლით XX საუკუნის მსოფლიო ისტორიის ყველაზე მოკლედ გადმოცემის დროსაც. რაც შეეხება მისი საქმიანობის შეფასებას, ორგვარია - პოზიტიური და ნეგატიური.

სტალინის საქმიანობას პოზიტიურად აფასებენ პირველ რიგში რუსეთის „ველიკოდერჟავულად“ განწყობილი წრეები, რადგანაც სტალინი მიიჩნევა რუსეთის „დერჟავას“ ხელახლა მაშენებლად. საქართველოში სტალინს პოზიტიურად აფასებენ ისინი, ვინც ამაყობს მისი ქართველობით და მსოფლიო ისტორიაში შეტანილი წვლილით.

რაც შეეხება ნეგატიურ შეფასებას, აქ სათქმელი უფრო მეტია: სტალინმა შეძლო ყველა პოლიტიკური მოწინააღმდეგის (რეალურის და სავარაუდოს) ჩამოშორება, უმეტესწილად მათი ფიზიკური განადგურებით და დაამკვიდრა საკუთარი (ბელადის) კულტი. სტალინის მმართველობას უკავშირდება: საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის ჩამოყალიბება და გაძლიერება; რეპრესიები როგორც პოლიტიკური მოწინააღმდეგეების, ასევე უბრალო მოქალაქეების წინააღმდეგ.

ვერც საქართველო გადაურჩა გასაბჭოებას და შესაბამისად, დამოუკიდებლობის დაკარგვას და ვერც მისმა მოქალაქეებმა დააღწიეს თავი რეპრესიებს. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, განსაკუთრებით კი 1920-1930-იანი წლების რეპრესიების მსხვერპლი გახდა მრავალი გამორჩეული მოქალაქე, რომელთაც შეეძლოთ მნიშვნელოვანი როლის შესრულება საქართველოს მომავალ განვითარებაში. საბჭოთა

ქართველი მოძღვრის, მამა იოანე ჩიგოგიძის მიერ გადაღებული ფილმი - „გამარჯვება ღვთის ხელშია“ – (მასში საუბარია დიდი სამამულო ომის დაწყებისა და გამარჯვების მიზეზებზე, რაც ფილმში ქრისტიანულ რელიგიას უკავშირდება. ფილმის ავტორის მტკიცებით ომი რწმენამ მოიგო, სტალინმა კი დაპირებისამებრ ომის დასრულების შემდეგ 22 ათასი ეკლესია და მონასტერი ააშენა. ფილმს 2016 წელს ვებ-გვერდმა „მითების დეტექტორი“ სტატიით უპასუხა და დეზინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა. სტატიაში მოცემულია ინფორმაცია და ცხრილები საბჭოთა პერიოდში (1921-1953 წ.წ.) დახურული/დანგრეული ეკლესიებისა და დახვრეტილი და გადასახლებული მღვდლების შესახებ. ფილმი თავდაპირველად გავრცელდა სახელწოდებით „ვინ მოიგო ომი“, თუმცა ამჟამად (02.2025) ინტერნეტში იძებნება სახელწოდებით „გამარჯვება ღვთის ხელშია“.

პერიოდის შესახებ დოკუმენტები, ოფიციალური დადგენილებები უკვე ხელმისაწვდომია და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ საბჭოთა სისტემის და მისი შემქმნელის, სტალინის რეალური სახის დანახვა. თუმცა ამის მიუხედავად, საქართველოში ჯერ კიდევ არის ადამიანთა გარკვეული რაოდენობა, რომელთათვისაც სტალინი „საქართველოზე მზრუნველი დიდი ბელადია".

სტალინის პოზიტიური იმიჯის არსებობა საქართველოში, მისი საქმეების განდიდება ხელს უწყობს ანტიდემოკრატიულ მოძრაობებს, რომლებიც არცთუ ძლიერ, თუმცა მაინც მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ქართული საზოგადოების გარკვეულ ნაწილში სტალინის შესახებ მითების პოპულარობა რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას:

ა) ქართული საბჭოთა პატრიოტიზმის ფენომენით - „ქართველი მართავდა ნახევარ მსოფლიოს";

ბ) ნოსტალგია ძველი, ეკონომიკურად მეტ-ნაკლებად კეთილდღეობის მქონე ცხოვრებისადმი, რაც პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის სიძნელეებმა გააქრო - „რა ქვეყანა დაანგრიეს" (სტალინის შექმნილი);

გ) „ძლიერი ხელის" ნოსტალგია - თანამედროვე საქართველოში ზოგჯერ მოისმენთ ფრაზას „სტალინი სჭირდება ქვეყანას" - სტალინი საქართველოში „რკინის ხელით" მმართველობასთან ასოცირდება, მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის კი ქვეყანში წესრიგისა და სტაბილურობის შექმნა, განვითარება, სწორედ სტალინის ნაირი პიროვნების პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლითაა შესაძლებელი.

სტალინის გარშემო დისკუსიის გაძლიერება განაპირობა აგრეთვე შეტევამ სტალინის მითის წინააღმდეგაც, რაც საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაიწყო. ამ პოლიტიკის ყველაზე მკაფიო გამოხატულება კი 2010 წელს გორში სტალინის ძეგლის აღება იყო.

საქართველოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებმა აჩვენა, რომ სტალინის თემა კვლავაც აქტუალურია და გაზრდილია ინტერესი მის მიმართ. ამ არჩევნებში მონაწილეობას იღებდნენ პოლიტიკური პარტიები - „საქართველოს კომუნისტური პარტია - სტალინელები" და „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია". თუმცა ორივე პარტიამ, ჯამში, ამომრჩეველთა ხმების 1% ვერ მოიპოვა (საქართველოს

ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმი).

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური სუბიექტი (მიუხედავად მათი სიმრავლისა), რომლის სახელშიც „კომუნისტური" იქნებოდა, აღარ მონაწილეობდა. ასეთი პარტია არც იმ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის იყო, რომელთაც ცესკო-ს მიერ უარი ეთქვათ დარეგისტრირებაზე. ეს ფაქტი ნიშანდობლივია და გარკვეულწილად მეტყველებს იმაზე, რომ პოლიტიკური სუბიექტის სახელში სიტყვები „კომუნისტური" და „სტალინი" აღარ მიიჩნევა ბრენდებად, რომელიც ამომრჩევლებს მიიზიდავს. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენს საზოგადოებაში „სტალინის მომხრენი" აღარ არიან. ასეთი ადამიანების დიდი ნაწილი ანტი-დასავლური და რუსეთზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალების დასაყრდენს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ არც 2024 წლის არჩევნებზე დარეგისტრირებულ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის არ ყოფილა ისეთი, რომლის სახელშიც სიტყვები „სტალინი" ან „კომუნისტური" იქნებოდა, თუმცა განსხვავებით 2020 წლისგან, ამჯერად საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უარი უთხრა რეგისტრაციაზე სუბიექტს: „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია (შემოკლებული დასახელება: სეკპ)" – „საქართველოს ერთიან კომუნისტურ პარტიას"[2].

საქართველოში სტალინის თემის გააქტიურება ყოველწლიურად რამდენიმე თარიღთან დაკავშირებით ხდება:

- 9 მაისი - „დიდ სამამულო ომში" გამარჯვების დღე;
- 21 დეკემბერი - სტალინის დაბადების დღე;
- 5 მარტი - სტალინის გარდაცვალების დღე;
- 9 მარტი - თბილისში 1956 წელს გამართული აქციის დარბევის დღე;
- 22 ივნისი - ნაცისტური გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის დღე.

---

[2] როგორც ცესკო აღნიშნავს, პარტიას 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე პოლიტიკურ სუბიექტად რეგისტრაციაზე უარი ეთქვა საარჩევნო კოდექსის 113-ე მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს, განცხადებისა და თანდართული საბუთების, მხარდამჭერთა სიის კანონით დადგენილ ვადაში და ამ კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად წარმოდგენას (საქართველოს პარლამენტი, საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 2011).

ამ თარიღებთან დაკავშირებით პრესასა და ელექტრონულ მედიაში ქვეყნდება სტატიები. ზოგჯერ კი ამ თარიღის აღსანიშნავად (განსაკუთრებით 9 მაისის) გამოდიან მოქალაქეთა მცირე ჯგუფები[3] (მათი ნაწილი ახალგაზრდაა) სტალინის სურათებით, რომლებიც გამოხატავენ მისდამი სიმპათიას და განადიდებენ მის საქმეებს.

სტალინის შესახებ რეგულარულად იწერება პრესაში. მაგალითად, დღეისთვის გაზეთ "ასავალ-დასავალში" (გამოდის კვირაში ერთხელ) არის ჩანართი, გაზეთი „გენერალისიმუსი"; ჟურნალ „თბილისელებში" (გამოდის კვირაში ერთხელ) ერთი გვერდი ეთმობა სტალინის, ხოლო კიდევ ერთი გვერდი ბერიას შესახებ რაიმე ისტორიას. სტალინის შესახებ პერიოდულად წერს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა".

არსებობს გვერდები და ჯგუფები ინტერნეტ-სივრცეში (ჩამოვთვლით მხოლოდ იმ გვერდებსა და ჯგუფებს, სადაც სათაურშია მითითებული „სტალინი" - „იოსებ სტალინი/Joseph Stalin"[4] – 31 ათასი გამომწერი, „დიდება დიდ სტალინს"[5] – 29 ათასი წევრი, „წმინდა ბერი ნიკოლოზი"[6] – 21 ათასი გამომწერი, „წმინდა მამა ნიკოლოზის მრევლი"[7] - 82 ათასი გამომწერი - მათი რაოდენობა წარმოდგენილია 2025 წლის თებერვლის მდგომარეობით), რომელთაც ათეულობით ათასი მომხმარებელი ჰყავს.

ბოლო წლებში კერძო პირების მიერ დაიდგა სტალინის ძეგლები თუ ბიუსტები სხვადასხვა ქალაქსა თუ დასახლებაში, რაც სამოქალაქო აქტივისტების პროტესტს იწვევს. როგორც „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია" აღნიშნავს, 2012 წლის

---

[3] იმის გათვალისწინებით, რომ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა რიცხვი სულ უფრო მცირდება, სხვადასხვა ქალაქში სტალინთან დაკავშირებით გამოსულ მოქალაქეთა რიცხვში მათი რაოდენობა მცირეა. ვეტერანები ძირითადად თბილისში იკრიბებიან 9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების აღსანიშნავად. მათი რაოდენობა სულ რამდენიმე ათეულია და ყოველწლიურად იკლებს. რაც შეეხება ჯგუფებს, რომლებიც მეტი აქტიურობით გამოირჩევიან სტალინთან დაკავშირებული თარიღების აღნიშვნისას, ესენი არიან პრორუსული ჯგუფები (ძირითადად ხანშიშესული მოქალაქეები), რომლებიც ერთი მხრივ სტალინსა და საბჭოთა კავშირს განადიდებენ, გორში მისი ძეგლის აღდგენის მოთხოვნით გამოდიან, მეორე მხრივ კი საუბრობენ საქართველოსა და რუსეთის „მეგობრულ ურთიერთობებსა" და ვლადიმერ პუტინის „მშვიდობისმოყვარეობაზე". აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფების შეკრებას ესწრებიან რუსეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები.

[4] https://www.facebook.com/profile.php?id=100052958903175

[5] https://www.facebook.com/groups/981404929219166

[6] ნარიმან მაქარაშვილს, იგივე მამა ნიკოლოზს, რომელიც ბერად 1992 წელს აღიკვეცა, საპატრიარქომ მღვდელმსახურება აუკრძალა. მას შემდეგ ის მდუმარებაშია და საკმაოდ მრავალრიცხოვანი მრევლი ჰყავს, რომელსაც სჯერა, რომ მამა ნიკოლოზი წმინდანი და საქართველოს მხსნელია; ასევე სჯერა, რომ სტალინი წმინდანი, ხოლო ბერი ნიკოლოზი გაცოცხლებული სტალინია. https://www.facebook.com/tsmindaberinikolozi

[7] https://www.facebook.com/tsmindamamanikolozismrevli.1

შემდეგ საქართველოში სტალინის 12 ახალი ძეგლი დაიდგა (Civil Georgia, 2024). ქ. გორის მცხოვრებთა ნაწილი წლებია მოითხოვს 2010 წელს ქალაქის ცენტრალური მოედნიდან აღებული სტალინის ძეგლის დადგმას.

ასევე არ წყდება კამათი იმის გარშემო, უნდა იდგეს თუ არა სტალინის ძეგლი გორსა და სხვა დასახლებულ პუნქტში. 2015 წელს პარლამენტის წევრის, მმართველ პარტიასთან („ქართული ოცნება") ერთად კოალიციაში მყოფი დეპუტატის, გოგი თოფაძის განცხადებამ იმის შესახებ, რომ „მალე ყველა კაბინეტში სტალინის სურათს ვიხილავთ იმიტომ, რომ ის იყო გენიალური პიროვნება" (ბათუმელები, 2015), კამათი გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ ეს არ იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც იგივე დეპუტატი საბჭოთა დიქტატორზე საუბრობდა. 2016 წელს თოფაძემ განაცხადა, რომ „სტალინის ლანძღვა და გინება არცერთ ქართველ პატრიოტ კაცს არ ეკადრება" (ტაბულა, 2016). თოფაძე ასევე ხაზს უსვამდა სტალინის როლს ნაციზმის დამარცხებაში და ამბობდა, რომ მან „მთელი ევროპა გაათავისუფლა ფაშიზმისაგან" (ტაბულა, 2016). საინტერესოა ასევე მისი აზრი სტალინური რეპრესიების შესახებ - „არასდროს მითქვამს მე, რომ ეს არის ადამიანის უფლებების დამცველი" და აქვე განმარტავდა ამ რეპრესიების „საჭიროებას" - ჩვენ ახლა ამხელა ბუმბერაზ ქართველ კაცში ვეძებთ რა გააკეთა, რა დააშავა. კი, ურთულესი პირობა იყო, რაღაც რეპრესიებში რომ არ მიეღო მონაწილეობა, იმ ქვეყანას ფეხზე ვერ დააყენებდა" (ტაბულა, 2016). ამავე თემის გაგრძელება იყო ასევე უმრავლესობის წევრის, ზურაბ ტყემალაძის განცხადება, რომელიც თოფაძეს გამოეხმაურა. მისი თქმით, თოფაძეს არ უთქვამს, გინდა თუ არა, ყველამ უნდა დაკიდოსო. „მოვა დრო, შეიძლება, ისე დაფასდეს სტალინის ღვაწლი, რომ ყველამ ჩამოკიდოს მისი სურათი" - ეს თქვა. „სტალინი არის ისტორიული პიროვნება, რომლის არაღიარება არაფრით არ შეიძლება. ისტორიული პიროვნება შეიძლება იყოს დადებითიც და უარყოფითიც" (ტაბულა, 2015).

თანამედროვე საქართველოში სტალინისადმი დამოკიდებულება რომ დიდწილად რუსეთთან ურთიერთობის და ქვეყნის საგარეო კურსის მაჩვენებელია, კარგად ჩანს 2024 წლის 9 ოქტომბერს ევროპარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციაში („საქართველოში დემოკრატიულ უკუსვლასა და პოლიტიკური პლურალიზმის მიმართ არსებული საფრთხეები"), სადაც ხაზგასმულია, რომ

ევროპარლამენტარებისათვის საქართველოში სტალინის კულტის მომძლავრება (სხვა საკითხებთან ერთად) ნიშნავს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ვექტორის ცვლილებას და რუსეთთან მისი დაახლოების მანიშნებელია[8] (იხ. დანართი N1). აღსანიშნავია, რომ რეზოლუციას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი შალვა პაპუაშვილი გამოეხმაურა და მას „აღმაშფოთებელი, სამარცხვინო და ამაზრზენი“ უწოდა (Civil Georgia, 2024).

სტალინისადმი დამოკიდებულების ხასიათი რომ მნიშვნელოვანია ევროსტრუქტურებისთვის დაადასტურა ევროპარლამენტის დეპუტატის პოსტმა 2022 წელს, უკრაინაში რუსეთის შეჭრიდან მალევე. ევროპარლამენტარმა რასა იუკნევიჩიენემ სოციალურ ქსელში თბილისის აეროპორტში გადაღებული სუვენირების ფოტო გამოაქვეყნა, სადაც ჩანდა სტალინის პატარა ბიუსტებიც და სვამდა კითხვას - „საქართველო, დარწმუნებული ხარ, რომ გინდა ევროკავშირში გაწევრიანება ამ სტალინის ქანდაკებებით?” ის ასევე აღნიშნავდა, რომ რუსეთის ქმედებები უკრაინაში „დაუმარცხებელი სტალინიზმის მემკვიდრეობაა” (რადიო თბილისი /FM 93.5/ Radio Tbilisi, 2022).

ასევე რუსეთის უკრაინაში შეჭრიდან მალევე პოლონეთის ელჩმა საქართველოში მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას დაეხურა სტალინის მუზეუმი - „მინდა მივმართო ჩემს ქართველ მეგობრებს, მე მაქვს ერთი შემოთავაზება. მე მესმის, რომ თქვენ ძალიან რთულ სიტუაციაში ხართ, პატარა ქვეყანა, დიდი მეზობელი, რთული ეკონომიკური მდგომარეობა, არ შეგიძლიათ რუსეთის წინააღმდეგ საუბარი და მათთვის დაწესებული სანქციებისთვის მხარდაჭერა, კარგი, მაგრამ გთხოვთ, გააკეთეთ ერთი სიმბოლური ჟესტი, დახურეთ სტალინის მუზეუმი გორში“, - განაცხადა მარიუშ მაშკევიჩმა (რადიო თბილისი /FM 93.5/ Radio Tbilisi, 2022). აღსანიშნავია, რომ ელჩმა აღნიშნული განცხადება სტალინის გარდაცვალების დღეს, 5 მარტს გააკეთა.

[8] 2024 წლის 9 ოქტომბერს ევროპარლამენტმა მხარი დაუჭირა საქართველოში დემოკრატიის გაუარესების საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე პარტიის - „ევროპის სახალხო პარტია“ (EPP), „განახლებული ევროპა“ (Renew Europe), „ევროპის კონსერვატორები და რეფორმისტები (ECR), „მწვანეები“ და „სოციალისტებისა და „დემოკრატების ალიანსი“ (S&D) მიერ წინა დღეს წარმოდგენილ საერთო რეზოლუციას. რეზოლუციას მხარი დაუჭირა 495-მა ევროპარლამენტარმა, 73 წინააღმდეგი იყო, ხმის მიცემისაგან თავი 86-მა შეიკავა.

სტალინის შესახებ წერა “პერესტროიკის” პერიოდში, განსაკუთრებით კი 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ დაიწყო და ორი მიმართულებით გაიშალა - ერთი მისი საქებარი მასალები იყო, მეორე - კრიტიკა, ავტორები მისი მმართველობის მანკიერ მხარეებს წარმოაჩენდნენ. ქართულ პრესაში გამოჩენილი ინფორმაცია ან რუსული პუბლიკაციების თარგმანი, ან ახალ გამოჩენილ მასალებზე დაყრდნობით ქართველი ავტორების სტატიები იყო (გაზეთები “კომუნისტი”; “სახალხო განათლება”…). გამოჩნდა პირველი წიგნებიც ქართულ ენაზე (ცქიტიშვილი, ვეშაპელი და გაბელაია, 1990; ავტორხანოვი, 1990; ხარჩილავა, 1989; სუხოტინი, 1991…)

სტალინის შესახებ ლიტერატურა ფართოდაა გავრცელებული თანამედროვე საქართველოში და რიგითი მკითხველისათვის ხელმისაწვდომია. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ რუსი ავტორების ნაშრომები, სადაც უმეტესწილად უხვადაა წარმოდგენილი მითები სტალინის შესახებ. ეს ლიტერატურა გამოყენებულია ქართველი ავტორების მიერ თავიანთი ნაშრომების დაწერის დროს. ასეა შექმნილი პოსტსაბჭოთა „სტალინური“ ლიტერატურა საქართველოში (ონიანი, 2016; ტაკიძე, 2013; ბარამიძე, 1996; კვარაცხელია, 2017, ზერძენიშვილი, 2003...).

ქართულ ენაზე არსებობს ასევე პოპულარული ხასიათის ნაშრომებიც, რომელთა ავტორებიც ემიჯნებიან მითებს სტალინის შესახებ (დაუშვილი, 2016; გურული, 2014...).

ქართულ ენაზე თარგმნილია დასავლელი ავტორების რიგი ნაშრომები - ზოგი პოპულარული (მონტეფიორე, 2012...), ნაწილი კი სამეცნიერო (რიზი, 2016; სნაიდერი, 2014; დოიჩერი, 2014; ვიჰავაინენი, 2012; „სტალინი-ძალაუფლება და იდეები“, 2015; კერიგანი, 2020, ხლევნიუკი, 2022...), რომლებიც ხელს უწყობენ სტალინის შესახებ მითების მსხვრევას.

აღსანიშნავია, რომ მკითხველს ქართულ ენაზე შეუძლია მოიძიოს სტალინის თანამედროვეთა ნაშრომები, როგორც მომხრეების (ხოჯა, 2010); ასევე მოწინააღმდეგეების (ჩერჩილი, 2006; ტროცკი, 2010...).

სტალინის შესახებ არსებული ლიტერატურა ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს: პირველი - საბჭოთა პერიოდში შექმნილი, რომელშიც შეიძლება გამოიყოს ორი ქვეჯგუფი: ა) შექმნილი სტალინურ ეპოქაში, სადაც ხდება ბელადის გაღმერთება, როგორც უპირობო, უშეცდომო, უალტერნატივო მმართველისა და ბ)

„დესტალინიზაციის“ პერიოდში შექმნილი ლიტერატურა - ნაკლები ხოტბა ბელადს; მეტნაკლებად კრიტიკული ნაშრომები.

მეორე ჯგუფია უკვე თანამედროვე საქართველოში შექმნილი ნაშრომები, სადაც ასევე ორი ქვეჯგუფი შეიძლება გამოიყოს: ა) ნაშრომები, სადაც განადიდებენ სტალინს. „ვითომ კრიტიკული“ დამოკიდებულება მისი მოღვაწეობის მიმართ, თუმცა ავტორები აშკარად ავლენენ სიმპათიებს მისი ფიგურის მიმართ; ბ) სტალინის კრიტიკა - შესაძლებელია გაერთიანდეს შემდეგი სახელწოდების ქვეშ - „საბჭოთა წარსულის გააზრება“. ასეთი ხასიათის ნაშრომებში სტალინი მკვეთრად უარყოფითი ფიგურაა.

2012 წელს კარნეგის ფონდის დაკვეთით რუსეთსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში კვლევა ჩატარდა მოსახლეობის დამოკიდებულების გასარკვევად სტალინის მიმართ. მიღებულმა შედეგებმა გამოარკვია, რომ ამ სახელმწიფოებში ჯერ კიდევ აქტუალურია სტალინის პერსონა. აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში გამოკითხულთა 45% სტალინს დადებითი კუთხით აღიქვამდა (სომხეთში 25%; აზერბაიჯანში 21%); (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, 2012).

ამავე თემაზე 2016 წელს ჩატარდა კიდევ ერთი კვლევა (Kabachnik  et.al., 2016). მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ კვლევაში ავტორები ხაზს უსვამენ ოჯახის მნიშვნელობას ზოგადად ისტორიის და საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, სტალინისადმი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში. ისინი აღნიშნავენ, რომ საბჭოთა ბელადის მიმართ ოჯახიდან მომდინარე დადებითი განწყობები შესაძლებელია განეიტრალდეს მათ შორის სკოლებისა თუ უნივერსიტეტების საშუალებით.

კიდევ ერთი კვლევა, რომელიც საბჭოთა კავშირისა და სტალინის მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებას ასახავდა ZINC NETWORK-დაკვეთით CRRC საქართველომ 2021 წელს ჩაატარა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე (პუბლიკა, 2022). აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდს საქართველოს ისტორიაში გამოკითხულთა 35% უფრო დადებითად აფასებს ვიდრე უარყოფითად; ძალიან დადებითად კი გამოკითხულთა 18% მიიჩნევს.

უფრო უარყოფითი შეფასება აქვს გამოკითხულთა 24%-ს, 14%-სთვის კი ძალიან უარყოფით პერიოდად მიიჩნევა.

რაც შეეხება სტალინის შესახებ დასმულ კითხვებს, საბჭოთა ბელადის მიმართ გამოკითხულთა განწყობები ურთიერთ წინააღმდეგობრივია. გამოკითხულთა 66% ეთანხმება მოსაზრებას, რომ „სტალინი ბრძენი ლიდერი იყო, რომელმაც საბჭოთა კავშირი ძლიერებასა და კეთილდღეობამდე მიიყვანა“. ამასთან ერთად, 52% მიიჩნევს, რომ „სტალინი იყო ტირანი, რომელიც პასუხისმგებელია მილიონობით უდანაშაულო ადამიანის სიკვდილზე“. მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხულთა 35%-ის აზრით, „პატრიოტი ქართველი უნდა ამაყობდეს, რომ სტალინი ქართველი იყო“. 66% მიიჩნევს, რომ „რთულია სტალინის მემკვიდრეობის შეფასება, მის მმართველობას დადებითი და უარყოფითი მხარეები ჰქონდა“. აღსანიშნავია, რომ მოსაზრებას, „პატრიოტი ქართველი უნდა ამაყობდეს, რომ სტალინი ქართველი იყო“ ეთანხმება გამოკითხული 55 წელს ზემოთ მოქალაქეების 61% (18-34 - 30%; 34-54 – 45%); განსხვავებული იყო შედეგები თბილისის, ქალაქების და სოფლის მოსახლეობის გამოკითხვისასაც. იმავე მოსაზრებაზე თბილისში გამოკითხულთა 34% ეთანხმება (ქალაქი - 44%; სოფელი - 54%). შედეგები განსხვავებულია ასევე ეთნიკურად განსხვავებულ მოქალაქეებში. იმავე მოსაზრებაზე დადებითი პასუხი აქვს გამოკითხული ეთნიკური ქართველების 46%-ს (ეთნიკური სომეხი - 52%; ეთნიკური აზერბაიჯანელი - 33%).

კიდევ ერთი კვლევა, ამჯერად ახალგაზრდებში, 2021 წელს WeReaserch-მა ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის - სამხრეთ კავკასიის რეგიონის მხარდაჭერით განახორციელა - „საქართველოს ახალგაზრდები და ისტორია-გამოცდილების, დამოკიდებულებებისა და ღირებულებების კვლევა“. მისი მიზანი ისტორიისა და ისტორიის სწავლების მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულების შესწავლა იყო. ასევე, კვლევის ავტორთა განმარტებით, მათი მიზანი იყო კრიტიკულად გაანალიზება იმისა, თუ როგორ ხედავენ ახალგაზრდები ისტორიას, როგორ ყალიბდება სხვადასხვა ისტორიული მოვლენის შესახებ მეხსიერება და საბოლოოდ, როგორ ხდება მისი პოლიტიკური ინსტრუმენტალიზება. კვლევა ჩატარდა საქართველოს მასშტაბით და გამოიკითხა 9-12 კლასის 4366 მოსწავლე.

ჩვენთვის საინტერესოა მოსწავლეთა მიერ გაცემული პასუხები კითხვაზე „თვლით თუ არა რომ ... არის ქართველი ერის საამაყო წინაპარი“? კვლევის ავტორები ისტორიულ პიროვნებებს ამ შემთხვევაში თავად სთავაზობდნენ მოსწავლეებს ასარჩევად. თამარ მეფესა და დავით აღმაშენებელთან ერთად ახალგაზრდებს შეეძლოთ სტალინისა და ლავრენტი ბერიას დასახელებაც. სტალინი (24%) და ლავრენტი ბერია (24%) გამოკითხული მოსწავლეების დაახლოებით მეოთხედმა დაასახელა, თუმცა ფოკუს-ჯგუფებით გამოიკვეთა, რომ ორივე მათგანის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებები იყო. მოსწავლეებისათვის ორივე მათგანი ნეგატიური ფიგურები არიან, თუმცა აღნიშნავენ მათ ძლიერ ლიდერულ თუ პიროვნულ თვისებებს. (WeReaserch, 2021, გვ. 49).

მნიშვნელოვანია თავად რუსეთის მოსახლეობის დამოკიდებულებაც სტალინის პერსონის მიმართ. 2021 წელს ლევადას ცენტრის მიერ რუსეთში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, ყველაზე გამორჩეულ ისტორიულ ფიგურათა შორის სტალინი 39%-ით პირველ ადგილზე გავიდა. მან გადაასწრო ლენინს, პუშკინს, პეტრე პირველსა და ვლადიმერ პუტინს (САМЫЕ ВЫДАЮЩИЕСЯ ЛИЧНОСТИ В ИСТОРИИ, 2021). აღსანიშნავია ამავე ცენტრის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები წლების მიხედვით, სადაც ჩანს, რომ 2012 წლის (2012, 2017, 2021) შემდეგ, ყველა ანალოგიურ კვლევაში სტალინი პირველ ადგილს იკავებს. წლების მიხედვით სტალინის შესახებ გამოკითხულთა დამოკიდებულების ცვლილება ქვემოთ მოცემულ ცხრილშია (ცხრილი #1) ნაჩვენები.

ცხრილი #1

ყველაზე გამოჩენილი პიროვნებები ისტორიაში

| | 1994 | 1999 | 2003 | 2008 | 2012 | 2017 | 2021 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სტალინი | 20 | 35 | 40 | 36 | 42 | 38 | 39 |
| ლენინი | 34 | 42 | 43 | 34 | 37 | 32 | 30 |
| პუშკინი | 23 | 42 | 39 | 47 | 29 | 34 | 23 |
| პეტრე I | 41 | 45 | 43 | 37 | 37 | 29 | 19 |
| პუტინი | | | 21 | 32 | 22 | 34 | 15 |

სტალინის პიროვნებისადმი გაზრდილი ინტერესი და მის შესახებ შექმნილი მითების გავრცელება იყო 2017 წელს გამოსული პუბლიკაციის „13 მითი სტალინის შესახებ“ შექმნის მიზეზი, რომელიც მკითხველს დოკუმენტებზე დაყრდნობით აწვდის ინფორმაციას და რომლის მიზანიც იყო გაექარწყლებინა სტალინის შესახებ ავტორთა აზრით ყველაზე გავრცელებული 13 მითის რწმენა (კუპატაძე და ცუცქირიძე, 2017). აღნიშნულ კრებულს უპასუხა გრიგოლ ონიანმა სტატიათა ციკლით „სტალინი და... ორი იდიოტი“ (ონიანი, 2018), რომელიც გაზეთ „საქართველო და მსოფლიო“-ში ქვეყნდებოდა. აღსანიშნავია, რომ ონიანმა პირველი სტატია „მითის“ ენციკლოპედიიდან მოშველიებული განმარტებით დაიწყო, რითაც სურდა, კრებულის ავტორების მოსაზრებათა მცდარობა არამხოლოდ კრებულის ტექსტის შინაარსის, არამედ სათაურის მიხედვითვე დაემტკიცებინა[9].

სტალინის პიროვნებისადმი დღევანდელი საზოგადოების დამოკიდებულებას ეხება 2013 წელს გამოსული კიდევ ერთი კრებული „სტალინის თავსატეხი“ (ლიპმანი და სხვ., 2013), სადაც ავტორები შეშფოთებით განიხილავენ და ცდილობენ ახსნან „სტალინის დღეგრძელობის“ ფენომენი ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოების მოსახლეობის მეხსიერებაში. ამავე კრებულში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოში სტალინის დადებითი შეფასების შედარებით დიდი პროცენტული მაჩვენებელი მის ქართულ წარმომავლობაში უნდა ვეძიოთ - ყველაზე ცნობილი ქართველი - იოსებ ჯუღაშვილი, ბევრისთვის ნაციონალისტური სიამაყის საფუძველია (გვ. 6). კრებულის რედაქტორი, თომას დე ვაალი იმედოვნებდა, რომ „პუბლიკაცია ხელს შეუწყობს ახალი დისკუსიის წამოწყებას პოსტსაბჭოთა ქვეყნების მოქალაქეთა აზროვნების დესტალინიზაციის წარუმატებლობის შესახებ, რათა სტალინი ბოლოს და ბოლოს მიეცეს დავიწყებას“ (გვ. 16).

ამავე მიზეზით გამოსული კიდევ ერთი წიგნია „ალჟირის პატიმართა პორტრეტები: - სტალინიზმის ისტორიიდან“. წიგნი მოიცავს ალჟირის[10] პატიმართა შვილების მონათხრობს. კრებული აერთიანებს თვით პატიმართა მეხსიერებას - ნაწილობრივ შემონახულს მათი მონაყოლის, წერილებისა და დოკუმენტების სახით

[9] „მითი - ხალხის კოლექტიური ფანტაზიის ქმნილება, რომელიც განზოგადოებულად ასახავს სინამდვილეს ზოგად-კონკრეტული პერსონიფიკაციისა და სულიერი არსების სახით. მითოლოგია სინამდვილეს ხატოვანი ფორმით გადმოსცემს, იგი ახლოს დგას მხატვრულ ლიტერატურასთან" (ქართული ენციკლოპედია, ტომი 6. გვ. 681). იხ. ონიანი, 2018.

[10] ბანაკი ყაზახეთში, „სამშობლოს მოღალატეთა“ ცოლებისათვის.

და ის, რაც მათ შვილებს ახსოვთ. კრებულის ავტორთა თქმით, „სიყრუე და სიბრმავე საკუთარი წარსულის მიმართ, რომელსაც სავარაუდოდ საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობაც იზიარებს, ის ძირითადი პრობლემაა, რომელიც საკუთარი ისტორიის შემეცნებას უშლის ხელს. არქივების ღიაობის მიუხედავად კი სტალინური ტერორის ფენომენი ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ავტორთა მიზანი კი სიცხადის შეტანაა ამ „სიბნელეში“. სიმართლის მიღება საზოგადოების არჩევანია - ის ან მიიღებს ამ სიმართლეს, ან არა (ბექიშვილი, (რედ). (2008).

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღესაც არ კარგავს აქტუალობას სტალინის პიროვნება, მისი მოღვაწეობა და რაც უფრო მნიშვნელოვანია, მას შეუძლია გარკვეული ზეგავლენის მოხდენა საქართველოს განვითარებასა და მომავალზე.

**კვლევის მიზანი** კვლევის მიზანია თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში სტალინის შესახებ არსებული მითების შესწავლა: ამ მითების წარმოჩენა და კლასიფიკაცია, მათი წარმოშობისა და გავრცელების მიზეზების ახსნა და იმის ჩვენება, თუ რა კეთდება ამ მითების დასაძლევად.

**კვლევის ამოცანები** კვლევის მიზნიდან გამომდინარე შეიძლება განისაზღვროს კვლევის ამოცანები:

- რა განაპირობებს სტალინის შესახებ მითების არსებობას და გამოყენებას თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში;
- სტალინის შესახებ მითებში მოცემული ინფორმაციის ანალიზი;
- რატომ იქმნება და ვრცელდება ხშირ შემთხვევაში პოზიტიური ხასიათის ლიტერატურა სტალინის შესახებ;
- რატომ უთმობს საკმაოდ დიდ ადგილს ქართული მედია-საშუალებების ნაწილი სტალინის თემას;
- რა გავლენას ახდენს სტალინის შესახებ მითები ქართულ საზოგადოებასა და საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაზე;
- რა კეთდება სტალინის შესახებ გავრცელებული მითების დასაძლევად.

**ჰიპოთეზა**

1. პოსტსაბჭოთა საქართველოში სტალინის შესახებ მითების არსებობის საფუძველია სტალინის ქართველობა, რაც გამოარჩევს მას სხვა საბჭოთა

ლიდერებისგან, რომელთა მიმართ დამოკიდებულება საზოგადოებაში კრიტიკული ან გულგრილია;

**2.** მითები სტალინის შესახებ ემსახურება საბჭოთა წარსულისადმი პოზიტიური დამოკიდებულების შენარჩუნებას, „ერთიანი დიდი სახელმწიფოს" ნოსტალგიას და, შესაბამისად, დასავლეთისგან დისტანცირებას და რუსეთთან დაახლოებისთვის ხელშეწყობას.

**საკვლევი კითხვები**

ნაშრომის თემიდან და ჰიპოთეზებიდან გამომდინარე, საკვლევი კითხვები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

- რა როლს ასრულებს მითები და, კონკრეტულად, ისტორიული მითები თანამედროვე პოლიტიკაში?
- რატომ ვრცელდება მითები სტალინის შესახებ და რა ტიპის მითები არსებობს სტალინის შესახებ?
- როგორია სტალინის შესახებ მითების გავრცელების ძირითადი არხები?
- რა არის ის საკითხები, რის გამოც სტალინის თემა აქტიურდება ქართულ პოლიტიკაში?
- რამდენად უწყობს ხელს ისტორიის თანამედროვე სახელმძღვანელოები სტალინის შესახებ მითების დაძლევას?

**კვლევის მეთოდები და განხორციელების ეტაპები**

ნაშრომზე მუშაობისას, კვლევის ხასიათიდან გამომდინარე, უმთავრესი არის მასალის შინაარსობრივი ანალიზი, ასევე ექსპერტთა გამოკითხვა და მედია-მასალების კონტენტ-ანალიზი. კვლევის განხორციელების ეტაპები კი შემდეგნაირად წარმოდგება:

პირველ რიგში, ნაშრომის თეორიული ჩარჩოს შესაქმნელად შევისწავლე თანამედროვე პოლიტიკური მითების შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურა და განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილე ისტორიული ხასიათის მითებზე, რადგანაც სტალინის შესახებ მითები სწორედ ამ კატეგორიას მიეკუთვნება. თანამედროვე პოლიტიკური მითების შესახებ არსებული ლიტერატურის შესწავლამ საშუალება მომცა, შემექმნა ნაშრომის თეორიული ჩარჩო და პოლიტიკური მითის სამუშაო განსაზღვრება, რომელსაც შემდგომი კვლევის დროს ვიყენებ.

კვლევის შემდეგი ეტაპი უკავშირდება სტალინის შესახებ არსებული ქართულენოვანი ლიტერატურის და მედიის მასალების შინაარსობრივ ანალიზს, რომელმაც საშუალება მომცა, გამომევლინა რა მითები არსებობს სტალინის შესახებ თანამედროვე საქართველოში და ზოგადად, რა ინფორმაციას აწვდის სტალინის შესახებ ქართული მედია საზოგადოებას; რამდენად აქტიურად განიხილება ქართულ მედიაში სტალინთან დაკავშირებული საკითხები, რა დრო ეთმობა და საიდან იღებენ ძირითად ინფორმაციას ჟურნალისტები.

სტალინთან დაკავშირებული ქართულენოვანი ლიტერატურის და მედიის მასალების შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა ის ძირითადი თარიღები და საკითხები, რასთან დაკავშირებითაც აქტიურდება სტალინის თემა ქართულ მედიაში და ზოგჯერ ხვდება კიდეც პოლიტიკურ დღის წესრიგში.

ჩატარდა 5 სიღრმისეული ინტერვიუ ამ თემაზე არსებული ნაშრომების, განსაკუთრებით სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებთან და ექსპერტებთან, რითაც საყურადღებო ინფორმაცია მოვიპოვე, თუ რატომ იქმნება ლიტერატურა სტალინის შესახებ თანამედროვე ეპოქაში და რატომ სთავაზობს ქართული მედია-საშუალებების ნაწილი საზოგადოებას ამ თემას; რა სპეციფიკა აქვს სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოებზე მუშაობას. ინტერვიუები ჩატარდა ორი ჯგუფთან: ერთ ჯგუფს წარმოადგენენ ის მეცნიერები, რომელთაც აქვთ დაწერილი ნაშრომები სტალინის შესახებ, მათ შორის სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოები; მეორე ჯგუფს შეადგენენ ისტორიკოსები და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ის წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთი სამეცნიერო საქმიანობიდან გამომდინარე არიან კავშირში საკვლევ საკითხთან.

იქიდან გამომდინარე, რომ ისტორიული მითები მეცნიერულ ანალიზს არ ემყარება, მათი დაძლევისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ისტორიის სახელმძღვანელოები, რომლის მეშვეობითაც ახალგაზრდები იღებენ ცოდნას ისტორიული წარსულის შესახებ. ნაშრომში განხილულია თუ რა ინფორმაციას აწვდიან ქართული ისტორიის სახელმძღვანელოები, სადაც განხილულია სტალინის მოღვაწეობა (6 საბჭოთა; 17 პოსტსაბჭოთა), სტალინის შესახებ მოსწავლეებს და რამდენად უწყობს ხელს ეს ინფორმაცია სტალინის შესახებ მითების დაძლევას.

დისერტაციის ფარგლებში ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, კერძოდ, 2022 და

2024 წლებში გამოიკითხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 79 სტუდენტი. მოცემული რაოდენობრივი კვლევა, რა თქმა უნდა, არ არის რეპრეზენტატიული და მიზნად არ ისახავს განზოგადებას, თუმცა მიღებული მონაცემები საყურადღებოა და ავსებს თვისებრივი კვლევის შედეგებს.

# თავი I. მითები პოლიტიკაში: თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები

## 1.1.პოლიტიკური მითების კონცეფცია

„მითი“ ძველ ბერძნულ ენაზე აღნიშნავდა ადამიანთა წარმოდგენებს სამყაროზე, მის წარმოშობაზე, ღმერთებისა და გმირების შესახებ. ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნიდან „მითს“ უპირისპირდება „ლოგოსი“, რის შემდეგაც მითის ქვეშ უკვე იგულისხმებოდა დაუსაბუთებელი მსჯელობა, თუმცა ეს არ ვრცელდებოდა წმინდა წიგნებსა და გმირების შესახებ გადმოცემებზე. მეცნიერების განვითარებამ ვერ შეძლო მითოლოგიის სრულად გამოდევნა, რადგანაც ვერ გადაწყვიტა მეტაფიზიკური პრობლემები, როგორიცაა ცხოვრების აზრი, ისტორიის მიზანი და სხვა. ძველი დროისგან განსხვავებით, დღეს ხდება არა ბუნების, არამედ ადამიანის სოციალური და ემოციური ცხოვრების მითოლოგიზება. თანამედროვე პირობებში მითს აქვს არა შემეცნებითი, არამედ ქცევითი ხასიათი. თანამედროვე მითოლოგია რთული პრობლემების მარტივად გადაწყვეტის გზებს სახავს. თანამედროვე მითების მნიშვნელოვან სახეობას პოლიტიკური მითები წარმოადგენს. მითი გადაიქცა პოლიტიკური დემაგოგიის ინსტრუმენტად.

პოლიტიკური მითების შესახებ მნიშვნელოვანი ლიტერატურა არსებობს.

<u>თანამედროვე მითის კონცეფციის სათავეებთან.</u> პირველად დასავლურ პოლიტიკურ ფილოსოფიაში თანამედროვე მითის კონცეფცია დაამუშავა ფრანგმა ფილოსოფოსმა, ჟორჟ სორელმა (1847-1922). მისი პუბლიკაციები გაერთიანდა 1906 წელს გამოცემულ ნაშრომში ,,განსჯა ძალადობაზე’’ (Sorel, 1961). ჟ. სორელი მითს განიხილავდა, როგორც იდეოლოგიურ-პროპაგანდისტულ იარაღს და საზოგადოების ცნობიერების შეგნებული მანიპულირების საშუალებას. ამასთან, სორელი პოლიტიკური მიზნების განხორციელებაში მითების განსაკუთრებულ როლს რწმენის სტიმულირებაში ხედავდა (Sorel, 1961, იხ. თავდგირიძე, 2015). ჟორჟ სორელი მითებს მიიჩნევდა იდეების ერთობლიობად, რომელიც ასახავს ადამიანთა მისწრაფებებს და, ამავე დროს, უბიძგებს მათ მოქმედებისკენ. შესაბამისად სორელმა მითი აღიარა არა მხოლოდ როგორც იდეა, არამედ როგორც იდეის განხორციელების ინსტრუმენტი - პოლიტიკური მითი არ აყალიბებს იდეალურ მომავალს, არამედ არის აწმყოზე

ზემოქმედების საშუალება, მოქმედების იარაღი, გარკვეული სოციალური ჯგუფის ნების სპონტანური გამოვლინება. მითის წყარო კი ადამიანური ბუნების ირაციონალური ელემენტებია (იხ. Ceglarska, p. 352).

1929 წელს გამოვიდა ალფრედ როზენბერგის (1893-1946), გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი იდეოლოგის ნაშრომი „XX საუკუნის მითი“. როზენბერგი ისტორიულ ფაქტებს უხეშად ამახინჯებდა და აღნიშნავდა, რომ მითი თავად შექმნიდა ფაქტებს.

კიდევ ერთი ნაშრომი, რომელიც მიზნად ისახავდა თანამედროვე პოლიტიკური მითის ფუნდამენტურ კვლევას, იყო გერმანელი ფილოსოფოსის, ერნსტ კასირერის (1874-1945) ნაშრომი ,,მითი სახელმწიფოზე”(Cassirer, 1946). კასირერი თანამედროვე პოლიტიკური მითის ტექნოლოგიურ სპეციფიკაზე მიუთითებდა და მითს ხელისუფლების ლეგიტიმაციის ინსტრუმენტად განიხილავდა (Cassirer, 1946). კასირერის კრიტიკა XX საუკუნის მითისადმი ასევე ემყარებოდა იმ „საშინელ ეთიკურ შედეგებს“, რომელიც გასულ საუკუნეში პოლიტიკური მითის გამოყენებას მოჰყვა. „როდესაც პირველად პოლიტიკურ მითებზე გავიგეთ, ის იმდენად სასაცილო, შეუთავსებელი და აბსურდული მოგვეჩვენა, რომ სერიოზულად მისი მიღება საკმაოდ გაგვიჭირდა. ახლა კი ყველასათვის ცხადია, რომ ეს დიდი შეცდომა იყო“ – (Cassirer, 1974, p. 296, იხ. Baciu, 2009).

პოლიტიკური მითოლოგიის ინტერპრეტაციისას ახალი დისციპლინის პირველი თეორეტიკოსები განსხვავებულ პოზიციებზე იდგნენ. ისინი ურთიერთგამომრიცხავად აფასებდნენ თანამედროვე მითების სტრუქტურას. კასირერი ხაზს უსვამდა, რომ მეოცე საუკუნის პოლიტიკური მითი უკვე აღარაა პრიმიტიული ადამიანის მითი. მას სხვა შინაარსი აქვს, რომელიც განსაზღვრულია მთელი ადრეული ისტორიის პოლიტიკური კონცეფციით. მითს გააჩნია თავისი ლოგიკა, ის გამოცდილების ორგანიზაციის ფორმაა (Cassirer, 1974, p. 15, იხ. Baciu, 2009).

ფრანგი ფილოსოფოსის, როლან ბარტის (1915-1980) მიხედვით, მითი არის გამონათქვამი, სიტყვა, სახე ან ხატი, რომლის საშუალებითაც პოლიტიკა ან კულტურა ხსნის რეალობის განმსაზღვრელ ასპექტს; ის ურთიერთდაკავშირებული ცნებების ჯაჭვია. ბარტისვე მიხედვით, დომინანტური დისკურსი სწორედ მითების

საშუალებით ისტორიის ბუნებრივ პროცესად წარმოჩენას ცდილობს. ანუ რომელიმე ფაქტი, მოვლენა ან ტენდენცია არა მის მიერვე კონსტრუირებული, არამედ ბუნებრივად არსებულია. (იხ. მაისაშვილი და ტორაძე, 2019, გვ. 60).

ტერმინი „პოლიტიკური მითი“. ტერმინი „პოლიტიკური მითი“ (“Political Myth”) დაამკვიდრა ბრიტანელი მეცნიერის, ჰენრი თიუდორის 1972 წელს გამოსულმა ამავე სახელწოდების წიგნმა (Tudor, 1972). ჰ. თიუდორმა პოლიტიკური მითი აღწერა, როგორც თემატურად პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებული მითი, რომელშიც წამყვან როლს ასრულებს არა ფორმა, არამედ - შინაარსი: „რაც ახასიათებს მითს, როგორც პოლიტიკურს, არის მისი შინაარსი, - წერს თიუდორი - პოლიტიკური მითი ყოველთვის არის კონკრეტული ჯგუფის მითი. მისი გმირი, ან პროტაგონისტი არასდროს არის ერთი პიროვნება, არამედ - ჯგუფი. ეს ჯგუფი შესაძლოა იყოს ერი, ეთნიკური ჯგუფი ან სოციალური კლასი. პოლიტიკური მითები დაკავშირებულნი არიან ისტორიასთან, მაგრამ არ არიან აუცილებლად ისტორიულნი და არ გადმოგვცემენ უცილობლად ისტორიულ სიზუსტეს“ (Tudor, 1972, p. 138, იხ. თავდგირიძე, 2015).

თიუდორი პოლიტიკურ მითს ამბად მიიჩნევს, რომელიც მოთხრობილია კონკრეტული მიზნით და არა უბრალოდ გასართობად (Tudor, 1972. P. 16). ეს მიზანი გარკვეულწილად უზრუნველყოფს კონკრეტული ინდივიდებისათვის პოლიტიკურ იდენტიფიცირებას და სოლიდარობის განცდას სხვა, იგივე იდენტიფიკაციის მქონეებთან. შესაძლებელია, უფრო მეტად მნიშვნელოვანი გახდეს ის, რომ ზემოთხსენებული მიზანი ამართლებდეს ხელისუფლებაში მყოფთა მმართველობის უფლებას და მოქალაქეებს მათდამი მორჩილებისკენ მოუწოდებდეს (Hosking and Schőpflin, 1997, pp. 22-23). შოფლინის მიხედვით კი, პოლიტიკური მითი სხვა ფუნქციებთან ერთად ასრულებს პოლიტიკური ლეგიტიმურობის განმტკიცების და სხვადასხვა ინსტიტუტის უწყვეტად მუშაობის ხელშეწყობის ფუნქციას (Schőpflin, 1997, იხ. Sala, 2016).

ცნება „მითის“ სამეცნიერო და პოლიტიკური დატვირთვა. როდესაც პოლიტიკური მითების შესახებ ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ პოლიტიკური მითების სამეცნიერო გააზრების მცდელობები, არამედ თავად ცნება „მითის“ დატვირთვაც პოლიტიკაში. ეს ცნება თანამედროვე პოლიტიკურ

დისკუსიაში აქტიურად გამოიყენება და ნეგატიურ დატვირთვას ატარებს. რაიმეს მითად გამოცხადება ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს სიცრუესთან. მითების შესახებ დისკუსია განსაკუთრებით დამახასიათებელია რუსეთისთვის.

მარია შტეინმენის (Shteynman, 2016) მიხედვით რუსეთის ფედერაციაში ბოლო წლებში ტერმინები „მითი“ და „პოლიტიკური მითი“ მწვავე დებატების ერთ-ერთ მთავარ ბირთვად გადაიქცა, მათ განხილვაში კი საზოგადოების ფართო ფენებია ჩართული, მათ შორის მეცნიერები და მინისტრები... თემის გააქტიურებას ავტორი უკავშირებს პოლიტიკურ დიდებას - „წმინდა ისტორიასა“ და „წმინდა გამარჯვებას“ და მათ შორის აშკარა კავშირს ხედავს. ამგვარად, მეცნიერების კატეგორია და ისტორიული ფაქტები პოლიტიკის სფეროს მიეკუთვნება. ასეთი ფენომენი კი ლულის განმარტებით „პატრიოტული სიმბოლიზმია“ (Lull, 2008, p. 21, იხ. Shteynman, 2016. p. 97).

შტეინმენი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ დისკუსია ძირითადად მედიაში მიმდინარეობს - როგორც მასმედიაში, ასევე სოციალურ მედიაში. მას კვლავ ლულის განმარტება მოჰყავს, რომლის მიხედვითაც იდეები საზოგადოებაში ცირკულირებს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით (Lull, 2008, p. 17). ამის შედეგად კი შესაძლებელია ვარაუდი იმის შესახებ, რომ პოლიტიკური მითი მედია რეალობის ფორმირების განსაკუთრებული გზაა (იხ. Shteynman, 2016, p. 97).

<u>პოლიტიკური მითები ტოტალიტარიზმის სამსახურში.</u> ნიდერლანდელი ისტორიკოსის, ტემზის მიხედვით (TAMSE, 1975), პოლიტიკური მითის ფენომენის მკვეთრი ზრდა მეოცე საუკუნეში, თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე შემაშფოთებელ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. მისი თქმით, პოლიტიკური მითი ის ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც ტოტალიტარულმა რეჟიმებმა კაცობრიობას უდიდესი კატასტროფები მოუტანეს. ისეთი ცნებების ეფექტური გამოყენებით, როგორიცაა რჩეული რასა ან კლასი, მითიური ენა და სიმბოლური რიტუალები, ტოტალიტარული სისტემები დაუპირისპირდნენ როგორც რაციონალურ, ასევე მორალურ ნორმებს, რომელზეც დასავლური ცივილიზაცია და დემოკრატია აშენდა.

პოლიტიკური მითის შექმნის მიზეზებს განიხილავს ჟირარდი (ZIRARDE, 2000). პოლიტიკური მითების დაბადება მოხდა იმ მომენტში, როდესაც სოციალური ტრავმა

იქცა უკვე ფსიქოლოგიურ ტრავმად. იგი შეიქმნა შეშფოთების, დაურწმუნებლობის, ჩაშლილი მისწრაფებებისა და დაუსრულებელი მოლოდინების საფუძველზე. განადგურებული რწმენის ნანგრევებზე აღმოცენდა ახალი რეალობა, ახალი რწმენა. აღდგა დარღვეული ბალანსი ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მითის ყველაზე აშკარა და აუცილებელი ფუნქციაა გონებრივი რეორგანიზაცია ადამიანის ცნობიერებაში (იხ. Svilicic & Maldini, 2014).

ამავე თემაზე აკეთებს აქცენტს ჯენტილე (Gentile, 1990). იტალიური ფაშიზმი ეფუძნებოდა მითს ახალი სახელმწიფოს, როგორც ახალი რომის იმპერიის, ახალი საზოგადოების შესახებ. ის შეიქმნა რწმენის, სიმბოლოებისა და რიტუალების მეშვეობით. ახალმა რელიგიამ მობილიზება გაუწია ფართო, სოციალურ ფენებს ტოტალიტარული რეჟიმისაკენ სავალ გზაზე (იხ. Svilicic & Maldini, 2014.)

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც მითების შექმნის შემაძრწუნებელი შედეგები ფართოდ იქნა წარმოდგენილი, დაიწყო ამ მისტიური ძალის გაანალიზება. თეოლოგები და ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები და სოციოლოგები, პოლიტოლოგები და ისტორიკოსები საკუთარი განსხვავებული ხედვით ცდილობდნენ მის ახსნას. თუმცა აღსანიშნავია, რომ ასეთმა განსხვავებულმა მიდგომებმა საკითხს ნათელი ვერ მოჰფინა.

ტოტალიტარული რეჟიმის მიერ პოლიტიკური მითების გამოყენების შესახებ შირერი პირველი მსოფლიო ომის შემდგომი გერმანიისა და იტალიის მაგალითების გამოყენებით საუბრობს (Shirer, 1977). პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ევროპული საზოგადოებები, განსაკუთრებით კი იტალიასა და გერმანიაში, მზად იყვნენ მიეღოთ და განევითარებინათ პოლიტიკური მითები. ფსიქოლოგიურ გაურკვევლობაში მყოფი უკმაყოფილო მოქალაქეები ვერ ახერხებდნენ საკუთარი ცხოვრების ორგანიზებას მყიფე დემოკრატიული სისტემის პირობებში. ისინი შესაფერისები იყვნენ ახალი იდეალისტური სოციალური რეალობისათვის, რომელიც ეფუძნებოდა მითებს. ეს ახალი პოლიტიკური მითები და იდეალიზირებული ხედვები შესაძლებლობას იძლეოდა გაქცეოდნენ არსებულ რეალობას და ქმნიდა ილუზიას, რომ კოლექტიურ მოქმედებებში მონაწილეობით ისინი მიიწევდნენ უკეთესი მომავლისაკენ. ზევრი გერმანელისათვის სასურველი იყო თავის იდენტიფიცირება უძველეს გმირებთან. მათ სულში შესაძლებელია ბრძოლა ყოფილიყო -

ცივილიზაციასა და ნიბელუნგების სულისკვეთებას შორის (იხ. Svilicic & Maldini, 2014).

ასევე ტოტალიტარული რეჟიმის მიერ პოლიტიკური მითების გამოყენების შესახებ საუბრობენ სვილიცი და მალდინი (Svilicic & Maldini, 2014). ტოტალიტარული მოძრაობები იყენებენ პოლიტიკური მითის ძალას, რომელიც ცვლის საზოგადოების რაციონალურ ნიადაგზე დაფუძნებულ სტრუქტურას და მისტიფიკაციისა და პოლიტიკური მანიპულაციების საშუალება ხდება. პოლიტიკური მითები გავლენას ახდენს მოქალაქეთა გონებაზე, მათ გრძნობებსა და მოქმედებათა მოტივაციებს მიმართავს ტოტალიტარული პოლიტიკური ხელისუფლების მიზნების განხორციელებისაკენ.

ტოტალიტარული რეჟიმის მიერ პოლიტიკური მითის გამოყენებაზე ამახვილებს ყურადღებას ნეუმანი (Neuman, 1974). თანამედროვე საზოგადოების კონტექსტში მითიური ცნობიერება და შინაარსი განსაკუთრებით ძლიერდება რთული სოციალური სიტუაციებისას. ასეთი სიტუაციების გამომწვევი ძირითადი მიზეზები ეკონომიკური ხასიათისაა. სხვადასხვა ჯგუფებისათვის ეკონომიკური დანაკარგები იწვევს სოციალური საფრთხის, სხვადასხვა შიშის, უიმედობისა და სისუსტეების შეგრძნებას. ასეთი სოციო-ფსიქოლოგიური და კულტურული შემთხვევები კარგ ნიადაგს ქმნის პოლიტიკური მანიპულაციებისათვის. ასეთ დროს წინ წამოიწევა ხოლმე მესიანური, „მხსნელი“ იდეები ტოტალიტარული პოლიტიკური პროექტებისათვის. შიშით მანიპულირება ერთ-ერთი აუცილებელი ინსტრუმენტია რეგრესული პოლიტიკისათვის, რასაც თან ახლავს პოლიტიკური მითებით ადამიანთა ემოციების ბოროტად გამოყენება. შიში გამოწვეულია სხვადასხვა სოციალური კრიზისის დამთხვევების დროს, რომელსაც აძლიერებს ხელოვნურად შექმნილი ყალბი ისტორიული სურათი და შეთქმულების თეორია. მთავარი საფრთხე კი მდგომარეობს იმაში, რომ ამ ყალბ ისტორიაში უნდა არსებობდეს სიმართლის მარცვალი მისი დამაჯერებლობის გასამყარებლად (იხ. Svilicic & Maldini, 2014).

იმავე თემაზე საუბრობს კიუნლი (Kuhnl, 1978). მისი განმარტებით, შეთქმულების თეორია ემყარება მტრის არსებობას, რომელიც ემუქრება არსებული სისტემის ფუნდამენტურ ღირებულებებს. მტრის ფიგურა (მისი რელიგიური

ალტერნატივა ეშმაკია) პოლიტიკური მითოლოგიის განუყოფელი ნაწილია. აქედან გამომდინარე უარყოფითი მითოლოგიური შაბლონები გამოიყენება სხვების (განსხვავებულების), როგორც მტრების აღსაწერად. ისინი ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენენ და სწორედ მათი გამოწვეულია ყველანაირი საზოგადოებრივი პრობლემა და შესაბამისად ისინი უნდა განადგურდნენ (მაგ. ებრაელები; ბოშები; სლავები; ბურჟუაზია, კაპიტალისტები და ა. შ.) იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს ახალი, სუფთა და სრულყოფილი საზოგადოება. ამდენად, შიში და რეჟიმის მტრების მიმართ წარმოებული დევნა, გამართლებულია (იხ. Svilicic & Maldini, 2014.)

პოლიტიკური მითის მნიშვნელობაზე თანამედროვე პოლიტიკური პროცესების დროს ყურადღებას ამახვილებს კიდევ ერთი ავტორი, რომელიც მიიჩნევს, რომ პოლიტიკური მითი მიზნად ისახავს მართოს ადამიანთა მასების კოლექტიური ცნობიერება და ქცევა. მისივე განმარტებით, პოლიტიკური მითი უნდა იყოს მარტივი და აშკარა, დატვირთული ადვილად გასაგები სიმბოლოებით. ავტორი აგრეთვე ხაზს უსვამს პოლიტიკური მითის მნიშვნელობას ტოტალიტარული რეჟიმებისათვის, რომელთათვისაც დამახასიათებელია ლიდერის შესახებ მითის შექმნა (Ceglarska, p. 351).

<u>თანამედროვე ეპოქის ოთხი მთავარი მითი.</u> მილოშევიჩი და სტოჟადინოვიჩი განიხილავენ ფრანგი მეცნიერის, ჟირარდის მოსაზრებებს მითების კატეგორიზაციის შესახებ. (Žirarde, 2000) ჟირარდი შტრაუსსა და ბაკელარდის კვლევებს დაეყრდნო. ფრანგი მეცნიერის მთელი ყურადღება მიმართული იყო თანამედროვე ეპოქის ოთხი მთავარი პოლიტიკური მითის ჩამოყალიბებისა და მათი ეფექტის შესახებ. ეს მითებია: მითი შეთქმულების შესახებ; მითი მაცხოვრის შესახებ; მითი ოქროს ხანის შესახებ და მითი ერთიანობის შესახებ. შეთქმულების მითი პოლიტიკას წარმოადგენს, როგორც ძალადობის გავრცელების მნიშვნელოვან ნიადაგს მანიპულაციის უდიდესი დახმარებით. შეთქმულთა ორგანიზაცია იდუმალებითაა მოცული და იერარქიულად რეგულირებადია. მას მკაფიო გეგმა აქვს და ყველა ინდივიდი მხოლოდ პაიკის როლს ასრულებს „დიადი მიზნის" მიღწევის გზაზე. ორგანიზაციას ძალაუფლების მოპოვების და პლანეტარული იმპერიის შექმნის სურვილი ამოძრავებს, რომელშიც სწორედ ამ ძალის მიერ გაერთიანდება მთელი მსოფლიო (Žirarde, 2000, p. 39).

<u>პოლიტიკური მითი: რაციონალურსა და ირაციონალურს შორის.</u> რიგ მკვლევრებს პოლიტიკური მითი ესმით, როგორც „რეალობის აღქმის არამეცნიერული ფორმა", „რეალობის ერთიანი გაგება, რომელიც აერთიანებს რეალურსა და მისტიკას, ატარებს მნიშვნელოვან ირაციონალურ კომპონენტს" (Denisiyk & Neprytska, 2015, p. 84). დენისიკი და ნეპრიცკას აზრით, პოლიტიკური მითი უნდა განიხილებოდეს, როგორც მანიპულირების ტექნოლოგია, საზოგადოებრივ ცნობიერებაზე მიზანმიმართული ზემოქმედების საშუალება, საჭირო შეფასებებისა და დამოკიდებულების ჩამოყალიბების მიზნით. ამ კონტექსტში შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური მითი არის რაციონალური ფენომენი (რეალობის შექმნის მიზანმიმართული ინსტრუმენტი), რომელიც განისაზღვრება ირაციონალური საფუძვლით. პოლიტიკური მითის ამგვარი განმარტებით ისინი გარკვეულწილად უპირისპირდებიან ავტორებს, რომელთათვისაც პოლიტიკური მითი ბუნებით ირაციონალურია. ერთ-ერთი ავტორი, შესტოვი, მითს განმარტავს, როგორც „სტერეოტიპს, რომელსაც აქვს მზარდი ემოციური წონა, რომელსაც ცვლის პოლიტიკური პროცესის კონკრეტული ეტაპის თვისებებისა და მოთხოვნების შესაბამისად" (Шестов, 2005, p. 27).

დენისიკისა და ნეპრიცკას მიხედვით, პოლიტიკური მითი პოლიტიკური სივრცის აღქმის გამარტივებული მოდელია, რომელიც არ იძლევა არსებული რეალობის კრიტიკულ ანალიზს და რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას ადამიანის არაცნობიერი აქტივობის შედეგად. მითი პოლიტიკურ ტექნოლოგიად მიიჩნევა, რომელსაც ხელისუფლება იყენებს, როგორც „სასოწარკვეთილ ღონისძიებას ცნობიერების მანიპულირებისთვის მაშინ, როდესაც სხვა ყველა რესურსი ამოწურულია" (Denisiyk & Neprytska, 2015, p. 84).

მიულერი და აპოლტე იმის შესახებ მსჯელობენ, თუ რა განაპირობებს პოლიტიკური მითების მრავალფეროვნებასა და მდგრადობას რომელიმე კონკრეტულ რეგიონში, კულტურასა თუ ინდივიდთა ჯგუფში. მათი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ინდივიდები მოქმედებენ რაციონალურად, ზოგჯერ მათ „მინიმალური არაგონივრულობაც" ახასიათებთ. ამის შედეგად მათ მტკიცედ სწამთ რეალური მოვლენების და პოლიტიკური საკითხების ცრუ ახსნის. ისინი თავს იკავებენ საკუთარი პირველადი ინტუიცია დააყენონ ეჭვქვეშ მანამ, სანამ

არ მონახავენ მიზეზს სხვანაირად მოქცევისათვის. ინდივიდები მხოლოდ იმ შემთხვევაში არ იშურებენ დროსა და ენერგიას სიმართლის დასადგენად, როდესაც საფრთხის ქვეშ დგას ფართო ინდივიდუალური მრავალფეროვნება. ავტორთა თქმით, სხვადასხვა ქვე-პოპულაცია კოორდინირებას უწევს სხვადასხვა ხასიათის მითს, რითაც შესაძლებელია აიხსნას სხვადასხვა ქვეყანაში, რეგიონსა თუ კულტურაში პოლიტიკური მითების მრავალფეროვნება (Apolte, & Müller, 2019).

პოლიტიკურ მითს განმარტავს მატიჩი (Matić, 2005). მატიჩის მიხედვით პოლიტიკური მითი მითიური ამბავია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ცხოვრების ზოგად პირობებთან, წესრიგის შექმნასა და შენარჩუნებასთან. პოლიტიკური მითები მიისწრაფვიან თავი დაიმკვიდრონ სოციალური წესრიგისა და პოლიტიკური ურთიერთობების რწმენათა საფუძვლად - ანუ სახელმწიფოს, პოლიტიკური ავტორიტეტის, ხელმძღვანელობის, ძალაუფლების, ლიდერობის წესრიგის პატივისცემის იდეის დასამტკიცებლად და გასამყარებლად. (p. 101). მითები არსებითად პრაგმატულია, ვინაიდან ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობენ, თუ მნიშვნელოვანნი არიან პრობლემის გადასაჭრელად. ამ მოსაზრების თანახმად, მითების სუბიექტები არა კონკრეტული ინდივიდები, არამედ გარკვეული სოციალური ჯგუფებია, რომელთაც მითიური ტრადიციები ეხება. (იხ. Milošević, & Stojadinović, 2012).

<u>როგორ ჩნდებიან პოლიტიკური მითები.</u> კასირერის აზრით, პოლიტიკური მითები სპონტანურად არ ჩნდებიან, ისინი კარგად დამუშავებული და დახვეწილი პროდუქტია, ვინაიდან ცოდნაზე არიან დაფუძნებულნი. ისტორიასთან სინთეზი სწორედ ცოდნას გულისხმობს. პოლიტიკური მითი, როგორც დამუშავებული პროდუქტი, ადამიანის კარგ ცოდნას მოითხოვს. მას იგივე ხასიათი აქვს, რაც მეცნიერებას - მანიპულაცია. თანამედროვე მეცნიერები არ „უმიზნებენ უბრალოდ ცოდნას" ცოდნის გამო, არამედ ცოდნას, რომელიც რეალობის მანიპულაციის საშუალებას იძლევა.

მითის ტრანსფორმაცია ადამიანის მიზნების მიხედვით ხდება; თანამედროვე პოლიტიკური მითი აწმყო ცხოვრების ახალი ორიენტაციით იღებს სარგებელს. იმის გათვალისწინებით, რომ მითი ემოციების პროდუქტია, მითის შემქმნელები ისეთ საშუალებებს იყენებენ, რომლითაც ადამიანთა ემოციებს მიმართავენ საკუთარი

ინტერესების სასარგებლოდ. „მითი აღწერილი იყო, როგორც არაცნობიერი საქმიანობის შედეგი და წარმოსახვის თავისუფალი პროდუქტი. თუმცა აქ ჩვენ ვხვდებით გეგმის მიხედვით შემუშავებულ მითს. ახალი პოლიტიკური მითი თავისუფლად არ აღმოცენდება, ის უხვი წარმოსახვის ველური ხილი არაა. ისინი ხელოვნურად არიან შექმნილნი მეტად მოხერხებული და ცბიერი ოსტატების მიერ. ისინი მეოცე საუკუნისათვის არიან შენახულნი, ჩვენი დიადი, ტექნოლოგიების ეპოქისათვის, რომ განავითარონ მითის ახალი ტექნიკა. ამიერიდან მითის დამზადება შესაძლებელია ისეთივე მეთოდებით, როგორც სხვა ნებისმიერი თანამედროვე იარაღისა, იქნება ეს ავტომატი თუ თვითმფრინავი. მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ - შეუძლიათ შეცვალონ მთელი ჩვენი ცხოვრების სოციალური ფორმა" (Cassirer, 1974, p. 282). "ჩვენ ყურადღებით უნდა შევისწავლოთ მითების წარმოშობა, სტრუქტურა, მეთოდები და ტექნიკა. მოწინააღმდეგე უნდა დავინახოთ პირისპირ, რათა ვიცოდეთ, როგორ ვებრძოლოთ მას" (Cassirer, 1974, p. 296, იხ. Baciu, 2009).

მილოშევიჩი და სტოჟადინოვიჩი თანამედროვე პოლიტიკურ მითს განიხილავენ არამყარ, ცვალებად, საზღვრებგარეშე და საწინააღმდეგო მნიშვნელობებით სავსე ფენომენად. ავტორთა მტკიცებით, პოლიტიკური მითებისათვის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი არის ის, რომ მათი მეშვეობით დამარცხებულები გამარჯვებულებად, გამარჯვებულები კი დამარცხებულებად აქციონ. ასევე ყველა ომის წარმოჩენას ცდილობენ ისე, თითქოს მასში მონაწილე ყველა მხარე თავისუფლების, სამართლიანობის და საკუთარი თავის დასაცავად იბრძვის. მითები მეტად მარტივი ახსნაა რთული სოციალური რეალობისა. ზოგიერთი სოციალური და ფსიქოლოგიური საჭიროებები კი ზეგავლენას ახდენენ მათ გავრცელებაზე" (Krešić, 1968, p. 4, იხ. Milošević & Stojadinović, 2012).

<u>პოლიტიკური მითი და იდეოლოგია.</u> მარია შტეინმანის მიხედვით, თანამედროვე ეპოქაში პოლიტიკური მითი უნდა განიხილებოდეს სიმბოლური და სემიოტიკური ასპექტების ერთმანეთთან შერწყმით. მისი განმარტებით, პოლიტიკური მითის „სამუშაო განსაზღვრება" შემდეგია: „პოლიტიკური მითი განსაკუთრებული სახის იდეოლოგიურად გარდაქმნილი ნიშანია, რომელსაც გააჩნია პოტენციალი, შეცვალოს სოციოკულტურული რეალობა (ან შექმნას ახალი)" (Shteynman, 2016, p. 97).

მითს სჭირდება საკუთარი სისტემის შექმნა, იმისათვის რომ გადმოსცეს საკუთრი მნიშვნელობა. მითი იდეოლოგიის მიერ გარდაქმნილი ნიშანია. სხვაგვარად რომ ითქვას, მითი იდეოლოგიურად დამახინჯებული ნიშანია და ამავდროულად სპეციალური სისტემაა მსგავსი ნიშნების (Barthes, 1991, p. 111, იხ. Shteynman, 2016.)

პოლიტიკური მითების ფორმასა და შინაარსზე საუბრისას, კრისტოფერ ფლადი (Flood, 2013) თანამედროვე პოლიტიკურ მითს მიიჩნევს წარსულის, აწმყოს, ან მოსალოდნელი მომავლის ნარატივად, სადაც მითის მთხრობელი ცდილობს, ის გახადოს აუდიტორიისათვის გასაგები და მნიშვნელოვანი. თანამედროვე პოლიტიკური მითები, განსაკუთრებით დიდი ხნის მანძილზე დამკვიდრებულები, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მრავალ ვარიანტში იმის გათვალისწინებით, რომ ამზის არცერთი თხრობა არ იქნება აბსოლუტურად იდენტური სხვასთან. ფლადის მიხედვით, თქმა იმისა, რომ არსებობს პოლიტიკური მითი, შესაძლებელია მაშინ, როდესაც გვაქვს მეტ-ნაკლებად საერთო მოვლენათა თანმიმდევრობა, რომელშიც ჩაბმულნი არიან იგივე ძირითადი აქტორები, გვაქვს დაახლოებით იგივე საყოველთაო ინტერპრეტაცია და სავარაუდო მნიშვნელობა და ის ცირკულირებს სოციალური ჯგუფის შიგნით. ფლადის თანახმად, თანამედროვე პოლიტიკური მითი იდეოლოგიური დისკურსის ერთგვარი სახეობაა, ისინი აღქმულნი უნდა იყვნენ, როგორც იდეოლოგიური რწმენის გამოხატვის საშუალება და იდეოლოგიური არგუმენტაციის მხარდამჭერები. შესაბამისად პოლიტიკური მითები ერთგვარ კონკურენციაში არიან ერთმანეთთან იმის გათვალისწინებით, რომ კონკურენტ იდეოლოგიებს წარმოადგენენ.

სტოიცა (Stoica, 2017) ყურადღებას ამახვილებს მკვლევართა შორის განსხვავებულ მოსაზრებაზე პოლიტიკური მითის ძალასთან დაკავშირებით. ის ერთმანეთს ადარებს ორი მეცნიერის, ჟირარდისა და ფლადის მოსაზრებებს: ჟირარდის მიხედვით პოლიტიკური მითები ისეთივე მძლავრია, როგორც ტრადიციული, წმინდა მითები (Girardet, 1997, p. 6) ამის საპირისპიროდ კი ფლადი გვთავაზობს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ პოლიტიკურ მითებს არ აქვს ის განსაკუთრებული აურა, რაც დამახასიათებელია ტრადიციული მითებისათვის (Flood, 2002, p. 41). ავტორის აზრით, პოლიტიკური მითები პოლიტიკური ფენომენის

იდეოლოგიური ახსნაა, რომლისაც სჯერა კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს (Milošević and Stojadinović, 2012, p. 78, იხ. Stoica, 2017).

მითის განმარტებასთან ერთად, სტოიცა პოლიტიკურ მითს, როგორც პოლიტიკური დისკურსის განუყოფელ ნაწილს, განიხილავს პოლიტიკური პრაქტიკისათვის იდეოლოგიური ლეგიტიმაციის აუცილებელ ინსტრუმენტად, საფუძვლად სხვადასხვა აქტივობისათვის. ავტორის აზრით, პოლიტიკური მითის გამოჩენა მჭიდრო კავშირშია თანამედროვე ადამიანის მიერ არქაული ნარატივის დაწუნებასთან, რომელიც პოპულარული იყო უწინდელ დროში და უკავშირდებოდა რელიგიას.

<u>პოლიტიკური მითი, იდეოლოგია და პოლიტიკური ინტერესი.</u> პოლიტიკური მითოლოგიის თანამედროვე თეორეტიკოსია ბრიტანელი ქრისტეფორ ფლადი (Flood, 2000). ფლადი პოლიტიკურ მითებს კონკრეტული სოციალური ჯგუფების პოლიტიკურ ინტერესებს უკავშირებს. მისი აზრით, პოლიტიკური მითის არსი, უპირველესად, მის იდეოლოგიურობაში, შემდეგ კი პოლიტიკური მოვლენების ახსნა-განმარტებისას კონკრეტული სოციალური ჯგუფის ინტერესების გამოხატვასა და დაცვაში მდგომარეობს. ფლადი ამგვარად ახასიათებს პოლიტიკურ მითს: „იდეოლოგიურად მარკირებული ნარატივი, რომლის მიზანია მოგვცეს ნამდვილი ახსნა-განმარტება წარსულის, აწმყოსა და პროგნოზირებადი მომავალი პოლიტიკური მოვლენების შესახებ და რომელიც მიღებულია, როგორც მართებული და აუცილებელი კონკრეტული სოციალური ჯგუფის მიერ“ (Flood, 2000, p. 44). ფლადის აზრით, პოლიტიკური მითი უშუალო ურთიერთმიმართებაშია რეალობასთან, რამდენადაც იგი სწორად დასმულ ისტორიულ, სოციალურ და კულტურულ კონტექსტს საჭიროებს. ასეთი პოლიტიკური მითი გავლენის, ზემოქმედების მძლავრი იარაღია. „პოლიტიკური მითის გავლენა შესაძლებელია მაშინ, როდესაც ის დაკავშირებულია ისტორიულ, სოციალურ და იდეოლოგიურ კონტექსტთან. ამ ყველაფრის გარეშე კი იგი იმთავითვე მყიფე და დღენაკლული აღმოჩნდება“ (Flood, 2000. p. 44, იხ. თავდგირიძე, 2015).

2014 წელს გამოქვეყნდა სვილიცისა და მალდინის ნაშრომი პოლიტიკური მითების ანალიზისა და როლის შესახებ, სადაც ავტორები მიმოიხილავენ სხვა მეცნიერთა ნაშრომებს და ასევე გვთავაზობენ საკუთარ განმარტებას პოლიტიკური

მითების შესახებ (Svilicic & Maldini, 2014). პოლიტიკური მითების შეთხზვა არის გზა, გახადო პოლიტიკური მოვლენები პოლიტიკური რწმენის ძალით მეტად გასაგები და ნათელი, ისევე როგორც გაამართლო და გააძლიერო რომელიმე პოლიტიკური იდეოლოგია ან რეჟიმი. მითიური ნარატივების ჩამოყალიბება და განახლება პოლიტიკური ცხოვრების შემადგენელი კომპონენტია. ზოგი მათგანი დროის გასვლის შემდეგ უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ასევე არსებობენ მითები, რომელთაც წუთიერი, ხანმოკლე მნიშვნელობა აქვთ (Svilicic & Maldini, 2014).

<u>პოლიტიკური მითი და ჭეშმარიტება.</u> პეტერსონის მიხედვით, პოლიტიკური მითი ნარატივია, რომელიც აღიარებულია ან მიიჩნევა, რომ აღიარებულია ჭეშმარიტებად საზოგადოების მნიშვნელოვანი ჯგუფის მიერ (Petersson, 2013). პეტერსონისვე განმარტებით, პოლიტიკური მითი ზედაპირული შესწავლით შესაძლებელია უბრალო ნარატივად მივიჩნიოთ, თუმცა ყველა ნარატივი ვერ იქცევა მითად. ბოტიჩი და ჩალანდი მიიჩნევენ, რომ ყველა ნარატივს არ შეუძლია მოიპოვოს მითის სტატუსი, ამისათვის საჭიროა ის აღიარებული იყოს როგორც ჭეშმარიტება, რომელიც არ ექვემდებარება კრიტიკულ შესწავლას (Bottici & Challand, 2013, p. 4. იხ, Petersson, 2016). ამავე ავტორების მიხედვით, ნარატივის ჭეშმარიტებად მიღებას უზრუნველყოფს ის, რომ პოლიტიკური მითი მორგებულია რომელიმე კონკრეტული სოციალური ჯგუფის პოლიტიკურ პირობებზე. მითები კოლექტიურ დონეზე იწვევს ემოციურ მიჯაჭვულობას, რომელიც შემდგომ ახალისებს საზოგადოების ამ ნაწილის ქმედებებს (Bottici & Challand, 2013, p. 4. იხ, Petersson, 2016).

<u>პოლიტიკური მითი და ეროვნული იდენტობა.</u> სმიტის მიხედვით მითის ელემენტების - მეხსიერების, სიმბოლოებისა და ტრადიციების საშუალებით ხდება თანამედროვე ეროვნული იდენტობების ხელახლა ჩამოყალიბება თითოეულ თაობაში; ერი ხდება უფრო ინკლუზიური და მისი წევრები უმკლავდებიან ახალ გამოწვევებს“ (Smith, 1999, p. 9, იხ. Sala, 2016. p. 5). ამ პროცესში მნიშვნელოვანია სხვადასხვა ამბის თუ ნარატივის გამოგონება, ვინაიდან ერისა და სახელმწიფოს სტაბილურობა გარკვეულწილად დამოკიდებულია ამ ნარატივთა უნარზე, ადაპტირება მოახდინონ ცვალებად პირობებთან, ხელახლა გამოიგონონ ახალი ამბები, რომლებიც ეჭვქვეშ არ დააყენებენ ორიგინალურ მითებს (Sala, 2016).

ბილიგისა და პეტერსონის განმარტებით, (Billig, 1995; Petersson, 2009) პოლიტიკური მითი იდენტობასთანაა გადაჯაჭვული. საზოგადოებაზე ემოციურ გავლენას ახდენს და იწვევს ნაციონალისტური ნარატივების განვითარებას; ადგენს ვინაა ამ საზოგადოების წევრი და ვინ არა (იხ, Petersson, 2016).

აღსანიშნავია ასევე, რომ სტოიცა ერი-სახელმწიფოებისათვის პოლიტიკური მითების მნიშვნელობის წარმოჩენას ცდილობს. პოლიტიკურ მითს განიხილავს, როგორც პოლიტიკური ფენომენის დასაბუთებას რაიმე სპეციფიურ იდეოლოგიურ გარემოში. ეს პრაქტიკა მუდმივი გახდა ერი-სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესში, როდესაც მათ სჭირდებოდათ ამბავი საკუთარი ერთიანობის საფუძვლად და იდენტობის გამოსაძერწად; პროცესი მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ საჭირო იყო მეზობელი ეთნიკური ჯგუფებისაგან, ლინგვისტური, რელიგიური თუ პოლიტიკური ერთობებისაგან დისტანცირება და გამოყოფა (თუნდაც სიმბოლურად) (Wunenburger, 2003, p. 35, იხ. Stoica, 2017).

<u>პოლიტიკური მითის ფუნქციები.</u> მაგდი ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკური მითის ფუნქციებზე და მათ შემდეგნაირად განმარტავს:

კონსერვატიული ფუნქცია - მაგდის მიხედვით, პოლიტიკური მითის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა არსებული წესრიგის გამართლება, სოციალური ყოფის ჰარმონიზაცია და სტატუს კვოს შენარჩუნება.

რეფორმატორული ფუნქცია - მაგდი აღნიშნავს, რომ პოლიტიკურ მითს ხშირად იყენებენ სასურველი პოლიტიკური ქცევის წასაბიძგებლად; ის აღნიშნავს, რომ რადიკალურ/რეფორმისტული თვალსაზრისით, მითი შეიძლება შექმნან ან გამოიყენონ არსებული წესრიგის შეცვლის მიზნით. აგრეთვე, მითი საკუთარი ორიენტირებით დიდებულ წარსულზე ან პერსპექტიულ მომავალზე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას რეალობის შეცვლისა და უკეთესი პირობების ფორმირებისათვის (Magdy, 2020. p. 165).

<u>პოლიტიკური მითის სამუშაო განსაზღვრება.</u> პოლიტიკური მითების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, რომ პოლიტიკური მითს სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ (Sorel, 1961; Cassirer, 1946; Tudor, 1972; Flood, 2000; Krešić, 1968; Svilicic & Maldini, 2014; Neuman, 1974; ZIRARDE, 2000; Shirer, 1977; Milošević & Stojadinović).

პოლიტიკური მითების განსაზღვრის მცდელობანი და ავტორთა მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაციები ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულია და, რიგ შემთხვევებში, ბუნდოვანიც. ასეთ ვითარებაში საყოველთაოდ მისაღები უნივერსალური დეფინიციის ძიება საკმაოდ უმადურ საქმეს წარმოადგენს.

ნაშრომში დავეყრდნობი პოლიტიკური მითის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ განსაზღვრებას, რომელსაც აყალიბებენ მილოშევიჩი და სტოჟადინოვიჩი. ამ მეცნიერთა თანახმად, „პოლიტიკური მითი არის იდეოლოგიური ახსნა იმ პოლიტიკური ფენომენისა, რომლისაც სჯერა გარკვეულ სოციალურ ჯგუფს" (Milošević & Stojadinović, 2012, p. 78).

ყველაზე ზოგადი სახით რომ განვმარტოთ, პოლიტიკური მითი სინამდვილის ინტერპრეტაციას წარმოადგენს, მაგრამ ეს ინტერპრეტაცია რთულ საკითხებზე მარტივ და აქედან გამომდინარე, არასწორ ან არასრულ პასუხს იძლევა, ამავე დროს პოლიტიკური მითი ემოციებით და სიმბოლოებით არის დატვირთული. ასევე პოლიტიკური მითი გარკვეული პოლიტიკური ინტერესის მატარებელია და ამ პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურება (ორჯონიკიძე, 2021).

## 1.2.ისტორიული ხასიათის მითები პოლიტიკაში და მათი ინსტრუმენტალიზაცია

ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, ცალკე შევჩერდები ისტორიული ხასიათის მითების შესახებ პოლიტიკაში.

მარია შტეინმენის მიხედვით, თანამედროვე სამყაროში ისტორიული კატეგორია ისევე, როგორც პოლიტიკური დიდება წარსულს მიეკუთვნება. მაშინ როდესაც თავად წარსული გადავიდა სამეცნიერო ფაქტების სფეროდან პოლიტიკურ მითში, რასაც, შტეინმანის განმატებით, კასირერი „სახელმწიფოს მითს" უწოდებდა (Shteynman, 2016).

ისტორიული მითის ცნების განსაზღვრა საკმაოდ რთულია. 2019 წლის კვლევაში ბერნარდი და სხვა ავტორები სწორედ ამაზე საუბრობენ. მათი მტკიცებით, ისტორიული მითის ცნების განსაზღვრა საკმაოდ რთულია და თუ მაინც ვეცდებით, ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მისი შინაარსისა და ფუნქციების საფუძველზე, რომელიც მიმართულია დააკმაყოფილოს საზოგადოების საჭიროებები ისტორიული

დამოწმების, დამტკიცების შესახებ.  ასეთ შემთხვევაში ამოცანა, რომლითაც ისტორიული მითია დატვირთული, უფრო მეტად ფართოა ვიდრე უბრალოდ მითის შინაარსის დადასტურება. საზოგადოებრივი ჯგუფებისათვის მათ უნდა უზრუნველყონ კავშირი საზოგადოებრივი თავდაჯერების წყაროებთან, განსაკუთრებით ეს ეხება კრიზისულ და რადიკალური ცვლილებების პერიოდებს. ავტორები აღნიშნავენ, რომ მითი პროპაგანდა არაა. ის უფრო მეტად ლეგიტიმური მოთხოვნილებების გამოხატვაა. თუმცა ის შეიძლება გახდეს პროპაგანდისტული ან იდეოლოგიური ინსტრუმენტალიზაციის მსხვერპლი და ბოროტად გამოიყენონ. ისტორიული მითის განსაკუთრებული ფუნქცია თხრობითი კავშირის შექმნაა კონკრეტულ საზოგადოებასა და აწმყოსა და წარსულის დაკავშირებასთან, რომელიც თავისი მნიშვნელობით აღმოცენდება (Bernhard, Grindel, Hinz & Meyer-Hamme, 2019). იგივე ავტორები პოლიტიკურ და ისტორიულ მითებს შორის ავლებენ პარალელს და მათ შორის განსხვავებაზე ამახვილებენ ყურადღებას. საზღვარი პოლიტიკურ და ისტორიულ მითებს შორის მყარი არაა. ავტორები განმარტავენ, რომ პოლიტიკურ და ისტორიულ მითებს შორის გადამწყვეტი განსხვავება მათ საზოგადოებრივ ფუნქციაშია. ისინი ისტორიულ მითებს განასხვავებენ უტოპიისა და იდეოლოგიისაგან. მათი თქმით, მითი საზოგადოებრივი ძალის მობილიზებას ახდენს. ის განსხვავდება იდეოლოგიისაგან ინტეგრაციისკენ მიდრეკილებით (იდეოლოგია - ავტორთა მტკიცებით, არსებული წესრიგის დაყოფისა და გამრავლებისკენაა მიდრეკილი); ასევე რიტუალების მნიშვნელობაზე საუბრობენ. პოლიტიკური მითები და რიტუალები ხშირად მჭიდრო ურთიერთკავშირშია. რიტუალები აცოცხლებს მითებს აწმყოში, მითი კი სამაგიეროდ მას ლეგიტიმურობას ანიჭებს. რიტუალები, როგორც საზოგადოებრივი მოვლენები, რომლებიც ყოველდღიურობისაგან განცალკევებით მრავალჯერ სრულდება, მითს ანიჭებს ფუნქციას იყოს აზრის გენერატორი ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. კავშირი, რომელსაც ქმნის მითი კოლექტივსა (ერსა თუ ადამიანთა გარკვეულ ჯგუფში) და მათ წარსულის ინტერპრეტაციაში, დასტურდება და განმტკიცდება სწორედ ამ რიტუალების უწყვეტი გამეორებით. ეს კი კუთნილების და მოციური უსაფრთხოების განცდას აჩენს (Bernhard, Grindel, Hinz, & Meyer-Hamme, 2019).

ისტორიული მითის რეალობასთან კავშირს ეხებიან მელენტინი და შაპირო (MELLENTHIN & SHAPIRO, 2017), რომლებიც განმარტავენ, რომ ისტორიული მითები ისტორიული მოვლენების შესახებ მოგვითხრობენ და მეხსიერებაში აცოცხლებენ ამ პროცესებს. აღსანიშავია, რომ ისტორიულ მითებში სიზუსტე დაკარგულია, თუმცა ზოგადი სურათი შენარჩუნებულია. მაგალითად ავტორებს ტროას ომი მოჰყავთ, ასევე ილიადა და ოდისეა; ტროას ომი სინამდვილეში მოხდა, თუმცა პერსონაჟები, რომელთაც ილიადადან და ოდესეადან ვიცნობთ (აქილევსი, აგამემნონი...) სავარაუდოდ არ არსებობდნენ. (MELLENTHIN & SHAPIRO, 2017). ამავე თემაზე საუბრობენ დუბალოვა და ფიცა. მათი აზრით, ისტორიული მითი შედგება მრავალი ისტორიულად გადამოწმებული და დამტკიცებული მოვლენისაგან. მათი წყარო რეალობაა და ადამიანი მისი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მითი წარსულს აქცევს აწმყოდ, ხოლო ისტორიული მოვლენა გაყავს დროის ჩარჩოდან და ის უკვე ყველა დროს მისაღებია (Fica & Ďoubalová, 2014).

სამეცნიერო ლიტერატურის მოკლე მიმოხილვაც აჩვენებს, რომ „ისტორიული მითის" ცნება საკმაოდ ბუნდოვანია და მისი ცალსახა დეფინიცია არ არსებობს. ისტორიული მითი პოლიტიკური მითის სახეობას წარმოადგენს (Белов, 2018). ისტორიული მითების სპეციფიკა, როგორც პოლიტიკური მითის სახეობისა, შემდეგში ვლინდება:

- ისტორიული მითები წარსულს ეხება და აგებულია ისტორიული ფაქტების საფუძველზე;
- ისტორიული მითი ამავე დროს თანამედროვეობასთან არის დაკავშირებული და ზეგავლენას ახდენს არსებული სინამდვილის აღქმაზე წარსულის მოვლენების ინტერპრეტაციის გზით;
- ისტორიული მითი, უმრავლეს შემთხვევებში, გარკვეულ პიროვნებასთან არის დაკავშირებული და მას წარმოადგენს პოზიტიურად ან ნეგატიურად;
- ისტორიული მითი ლეგიტიმაციას ანიჭებს გარკვეულ პოლიტიკურ წესრიგს ან, პირიქით, ანგრევს მის ლეგიტიმურობას;
- ისტორიული მითი ზეგავლენას ახდენს ადამიანთა მიერ საკუთარი იდენტობის აღქმაზე.

ისტორიული მითი წარსულის გამარტივებული, ხშირად არასწორი, მაგრამ მასობრივი ცნობიერებისათვის ადვილად აღსაქმელი და მოსახერხებელი სურათია. ისტორიული მითი მასობრივი აუდიტორიისთვის უფრო მიმზიდველი და გასაგებია, ვიდრე წარსულის სანდო მეცნიერული მოდელი.

ისტორიული მითის მთავარი ფუნქციაა ისტორიული მოვლენების მარტივი და გასაგები განმარტებების ჩამოყალიბებაა. ისტორიული მითის ეს თვისება განაპირობებს იმას, რომ ისტორიული მითი ხშირად ხდება იდეოლოგიური კონსტრუქციის ელემენტი, აყალიბებს გარკვეულ პოლიტიკურ და კულტურულ იდენტობას (АНИКИН, 2018).

ისტორიული მითი წარსულის ვერსიის გადმოცემისას შემოწმებულ და რეალურ ფაქტებს კი არ ეყრდნობა, რომელიც რაციონალურ ცნობიერებას მიმართავს, არამედ ემოციურად არის გაჯერებული და სიმბოლოებით არის დატვირთული. ისტორიული მითი არა იმდენად ცოდნაა, რამდენადაც რწმენა. ამიტომაც მეცნიერული არგუმენტების მოშველიებით ისტორიული მითების გაქარწყლება, უმრავლეს შემთხვევებში სათანადო ნაყოფს არ იძლევა.

რამდენად არასანდოა ისტორიული მითი, რამდენად არასწორია მასში გადმოცემული წარსულის სურათი?

ერთ-ერთი ვერსიით, ისტორიული მითი არის წარსულის მოვლენების გამარტივებული, ვულგარიზებული კონსტრუქცია, შეიძლება ჩამოყალიბდეს სტიქიურად, არ ქონდეს კონიუნქტურული ხასიათი და პოლიტიკური ქვეტექსტი. (თუმცა, ისტორიული მითი პოლიტიკური ქვეტექსტის გარეშე ძნელად წარმოსადგენია).

პოლიტიკური მითი და მისი სახეობა - ისტორიული მითი საზოგადოების ცნობიერებაზე ახდენს ზეგავლენას, ამ მიზნით არის შექმნილი და მანიპულაციის ინსტრუმენტს წარმოადგენს.

პოლიტიკური ან, კონკრეტულად, ისტორიული მითების ამოცანა შეიძლება იყოს საზოგადოებაში შიშის დანერგვა, რაღაცისადმი სიძულვილის გაღვივება, ანდა პირიქით, - გარკვეული იდეის ან პოლიტიკური ძალისადმი მხარდაჭერის მობილიზება.

უმრავლეს შემთხვევაში, როგორც უკვე ითქვა, ისტორიული მითი გაგებულია როგორც ისტორიის ფალსიფიკაცია, წარსულის მოვლენების დამახინჯებული, არასწორი გადმოცემა.

## 1.3 მითები სტალინის შესახებ

დღევანდელ საქართველოში, როგორც უკვე ითქვა, საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილში არსებობს ინტერესი სტალინისადმი, რაც ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის სტალინის შესახებ მითების გავრცელებისათვის.

რა განაპირობებს ინტერესს სტალინისადმი. „თუ გაინტერესებთ ინფორმაცია სტალინის შესახებ, რა განაპირობებს თქვენს ინტერესს?" ამ კითხვაზე სხვადასხვა მოსაზრება გამოითქვა დისერტაციაზე მუშაობის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის მონაწილეთა მიერ. ტიპიური პასუხები შემდეგი იყო:

- ✓ სტალინმა დიდი კვალი დატოვა მსოფლიო ისტორიაში, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ ქვეყნებში;
- ✓ სტალინი მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გავლენიანი პოლიტიკოსია;
- ✓ სტალინი გავლენას ახდენს დღევანდელობაზე;
- ✓ ისტორიისადმი ზოგადი ინტერესი, რაც სტალინის საქმიანობით დაინტერესებასაც განაპირობებს;
- ✓ სტალინმა დიდი გავლენა მოახდინა საქართველოზე;
- ✓ სტალინი ქართველი იყო;
- ✓ აქტუალურია სტალინი და მისი ეპოქის შესახებ დისკუსია;
- ✓ სტალინი ქარიზმატული ლიდერი იყო და ასეთი ლიდერებისადმი ინტერესი ყოველთვის დიდია.

კითხვაზე „რატომ არსებობს საზოგადოების ნაწილში ინტერესი სტალინისადმი?" განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა:

- ✓ ჩვენი ისტორიის ნაწილია;
- ✓ ქართველი იყო;
- ✓ „დიდი ისტორიული ფიგურა იყო; აქვს დიდი პოლიტიკური წონა; გავლენა მსოფლიო პოლიტიკაზე";

- ✓ პროპაგანდის გამო;
- ✓ არსებული ნოსტალგიით საბჭოთა კავშირის მიმართ;
- ✓ „საბჭოთა თაობა ჯერ კიდევ ცოცხალია“;
- ✓ გამარჯვება მეორე მსოფლიო ომში;
- ✓ „პატარა საქართველოში დაბადებული ადამიანი მსოფლიოს ყველაზე ძლევამოსილი პიროვნება გახდა“;
- ✓ „მოსწონთ მისი მართვის სტილი, მკაცრი ხელი“;
- ✓ „საზოგადოების ნაწილი სტალინზე შეთხზული მითების გავლენის ქვეშაა“.

<u>ორი სახის მითები სტალინის შესახებ.</u> საქართველოში სტალინზე ძირითადად ორი სახის მითებია გავრცელებული - ერთი - სტალინი დიდი პოლიტიკოსი, რომელიც იღვწოდა საბჭოთა კავშირის და შესაბამისად, რუსეთის საკეთილდღეოდ და მეორე - სტალინი, რომელმაც ბევრი კარგი რამ გაუკეთა საქართველოს.

პირველი ტიპის მითების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ გრიგოლ ონიანის პუბლიკაცია „სტალინი - კაცობრიობის ამოუხსნელი ფენომენი“ (ონიანი, 2020. გვ.12-13), რომელშიც მთავარი თემა სტალინის მიერ „რუსების მიერ წარსულში დაკარგული მიწების შეგროვებაა“. გასაგებია, რომ ამისათვის სტალინს აფასებენ რუსი „ველიკოდერჟავნიკები“, თუმცა ბოლოს ავტორი აღნიშნავს: „ქართველო, დიდი სტალინი შენი სისხლი და ხორცია, შენი მიწის შვილია, შენს ენაზე საუბრობდა, შენს შოთას და ილიას ეთაყვანებოდა, შენი დავით აღმაშენებლით ამაყობდა, შენი ტრადიციებით ცხოვრობდა, სტუმართმოყვარეობდა და შენი მრავალხმიანი სიმღერებით ხიბლავდა მსმენელს. ის ღმერთკაცი იყო, მაგრამ ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებით ცხოვრობდა“ (ონიანი, 2020. გვ.13).

იმავე ხასიათისაა „ასავალ-დასავალში“ ლევან დოლიძის ინტერვიუ „სტალინი 141 წლისაა!“. მისი განცხადებით, „სტალინი თავისი პლანეტარული აზროვნებითა და მოღვაწეობით კიდევ მრავალი ასეული წლის განმავლობაში იქნება კაცობრიობისათვის თანამედროვეც და გზამკვლევიც“ (დოლიძე, 2020, გვ. 26).

სტალინის ქების მთავარი თემა მეორე მსოფლიო ომში მისი დამსახურებათა განდიდებაა. მაგალითად დოლიძე აცხადებს: „ჩემთვის უკვე აშკარაა, რომ სტალინს ბევრად დიდი მსხვერპლის ფასად ჰიტლერის შეჩერება და დამარცხება ადრეც შეეძლო, მაგრამ ეს იქნებოდა „პიროსის გამარჯვება“ და ამის შემდეგ ბელადი

ამერიკელებსა და ინგლისელებს ვერავითარ კონკურენციას ვერ გაუწევდა“ (დოლიძე, 2020, გვ. 26). ამიტომ სტალინმა მსხვერპლი „შეამცირა“ და „სტალინგრადამდე და კავკასიამდე მოუშვა მტერი“. თუ გავითვალისწინებთ წითელი არმიის უდიდეს დანაკარგებს ომის პირველ თვეებში, გაუგებარია, კიდევ რა „დიდ მსხვერპლზე“ შეიძლება ვისაუბროთ.

მეორე ტიპის მითებთან დაკავშირებით, სადაც სტალინი საქართველოს საკეთილდღეოდ იღწვის, შეიძლება მოვიშველიოთ სოციალურ ქსელ „ფეისბუკზე“, ერთ-ერთ გვერდზე გამოქვეყნებული ჩამონათვალი. უმრავლეს შემთხვევაში ეს არის ფაქტების ჩამონათვალი, აქედან ზოგიერთის დამსახურებად გამოცხადება უცნაურია, ზოგიერთი კი სადავოა და, რაც მთავარია, მას შეიძლება დაემატოს ამავე ტიპის მრავალი სხვა ფაქტი თუ მათი ინტერპრეტაცია (ქარჩილავა, 2020)[11]

ამავე ტიპის მითების გაქარწყლებას ცდილობენ ავტორები კრებულში „13 მითი სტალინის შესახებ“ (კუპატაძე და ცუცქირიძე, 2017).

- მითი #3 – „წითელი არმია საქართველოში ლენინმა შემოიყვანა და ამაში სტალინს ბრალი არ მიუძღვის“. - იმის დასამტკიცებლად, რომ აღნიშნული სიმართლეს არ შეესაბამება და საქართველოს გასაბჭოება სტალინის არამხოლოდ პოლიტიკური, არამედ პირადი ინტერესის საგანს წარმოადგენდა, ავტორი სხვა დოკუმენტებთან ერთად იშველიებს ამ პერიოდის ოფიციალურ დეპეშებს, რაც ოკუპაციაში სტალინის პირდაპირ მონაწილეობას ასაბუთებს.
- მითი #5 – „სტალინი ზრუნავდა საქართველოს ტერიტორიის გაფართოებაზე“ - აღნიშნულ მოსაზრებას ძირითადად აყენებენ ხოლმე, როდესაც სტალინის მიერ თურქეთისთვის წაყენებულ პრეტენზიებზე საუბრობენ. მეორე მსოფლიო ომის მიწურულს, ომში ნეიტრალურ თურქეთს საბჭოთა კავშირმა მართლაც წაუყენა ტერიტორიული პრეტენზიები ისტორიული ქართული და სომხური მიწების დაბრუნების შესახებ, თუმცა აღნიშნული შავი ზღვის სრუტეების საკითხთან ერთად

[11] ჩამონათვალში სტალინის მიერ საქართველოსთვის გაკეთებულ ერთ-ერთ სიკეთედ ავტორი მიჩნევს ტერიტორიების საკითხს. ქარჩილავას თქმით, სტალინს სურდა საქართველოსა და სომხეთისათვის დაებრუნებინა თურქეთის შემადგენლობაში მყოფი მიწები. ომის დაწყების შემთხვევაში კი ფრონტის ზურგში მცხოვრები თურქი მოსახლეობა საფრთხედ მიიჩნია და ასპინძისა და ახალციხის რაიონებიდან შუა აზიაში გადაასახლა. თუმცა მოვლენები სხვაგვარად განვითარდა.

განიხილებოდა დიდი სამეულის კონფერენციაზე და არა დამოუკიდებლად. მონაწილეთათვის ცხადი იყო, რომ საქმე შავი ზღვის კონტროლს ეხებოდა და არა უბრალოდ საქართველოსთვის ისტორიული მიწების დაბრუნებას. საბოლოოდ, სტალინმა ვერ გაბედა თურქეთის წინააღმდეგ ომის დაწყება, ხრუშჩოვმა კი უარი თქვა თურქეთისთვის წაყენებულ ტერიტორიულ პრეტენზიებზე.

- მითი #7 – „სტალინი კარგი ქართველი იყო - უყვარდა ქართული კულტურა და ტრადიციები" - აღნიშნულის საპირისპიროდ, ავტორს დამამტკიცებელ საბუთებად მოჰყავს სტალინის მოსაზრებები გასაბჭოებული ტერიტორიების მოწყობის შესახებ („ავტონომიზაციის გეგმა"[12]); მისი ნააზრევი ნაშრომიდან „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი", სადაც ამ უკანასკნელს სტალინი მეორეხარისხოვნად მიიჩნევს. ასევე ავტორისვე განმარტებით, რუსეთში თავის დასამკვიდრებლად, თავისი არარუსობის გამო სტალინს სჭირდებოდა „ჭარბი რუსული პატრიოტიზმი". ამის გამო საბოლოოდ „ის ჩამოყალიბდა რუს ნაციონალისტად, მეტიც - შოვინისტად" (გვ. 78). აღნიშნული გამორიცხავს სტალინის „კარგ ქართველობას".

<u>მითები სტალინზე დღეს ისტორიული ხასიათისაა.</u> ტოტალიტარული რეჟიმი ვერ იარსებებს მითების გარეშე, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი რეჟიმის სათავეში მყოფი ბელადის შესახებ მითებს ეთმობა. სტალინის განდიდება 1920-იანი წლების ბოლოს იწყება და 1930-იან წლებში ყალიბდება მითები დიდი და უშეცდომო ბელადის შესახებ. ხრუშჩოვის მიერ დაწყებულმა პიროვნების კულტის მხილებამ და ე. წ. დესტალინიზაციის პროცესმა მძიმე დარტყმა მიაყენა სტალინის შესახებ მითებს, თუმცა ნიკიტა ხრუშჩოვის კრიტიკამ წარმოშვა რიგი ახალი მითები, რაც სტალინის მიმართ „თანაგრძნობას" იწვევდა და „უსამართლობად" მიიჩნეოდა. მაგალითად, მითი იმის შესახებ, რომ სტალინი ომის დროს საომარ ოპერაციებს გლობუსის მეშვეობით ხელმძღვანელობდა. ლეონიდ ბრეჟნევის მმართველობის დროს, როდესაც დაიწყო სტალინის „ჩუმი" რეაბილიტაცია, მასიურად გამოვიდა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე მარშლებისა და გენერლების მოგონებები, სადაც

[12] გასაბჭოებული ქვეყნების შეყვანა რუსეთის ფედერაციაში ავტონომიური ერთეულების სტატუსით.

სტალინის შესახებ პოზიტიურად იყო მოთხრობილი. ამ მოგონებებმა საფუძველი ჩაუყარეს ახალ ისტორიებს სტალინის შესახებ.

მითები სტალინის შესახებ და იდეოლოგია. პოლიტიკური მითების თეორეტიკოსები აღნიშნავენ მითების კავშირს იდეოლოგიასთან. რა იდეოლოგიური დატვირთვის მატარებელია მითები სტალინის შესახებ? თავის დროზე, როდესაც სტალინის პიროვნების კულტი არსებობდა, სტალინი მიიჩნეოდა „მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსად“, გამორჩეულ პიროვნებად, რომელმაც ერთ ქვეყანაში ააშენა სოციალიზმი და კომუნიზმისკენ მიჰყავდა საბჭოთა კავშირი. თუმცა, დღევანდელ მითებში სტალინის შესახებ ნაკლებად არის სოციალიზმის და კომუნიზმის ხსენება. სტალინი წარმოდგება „დიდი სახელმწიფოს“ შემქმნელად, რომელმაც „კავის რუსეთი“ გადააქცია „ატომურ ზესახელმწიფოდ“. მითები სტალინის შესახებ რუსული ველიკოდერჟავული ნაციონალიზმის მატარებელია. სწორედ დიდი „დერჟავას“ შექმნის გამო მოსწონთ სტალინი დღევანდელ რუსეთში და ამის გამო იქმნება „პოზიტიური“ ლიტერატურა სტალინის მოღვაწეობის შესახებ.

საქართველოში სტალინის მადიდებლები შეიძლება რუსული „დერჟავას“ იდეის მატარებლები იყვნენ, მაგრამ ამ ადამიანებისთვის მთავარი მაინც „სტალინის ქართველობაა“. იდეოლოგიური თვალსაზრისით ქართველი სტალინელები შეიძლება სოციალისტური იდეოლოგიის მატარებლები იყვნენ, მაგრამ ამავე დროს ისინი „ქართული პატრიოტიზმის“ სპეციფიური იდეის მატარებლებიც არიან, რომელიც განადიდებს სტალინის პერიოდის საბჭოთა საქართველოს. საბჭოთა საქართველო კი განუყოფლად არის დაკავშირებული რუსეთის სახელმწიფოსთან.

# თავი II. სტალინის შესახებ მითების გავრცელების ძირითადი არხები

სანამ სტალინის შესახებ მითების გავრცელების ძირითადი არხების შესახებ ვისაუბრებდეთ საინტერესო იქნება იმ მცირე გამოკითხვის (79 რესპოდენტი) შედეგების გაცნობა, რომელიც 2022 და 2024 წელს ჩავატარე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებთან[13]. კითხვაზე, თუ საიდან გაიგო პირველად სტალინის შესახებ, დასახელდა:

- ოჯახი - 53 – 67%
- სკოლა, ისტორიის სახელმძღვანელოები - 21 – 26.6%
- ოჯახიდან და სკოლა/ისტორიის სახელმძღვანელოები - 2 – 2,53%
- ტელევიზია-1 - 1,26%
- ინტერნეტი-1 – 1,26%
- უბანი-1 (თავად ჩაამატა) – 1,26%

როგორც ვხედავთ, სტალინის შესახებ ინფორმაციის პირველად მიღების მთავარი წყაროებია ოჯახი და ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები. როგორც გამოკითხვამ აჩვენა, დღევანდელ სტუდენტ-ახალგაზრდობას, რიგ შემთხვევაში ურთიერთობა ჰქონდა ბებია-ბაბუებთან და მათგან იგებდნენ სტალინის შესახებ. რამდენიმემ ახსენა, რომ ბაბუას ჰქონდა სტალინის სურათი.

ინტერესი სტალინის მიმართ დიდია. ამავე გამოკითხვაში მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ აინტერესებთ ინფორმაცია სტალინის შესახებ. კითხვაზე აინტერესებს თუ არა ინფორმაცია სტალინის შესახებ პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

- აინტერესებს - 70 – 88,6%
- არ აინტერესებს - 8 – 10,12%
- უარი პასუხზე - 1 -1,26%.

[13] აღნიშნული კვლევა არ არის რეპრეზენტატული, თუმცა იძლევა საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას.

## 2.1. სტალინის თემა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ სამეცნიერო-პუბლიცისტურ ლიტერატურაში

სტალინის მმართველობის პერიოდის და თავად სტალინის შესახებ თავისუფლად წერა შესაძლებელი გახდა 1980-იანი წლების მეორე ნახევარში, იმდროინდელი საბჭოთა ლიდერის მიხეილ გორბაჩოვის მიერ დაწყებული „გარდაქმნის“ პერიოდში. საჯაროობამ ისტორიული თემატიკაც მოიცვა და პირველ რიგში ეს შეეხო საბჭოთა კავშირის არსებობის საწყის პერიოდს - ლენინისა და სტალინის მმართველობის პერიოდებს. საზოგადოებისთვის ცნობილი ხდებოდა სულ ახალ-ახალი ფაქტები საბჭოური წარსულის შესახებ, რომელსაც მანამდე ტაბუ ედო და რომლის შესახებ არათუ არ ლაპარაკობდნენ, არამედ არც არავინ იცოდა. მაშინ გავრცელებული ერთი ირონიული შენიშვნით, საბჭოთა ადამიანმა არა მარტო არ იცოდა თუ როგორი მომავალი ექნებოდა ხვალ, არამედ არ იცოდა ისიც, თუ ხვალ როგორი იქნებოდა მისი წარსული.

წარსულის ამგვარი „გახსნილობის“ პირობებში ისტორიულ თემატიკაზე გაჩნდა უამრავი ლიტერატურა. თავიდან, რა თქმა უნდა, სჭარბობდა პუბლიცისტური ხასიათის და მკაფიო პოლიტიკური დატვირთვის მქონე ნაშრომები. სტალინის და მისი მმართველობის პერიოდის შესახებ თანდათანობით გამოიკვეთა ორი სახის პუბლიკაციები:

- სტალინის მიმართ კრიტიკულად განწყობილი, მამხილებელი იმ დანაშაულებებისა, რაც მისი მმართველობის პერიოდში იყო ჩადენილი და მიმართული იყო ტოტალიტარიზმის მემკვიდრეობისგან განთავისუფლებისკენ;
- ე. წ. „პრო-სტალინური“ ლიტერატურა, სადაც სტალინი პოზიტიურად იყო წარმოდგენილი და საუბარი იყო იმ წარმატებებზე, რაც სტალინის მმართველობის პერიოდში იყო მიღწეული. სტალინის მიმართ პოზიტიური ლიტერატურის გაჩენას ისიც უწყობდა ხელს, რომ ნ. ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში სტალინის მიმართ რიგი უსაფუძვლო ბრალდება გაჩნდა (მაგალითად, სტალინი გლობუსით ხელმძღვანელობდა ომის დროს) და სტალინს „უსამართლოდ ცილ-დაწამებულის“ იმიჯიც ჰქონდა.

საბჭოთა კავშირში განვითარებული „წარსულის გადაფასების“ პროცესიდან საქართველო, რა თქმა უნდა, გამონაკლისი არ იყო და 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან ჩვენს ქვეყანაშიც გამოჩნდა ზემოთ აღნიშნული ორივე სახის ნაშრომები. ხდებოდა რუსეთში გამომზეურებული ფაქტების განხილვა და მას ემატებოდა ქართული თემატიკაც, ის რაც ხდებოდა ამ პერიოდის საქართველოში.

სტალინის შესახებ პუბლიკაციების გამოჩენის ქრონოლოგიურ ჭრილში წარმოჩენა და განხილვა მოცემული ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს. შევეხებით მხოლოდ ძირითად ნაშრომებს დღევანდელი მდგომარეობით.

ქართველი ავტორების მიერ გამოცემული ნაშრომები, სადაც სტალინი პოზიტიურად იყო წარმოჩენილი ძირითადად ეყრდნობა რუსულენოვან პუბლიკაციებს და უხვად გვაწვდიან მითებს სტალინის შესახებ. ასე შეიქმნა პოსტსაბჭოთა „სტალინური“ ლიტერატურა საქართველოში (მაგალითად შეიძლება დავასახელოთ - ონიანი, 2016; ტაკიძე, 2013; ბარამიძე, 1996; ბერძენიშვილი, 2003...).

აღსანიშნავია, რომ მკითხველს დღეს ქართულ ენაზე შეუძლია მოიძიოს სტალინის თანამედროვეთა ნაშრომები (ჩერჩილი, 2006; ხოჯა, 2010; ტროცკი, 2010...).

ქართულ ენაზე არსებობს ასევე პოპულარული ხასიათის ნაშრომებიც, რომელთა ავტორებიც ემიჯნებიან მითებს სტალინის შესახებ და, როგორც თავად აცხადებენ, ცდილობენ ისტორიული სიმართლის შესაბამისად ობიექტურად გაიაზრონ სტალინის ფენომენი და მისი მმართველობის პერიოდი (დაუშვილი, 2016; გურული, 2014...).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში დღეს იწერება და ვრცელდება ასევე ნაშრომები, როლებიც მიმართულია სტალინის შესახებ გავრცელებული მითების დასამსხვრევად.

ამ ტიპის პუბლიკაციებს ძირითადად მიეკუთვნება თანამედროვე დასავლელი ავტორების მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები, რომლებიც საკმაოდ აქტიურად ითარგმნება ქართულ ენაზე და ფართოდ ვრცელდება საზოგადოებაში. ქართულ ენაზე თარგმნილია დასავლელი ავტორების რიგი ნაშრომები - ზოგი პოპულარული (მონტეფიორე, 2012...), ნაწილი კი სამეცნიერო (რიზი, 2016; სნაიდერი, 2014; დოიჩერი, 2014; ვიჰავაინენი, 2012; „სტალინი-ძალაუფლება და იდეები“, 2015;

კერიგანი, 2020...), რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ სტალინის შესახებ მითების გაქარწყლებას.

ისტორიკოსის, ოთარ ჯანელიძის თქმით, სტალინის შესახებ არსებული მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ლიტერატურის კლასიფიკაცია ზევრნაირად შეიძლება:

- ქრონოლოგიური პრინციპით (სტალინის სიცოცხლეში გამოცემული, სტალინის პიროვნების კულტის დაგმობის შემდეგ დროინდელი და პოსტსაბჭოთა პერიოდის); გეოგრაფიული არეალის მიხედვით (საქართველოში, რუსეთში, საბჭოეთსა და დასავლეთში დაბეჭდილი ნაშრომები);
- შეფასებითი თვალსაზრისით (ტენდენციური, პროპაგანდისტული, სახოტბო, კრიტიკული, სუპერკრიტიკული, შედარებით მიუკერძოებელი);

სამეცნიერო ან პოპულარული ხასიათის ნაშრომები და სხვ. (პირისპირი ინტერვიუ. 04.01.2023).

კიდევ ერთი ისტორიკოსი, სტალინის შესახებ ნაშრომების ავტორი, ალექსანდრე დაუშვილი საბჭოთა ბელადის შესახებ თანამედროვე საქართველოში არსებულ ლიტერატურას შემდეგნაირად აჯგუფებს:

- მეცნიერულად დასაბუთებული და აქედან გამომდინარე საინტერესო;
- მოყვარული ისტორიკოსების მიერ დაწერილი ნაშრომები, რომლებიც არიან კულტის ზემოქმედების ქვეშ;
- ფალსიფიცირებული, არამეცნიერული და მიკერძოებული ლიტერატურა (პირისპირი ინტერვიუ, 20.01.2023).

სტალინის პიროვნებისადმი გაზრდილი ინტერესი და მის შესახებ შექმნილი მითების გავრცელება იყო 2017 წელს გამოსული პუბლიკაციის „13 მითი სტალინის შესახებ“ შექმნის მიზეზი, რომელიც მკითხველს დოკუმენტებზე დაყრდნობით აწვდის ინფორმაციას და რომლის მიზანიც იყო გაექარწყლებინა სტალინის შესახებ ყველაზე გავრცელებული 13 მითის რწმენა (კუპატაძე, ზ. და ცუცქირიძე, ლ. 2017).[14]

---

[14] აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომს გამოეხმაურა ვრცელი კრიტიკული სტატიით გრიგოლ ონიანი.

სტალინის პიროვნების აქტუალობას ეხმიანება 2013 წელს გამოსული კიდევ ერთი კრებული „სტალინის თავსატეხი“ (ლიპმანი, გუდკოვი და ბაქრაძე, 2013). ასევე 2023 წელს გამოცემული „საქართველო იოსებ სტალინის წინააღმდეგ“ (ბუღაძე, 2023).

სტალინის შესახებ მითების მხილების მიმართულებით საკმაოდ აქტიურია რადიო თავისუფლების ქართული ბიურო, რომელიც ხშირად ცდილობს საზოგადოებაში დამკვიდრებული სტალინური მითების გაქარწყლებას სხვადასხვა გადაცემით და პუბლიკაციით, მათ შორის ოფიციალური დოკუმენტების გამოქვეყნებითაც.

აღსანიშნავია ასევე მედიის განვითარების ფონდის მიერ 2014 წელს დაფუძნებული „მითების დეტექტორი“, რომელიც ასევე საკმაოდ აქტიურად ებრძვის საბჭოთა დიქტატორის შესახებ გავრცელებულ მითებს. როგორც ოფიციალურ გვერდზე ვკითხულობთ, „მითების დეტექტორი“ სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტეს სწავლობს და აფასებს; ყალბად მონიშვნის შემთხვევაში კი ფეისბუკი აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებას მნიშვნელოვნად ამცირებს. ადამიანებს კი, რომლებიც ხედავენ ყალბად მონიშნულ პოსტს ან გაზიარებას ცდილობენ, აფრთხილებს, რომ ის არ ითვლება სანდოდ.

აქვე „მითების დეტექტორი“ იმ მიმართულებებსაც ასახელებს, რომლის მიხედვითაც კონკრეტულ ინფორმაციას შეისწავლიან. მათ შორისაა უცხო ქვეყნის აგენტები - რუსეთის სამთავრობო მედიის პირდაპირი პროპაგანდა და ირიბი ანტიდასავლური პროპაგანდა; აგრეთვე შიდა პოლიტიკური პროპაგანდა - პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ტროლებისა თუ ყალბი გვერდების გამოყენება სოციალურ მედიაში. ამასთან დაკავშირებით „მითების დეტექტორის“ განმარტებით, შემდეგ აქტივობებს ახორციელებს:

- იდენტიფიცირება
- დეკონსტრუირება
- წყაროების გამჭირვალობის შესწავლა
- განმარტება

აღსანიშნავია, რომ გვერდი რამდენიმე ენაზე აწვდის ინფორმაციას მკითხველს; ხოლო მის გვერდს სოციალურ ქსელ ფეისბუკში 2025 წლის იანვრის მდგომარეობით 81 ათასი გამომწერი ჰყავს (აღსანიშნავია, რომ 2023 წლის იანვარში გვერდის

გამომწერთა რაოდენობა 80 ათასს აღწევდა. 2 წლის განმავლობაში ის მხოლოდ ათასით გაიზარდა).

სოციალურ ქსელში ასევე არსებობს გვერდი „რეპრესირებულთა ისტორიები 1937-1938“, რომელიც აქტიურად აქვეყნებს მასალებს აღნიშნული პერიოდის ტერორის მსხვერპლთა თუ შემოქმედთა შესახებ.

სტალინის შესახებ ახალი მითების გავრცელების ან უკვე დამკვიდრებულის წინააღმდეგაა მიმართული დასავლური ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტები. აღსანიშნავია 2011-2013 წლებში განხორციელებული პროექტი „სტალინური სიები საქართველოდან“. ეს პროექტი 2011-2013 წლებში განახორციელა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საერთაშორისო საზოგადოება „მემორიალთან“ თანამშრომლობითა და ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგონალური ბიუროსა და საქართველოში შვეიცარიის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. ესაა ელექტრონულ მონაცემთა ბაზა, რომელიც 1937-1938 წლების რეპრესიების მსხვერპლთა შესახებ მოკლე ბიოგრაფიულ მონაცემებს აერთიანებს და რამდენიმე ათას რეპრესირებულს მოიცავს.

ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ მისამართზე შესაძლებელია ინფორმაციის მოძიება რეპრესირებულთა შესახებ, მათ შორის ისეთი მონაცემებია, როგორებიცაა ბრალდება და ხელმომწერთა ვინაობა დასახვრეტთა სიაზე.

აქვე აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის მსხვერპლთა ხსოვნის შესანარჩუნებლად და რეპრესირებულ ოჯახთა ისტორიების აღსადგენად რეპრესირებულთა საერთო მონაცემთა ბაზაზე მუშაობა პირველად დაიწყო საერთაშორისო საზოგადოება „მემორიალმა“ 1998 წელს. ბაზა სახელწოდებით „საბჭოთა პოლიტიკური ტერორის მსხვერპლნი“ 1 300 000-ზე მეტი ადამიანის ბიოგრაფიულ ცნობას მოიცავდა.

ამავე მიზეზით გამოსული კიდევ ერთი წიგნია „ალჟირის პატიმართა პორტრეტები: - სტალინიზმის ისტორიიდან“. წიგნი მოიცავს ალჟირის[15] პატიმართა შვილების მონათხრობს. კრებული აერთიანებს თვით პატიმართა მეხსიერებას -

[15]ბანაკი ყაზახეთში, „სამშობლოს მოღალატეთა“ ცოლებისათვის.

ნაწილობრივ შემონახულს მათი მონაყოლის, წერილებისა და დოკუმენტების სახით და იმას, რაც მათ შვილებს ახსოვთ.

## 2.2. სტალინის თემა ქართულ ბეჭდურ მედიაში

სტალინის შესახებ ინფორმაციის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ქართული პერიოდული პრესა. რიგი გაზეთები („საქართველოს რესპუბლიკა“; „ასავალ-დასავალი“; „ქართული სიტყვა“; „საქართველო და მსოფლიო“. ჟურნალი „თბილისელები“) ძირითადად დადებითი შინაარსის მასალას ბეჭდავენ სტალინზე და მის შესახებ მითების გავრცელების ერთ-ერთ უმთავრეს არხს წარმოადგენენ.

ქართულ პრესაში პერიოდულად, გარკვეულ თარიღებთან დაკავშირებით, სტალინის შესახებ პუბლიკაციები მატულობს ხოლმე. ასეთი „საკვანძო“ თარიღებია:

- სტალინის გარდაცვალების დღე (5 მარტი)
- საქართველოს გასაბჭოების დღე (25 თებერვალი),
- ნაცისტურ გერმანიაზე (საბჭოურ-რუსული სახელწოდებით „დიდ სამამულო ომში“) გამარჯვების დღე (9 მაისი),
- ნაცისტური გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის დღე (22 ივნისი)
- სტალინის დაბადების დღე (21 დეკემბერი)

ასეთი თარიღები სტალინის შესახებ მითების გაჟღერების კარგ საბაბს წარმოადგენს. პუბლიკაციების რაოდენობა იზრდება, თუკი საქმე გვაქვს რომელიმე „მრგვალ“ თარიღთან. ამ თარიღებთან დაკავშირებით (განსაკუთრებით 25 თებერვალს) შეიძლება გამოჩნდეს კრიტიკული სტატიები სტალინის როლის თაობაზე საქართველოს საბჭოთა ოკუპაციაში.

ქართულ ბეჭდურ პრესაში სტალინის თემის განხილვის სიხშირისა და პუბლიკაციების ხასიათის შესასწავლად ჩავატარე 2021 წლის მაის-ივნისში გამოსული ქართული ბეჭდური პრესის შინაარსობრივი ანალიზი და შევადარე 2025 წლის დასაწყისში არსებულ ვითარებას.

შევისწავლე ამ დროისათვის საქართველოში გამომავალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის მქონე ყველა ყოველდღიური ან ყოველკვირეული გაზეთი. სულ 10 გამოცემა („ახალი თაობა“, „რეზონანსი“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „საქართველო და მსოფლიო“, „ალია“, „ქრონიკა +“, „ასავალ-დასავალი“, „ილორი“. „ლიტერატურული საქართველო“, „სტალინელი“).

ჩატარებული კონტენტ-ანალიზის ძირითად მიგნებებად შემდეგი შეიძლება გამოიყოს:

1. გაზეთები, რომლებიც სისტემატიურად ავრცელებენ მითებს სტალინის შესახებ

გამოიკვეთა გაზეთები, რომლებიც ყოველ ნომერში აქვეყნებდნენ პუბლიკაციებს სტალინის შესახებ - „ასავალ-დასავალი“, „საქართველო და მსოფლიო“, „სტალინელი“. „ასავალ-დასავალი“ და „საქართველო და მსოფლიო“ კვირაში ერთხელ გამოდიოდა. გაზეთი „სტალინელი“ კი თვეში ერთხელ. აღნიშნული გაზეთები ქართულ პრესაში. სტალინის შესახებ მითების ძირითადი გამავრცელებლები არიან. ამავე დროს ეს გაზეთები გამოირჩევიან ანტი-დასავლური და ღია პრორუსული პოზიციით.

გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა“ და „ილორი“ სტალინის თემას პერიოდულად ეხებიან და ეს გაზეთებიც შეიძლება ასევე განვიხილოთ, როგორც სტალინის პოზიტიური იმიჯის დამამკვიდრებლები.

2. სტალინის თემა, როგორც მკითხველისთვის საინტერესო, „კითხვადი“ მასალა

საკვლევ პერიოდში გაზეთები „ალია“ და „კვირის პალიტრა“ შეეხნენ სტალინის თემას, ოღონდ პუბლიკაციების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათთვის ეს იყო სენსაციური, „კითხვადი“ მასალა.

3. სტალინის შესახებ პუბლიკაციების ზრდა 9 მაისთან დაკავშირებით

სტალინის შესახებ სტატიების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა 9 მაისთან დაკავშირებით და ამ თემაზე გამოქვეყნებულმა პუბლიკაციებმა მოიცვა დაახლოებით 7-12 მაისის პერიოდი. ძირითადი იყო მეორე მსოფლიო ომში სტალინის როლის განხილვა პოზიტიურ კონტექსტში.

4. გაზეთები, რომლებიც გვერდს უვლიან სტალინის თემას

აღნიშნულ პერიოდში სტალინის შესახებ არაფერი დაბეჭდილა გაზეთებში „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „ლიტერატურული საქართველო“. თუ პირველი ორი გაზეთის პოლიტიკურ პროფილს გავითვალისწინებთ, ისინი არიან საქართველოს დასავლური ორიენტაციის და ლიბერალური ფასეულობების მხარდამჭერები, მაგრამ სტალინის თემასთან დაკავშირებით არაფერი დაუწერიათ.

**<u>სტალინზე მითების უპირობო დომინირება ანტიდასავლურ ქართულ პრესაში.</u>** ქართული პრესის ანალიზი შემდეგ სურათს აჩვენებს: ზოგიერთ გაზეთში, რომლებიც ანტიდასავლურ პოზიციაზე დგანან, სტალინის შესახებ პოზიტიური მასალები სისტემატიურად ქვეყნდება, სტალინის მიმართ კრიტიკული წერილები კი საერთოდ არ გამოქვეყნებულა. შედეგად იკვეთება სურათი, როდესაც ინტენსიურად ვრცელდება პოზიტიური ინფორმაცია სტალინის შესახებ, მის საწინააღმდეგოდ კი კრიტიკული პუბლიკაციები არ ჩანს.

უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოებაც: სტალინზე მითების გამავრცელებელი გაზეთების („საქართველო და მსოფლიო", „ასავალ-დასავალი", „სტალინელი" და ა. შ.) მკითხველი ნაკლებად სავარაუდოა, რომ იმავდროულად ეცნობოდეს ლიტერატურას, რომელიც სტალინზე მითების მხილებით არის დაკავებული.

2022 წლიდან გარკვეული ცვლილებები მოხდა ქართულ ბეჭდურ მედიაში.

2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ აღარ გამოდის გაზეთი „საქართველო და მსოფლიო", რომელიც რუსული პროპაგანდის ორგანოს წარმოადგენდა და ყოველ ნომერში ჰქონდა 4-გვერდიანი ჩანართი სტალინის შესახებ. აღნიშნულ ჩანართს გრიგოლ ონიანი ამზადებდა. აღარ გამოდის ასევე გაზეთი „სტალინელი". „საქართველო და მსოფლიოს" საიტი საკმაოდ აქტიურად მუშაობს და აქვეყნებს სტალინის შესახებ ინფორმაციას. აღსანიშნავია, რომ საიტზე ხელმისაწვდომია 2009-დან 2022 წლის ჩათვლით გამოცემული გაზეთების ე.წ. პდფ ვერსია.

პარალელურად გაჩნდა ახალი სტალინური გამოცემებიც, რომლებიც დღეისათვის სტალინის შესახებ ისტორიების გავრცელების ძირითად არხებად გადაიქცნენ:

- გაზეთ „ასავალ-დასავალში" გაჩნდა ყოველკვირეული ჩანართი გაზეთი „გენერალისიმუსი" (4-გვერდიანი, უმეტესწილად კი 8-გვერდიანი), რომლის 173-ე ნომერი გამოვიდა 2023 წლის 16 იანვარს. აღსანიშნავია, რომ „გენერალისიმუსის" სახელწოდებით 2003 წლის 7 აპრილიდან ცალკე გაზეთი გამოდიოდა და შემდეგ მისი გამოცემა შეწყდა. როგორც აღინიშნა, ჩანართის სახით ამ გაზეთის აღდგენა მოხდა. „გენერალისიმუსის" გამომცემლად მითითებულია „ასავალ-დასავალის" საგამომცემლო სახლი,

არ არის დასახელებული „გენერალისიმუსის“ გამოცემაზე პასუხისმგებელი პირები. უბრალოდ აღნიშნულია „სარედაქციო კოლეგია“.

- 2022 წლის ივლისიდან დაიწყო გამოსვლა გაზეთმა „სტალინმა“, რომელსაც აწერია „ყოველკვირეული გაზეთი“, თუმცა ყოველკვირეულად მისი გამოცემას ვერ ახერხებენ. 2023 წლის 16 იანვრისათვის გამოსულია გაზეთის 22 ნომერი. გაზეთი 8-გვერდიანია. გაზეთის გამომცემლად დასახელებულია საერთაშორისო საზოგადოება „სტალინი“, მთავარი რედაქტორია გრიგოლ ონიანი.

ორივე გამოცემას („გენერალისიმუსს“ და „სტალინს“) თავისი ჩამოყალიბებული სტრუქტურა და რუბრიკები გააჩნია. სტალინის და სტალინის მმართველობის პერიოდზე თხრობა უკავშირდება ზოგადად საბჭოთა კავშირის ისტორიიდან სხვადასხვა ეპიზოდების გახსენებას და ისტორიას მჭიდროდ უკავშირებენ თანამედროვეობას. სწორედ ამ თანამედროვეობასთან კავშირის დროს მკაფიოდ ჩანს სტალინური ისტორიების მთხრობელთა რუსული ორიენტაცია.

„გენერალისიმუსი“-ს ტიპიური ნომერი შემდეგნაირად გამოიყურება: არის ერთი წამყვანი სტატია სტალინის შესახებ. მაგალითად, გაზეთის 2022 წლის N13-14-ში ასეთი სტატია ეძღვნება სტალინის 227-ე ბრძანების 80 წლისთავს.

ნომერში, როგორც წესი, არის ინტერვიუ ისტორიკოსთან. იმავე 2022 წლის N13-14-ში არის ინტერვიუ სვიმონ მასხარაშვილთან მყვირალა სათაურით: „1964 წელს ნიკიტა ხრუშჩოვი რომ არ გადაეყენებინათ, ხუთ-ექვს წელიწადში საბჭოთა კავშირი არსებობას შეწყვეტდა“. სვიმონ მასხარაშვილი, შეიძლება ითქვას, რომ გაზეთის ხშირი სტუმარია. 2023 წლის N 3-4-ში სვიმონ მასხარაშვილი ეხება ლენინისა და სტალინის ურთიერთობას დამაინტრიგებელი სათაურით „ლენინმა სტალინი ორი მიზეზის გამო ვერ გაანადგურა“ 2023 წლის N 5-ში მასთან გამოქვეყნებული ინტერვიუდან ვგებულობთ, რომ „მთელ საბჭოთა მთავრობაში მორწმუნე ქრისტიანი მხოლოდ სტალინი იყო“ და გაჟღერებულია ვერსია, რომ შეიძლება 1937 წლის ივნისში დედის დასაფლავებაზე სტალინი საიდუმლოდ ჩამოვიდა.

გაზეთში აქტიურად იბეჭდება დიტო ჩუბინიძეც. მაგალითად, 2022 წლის N15-16-ში იგი დიდგორის ბრძოლას ეხება და აღნიშნავს, რომ „აღმაშენებლის ტაქტიკამ სტალინს მეორე მსოფლიო ომი მოაგებინა!“. 2022 წლის N 18-ში საუბრობს პეტრე

პირველზე, პეტრე ბაგრატიონსა და სტალინზე და აღნიშნავს: „უკანასკნელი სამი საუკუნის განმავლობაში რუსეთი პირისაგან მიწისა გაქრობისგან სამმა დიდმა ქართველმა იხსნა!" 2022 წლის N19-ში დაბეჭდილია მისი სტატია „იყო თუ არა პეტრე პირველი ქართველი?"

ეხებიან პოსტსაბჭოთა პერიოდსაც - „გენერალისიმუსის" 2022 წლის ბოლოსა (N43-44) და 2023 წლის დასაწყისის (N 1-5) ნომრებში ქვეყნდება ვრცელი ინტერვიუ ჯუმბერ პატიაშვილთან.

ყოველ ნომერში ერთი გვერდი ეთმობა გიორგი ბეზირგანის მკითხველისათვის პასუხებს. ცხადია, ეს მხოლოდ ფორმაა და შეკითხვებს სტალინის საქმიანობის თუ ცხოვრების ამა თუ იმ საკითთან დაკავშირებით, სავარაუდოდ. თავად რუბრიკის წამყვანი ქმნის. ყოველ ნომერში არის დაახლოებით 5-დან 7 შეკითხვამდე მოკლე პასუხებით.

როგორც უკვე ითქვა, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა თანამედროვეობასაც. აქ კი მიმდინარეობს დასავლეთის მკაცრი კრიტიკა და რუსეთის პოლიტიკის მხარდაჭერა. მაგალითად, 2022 წლის N13-14-ში აკრიტიკებდნენ საქართველოში აშშ-ის ყოფილ ელჩს კელი დეგნანს და აღნიშნავდნენ: „ვემზადოთ ბრძოლისათვის ფულზე გაყიდულ და არნახულად მომრავლებულ მავნებლურ ორგანიზაცია-პარტიებთან!"

თუმცა გვხვდება პუტინის რუსეთის პოლიტიკის კრიტიკაც იმის გამო, რომ „სტალინს სათანადოდ არ აფასებს" და „სტალინური კურსიდან გადაუხვია". გაზეთის 2023 წლის N3-4-ში ვრცელი სტატია ეხება რუსეთის ფლოტის შემადგენლობაში ორი ატომური წყალქვეშა ნავის შეყვანას, რომელთაც „იმპერატორი ალექსანდრე მესამე" და „გენერალისიმუსი ალექსანდრე სუვოროვი" დაარქვეს. სტატიას ხმაურიანი სათაური აქვს: „პუტინმა „გენერალისიმუსი ალექსანდრე სუვოროვი" წყალში ჩაუშვა, ხოლო გენერალისიმუსი იოსებ სტალინი წყალს გაატანა!"

2022 წლის N15-16-ში  გრიგოლ ონიანი სტატიაში სათაურით „გონს მოეგეთ სლავებო!" მხარს უჭერს რუსეთის ომს უკრაინაში და როგორც თავად აღნიშნავს, აკრიტიკებს იმისთვის, რომ „არ იბრძვიან სტალინური სტრატეგიით და ტაქტიკით".

„გენერალისიმუსის" მსგავსი სტრუქტურის იყო გაზეთი „სტალინი".

წამყვანი თემა, ბუნებრივია, სტალინის საქებარი სტატიებია. 2022 წლის N 4-5-ში ქვეყნდება გრიგოლ ონიანის სტატია „ოპერაცია ედელვაისის კრახი კავკასიაში“. აქ სტალინის ქება ბერიას ქებას უხამდება: „როგორც მეორე მსოფლიო ომში უსტალინოდ ვერ გავიმარჯვებდით, ისე ლავრენტი ბერიას გარეშე კავკასიონს ვერ დავიცავდით“. 2023 წლის 9-15 იანვრის ნომერში (N21) გამოქვეყნებულ სტატიაში გრიგოლ ონიანი ჭეშმარიტო ისტორიის აღდგენაზე საუბრობს და სტატიის სათაურიც შესაბამისია: „XX საუკუნის ყალბი ისტორია, რომელიცვ შემდეგ კიდევ უფრო გააყალბეს ისტორიის „პიგმეებმა“, უნდა განადგურდეს!“

2022 წლის N 6-დან გაგრძელებებით იბეჭდებოდა აკაკი მგელაძის მოგონებები „სტალინი - როგორსაც მე ვიცნობდი“.

სტალინის 2022 წლის N 4-ში გამოქვეყნებულ სტატიაში იხსენებენ ცივი ომის პერიოდს იმის თაობაზე თუ „როგორ აპირებდნენ „სტრატეგიული მოკავშირეები“ ატომური ბომბებით საქართველოს აღგვას პირისაგან მიწისა“.

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის გაშუქებით გაზეთში დაკავებულია პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი, - პრორუსული ხედვებით და დასავლეთის კრიტიკით. აკრიტიკებს საქართველოს დღევანდელობასაც, რომ „დამოუკიდებლობის“ 30 წელმა ქართველებს არაფერო გვასწავლა!“ (N 5). მისი ერთ-ერთი სტატიის სათაურია: „ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში დასავლეთის კულტი ჯერაც ზენიტშია“ (N 18).

იგივე თემაა ნოდარ ჭითანავას (2022 N 12-14) სტატია „გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში“, რომელიც მომდევნო ნომრებში გაგრძელებებით იბეჭდება.

„სტალინის“ N14-ში გამოქვეყნებულია ქართულ და რუსულ ენებზე „ვრცელი საშვიდნოემბრო მილოცვა ვლადიმერ პუტინს“, რომელსაც ხელს აწერენ ვალერი კვარაცხელია, გრიგოლ ონიანი, გულბაათ რცხილაძე და ჰამლეტ ჭიპაშვილი. სტატია მთავრდება შემდეგი აბზაცით: „ვლადიმერ ვლადიმერის ძევ, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 105-ე წლისთავზე, გულწრფელი წარმატებები მინდა გისურვოთ, რადგან დასავლური სატანიზმისა და ფაშიზმისაგან ხსნის ერთადერთ გარანტად რუსეთი გვევლინება, ისევე, როგორც. საუკუნის წინათ, ჩვენს წინაპრებს საბჭოთა კავშირი ეგულებოდათ“.

გაზეთ „სტალინი“ ასევე აკრიტიკებდა პუტინს იმის გამო, რომ „სტალინის გზას“ არ მიჰყვება. 2023 წლის 16-22 იანვრის ნომერში (N 22) გამოქვეყნებულია გრიგოლ ონიანის ვრცელი წერილი „სტალინის გზით უკრაინის დასაბრუნებლად“.

ყოველკვირეული ჟურნალი „თბილისელები“. ჟურნალში დიდი ხანია არსებობს ორი რუბრიკა „ბელადები“ და „უახლესი ისტორია“, თითოეულ რუბრიკას ეთმობა ჟურნალის ერთი გვერდი და ეს ორი რუბრიკა ერთმანეთს მოსდევს. „ბელადებში“ იბეჭდება რაიმე ისტორია იოსებ სტალინის შესახებ, ხოლო „უახლეს ისტორიაში“ ასევე რაიმე ისტორია ლავრენტი ბერიას შესახებ. ორივე რუბრიკას უძღვება ნიკა ლაშაური. ყოველ ნომერში მითითებულია, რომ რუბრიკებში „გამოყენებულია ამონარიდები ინტერნეტსაიტებიდან, სოციალური ქსელებიდან, პუბლიკაციებიდან და სხვადასხვა ლიტერატურული გამოცემებიდან.

გამოქვეყნებული მასალები ისეა შერჩეული, რომ სტალინით და მისი პერიოდით დაინტერესებული პირებისთვის „კითხვადი“ იყოს, გარდა ამისა გამოქვეყნებული მასალები ხელს უწყობს სტალინსა და ბერიაზე „პოზიტიური“ ისტორიების და სხვადასხვა მითების გავრცელებას.

„თბილისელების“ რუბრიკების და გამოქვეყნებული მასალების ხასიათზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის 2025 წლის იანვარ-თებერვლის ნომრებში გამოქვეყნებული მასალები:

| ნომერი | რუბრიკა „ბელადები“ | რუბრიკა „უახლესი ისტორია“ |
|---|---|---|
| N 1<br>6-12.01.2025 | ვინ ახვევდა სტალინს თავზე ომებს და რატომ | რა გეგმა შეიმუშავა ბერიამ მოსკოვის ოკუპაციის შემთხვევაში |
| N 2<br>13-19.01.2025 | რა აქციებს ხელმძღვანელობდა პირადად სტალინი | როგორ აღმოაჩინა და დააწინაურა ბერიამ უნიჭიერესი ქართველები |
| N 3<br>20-26.01.2025 | რა დიპლომატიური ფანდი ჩაუტარა სტალინმა იაპონიას | რა ეწერა ბერიაზე „ცეერუს“ მოხსენებაში |
| N 4<br>27.01-2.02.2025 | როგორ გააჩაღა სტალინმა დიდი ბრიტანეთის მსოფლიო კომპრომეტაცია | როგორ გადაიბარა ლავრენტი ბერიამ ოტო სკორცენი |

| | | |
|---|---|---|
| N 5<br>3-9.02.2025 | როგორ გადაარჩინა სტალინმა ბოლშევიკური მოძრაობა კრახისგან | რატომ გაგზავნა სტალინმა კიროვი ბაქოში ბერიას დასაცავად |
| N 6<br>10-16.02.2025 | რა საიდუმლო ჩანაწერი გადაცა სტალინმა ჩერჩილს გაგრაში | როგორ გაანადგურა ბერიამ აფხაზური კლანი |
| N 7<br>17-23.02.2025 | რატომ აღადგინა სტალინმა არმიაში კომისრების ინსტიტუტი | რა საიდუმლო ობიექტი ააშენა ბერიამ კარპატების მთებში |
| N 8<br>24.02- 2.03.2025 | ვისთან ერთად განახორციელა სტალინმა ოდესური ექსპროპრიაცია | როგორ გადააქცია ბერიამ საქართველო ინდუსტრიულ ქვეყნადჰყუ8 |

„გენერალისიმუსი“ (ჩანართი გაზეთ „ასავალ-დასავალში“) 2025 წელს „გენერალისიმუსი“ 4-გვერდიანია. ჩანართის 2-3 გვერდები 2024 წლის N 43-დან ეთმობა მიხეილ კვესელავას წიგნის „ას ერგასის დღის“ ბეჭდვას, რადგანაც დასახელებული ნაშრომი საკმაოდ მოცულობითია, მისი ბეჭდვა კიდევ დიდხანს გაგრძელდება. აქვს ქვესათაური „რეპორტაჟი ნიურნბერგის პროცესიდან“. კვესელავას ნაშრომის ბეჭდვა რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ეხმიანება „ქართული ოცნების“ განაცხადს „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობისათვის“ რომ უნდა მოეწყოს „ახალი ნიურნბერგის პროცესი“. მეორე, ნაცისტური რეჟიმის გასამართლება სტალინის მთავარ გამარჯვებად მიიჩნევა და მესამე, ჩანართს სტალინზე აშკარად აკლია მასალები სტალინის შესახებ. ფაქტობრივად ყველაფერს დიტო ჩუბინიძე წერს.

„გენერალისიმუსი“, ისევე როგორც მთლიანად „ასავალ-დასავალი“ გამოკვეთილ ანტიდასავლურ ხასიათს ატარებს და არის სტატიები, რომლებიც თანამედროვე პოლიტიკურ სიტუაციას ეთმობა, რასაკვირველია პუტინის რუსეთის პოზიციიდან გამომდინარე. 2025 წლის იანვარ-თებერვლის ჩანართებში თანამედროვე პოლიტიკის მთავარი თემა რუსეთ-უკრაინის ომია. მაგალითად, „გენერალისიმუსის“ 2025 წლის N 2-ში პირველი და მე-4 გვერდი ეთმობა დიტო ჩუბინიძის სტატიას „იაროსლავ

ბრძენიდან ვოლოდიმირ სულელამდე“ 2025 წლის N 3-ში პირველი და მე-4 გვერდი უკავია ისევ დიტო ჩუბინიძის სტატიას უკრაინის თემაზე „უკრაინის ფაშისტური რესპუბლიკა“. ავტორი პარალელს ავლებს ნაცისტურ გერმანიასთან და დიდი ასოებით გამოყოფილია: „დიდი სტალინის მიერ შექმნილი უკრაინა, რომელიც ვოლოდიმირ სულელმა ფაშისტურ სახელმწიფოდ აქცია, ფაშისტურ გერმანიასავით იშლება!“ („გენერალისიმუსი“, 2025, N 3, გვ.1(15)

„გენერალისიმუსის“ 2025 წლის N 7-ში წამყვანი თემაა დიტო ჩუბინიძის სტატია „უკრაინის გაყოფა“, სადაც ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ მიღწეული იქნება შეთანხმება უკრაინის გაყოფის შესახებ. ავტორი დაასკვნის: „დიფ სთეითმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა რუსეთისათვის უკრაინა კიდევ ერთხელ დაეპირისპირებინა, მაგრამ ეს ამბავი ამჯერად საშინელი კატასტროფით მთავრდება - უკრაინა ან საერთოდ გაქრება, ან, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, გაიყოფა!“. დიტო ჩუბინიძე ამაში უკრაინას ადანაშაულებს: „უკრაინამ ყველაფერი თავის თავს დააბრალოს! როცა მეფედ მასხარა ზელენსკის აირჩევ, უარესიც დაგემართება“ („გენერალისიმუსი“, 2025, N 7, გვ.1(15). აღნიშნული ჩანართის ბოლო გვერდი კი ეთმობა იალტის კონფერენციას, სადაც ევროპის განაწილება მოხდა. „ნიშანდობლივია, რომ იალტის კონფერენციიდან 80 წლის შემდეგ კაცობრიობა კვლავ უდიდესი ინტერესით ელოდება იალტის რანგის ახალ შეთანხმებას მსოფლიოს ახალი გადანაწილების შესახებ, რომელსაც სამმა თანამედროვე ლიდერმა - აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა სი ძინპინმა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა უნდა მიაღწიოს“ („გენერალისიმუსი“, 2025, N 7, გვ.4(18).

„გენერალისიმუსის“ 2025 წლის თებერვლის ნომრები განსაკუთრებულ იმედს აშშ-ის ახალ პრეზიდენტ დონალდ ტრამპზე ამყარებს და იმედოვნებს, რომ ტრამპი და პუტინი მსოფლიოს ახალ გადანაწილებაზე შეთანხმდებიან: „ტრამპი და პუტინი ერთმანეთს აუცილებლად შეხვდებიან და როგორც პოტსდამში სტალინმა და ტრუმენმა გადაინაწილეს მსოფლიო, სწორედ ისე გაიყოფენ და გადაინაწილებენ უკრაინასაც და დანარჩენ მზისქვეშეთსაც...“ მიაღწიოს“ („გენერალისიმუსი“, 2025, N 5, გვ.1(15).

„გენერალისიმუსს“ იმედი აქვს, რომ ტრამპი დაამარცხებს „დიფ სთეითს“ და საქართველო - აშშ ურთიერთობები მოწესრიგდება. დიტო ჩუბინიძე ამასთან დაკავშირებით წერს: „ცივი და გამოუცხადებელი ომი ამერიკამ დღევანდელ საქართველოსთან იმიტომ დაიწყო, რომ 2022 წლის მარტში საქართველოს ხელისუფლება ამერიკელი ნამესტნიკების ბრძანებას არ დაემორჩილა, რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტი არ გახსნა და პუტინს სანქციები არ დაუწესა. ამის გამო მთელი ორ წელიწადნახევრის განმავლობაში ამერიკამ საქართველოში სამჯერ სცადა ხელისუფლების დამხობა, მაგრამ უშედეგოდ“ („გენერალისიმუსი“, 2025, N 2, გვ.1(15).

## 2.3. სტალინის თემა ქართულ სოციალურ ქსელებში

აღსანიშნავია, რომ ინტერნეტში სტალინის შესახებ ქართულ ენაზე საკმაოდ დიდი ინფორმაციაა. სოციალურ ქსელში შექმნილ გვერდს (იოსებ სტალინი/Joseph Stalin), რომელიც სტალინის შესახებ აქტიურად ავრცელებდა პოზიტიური შინაარსის მასალას, რამდენიმე ათეული ათასი მომხმარებელი ჰყავს (2023 წლის ივლისის შემდეგ აღნიშნულ გვერდზე აღარ შეინიშნება აქტიურობა)[16]. აღსანიშნავია ასევე, რომ არსებობს სხვა ნაკლებად პოპულარული გვერდები სოციალურ ქსელში, რომლებიც აქტიურად ავრცელებენ პოზიტიური შინაარსის ინფორმაციას სტალინზე და იმავდროულად დასავლეთის მიმართ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულებით გამოირჩევიან.

საკმაოდ აქტიურია ასევე ფეისბუქჯგუფი „დიდება დიდ სტალინს“. ჯგუფში 29 ათასზე მეტი ფეისბუქმომხმარებელია გაწევრიანებული (2025 წლის თებერვლის მდგომარეობით) და ხშირად ეცნობა საბჭოთა ბელადის შესახებ სხვადასხვა ხასიათის პოზიტიურ ინფორმაციას[17].

ტელეკომპანია „სეზონი ტვ“ ეთერში გადიოდა ბესო ჩუბინიძის გადაცემა „სტალინი“, რომელიც ამავე ტელევიზიის სოციალური ქსელის საშუალებითაც ხდებოდა ხელმწისაწვდომი 23 ათასზე მეტი გამომწერისა თუ სხვა მომხმარებლისთვის. ამჟამად ამავე ტელეკომპანიის ყოველკვირეულად გადის გადაცემა „სტალინის ეპოქა გიორგი ახლოურთან ერთად“. აღსანიშნავია, რომ ახლოურის YouTube-ის გვერდის საშუალებით (6 ათასზე მეტი გამომწერით)

---

[16] https://www.facebook.com/profile.php?id=100052958903175
[17] https://www.facebook.com/groups/981404929219166

სტალინის შესახებ პოზიტიური შინაარსის ვიდეოები რამდენიმე ათეულ ათასი ადამიანს აქვს ნანახი[18] (2025 წლის თებერვლის მდგომარეობით). მასვე ეკუთვნის Tik-Tok გვერდი, სადაც ასევე აქვეყნებს ვიდეოებს სტალინის შესახებ[19].

აღსანიშნავია ჯგუფი სოციალურ ქსელში - „წმინდა მამა ნიკოლოზის მრევლი[20]". ჯგუფს 82 ათასზე-ზე მეტი გამომწერი ჰყავს და პერიოდულად აქვეყნებს პოსტებს საბჭოთა დიქტატორის შესახებ[21]. გვერდი საკმაოდ აქტიურია და მის მიერ სტალინის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია დადებითი ხასიათისაა. 2024 წლის 21 დეკემბერს (სტალინის დაბადების დღეზე) გამოქვეყნებულ პოსტში ვკითხულობთ - ,,სტალინი იყო სუფთა ქართველი!! და ყველაფერი ქართველის ჰქონდა!!" წმინდანი ღმერთი ნარიმანი!!= მამა ნიკოლოზი!! გენიალური სოსელოს= სტალინის ლექსი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით დაწერილი!!" … "სტალინი იყო მესია, დიდი წმინდანი" ,,სტალინის ბრძანებით ითარგმნა მსოფლიოს მრავალ ენაზე ,,ვეფხისტყაოსანი," როდესაც ბელადს შალვა ნუცუბიძის მიერ რუსულად ნათარგმნი პოემა არ მოეწონა, თვითონ შეიტანა კორექტივები, კერძოდ, 1402-ე სტროფი სტალინმა გადათარგმნა".

პოსტშივე ვხვდებით სტალინის ლექსს - "დილა"[22]. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 8 მარტს მოცემული გვერდი დედა მატრონას ხსენების დღეს ულოცავს სოციალური ქსელის მომხმარებლებს და გამოქვეყნებული აქვს სტალინისა და მატრონას შეხვედრის შესახებ ინფორმაცია - ,,იმ დროს, როცა მოსკოვს გემანელების მიერ აღების საფრთხე დაემუქრა, სტალინი წმინდა დედა მატრონასთან მივიდა. ნეტარმა ბრძანა:,, ...გამარჯვება შენ დაგრჩება!! ხელისუფლებიდან მხოლოდ შენ არ გახვალ მოსკოვიდან!!"[23]

„მამა ნიკოლოზთანაა" ასევე დაკავშირებული სოციალურ ქსელში არსებული სხვა გვერდები რამდენიმე ათეული ათასი გამომწერით. მათ შორის „ნარიმანი მეფე"

---

[18] https://www.youtube.com/@G.Akhlouri/videos
[19] https://www.tiktok.com/@giorgi.akhlouri?is_from_webapp=1&sender_device=pc
[20] ნარიმან მაქარაშვილს, იგივე მამა ნიკოლოზს, რომელიც ბერად 1992 წელს აღიკვეცა, საპატრიარქომ მღვდელმსახურება აუკრძალა. მას შემდეგ ის მდუმარებაშია და საკმაოდ მრავალრიცხოვანი მრევლი ჰყავს, რომელსაც სჯერა, რომ მამა ნიკოლოზი წმინდანი და საქართველოს მხსნელია; ასევე სჯერა, რომ სტალინი წმინდანი, ხოლო ბერი ნიკოლოზი გაცოცხლებული სტალინია.
[21] https://www.facebook.com/tsmindamamanikolozismrevli.1
[22] https://www.facebook.com/share/p/1S9XMn7qg1/
[23] https://www.facebook.com/share/p/1BJti7EvUB/

(45 ათასი გამომწერით)[24]; ჯგუფი - „ქრისტე ქართველია! დიდება ქრისტე მეფე ნარიმანს!“ (22 ათასი წევრით)[25] (სოციალურ ქსელში აღნიშნული გვერდებისა თუ ჯგუფების გამომწერთა და წევრთა რაოდენობა წარმოდგენილია 2025 წლის თებერვლის მდგომარეობით).

სოციალურ ქსელში აქტიურია გვერდი „Politicano-პოლიტიკანო“, 28 ათასი გამომწერით, რომელიც გამოირჩევა არამხოლოდ დასავლეთის კრიტიკით, არამედ საბჭოთა საქართველოს წარმოგვიდგენს, როგორც ეკონომიკურად მძლავრ, განვითარებულ ქვეყანას. გვერდი სტალინის დაბადებისა თუ გარდაცვალების დღეებს სხვადასხვა შინაარსის პოსტით ეხმიანება. 2024 წლის 21 დეკემბერს (სტალინის დაბადების დღე) გვერდმა საკუთარივე, 2019 წლის იმავე დღის პოსტი გააზიარა, რომელიც გვახსენებს „რას წერდნენ მასზე გამორჩეული დასავლელი ინტელექტუალები“[26]. გარდა აღნიშნულისა, 2024 წლის 12 იანვარს გვერდმა ასევე თავისივე, 2021 წლის 20 ივნისის პოსტი გააზიარა - 2020 წლის ბლოგი სათაურით „სტალინის 12 პატრიოტული საქმე, რომელიც დავიწყებას მიეცა“ (იგივე გვერდს 2020 წელსაც აქვს გაზიარებული)[27]. გვერდი აღნიშნავდა, რომ ბოლო პერიოდში გააქტიურებული დისკუსია სტალინის გარშემო, ლიბერალების დამსახურება იყო, რომელნიც სტალინს მხოლოდ ერთ ჭრილში განიხილავენ, არადა „მისი მასშტაბის ისტორიული ფიგურის შესაფასებლად დაგვეთანხმებით, ძალიან ბევრი სხვადასხვა ცვლადის ანალიზია საჭირო“. ბლოგი მოიცავდა სტალინის პერიოდის საბჭოთა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, ავტორი კი აღნიშნავდა, რომ ბელადზე გავრცელებული ინფორმაციის ნაწილი ტყუილია, მას მხოლოდ ცუდს მიაწერენ, კარგზე კი დუმან. მნიშვნელოვანია ასევე, რომ ავტორისვე თქმით, „სტალინის დანაშაულებებზე როდესაც საუბრობენ, ამ დანაშაულების დიდ ნაწილში მას საერთოდ არ მიუძღვის ბრალი“.

ბლოგის მიზანი, როგორც განმარტებულია, არის ის, რომ გავრცელებულ დეზინფორმაციასთან საბრძოლველად, ვნახოთ „სტალინის პატრიოტული საქმეები, რომლებიც მას სხვა თვალით დაგვანახებს“. (იხ. დანართი N2). მართლაც, ბლოგში მოცემული ინფორმაციის გაცნობის შემდგომ მკითხველისათვის ბელადი უნდა

[24] https://www.facebook.com/narimanimefe
[25] https://www.facebook.com/groups/356703355617713/
[26] https://www.facebook.com/share/p/1BEHWBVhCq/
[27] https://www.facebook.com/share/p/1YCLBdCe9R/

გახდეს ქართველი პატრიოტი, რომელმაც უამრავი სიკეთე მოუტანა სამშობლოს და კიდევ ბევრს გააკეთებდა, მტრებს რომ არ შეეშალათ მისთვის ხელი.

აღნიშნულ გვერდზევე 2021 წლის 3 მარტს გამოქვეყნდა ბლოგი სათაურით „მივიწყებული ისტორია: ბრიტანელების მიერ ბათუმის ოკუპაცია 1918 წელს“[28]. ბლოგი გვაწვდიდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ 1918 წელს ბრიტანეთმა აჭარის ოკუპაცია მოახდინა და ასე გაგრძელდა 1920 წლამდე. მათ აჭარიდან დიდი რაოდენობით ოქრო, ძვირფასეულობა, ხელოვნების ნიმუშები გაიტანეს. მხოლოდ 1920 წელს ბრიტანელების გადაწყვეტილებით აჭარა საქართველოს დაუბრუნდა, თუმცა ახალი პრობლემა გაჩნდა ქემალისტური თურქეთის სახით. 1921 წელს თურქეთმა აჭარის მიერთება გამოაცხადა, ამავე წლის მარტში კი სტალინი ორჯონიკიძეს ატყობინებს, რომ „თურქებთან მიღწეული შეთანხმების შედეგად ბათუმი საქართველოს რჩება... შეეცადე, რომ ძლიერი დარტყმით თურქები ბათუმიდან გაყარო, შემდეგ კი გამოაცხადე, რომ ეს გაუგებრობით მოხდაო...“. მომდევნო წერილში (1922 წლის ნოემბერი), სტალინი ორჯონიკიძეს მიუთითებს, რომ სასწრაფოდ საჭიროა აჭარა პროთურქული პროვოკატორებისგან გაიწმინდოს, ხოლო ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები - პანისლამისტებისგან, ვინაიდან თურქეთი პლებისციტის ჩატარებას გეგმავდა „თურქული და ქართული აჭარის ერთ ავტონომიად გაერთიანებისათვის და მათ ალბათ, საფრანგეთი და ინგლისი მხარს დაუჭერს“.

საბოლოოდ ბათუმი საქართველოს დაუბრუნდა, სტალინი კი კვლავ წარმოჩინდა, როგორც ქართველი პატრიოტი, რომელიც ზრუნავდა საქართველოს ტერიტორიების შენარჩუნებისთვის. ამავდროულად დასავლეთი უფრო კონკრეტულად კი ბრიტანეთი და საფრანგეთი, სახელმწიფოებად, რომელნიც ძარცვავდნენ საქართველოს და მის ტერიტორიებს გადასცემდნენ მეზობლებს, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. (აღსანიშნავია, რომ 2025 წლის თებერვალში არცერთი ზემოთ მოყვანილი მასალა აღარ იძებნება ინტერნეტით, იმის მიუხედავად, რომ მოცემულ გვერდზე კვლავ გაზიარებულია მასალების ე.წ. ბმულები).

2021 წლის 11 მარტს აღნიშნულ ბლოგს უპასუხა გვერდმა „მითების დეტექტორი“, სადაც აღნიშნულია, რომ მოცემული მასალა მანამდეც გამოქვეყნებულა

[28] https://www.facebook.com/share/p/15h15cPK8c/

აღნიშნულ გვერდზე. თვითონ ინფორმაცია კი „მანიპულაციურია და დაუსაბუთებელ მტკიცებებს შეიცავს“. მითების დეტექტორი ცდილობს გააქარწყლოს „პოლიტიკანოს“ ბლოგი და კონკრეტულ ინფორმაციას გვაწვდის. აღსანიშნავია, რომ მითების დეტექტორი, „პოლიტიკანოს“ რუსეთთან კავშირებზე წერს. უფრო კონკრეტულად კი, გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ „პოლიტიკანო“-ს ფეისბუქ გვერდი ევგენი პრიმაკოვის სახელობის რუსულ-ქართული საზოგადოებრივ ცენტრთან დაკავშირებული მედიუმია, რომელიც თავის მხრივ (პრიმაკოვის ცენტრი) რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებით დაფუძნებული გორჩაკოვის ფონდისა და ქართული საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის მიერ არის შექმნილი.

სოციალურ ქსელში არამხოლოდ სტალინის საქებარი მასალებია მოცემული. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, რამდენიმე მედია საშუალება საკმაოდ ხშირად აქვეყნებს სტალინის შესახებ მასალებს და ძირითადად პასუხობს „მითების გამავრცელებლებს“. 2022 წლის 3 თებერვალს გვერდმა „მითების დეტექტორი“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „3 მითი სტალინის შესახებ“, სადაც სტატიის ავტორი განიხილავს 2022 წლის 18 იანვრის ტელეკომპანიას სეზონის ბესო ჩუბინიძის საავტორო გადაცემის „სტალინი“ გაჟღერებულ რამდენიმე ფაქტს, მათ შორის, სტალინის ეროვნების, სამცხე ჯავახეთიდან მოსახლეობის გასახლებისა და საქართველოში ეროვნული განძის დაბრუნების შესახებ.

ტვ სეზონზე გასული გადაცემის მიხედვით, სტალინს არასდროს უთქვამს, რომ ის რუსია, ასევე მან სამცხე-ჯავახეთიდან პროთურქულად განწყობილი თურქები, ლეკები და აზერბაიჯანელები გაასახლა და საქართველოს დაუბრუნა განძი, რომლის ნაწილი მენშევიკებმა გაანიავეს.

სტატიის ავტორი კი გადაცემაში გაჟღერებულ ამ ფაქტებს შემდეგგვარად პასუხობს (იაგორაშვილი, 2022):

„ბესო ჩუბინიძის განცხადება მანიპულაციურია და რეალობას არ შეესაბამება.

- სტალინს ეკუთვნის გამონათქვამი, რომ ის რუსია, ქართული წარმოშობით. ამასთანავე სხვადასხვა ისტორიულ მოგონებაში ვხვდებით ისეთ ფაქტებს, სადაც სტალინი თავს ან მოსკოველად ან რუსული კულტურის ადამიანად მოიხსენიებდა.

- სტალინის მიერ გადასახლებული პროთურქულად განწყობილი ადამიანების უმეტესობა ქალი ან ბავშვი იყო, კაცების დიდი ნაწილი კი საბჭოთა კავშირის მხარეს გერმანიის წინააღმდეგ იბრძოდა.
- ეროვნული განძის დაბრუნებაში დიდი წვლილი არა სტალინს, არამედ ექვთიმე თაყაიშვილს ეკუთვნის, მენშევიკების გაყიდული ნივთები კი არა ეროვნულ საგანძურს, არამედ საყოფაცხოვრებო ნივთებს წარმოადგენდა“.

იმის დასამტკიცებლად, რომ სტალინი ქართველად არ მიიჩნევდა თავს, სტატიის ავტორს რამდენიმე წყარო მოჰყავს. მოგონებები, თუ დოკუმენტური ფილმები, ისტორიკოსთა განცხადებები და სხვა. მისივე განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ დოკუმენტებში იოსებ ჯუღაშვილი თავს ქართველად აფიქსირებს, სხვადასხვა ისტორიული ჩანაწერის გათვალისწინებით, გადაჭრით შეუძლებელია იმის თქმა, რომ სტალინს არასდროს უთქვამს, რომ ის რუსია.

სამცხე-ჯავახეთიდან გადასახლებულთა შესახებ საუბრისას სტატიის ავტორი 1944 წელს სტალინის ხელმოწერილ დოკუმენტს ეყრდნობა, რომლის მიხედვითაც 86 000 ადამიანი გადაასახლეს აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებიდან. მისივე განმარტებით, გადასახლებულთა დიდი ნაწილი ქალები და ბავშვები იყვნენ, რამდენიმე ათეული ათასი მუსლიმი მესხი კი მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა მხარეს იბრძოდა. გადასახლებულთა ეროვნებას რაც შეეხება, ავტორის თქმით, ისტორიკოსთა განსხვავებული მოსაზრებების გამო, ერთიან პოზიციაზე შეჯერება შეუძლებელია. თავად გადასახლებულთა პოზიცია კი შემდეგია: „დღეს მესხთა ნაწილი თავს თურქად აიდენტიფიცირებს, ნაწილი კი ქართველად, ზოგიერთ მათგანს გამოკვეთილი ეთნიკური იდენტობა არ გააჩნია“.

საქართველოში ეროვნული განძის დაბრუნებას რაც შეეხება, სტატიის ავტორი ექვთიმე თაყაიშვილის აქტიურობაზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც განძის სამშობლოში დაბრუნებას ითხოვდა სხვადასხვა უწყებისაგან, როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე საფრანგეთში. სტატიაში მოცემულია რამდენიმე წერილი, რომელიც თაყაიშვილმა მისწერა ოფიციალურ პირებს აღნიშნული თხოვნით. საბოლოოდ კი, მსოფლიო პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა, საფრანგეთისთვის სასარგებლოდ ჩათვალა განძის დაბრუნება.

რაც შეეხება მენშევიკთა მიერ გახარჯულ ეროვნულ საგანძურს, სტატიის ავტორს კონკრეტული რიცხვები და კლასიფიკაცია მოჰყავს, რის მიხედვითაც დაჯგუფდა ქვეყნიდან გატანილი ქონება - მათი ნაწილის რეალიზება შესაძლებელი იყო, ხოლო ის, რაც წარმოადგენდა ეროვნულ საგანძურს, ავტორისვე თქმით, „ქვეყანაში უვნებლად დაბრუნდა“. გაიხარჯა მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნივთები და სახაზინო ქონება.

სტატიის ბოლოს, ავტორი მცირე განმარტებას აკეთებს ტელეკომპანია სეზონი ტვ-სა და მისი მფლობელის შესახებ. მისი თქმით, გიორგი კანდელაკი, ტელეკომპანიის მფლობელი, საზოგადოება „გორელის“ წევრი იყო, აღნიშნულმა საზოგადოებამ კი გორის საკრებულოს სტალინის ძეგლის აღდგენის ინიციატივით რამდენჯერმე მიმართა. ის ასევე არის მოძრაობა „ერთად ძლიერი საქართველოსათვის“ წევრი, რომელიც საბჭოური სენტიმენტებით და სტალინის მხარდაჭერით გამოირჩევა; თანამშრომლობს საქართველოს კომუნისტურ პარტიასთან და ითხოვს სტალინის ძეგლის დაბრუნებას. კანდელაკი ასევე ფლობს სტალინის სახელის კაფეს („ჯოზეფი“).

## 2.4. სტალინი ქუჩებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებებში

მეხსიერების პოლიტიკა ქმნის როგორც კოლექტიური წარსულისა და აწმყოს, ასევე მომავლის ხედვას. იგი შეიძლება აისახებოდეს კანონმდებლობაზე, სასკოლო სახელმძღვანელოებზე, ნაციონალურ სიმბოლოებზე, მუზეუმებზე, ძეგლებზე, მემორიალებზე და ა. შ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განზომილება, რომელშიც კონკრეტული ქვეყნების მეხსიერების პოლიტიკა ყველაზე აშკარად ვლინდება არის ქუჩების, ასევე მოედნების, სოფლების და ა.შ. სახელები. ქუჩებისთვის სახელების დარქმევა და გადარქმევა მემორიალური მიზნით არის ურბანული გარემოს ვირტუალურ პოლიტიკურ სივრცედ გარდაქმნის ერთგვარი ინსტრუმენტი. ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ ხდება ხელისუფლების მიერ საჯარო სივრცეების ათვისება კოლექტიური წარსულისა და მომავლის ხედვის შექმნის მიზნით, რომელსაც გააჩნია კონკრეტული პოლიტიკური დღის წესრიგი (ვაჭარაძე, კლდიაშვილი, 2021).

ზოგიერთი ავტორი ქუჩების სახელებს სოციალურ-პოლიტიკური წესრიგის ლეგიტიმაციის მძლავრ ინსტრუმენტად განიხილავს; მიუთითებენ მათ როლზე

ისტორიის ოფიციალური ვერსიის ბუნებრივ ჩამოყალიბებისას და აღნიშნავენ მათ უნარს გაავრცელონ წარსულის ეროვნული ნარატივი (Azaryahu, 1996).

ქუჩებისთვის „ისტორიული“ სახელების მინიჭება არის პოლიტიკური აქტი, რომლის მიზანიცაა საზოგადოების ყოველდღიურობაში გადაიტანოს ისტორიის ის ვერსია, რომელზეც არის დაშენებული ამ საზოგადოების ეროვნული ნარატივი, ან მოჰყვეს ისტორიის იმ ვერსიას, რომელიც მისაღებია მმართველი პოლიტიკური გუნდისთვის. შესაბამისად, ქუჩების სახელწოდებები მეტყველებს იმ ადამიანების ან საზოგადოების ღირებულებებზე, რომელმაც კონკრეტული სახელები აარჩია

საქართველოს პარლამენტის მიერ 2011 წელს მიღებული კანონი „თავისუფლების ქარტია“, ერთ-ერთ მიზნად საბჭოთა ტოტალიტარული სიმბოლიკის, მათ შორის, სწორედ ქუჩების, მოედნების, სოფლების და დაბების კომუნისტური სახელწოდებების აღმოფხვრას ისახავს. საქართველოს მთავრობის 2015 წლის დადგენილება „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ კი თვითმმართველ ერთეულებს ვალდებულებას უწესებს შეცვალონ გეოგრაფიული ობიექტების საბჭოთა ბოლშევიკურ რეჟიმთან დაკავშირებული სახელები. თუმცა, აღნიშნული აქტებით გათვალისწინებული პირობები, რიგ შემთხვევაში, დღემდე არ შესრულებულა.

საქართველოში 40-ზე მეტ დასახლებულ პუნქტში კვლავაც ვხვდებით საბჭოთა დასახელებებს. საქართველოში ტოპონიმების ცვლილებას ადგილი საბჭოთა ეპოქაშიც მრავლად ჰქონდა. ქალაქი ცხინვალს 1934 წლიდან სტალინირი ეწოდებოდა და მას 1961 წელს, ხრუშჩოვის ეპოქის დესტალინიზაციის ეგიდით შეეცვალა სახელი. საინტერესოა, რომ 2020 წელს დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის „პრეზიდენტის“, ანატოლი ბიბილოვის ბრძანებით, „დიდი სამამულო ომის“ დასრულების 75 წლისთავთან დაკავშირებით, იმ წლის 9 მაისსა (გამარჯვების დღე) და 22 ივნისს (დიდი სამამულო ომის დაწყების თარიღი) ცხინვალს მეორე, სიმბოლურ სახელწოდებად კვლავ სტალინირი ეწოდა (ვაჭარაძე & კლდიაშვილი, 2021).

ცხრილი #2

საბჭოთა მემკვიდრეობა ქუჩების და დასახლებული პუნქტების სახელწოდებებში

| | |
|---|---|
| კონსტანტინე ლესელიძე[29] | 25 |
| სტალინი | 7 |
| სერგეი კიროვი | 4 |
| ანასტას მიქოიანი | 2 |
| ფელიქს ძერჟინსკი | 2 |
| სტეფანე შაუმიანი | 2 |
| მამია ორახელაშვილი | 2 |
| მიხეილ კალინინი | 1 |
| ანდრეი ჟდანოვი | 1 |
| ლავრენტი ბერია | 1 |
| ფილიპე მახარაძე | 1 |
| წითელარმიელები | 1 |

აღსანიშნავია, რომ შეცვლილი მონაცემების ასახვა Google-ის სისტემაში დაგვიანებით ხდება. მაგალითად, დუშეთში ცენტრალურ ქუჩას ეწოდება დავით აღმაშენებლის სახელი, თუმცა Google-ში დღემდე სტალინის სახელითაა ასახული (ვაჭარაძე & კლდიაშვილი, 2021).

გორში სტალინის ქუჩისთვის სახელის გადარქმევის შესახებ დისკუსია პერიოდულად აქტიურდება. ამ მიზეზით საინიციატივო ჯგუფმა "მარო" 2018 წელს შესაბამისი პეტიციაც შეადგინა და გორის მერიის ვებსაიტზე ატვირთა. როგორც ჯგუფის ხელმძღვანელი ნინო დალაქიშვილი განმარტავდა, ის ფაქტი, რომ ქალაქ გორში ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას კვლავ სტალინის სახელი ჰქვია, საქართველოს კანონმდებლობას ეწინააღმდეგება - "თავისუფლების ქარტიის შესახებ" (ზიძინაშვილი, 2018). აღსანიშნავია, რომ პეტიციას შედეგი არ მოჰყოლია - ქუჩა კვლავ სტალინის სახელს ატარებს.

[29] აღსანიშნავია, რომ ძველ თბილისში სახელის გადარქმევის შემდეგ, სასამართლოს გადაწყვეტილებით ლესელიძის სახელი მიენიჭა ყოფილ ტიულენევის ქუჩას, რომელიც გლდანში მდებარეობს (ვაჭარაძე & კლდიაშვილი, 2021).

## 2.5. სტალინის სახელით მოქმედი პოლიტიკური ჯგუფები

საქართველოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებმა აჩვენა, რომ სტალინის თემა კვლავაც აქტუალური იყო საარჩევნო თვალსაზრისითაც. ამ არჩევნებში მონაწილეობას იღებდა ორი პოლიტიკური პარტია, რომელიც სტალინის სახელს ემყარებოდნენ - „საქართველოს კომუნისტური პარტია - სტალინელები" და „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია". თუმცა ორივე პარტიამ, ჯამში, ამომრჩეველთა ხმების 1% ვერ მოიპოვა.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური სუბიექტი (მიუხედავად მათი სიმრავლისა), რომლის სახელშიც „სტალინი" ან „კომუნისტური" იქნებოდა, აღარ მონაწილეობდა. ასეთი პარტია არც იმ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის იყო, რომელთაც ცესკო-ს მიერ უარი ეთქვათ დარეგისტრირებაზე. ეს ფაქტი ნიშანდობლივია და გარკვეულწილად მეტყველებს იმაზე, რომ პოლიტიკური სუბიექტის სახელში სიტყვები „კომუნისტური" და „სტალინი" აღარ მიიჩნევა ბრენდებად, რომელიც ამომრჩევლებს მიიზიდავს.

„სტალინი" ან „კომუნისტური" არ ფიგურირებს 2024 წლის არჩევნებზე დარეგისტრირებულ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის, თუმცა განსხვავებით 2020 წლისგან, ამჯერად საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უარი უთხრა რეგისტრაციაზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია (შემოკლებული დასახელება: სეკპ)" – „საქართველოს ერთიან კომუნისტურ პარტიას"[30].

სტალინური პოლიტიკური ჯგუფები საქართველოს პოლიტიკური სცენიდან არ გამქრალან. 2021 წლის მაისში გაზეთმა „სტალინელი" გამოაქვეყნა „საქართველოს მშრომელთა პოლიტიკური ორგანიზაციის (პარტიის) პროგრამის პროექტი". მისი ავტორი თ. კანთელაშვილი აღნიშნავდა, რომ პარტიის თეორიული საფუძველი სტალინიზმი იქნება. „ჩვენ ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ სტალინიზმი არის მარქსიზმ-ლენინიზმის ქებათა ქება, რაც ნიშნავს იმას, რომ მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი განუყოფელია" („სტალინელი", N 11 (53), გვ.3)

[30] როგორც ცესკო აღნიშნავს, პარტიას 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე პოლიტიკურ სუბიექტად რეგისტრაციაზე უარი ეთქვა საარჩევნო კოდექსის 113-ე მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს, განცხადებისა და თანდართული საბუთების, მხარდამჭერთა სიის კანონით დადგენილ ვადაში და ამ კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად წარმოდგენას (საქართველოს პარლამენტი, საქართველოს საარჩევო კოდექსი, 2011).

ქართველ სტალინისტებს შორის დიდი იდეოლოგიური დაპირისპირებაც გაიშალა. ამის მიზეზია ის, რომ გრიგოლ ონიანი სტალინის განდიდებისკენ მიმართული ძალისხმევის დროს ლენინის კრიტიკაზე გადავიდა. ეს კი სასტიკად დაგმო ჯგუფმა, რომელიც თავს უწოდებს „სტალინური სოციალიზმის მომხრე გორელ სტალინელებს“. გორელი სტალინელები იცავენ „პროლეტარიატის ბელადს ამხანაგ ლენინს“ და აღნიშნავენ, რომ „ლენინისა და ლენინიზმის წინააღმდეგ ბრძოლა არის სტალინიზმის წინააღმდეგ ბრძოლაც“ („სტალინელი“, N 11 (53), გვ.3.)

2025 წლის იანვრის მდგომარეობით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ გვერდზე ფიქსირდება „საქართველოს კომუნისტური პარტია-სტალინელები“ (ივანე წიკლაური) და „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია“ (ცესკო-საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია). თითოეულ მათგანზე მითითებულია პარტიული სია და წესდება. აღსანიშნავია, რომ „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია“ პარტიული სიით წარმოდგენილია 118 (2023 წელს პარტიის წევრთა რიცხვი შეადგენდა 117-ს). ადამიანი, ხოლო „საქართველოს კომუნისტური პარტია-სტალინელები“ (ივანე წიკლაური) 132 ადამიანი (2023 წელს პარტიის წევრთა რიცხვი შეადგენდა 122-ს).

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ახორციელებს პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგს. სწორედ ამიტომ კომუნისტური პარტიის შემოწირულობების შესახებ გარკვეული ინფორმაცია ხელმისაწვდომია აღნიშნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე. აღსანიშნავია, რომ არანაირი ინფორმაცია არ იძებნება ,,საქართველოს კომუნისტური პარტია-სტალინელები“ (ივანე წიკლაური) ფინანსებთან დაკავშირებით. რაც შეეხება „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიას“, შეწირული თანხები საკმაოდ მცირეა; ასევე მონაცემები მოცემულია 2011 წლიდან და მოიცავს 2024 წელსაც, თუმცა გარკვეულ წლებში, როგორც მოცემული დოკუმენტებიდან ირკვევა, პარტიას საერთოდ არ მიუღია არანაირი ფინანსური დახმარება, კერძოდ, 2020 წლიდან პარტიისთვის შემოწირული თანხები აღარ ფიქსირდება. ჯამურად პარტიას მიღებული აქვს 3 679 ლარი (2011-2024 წ.წ.) წლების

მიხედვით აღნიშნული პარტიისათვის შეწირეული თანხები და შემწირველთა რაოდენობა, შეგიძლიათ იხილოთ ცხრილი #3[31] (ანტიკორუფციული ბიურო, 2025).

ცხრილი #3

„საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიისათვის" შეწირული თანხის რაოდენობა წლების მიხედვით

| წელი | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შემოწირულობის რაოდენობა | 2 | 0 | 0 | 5 | 0 | 6 | 66 | 57 | 25 |
| თანხა (ლარი) | 110 | 0 | 0 | 95 | 0 | 194 | 1 441 | 1 176 | 678 |

საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში პრო-რუსული ჯგუფების გავლენა მცირეა. მიუხედავად იმისა, რომ ღიად პრორუსული პარტია „პატრიოტთა ალიანსი" 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა და ბუნებრივი ბარიერის პირობებში პარლამენტშიც მოხვდა, მათი მხარდამჭერთა რაოდენობა დიდი არ არის (3.14% - 60 480 ხმა[32]). მათი წარმომადგენლები პარლამენტში შევიდნენ და ახალი პარტია „ევროპელი სოციალისტები" შექმნეს. გამოკვეთილად პრორუსული და ანტიდასავლური პოზიცია აქვს გამოხატული კიდევ ერთ ჯგუფს - „კონსერვატიული მოძრაობა - ალტ ინფო". აღნიშნული ჯგუფი პარტიად დარეგისტრირდა და 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებოდა, თუმცა 2024 წლის 8 აპრილს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მისი რეგისტრაცია გააუქმა დოკუმენტების არასრულყოფილად წარდგენის გამო[33]. როგორც შემდეგ „ალტინფოს" წარმომადგენლებმა განაცხადეს, ისინი არჩევნებში მონაწილეობას „პატრიოტთა ალიანსთან" გაერთიანებით მიიღებდნენ. საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები 26 ოქტომბერს ჩატარდა. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა" 50 599 ხმა

---

[31] ანტიკორუფციული ბიურო. (2025). *პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგი* https://monitoring.acb.gov.ge/ka/donations?p%5B%5D=469&af=&at=&from=&to=&l=0&n=&i=

[32] ცესკომ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები შეაჯამა https://civil.ge/ka/archives/385518

[33] „ალტ ინფოს" პარტია გაუქმებულია https://www.radiotavisupleba.ge/a/32896009.html

მიიღო (2.44%), რაც არასაკმარისი აღმოჩნდა სადეპუტატო მანდატის მოსაპოვებლად[34].

როგორც საკუთარ თავს უწოდებენ ქართველი „ნაციონალისტები“, კონსერვატორები, „პატრიოტთა ალიანსი“, ალტ-ინფო მეტადაა მიდრეკილი სტალინის, როგორც პოზიტიური ლიდერის მიმართ - თბილად არის განწყობილი სტალინური მემკვიდრეობის და შესაბამისად დღევანდელი რუსული სივრცის მიმართაც.

რაც შეეხება საქართველოს მმართველი პარტიას, „ქართული ოცნება“ არ გამოხატავს პოზიციას სტალინთან და რუსეთიდან მომდინარე სტალინთან დაკავშირებული პოლიტიკური მითების შესახებ.

ისტორიკოსის, ოთარ ჯანელიძის შეფასებით, „სტალინიზმი“ ჯერაც არსებობს. აღნიშნული სტალინის სიკვდილითა და პიროვნების კულტის დაგმობით არ შეწყვეტილა. მას შემდეგშიც ჰყავდა და დღესაც ჰყავს პოლიტიკური თუ იდეური მიმდევრები. საზოგადოების გარკვეულ ნაწილს შესაძლებელია, მართლაც სჯეროდეს სტალინის შეხედულებების, მოსწონდეს საბჭოური სოციალიზმი, მისტიროდეს კომუნისტურ წყობას და ა. შ. სხვები – უფრო პოლიტიკურ პროცესში ჩართული ჯგუფები (ჯანელიძის შეფასებით  - „ვერ დავარქმევდი პოლიტიკოსებს“), ცდილობდნენ ასეთი განწყობის ადამიანების მობილიზებას. სწორედ ამ მიზნით იქმნებოდა სახელწოდებაში სიტყვა „სტალინის“ შემცველი პოლიტიკური ორგანიზაციები, მაგრამ განვლილ არაერთ არჩევნებში განცდილმა ფიასკომ, ისინი დაარწმუნა განზრახვის უპერსპექტივობაში. ჯანელიძე სწორედ ამით ხსნის ფაქტს, რომ ასეთი „პარტიები“ დღეს აღარ ჩანან საარჩევნო სუბიექტებს შორის. (პირისპირი ინტერვიუ. 04.01.2023)

ალექსანდრე დაუშვილის აზრით, „საქართველოში ერთიანი კომუნისტური სულისკვეთება დაიკარგა, 400 000 კომუნისტი და მილიონამდე კომკავშირელი იყო 1980-იანი წლების ბოლოს“. ის ყურადღებას ამახვილებს არაგულწრფელობაზე, რომლითაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში გამოირჩეოდა საქართველოს მოსახლეობა - „ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ ორგანიზაციაში, გვერქვას კონკრეტული სახელი და მისი არაფერი გვჯერა, არ გვწამს და არც ერთგულები ვართ;

---

[34] საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. (2024). საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი.

შეგვიძლია მზე ჯერ ჩრდილოეთიდან ამოვიყვანოთ და ახლა ამოგვყავს დასავლეთიდან“ (პირისპირი ინტერვიუ, 20.01.2023).

ისტორიკოს ვახტანგ გურულის აზრით, „სტალინი არის საფრთხობელა ამერიკისა და ევროპისთვის. ის აღარ სჭირდება არავის. მისი აზრით, სტალინი ეპოქასთან ერთად წასული ადამიანია. პოლიტიკაში სიახლის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას, საბჭოთა ზელადი კი აღარაა მისი აზრით მიმზიდველი (პირისპირი ინტერვიუ, 26.12.2022).

ისტორიკოსი შოთა ვადაჭკორია თანამედროვე საქართველოში არსებული „საქართველოს კომუნისტური პარტია-სტალინელებს“ (ივანე წიკლაური) და „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიას“ კონკურენტულ და ანგარიშგასაწევ ძალად არ თვლის. (პირისპირი ინტერვიუ, 17.01.2023).

ირაკლი ჩხაიძე მიიჩნევს, რომ 1990-იან წლებში ქართულ პოლიტიკაში, სახელისუფლებო ჯგუფში სტალინური მიმართულებები ძლიერი იყო. იმ პერიოდისათვის ცნობილი პოლიტიკური ფიგურები, გოგი თოფაძე, პანტელეიმონ გიორგაძე გამოირჩეოდნენ სტალინის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებებით, თუმცა ღიად სტალინური ფიგურა არ ყოფილა თავად  ედუარდ შევარდნაძე. აქვე აღსანიშნავია, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ელექტორატში ომის ვეტერანთა საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა.

ი. ჩხაიძის შეფასებით სტალინური მეხსიერების აქტიურობა საქართველოში საგარეო მიმართულებით ნიშნავს პრორუსულ განწყობებს. საბჭოთა ზელადის მიმართ პოზიტიური განწყობები ანტიდასავლური და პრორუსული ნარატივების მთავარი მკვებავია. სტალინური მემკვიდრეობა ჩვენი საგარეო პოლიტიკის ვექტორს ხრის ჩრდილოეთით. ჩვენ რომ ეს მემკვიდრეობა არ გვქონდეს, უფრო თავისუფლად წავიდოდით დასავლეთისკენ (პირისპირი ინტერვიუ, 25.01.2023).

# თავი III. სტალინის შესახებ მითების ძირითადი ტიპები

## 3.1.სტალინი - დიდი პოლიტიკოსი

სტალინზე გავრცელებული მითების დიდი ნაწილი ეძღვნება მისი როგორც დიდი პოლიტიკოსის დახასიათებას. ამგვარი მითების მთავარი დასაყრდენი რუსეთში გამოქვეყნებული „სტალინური“ ლიტერატურაა, რომელიც საქართველოში წლების მანძილზე შემოდის და ქართულადაც ითარგმნება. მაგალითად 2021 წლის 9 მაისთან დაკავშირებით გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ თარგმნა და გამოაქვეყნა „ლიტერატურნაია გაზეტა“-ში გამოქვეყნებული სტატია „სასწაული ძლევისა“, რომელშიც ავტორი საუბრობდა სტალინის როლზე მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის მიერ მოპოვებულ გამარჯვებაში.

გარდა ნათარგმნი ლიტერატურისა, არც ქართველი ავტორების მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში იგრძნობა სტალინის განდიდების ნაკლებობა. მაგალითად, საზოგადოება „სტალინის“ ხელმძღვანელის გრიგოლ ონიანის მიერ გამოცემულია რვა ტომი სახელწოდებით „სტალინი: წაკითხული, განცდილი და გაგონილი“. მისივე თქმით, ამ პუბლიკაციების მიზანია თავი მოუყაროს ფაქტობრივ მასალას „კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ“ (ონიანი, 2016. ტ. I.; ონიანი, 2016. ტ. II.; ონიანი, 2017. ტ. III.; ონიანი, 2018. ტ. IV.; ონიანი, 2019. ტ. V.; ონიანი, 2020. ტ. VI.; ონიანი, 2021. ტ. VII.; ონიანი, 2021. ტ. VIII).

სტალინის განმადიდებლები ფალსიფიკაციად აცხადებენ პუბლიკაციებს, სადაც სტალინის კრიტიკაა მოცემული. მაგალითად, ლევან დოლიძე „გენერალისიმუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავს: „სტალინზე დაწერილი წიგნების 99 პროცენტი კომპილაცია და სიცრუეა! ამას ჩვენ ვერ ავცდებით, რადგან მას შემდეგ, რაც ნიკითა ხრუშჩოვმა მოახერხა და ჯერ ბელადი და მერე ლავრენტი ბერია დაამხო, სტალინის შესახებ სიმართლე იშვიათად ვინმემ დაწეროს!“ („გენერალისიმუსი“, 2025 წლის 10 თებერვალი, #6 (302), გვ. 15. - ჩანართი გაზ. „ასავალ-დასავალში“).

სტალინის როგორც უდიდესი პოლიტიკოსის თაობაზე დაწერილი ნაშრომების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ასევე გრიგოლ ონიანის პუბლიკაცია „სტალინი

- კაცობრიობის ამოუხსნელი ფენომენი“, რომელშიც მთავარი თემა სტალინის მიერ „რუსების მიერ წარსულში დაკარგული მიწების შეგროვებაა“. გასაგებია, რომ ამისათვის სტალინს აფასებენ რუსეთის იმპერიული იდეით მოქმედი ე. წ. „ველიკო-დერჟავნიკები“, მაგრამ ავტორის აზრით, ამით ქართველებმაც უნდა იამაყონ. ავტორი აღნიშნავს: „ქართველო, დიდი სტალინი შენი სისხლი და ხორცია, შენი მიწის შვილია, შენს ენაზე საუბრობდა, შენს შოთას და ილიას ეთაყვანებოდა, შენი დავით აღმაშენებლით ამაყობდა, შენი ტრადიციებით ცხოვრობდა, სტუმართმოყვარეობდა და შენი მრავალხმიანი სიმღერებით ხიბლავდა მსმენელს. ის ღმერთკაცი იყო, მაგრამ ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებით ცხოვრობდა“ (ონიანი, 2020).

იმავე ხასიათისაა „ასავალ-დასავალში“ ლევან დოლიძის ინტერვიუ 2020 წლის ბოლოს სტალინის დაბადების დღესთან დაკავშირებით „სტალინი 141 წლისაა!“. მისი განცხადებით, „სტალინი თავისი პლანეტარული აზროვნებითა და მოღვაწეობით კიდევ მრავალი ასეული წლის განმავლობაში იქნება კაცობრიობისათვის თანამედროვეც და გზამკვლევიც“ (დოლიძე, 2020).

სტალინის ქების მთავარი თემა მეორე მსოფლიო ომში მისი დამსახურებათა განდიდებაა. მაგალითად დოლიძე აცხადებს: „ჩემთვის უკვე აშკარაა, რომ სტალინს ბევრად დიდი მსხვერპლის ფასად ჰიტლერის შეჩერება და დამარცხება ადრეც შეეძლო, მაგრამ ეს იქნებოდა „პიროსის გამარჯვება“ და ამის შემდეგ ზელადი ამერიკელებსა და ინგლისელებს ვერავითარ კონკურენციას ვერ გაუწევდა“, ამიტომ სტალინმა მსხვერპლი „შეამცირა“ და „სტალინგრადამდე და კავკასიამდე მოუშვა მტერი“ (დოლიძე, 2020).

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ პუბლიკაციაში „დიდი სამამულო ომის“ დაწყებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებით აღნიშნავს სტალინური პოლიტიკის სისწორეს მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ასეთ მოსაზრებას იზიარებს რუსეთის დღევანდელი ხელისუფლებაც - „რუსეთის ხელმძღვანელობის ოფიციალური თვალსაზრისი ბოლო 20 წლის განმავლობაში შეიცვალა და არსობრივად დაუბრუნდა საბჭოთა ვერსიას - სტალინის პერიოდის საბჭოთა კავშირის პოლიტიკა 1939 წლის აგვისტოდან 1941 წლის ივნისის ჩათვლით მართებული იყო“ („საქართველო და მსოფლიო“, N 22(587), 2021 წ.).

2021 წლის 27 დეკემბერს „მითების დეტექტორმა“ სტატია გამოაქვეყნა სახელწოდებით „2021 წლის ტოპ 10 ისტორიული მითი“ (მითების დეტექტორი, 2021). მოცემული ათი მითიდან კი 2 სტალინს უკავშირდება. აღსანიშნავია რომ ორივე შემთხვევაში, მოცემული ვებ-გვერდი მკითხველს სთავაზობს უფრო ვრცელ სტატიებს გავცელებული მითების გასაქარწყლებლად. აღნიშნულ სტატიაში კი მოკლედ პასუხობს მისი თვალსაზრისით, 2021 წლის ყველაზე გავრცელებულ 10 ისტორიულ მითს. აღსანიშნავია, რომ „მითების დეტექტორის“ მიერ გამოქვეყნებული 2 მითი სტალინის შესახებ საბჭოთა ბელადის, როგორც „დიდი პოლიტიკოსის“ იმიჯის შექნისაკენაა მიმართული.

**#2 ჰიტლერი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში საკუთარ დღიურში სტალინს აქებდა**

როგორც სტატიიდან ვიგებთ, ფეისბუქის ერთ-ერთმა მომხმარებელმა მსგავსი შინაარსით გამოაქვეყნა პოსტი, სადაც ამტკიცებდა, რომ ადოლფ ჰიტლერი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში საკუთარ დღიურში სტალინის უპირატესობებზე წერდა. პოსტი მკითხველს ასევე აწვდიდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სტალინის ძეგლი ევროპისა და ამერიკის მრავალ ქალაქში დგას. აღნიშნულ ინფორმაციას სტატიის ავტორი პასუხობს: სტატიაში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჰიტლერის დღიური ყალბია. ის 1980-იან წლებში გამოქვეყნდა, თუმცა მოგვიანებით დადასტურდა მისი არაავთენტურობა; ძეგლებს რაც შეეხება, როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, ფეისბუქ-პოსტში მოცემული ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე აიღეს, ნაწილს კი სატირული შინაარსი აქვს.

**#3 ენტონი იდენი სტალინის სიკვდილის გამო გადადგა**

როგორც „მითების დეტექტორის“ სტატიიდან ვიგებთ, ერთ-ერთ ფეისბუქჯგუფში გამოქვეყნდა ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ მინისტრის, ენტონი იდენის სურათი ციტატით, რომელიც თითქოს მას ეკუთვნოდა. ციტატის მიხედვით, სტალინის სიკვდილის შემდგომ პოლიტიკა მისთვის საინტერესო აღარ იყო და ამიტომაც გადადგა დაკავებული თანამდებობიდან. როგორც სტატიაში აღნიშნულ ინფორმაციას პასუხობენ, არ იძებნება ღია წყარო, სადაც იდენი მსგავს ფრაზას ამბობს; ამავდროულად, სტატიის ავტორი მკითხველს აწვდის ინფორმაციას იმის

შესახებ, რომ იდენის გადადგომის ნამდვილი მიზეზი ჯანმრთელობის მდგომარეობა და სუეცის კრიზისის დროს მისი წარუმატებლობა გახდა.

## 3.2.სტალინი - საქართველოზე მზრუნველი

სტალინის მაქებარ ქართულ ლიტერატურაში, გარდა მითებისა თემაზე „სტალინი - დიდი პოლიტიკოსი", რაც რუსულ-იმპერიული აზროვნებისთვის უმთავრესია, ფართოდ არის გავრცელებული მითები სტალინზე, როგორც საქართველოზე მზრუნველ ადამიანზე.

სტალინის როგორც საქართველოს პატრიოტის იმიჯისათვის ყველაზე დამაზიანებელია წითელი არმიის შემოჭრა საქართველოში 1921 წელს და საქართველოს გასაბჭოება. დღეს დოკუმენტურად დადასტურებულია, თუ როგორ მონდომებით ცდილობდა სტალინი მიეღწია ლენინისაგან თანხმობას წითელი არმიის საქართველოში შესაჭრელად.

თანამედროვე სტალინელებს ამ ბრალდების გასაქარწყლებლად ახალი მითი აქვთ შექმნილი იმის თაობაზე, რომ „წითელი არმია საქართველოში ლენინმა შემოიყვანა და ამაში სტალინს ბრალი არ მიუძღვის".

აღნიშნული სიმართლეს არ შეესაბამება და საქართველოს გასაბჭოება სტალინის არამხოლოდ პოლიტიკური, არამედ პირადი ინტერესის საგანს წარმოადგენდა, ცნობილია იმ პერიოდის ოფიციალური დეპეშები, რაც ოკუპაციაში სტალინის პირდაპირ მონაწილეობას ასაბუთებს. სტალინის შესახებ მითების მამხილებელ ქართულ ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა, რომ რუსეთში თავის დასამკვიდრებლად, თავისი არარუსობის გამო, სტალინს სჭირდებოდა „ჭარბი რუსული პატრიოტიზმის" დემონსტრირება. შედეგად „ის ჩამოყალიბდა რუს ნაციონალისტად, მეტიც - შოვინისტად" (კუპატაძე & ცუცქირიძე, 2017, გვ. 78).

თუმცა, სტალინელების ნაწილი, მაგალითად გრიგოლ ონიანი, წმინდა საბჭოურ პოზიციაზე დგას და ამტკიცებს, რომ 1918-1921 წლებში საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო არ ყოფილა და შესაბამისად, საქართველოში სწორედ წითელი არმიის შემოსვლამ მოუტანა ბედნიერება ქართველ ხალხს.

კიდევ ერთი მითი სტალინის მიერ საქართველოზე ზრუნვა რომ უნდა დაადასტუროს, ეხება სტალინის ზრუნვას საქართველოს ტერიტორიულ გაფართოებაზე. ეს მითი ეყრდნობა სტალინის მიერ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

თურქეთისათვის წაყენებულ ტერიტორიულ პრეტენზიებს ისტორიული ქართული და სომხური მიწების დაბრუნების თაობაზე, თუმცა აღნიშნული შავი ზღვის სრუტეების საკითხთან ერთად განიხილებოდა დიდი სამეულის კონფერენციაზე და არა დამოუკიდებლად. მონაწილეთათვის ცხადი იყო, რომ საქმე შავი ზღვის კონტროლს ეხებოდა და არა უბრალოდ საქართველოსთვის ისტორიული მიწების დაბრუნებას. საბოლოოდ, სტალინმა ვერ გაბედა თურქეთის წინააღმდეგ ომის დაწყება, ხრუშჩოვმა კი უარი თქვა თურქეთისთვის წაყენებულ ტერიტორიულ პრეტენზიებზე.

სტალინელები დიდ ყურადღებას უთმობენ სტალინის მმართველობის პერიოდში საქართველოს „ეკონომიკურ აყვავებას“. გრიგოლ ონიანმა 2021 წლის მაისიდან სტატიების მთელი ციკლი გამოაქვეყნა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ სტალინის მმართველობის პერიოდში საქართველოს ეკონომიკური აყვავების თაობაზე და ცდილობს აჩვენოს, თუ რა წარმატებები მოიპოვა საქართველომ „სოციალისტური აღმშენებლობის“ პერიოდში.

მითების კიდევ ერთი დიდი ჯგუფი შეიძლება მოვაქციოთ ერთი ქუდის ქვეშ - „სტალინი კარგი ქართველი იყო - უყვარდა ქართული კულტურა და ტრადიციები“ . ასეთი მითები შენდება სტალინის თანამედროვე ქართველი პარტიული ფუნქციონერების (მაგალითად კანდიდ ჩარკვიანის) და კულტურის მოღვაწეების მოგონებათა საფუძველზე. ეს მოგონებები თავისთავად საინტერესოა, მაგრამ სტალინის ამგვარი მითოლოგია განზე ტოვებს ქართული კულტურისა და ხელოვნების მრავალ თვალსაჩინო მოღვაწეს, რომლებიც რეპრესირებული იყვნენ სწორედ სტალინის მმართველობის პერიოდში.

სტალინის „კარგი ქართველობის“ დასამტკიცებლად ხშირად იყენებენ ხოლმე ილია ჭავჭავაძის სახელს. 2021 წლის 17 ნოემბერს ფეისბუქგვერდმა იოსებ სტალინი/Joseph Stalin გამოაქვეყნა ვრცელი პოსტი იმის შესახებ, თუ როგორ „იხსნა სტალინმა ილია ჭავჭავაძის საფლავი ხელყოფისაგან (იოსებ სტალინი/Joseph Stalin, 2021). როგორც პოსტშია აღნიშნული, იმდროინდელმა პარტიულმა ხელმძღვანელმა და ილიას მკვლელობის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ფილიპე მახარაძემ, ქართველი ხალხის ცნობიერებიდან ილიას სრულიად წაშლა მოისურვა და ამის მიღწევას მისი მთაწმინდიდან გადასვენებით აპირებდა. თუმცა ამის შესახებ სტალინმა შეიტყო და

რადიკალური ზომები მიიღო. უფრო ვრცლად აღნიშნული პოსტი მოცემულია ნაშრომის დანართი N3.

ექსპერტის ირაკლი ჩხაიძის აზრით, სტალინისადმი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში პოზიტიური დამოკიდებულების შენარჩუნებას ხელს უწყობს ე. წ. „მცირე ერის კომპლექსი“ - ქართული ნაციონალიზმი გამოვლინდა, განსხეულდა სტალინის ფიგურაში. პარადოქსულია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვაში მონაწილე უმთავრესი ფიგურა, გახდა ამ ნაციონალიზმის მთავარი ობიექტი. ეს ყველაფერი დაადასტურა 1956 წლის 9 მარტმა - ახალგაზრდობა გამოვიდა და მოითხოვა, სტალინს თავის ძველი დიდება დაბრუნებოდა და ხრუშჩოვს მოეხადა ბოდიში იმისთვის, რაც გააკეთა. საბჭოთა წნეხის პირობებში, ქუჩაში შეიკრიბა რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი, იმიტომ რომ გააკრიტიკეს მათთვის ღმერთის რანგში აყვანილი პიროვნება. დღესაც არიან ადამიანები, რომელთათვისაც სტალინი კვლავ არის ეროვნული სიამაყის გამოვლინება.

საბჭოთა კავშირი იყო მითოლოგიური სახელმწიფო, ქმნიდა მითებს და ამ მითებში აცხოვრებდა საზოგადოებას. აღნიშნული მითების მთავარი წყარო კი იყო სტალინის ფიგურა. ტოტალური პროპაგანდა საბჭოთა პერიოდში, ათწლეულების მანძილზე მუშაობდა სრულად იმაზე, რომ სტალინი გაეღმერთებინათ.

პოსტსაბჭოთა ქართული ნაციონალიზმის საფუძვლები - წარსულის იდეალიზაცია, მითოლოგიზაცია, განსაკუთრებულობის შეგრძნება - საბჭოთა პერიოდში შექმნილი ნარატივი - დღესაც აქტუალურია. სტალინი კი ამ მითოლოგიური სამყაროს ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა იყო (პირისპირი ინტერვიუ, 25.01.2023).

# თავი IV. საკითხები, რის გამოც სტალინის თემა აქტიურდება ქართულ პოლიტიკაში

## 4.1.სტალინის ძეგლების თავსატეხი

საქართველოში 2008 წლის ომის მერე გააქტიურდა სტალინის ძეგლების წინააღმდეგ ბრძოლა[35]. 2010 წლის 25 ივნისს დილის სამ საათზე გორში სტალინის ძეგლი აიღეს, რომელიც გაურკვეველი მიმართულებით წაიღეს და შემდეგ სატანკო ანგარში დადებული “აღმოაჩინეს”. სტალინის ძეგლი 1952 წელს, საბჭოთა ბელადის სიცოცხლეშივე აღიმართა.

მაშინდელმა კულტურის მინისტრმა, ნიკა რურუამ საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სტალინის ძეგლი გორის ცენტრში იყო ”ახირებული და გაუგებარი დაუდევრობა.” მისი თქმით, ძეგლის დემონტაჟი ადგილობრივმა ხელისუფლებამ ცენტრალური მთავრობის თანხმობით განახორციელა.

ძეგლის აღების შესახებ ხელისუფლებას წინასწარი განცხადება არ გაუკეთებია. პრეზიდენტმა სააკაშვილმა 25 ივნისს განაცხადა, რომ შეუძლებელია ქვეყანაში ერთდროულად არსებობდეს ოკუპაციის მუზეუმი და იმ პიროვნების ძეგლიც, რომელმაც ეს ოკუპაცია 1921 წელს განახორციელა - ”მე სრულიად ვუჭერ მხარს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის და კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებას” ძეგლის აღების თაობაზე, განაცხადა მან და იქვე დასძინა, რომ ამავე დროს აუცილებელია რომ ”ისტორიას ცივილიზირებულად მოვექცეთ” და ამიტომ ძეგლი გადატანილ იქნა სტალინის მუზეუმში (Civil Georgia, 2010).

აღსანიშნავია, რომ ძეგლის აღებას სერიოზული ექსცესები არ მოჰყოლია - ხელისუფლებამ ძეგლი შუაღამისას აიღო, სავარაუდოდ გართულებების თავიდან ასაცილებლად.

---

[35] სტალინის მცირე ზომის ძეგლები და ბიუსტები ძირითადად იდგა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილ პატარა ბაღებში, სადაც აღმართული იყო ობელისკი ან დაფა, რომელზეც ჩამოწერილი იყო მოცემული დასახლებიდან ომში დაღუპულთა სახელები და გვარები.

მნიშვნელოვანია, რომ ძეგლის მოხსნის ფორმა ყველამ არ მოიწონა. მაგ, ისტორიკოსი ლაშა ბაქრაძე სტალინის ძეგლის აღებას ბელადზე დაგვიანებულ შურისძიებად და საკუთარი მტკივნეული ისტორიის მიფუჩეჩების მცდელობად აფასებდა და აღნიშნავდა, რომ ძეგლის მოხსნა არ ყოფილა ტრაგედია, თუმცა ისურვებდა აღნიშნულის შესახებ დისკუსიას - "საზოგადოებრივი აზრი ყოფილიყო გამოკითხული, ესეც საინტერესო იქნებოდა, დემოკრატიის აღმშენებლობის თვალსაზრისით. გვინდა სტალინის ძეგლი თუ არ გვინდა". "ჩემთვის სტალინის ძეგლის მოხსნა არის ძალიან სიმბოლური ქმედება, მე ვფიქრობ, რომ ძალიან დაგვიანებულია ძეგლის მოხსნა, ეს ერთი და ასეთი მოხსნა, როგორც ღამით მოხდა, ნაადრევი" - აღნიშნავდა ბაქრაძე (წულაძე, 2010).

2011 წლის 31 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „თავისუფლების ქარტია", რომლის ერთ-ერთ მიზანს კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების საფუძვლების გაღვივების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება და კომუნისტური/ფაშისტური სიმბოლიკის, მათ შორის ძეგლების აღმოფხვრა წარმოადგენს. კანონი კომუნისტური სიმბოლიკის გამოყენებას საჯარო სივრცეში დასჯადს ხდიდა. 2011 წელს საქართველოში სტალინის ძეგლების წინააღმდეგ აქცია დაიწყო - „სტალინის 50 ძეგლი, რომელიც უნდა შეღებო, სანამ ცოცხალი ხარ". მალევე სტალინის ძეგლების ვარდისფრად შეღებვა დაიწყეს და ეს აქცია დიდხანს გაგრძელდა.

2012 წელს საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ „ქართულმა ოცნებამ" სტალინის ძეგლების წინააღმდეგ ბრძოლა შეანელა. 2020 წლის ივლისში გვერდმა „მითების დეტექტორი" სტატია გამოაქვეყნა, სადაც დათვლილი იყო, რომ სხვადასხვა ადგილას „2012 წლის შემდეგ სტალინის ძეგლი 9-ჯერ აღადგინეს" (ჩიტალაძე, 2020). სტატიაში მოცემული იყო ინფორმაცია და სურათები ყოველ აღდგენილ ძეგლზე. მათ შორის სოფელი ზემო ალვანიც იყო, სადაც ძეგლის გახსნის ცერემონიას ერთ-ერთი პოლიტიკოსიც ესწრებოდა. აღნიშნულ სოფელში სტალინის ძეგლი 2011 წლის 17 ივნისს, ღამის 01:00 საათზე აიღეს. 2012 წლის ნოემბერში ძეგლი დააბრუნეს და 21 დეკემბერს კი სტალინის დაბადების დღეზე ძეგლის გახსნას სხვებთან ერთად პარტია „თავისუფალი საქართველოს" ლიდერი კახა კუკავა

დაესწრო, რომელიც აცხადებდა, რომ „ობიექტური წარსული არ უნდა დავივიწყოთ, ეს არის ჩვენი ისტორია და არავის აქვს უფლება, ეს ძეგლი აიღოს“ (ამბები.GE, 2012).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პოლიტიკოსთა დაპირებები 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას გორში. ქალაქის მერობის კანდიდატი მმართველი პარტიიდან („ქართული ოცნება“) და შემდგომ უკვე მერი, ზურაბ ჯირკველიშვილი, ამომრჩეველს ჰპირდებოდა, რომ მერად არჩევის შემთხვევაში მოქალაქეთა ნების შესაბამისად, 2010 წელს აღებული მონუმენტის აღდგენას ხელს შეუწყობდა. 2015 წლის ოქტომბერში საკრებულოს სხდომაზე ა(ა)იპ „გორელებისან“ შესული წერილის საფუძველზე სტალინის ძეგლის აღდგენის საკითხი დადგა, თუმცა საკრებულოს უმრავლესობამ ძეგლის დადგმას მხარი არ დაუჭირა. მათ მთავარ არგუმენტს ზემოთ აღნიშნული „თავისუფლების ქარტიის შესახებ კანონი“ წარმოადგენდა.

2014 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებზე მხოლოდ ზურაბ ჯირკველიშვილი არ იყო, რომელიც დაპირებით - სტალინის ძეგლის დადგმასთან დაკავშირებით, ამომრჩევლეთა გულის მოგებას ცდილობდა. ანალოგიური დაპირებით გამოვიდა გორში ირაკლი ოქრუაშვილიც - „ვინმეს მოსწონს თუ არა ეს თბილისში, თუ არის ეს გორელების სურვილი, რომ ეს ძეგლი დაბრუნდეს, ეს ძეგლი უნდა დაბრუნდეს. გორი არის გორელების სახლი და საკუთარ სახლში რასაც უნდა იმას დადგამენ. თუ იქნება ეს დაკვეთა, მე, ბუნებრივია, ამ დაკვეთას დავემორჩილები“ (ტაბულა, 2014).

აღსანიშნავია ასევე სტალინის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მხარდამჭერის, გრიშა ონიანის სურვილი, 2021 წელს გორის მერის არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. მისი ერთ-ერთი დაპირება იყო სტალინისა და დედამისის გორის ციხეზე გადმოსვენება და მისი „წმინდა მთად“ ქცევა (აფციაური, 2021). მნიშვნელოვანია, რომ მას შემდეგ, რაც გორის თეატრის დარბაზში პარტიის ყრილობის ჩასატარებლად მისულ ონიანს მხოლოდ რამდენიმე ადამიანი დახვდა ადგილზე, იგი გაბრაზდა და გორის მერობა გადაიფიქრა. მისი თქმით, ხალხის არ მისვლის მიზეზი ისაა, რომ „საზოგადოება არაა მომზადებული იმისთვის, რომ სტალინის თემა ავაღორძინოთ ამ ქალაქში“ (მთავარი არხი, 2021).

აღსანიშნავია, რომ ბელადის ძეგლის დადგმა არათუ საჯარო, არამედ კერძო ტერიტორიაზეც, ხმაურიანი განხილვის თემა ხდება. 2020 წლის ივლისში მედიასა და სოციალურ ქსელში გავრცელებულმა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ ზესტაფონში, ერთ-ერთმა მოქალაქემ, საკუთარი საწარმოს ეზოში სტალინის ძეგლი დადგა, ვნებათაღელვა გამოიწვია. მეპატრონეს სთხოვდნენ ძეგლის დადგმის მიზეზის ახსნას; ასევე მისგან ითხოვდნენ განმარტებებს, რას ფიქრობს ის საბჭოთა რეპრესიებს შეწირულ ადამიანებზე, სტალინურ სიებზე. აღსანიშნავია, რომ კანონი არ კრძალავს კერძო ტერიტორიაზე საბჭოთა სიმბოლიკის განთავსებას.

2022 წლის თებერვალში სხვადასხვა ტელევიზიამ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარიანში სტალინის ძეგლი დადგეს. როგორც ადგილობრივები ამბობდნენ, ძეგლი საკუთარი ინიციატივით დადგეს კერძო ტერიტორიაზე და შესაძლებელი იყო მის გარშემო სკვერიც მოეწყოთ. საინტერესოა ერთ-ერთი ადგილობრივის განცხადება ამასთან დაკავშირებით - "რესტავრაცია ჩავუტარე, გავალამაზე. რაღაც ხარვეზები ჰქონდა, “შევაპაჩინკე“. მთელი სოფელი მოხარულია. აქ ძირითადად ისეთი ხალხია, ვინც პატივს სცემს ბელადს. ალბათ პატარა სკვერივით გაკეთდება, მოიფიქრებენ მერე რამეს“ (ფორმულა, 2022).

ძეგლის დადგმის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების მეორე დღესვე კი უკვე სხვა ინფორმაცია გავრცელდა საინფორმაციო საშუალებებით - სტალინის ახლადდადგმული ძეგლი წითლად შეღებეს (ნიუპოსტი, 2022).

კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც ინფორმაცია გავრცელდა საბჭოთა ბელადის ძეგლის დაზიანების შესახებ, 2022 წლის 17 დეკემბერს, საგარეჯოში მოხდა. სოფელ პატარძეულში, უცნობმა პირებმა სტალინის გამოსახულებას თეთრი საღებავი წაუსვეს, მარმარილოს ქვა კი გატეხეს. როგორც გაირკვა, ეს ამ კონკრეტული ძეგლის დაზიანების პირველი შემთხვევა არ ყოფილა. ადგილობრივები ამბობენ, რომ სტალინის გამოსახულების აღდგენა მანამდე რამდენჯერმე მოუწიათ - ბოლოს ამავე წლის 9 მაისს - „ეს არის პატარძეულის გმირთა სავანე. სტალინის გამოსახულების დაზიანება უკვე რამდენჯერმე მოხდა. ბოლოს, ფაშიზმზე გამარჯვებას რომ აღვნიშნავდით, 9 მაისს, მაშინ დაგვხვდა დაკაწრული და ჩვენი ძალებით აღვადგინეთ (ნიუპოსტი, 2022).

2022 წლის იანვარში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თბილისში სტალინის დაფა გამოჩნდა, რომელიც გვაწვდიდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ „1906-1907 წლებში ამ სახლში ცხოვრეობდა და ემალებოდა რუსეთის მეფის ჟანდარმერიას რევოლუციონერი ი.ბ. სტალინი“ - როგორც საინფორმაციო საშუალებიდან გახდა ცნობილი დაფის სურათი პარტია „ევროპული საქართველოს“ წევრმა, გიორგი კანდელაკმა გაავრცელა, რომელმაც აღნიშნულ ფაქტს „რუსული პროპაგანდის მორიგი წარმატება“ უწოდა, ვინაიდან „2012 წლის შემდეგ ქვეყნის მასშტაბით სტალინის 10 ახალი ძეგლი დაიდგა“ (ტაბულა, 2022).

## 4.2.სტალინის მუზეუმის საკითხი

საქართველოში სტალინზე მითების გავრცელებისა და დამკვიდრების ერთ-ერთი გზა სტალინის მუზეუმია ქალაქ გორში. როგორც ქართველ, ისე უცხოელ დამთვალიერებლებს მუზეუმში ხვდებათ მოძველებული, 1970-იან წლებში შექმნილი ექსპოზიცია; გიდები, რომლებიც სტუმრებს სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ უამბობენ, სრულად უგულებელყოფენ მის როლს საბჭოთა რეპრესიული სისტემის შექმნასა და დამკვიდრებაში. ეს დამთვალიერებელთა ნაწილში პროტესტს იწვევდა, ამიტომ 2010 წელს ექსპოზიციას ე.წ. „რეპრესიების ოთახი“ დაემატა, რომელიც მუზეუმის მთავარი კიბის ქვეშ არის განთავსებული.

საქართველოში 200-ზე მეტი სახელმწიფო მუზეუმია. მათ შორის რამდენიმე მუზეუმი დამთვალიერებელთა რაოდენობის მუდმივი და მკვეთრი ზრდით გამოირჩევა. აღსანიშნავია, რომ ტურისტებისათვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სტალინის მუზეუმია.

სტალინის მშობლიურ ქალაქ გორში, მემორიალური მუზეუმი 1937 წელს, სამუზეუმო კომპლექსი კი 1957 წელს გაიხსნა. მუზეუმი აერთიანებს 60 ათასზე მეტს ექსპონატს, დოკუმენტსა და საგამოფენო მასალას, რომელთა დიდი ნაწილი მოსკოვის ისტორიისა და რევოლუციის მუზეუმისგან არის გადმოცემული. კომპლექსის შემადგენლობაშია მემორიალური სახლი (სტალინის დაბადების ადგილი), ბელადის ვაგონი (რითიც მან თეირანში, იალტასა და პოტსდამში იმგზავრა) და ორსართულიანი საექსპოზიციო დარბაზი. მუზეუმში და ასევე მუზეუმის გარეთ მოქმედებს მაღაზიები, სადაც იყიდება სუვენირები სტალინის გამოსახულებით, რაც მოსახლეობის ნაწილისთვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. 2010

წელს მუზეუმში გაიხსნა რეპრესიების ოთახი. სამუზეუმო კომპლექსის დათვალიერება 15 ლარი ღირს (გარკვეული შეღავათით სარგებლობენ მოსწავლეები, სტუდენტები და ა.შ.). მუზეუმს დაახლოებით 50 თანამშრომელი ჰყავს და ყოველწლიურად სახელმწიფოსაგან 65 000 ლარს იღებს.

საინტერესოა სტალინის მუზეუმის ფინანსური შესაძლებლობები და ის პერსპექტივა, რომელიც მას გააჩნია საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნისათვის. მუზეუმს სახელმწიფო აფინანსებს, თუმცა დამთვალიერებელთა მზარდი რაოდენობით და შესაბამისად, არასაბიუჯეტო შემოსავლის მიხედვით, ის ერთ-ერთი მოწინავეა დანარჩენ მუზეუმთა შორის. მუზეუმი შემოსავლის წყაროა. 2016 წელს სტალინის მუზეუმს 90 000 მნახველი ჰყავდა; არასაბიუჯეტო შემოსავალს რაც შეეხება, (მუზეუმები შემოსავლების მიხედვით დააჯგუფეს: პირველ კატეგორიაში მოხვდა მუზეუმები, რომელთა შემოსავალი 500 000 ლარს აჭარბებდა და ასეთი მხოლოდ 4 იყო) 2017 წელს მეორე ადგილზე გავიდა (ეროვნული მუზეუმის შემდეგ) და ამ თანხამ თითქმის ორი მილიონი ლარი შეადგინა.

როგორც უკვე აღინიშნა დამთვალიერებელთა რაოდენობა მუდმივად მზარდია ისეთ პირობებშიც კი, როდესაც მუზეუმის ექსპონატთა დიდ ნაწილს მოძველებულია და განახლება სჭირდება.

2021 წლის დეკემბერში ერთ-ერთმა საინფორმაციო საშუალებამ სტალინის მუზეუმის ვიზიტორთა რაოდენობა გამოაქვეყნა წლების მიხედვით (2010-2021) (მუკბანიანი, 2021). აღსანიშნავია წლების მანძილზე დამთვალიერებელთა მზარდი რაოდენობა. 2020 წლიდან პანდემიის გათვალისწინებით, მკვეთრი კლება შეინიშნება, თუმცა მომდევნო წლებში, პანდემიის დასრულების შემდეგ, ვიზიტორთა რაოდენობა კვლავ მზარდია და 2023 წელს მან ასი ათასს გადააჭარბა.

აღსანიშნავია, რომ "ი. ბ. სტალინის სახელმწიფო მუზეუმი" არის დღგ-ს გადამხდელი. 2019 წელს ბიუჯეტში შეტანილი აქვს 382 926 ლარი. 2020 წელს - 40836 ლარი. 2022 წელს -137689 ლარი.

2012 წელს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 300 000 ლარი გამოყო სტალინის სახლ-მუზეუმის სკვერის რეაბილიტაციისთვის (ამბები.GE, 2012).

სტალინის მუზეუმი კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. თანხების ის ნაწილი, რომელსაც მუზეუმი საკუთარი მიზნებისთვის ვერ ხარჯავს, ცენტრალურ ბიუჯეტში მიდის (ჩიზჩიური, 2023).

რაც შეეხება დამთვალიერებლებს, როგორს მუზეუმის თანამშრომელი ამბობს, ძირითადად დაინტერესებულები არიან პოლონეთის, რუსეთის, ისრაელის და ყაზახეთის მოქალაქეები. მისივე თქმით, ძირითად ინტერესს იწვევს „სტალინის პირადი ცხოვრების დეტალები“. მისივე თქმით ეს დეტალებია მათი ძირითადი ინტერესი, რასაც სხვაგან ვერ ნახავენ. ჩვენ, არავის ვაქებთ, ან არავის ვაძაგებთ, ეს არის ფაქტების ნამდვილი ისტორიის მუზეუმი და სწორედ ეს იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს“. წლების მიხედვით დამთვალიერებელთა რაოდენობის ნახვა შეგიძლიათ იხილოთ ცხრილი #4 (ტაბატაძე, 2024).

ცხრილი #4

სტალინის მუზეუმში ვიზიტორთა რაოდენობა წლების მიხედვით

| წელი | დამთვალიერებელთა რაოდენობა |
|---|---|
| 2010 | 21 798 |
| 2011 | 21 503 |
| 2012 | 31 665 |
| 2013 | 42 453 |
| 2014 | 40 171 |
| 2015 | 53 094 |
| 2016 | 92 693 |
| 2017 | 132 811 |
| 2018 | 162 086 |
| 2019 | 175 962 |
| 2020 | 10 916 |
| 2021 | 45 625 |
| 2022 | 89 806 |
| 2023 | 137 193 |

სტალინის სახლ-მუზეუმისადმი საზოგადოებაში განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს. ნაწილი მისი გაუქმების მომხრეა, თუმცა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მის არსებობას უჭერს მხარს და ამასთან განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახით უნდა არსებობდეს ეს მუზეუმი.

2022 და 2024 წელს ჩატარებულმა სტუდენტების გამოკითხვამ (79 რესპოდენტი თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან) გამოავლინა სტალინის მუზეუმის არსებობის მომხრეთა სიჭარბე:

- უნდა არსებობდეს - 66 – 83,54%
- არ უნდა არსებობდეს - 11 – 13,92%
- „უფრო კი ვიდრე არა“ – 1 – 1,26%
- „სტალინის ფერფლიც არ უნდა არსებობდეს“ – 1 – 1,26%

ბოლო ორი პასუხი ორმა რესპოდენტმა თავად ჩაწერა ანკეტაში.

გამოთქმული ტიპიური პასუხები სტალინის სახლ-მუზეუმის არსებობის მომხრეთა მხრიდან შემდეგია:

- ✓ იმიტომ უნდა არსებობდეს, რომ ისტორიის ნაწილია;
- ✓ ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს;
- ✓ წარსულს ვერ გავექცევით და არ შეიძლება ყველაფრის განადგურება;
- ✓ უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო ხასიათი და არა პროპაგანდისტული;
- ✓ „უნდა არსებობდეს, როგორც საბჭოთა რეჟიმისა და რეპრესიების სიმბოლო“;
- ✓ „უნდა არსებობდეს, ოღონდ არა დღევანდელი მდგომარეობით, როდესაც მუზეუმი კვლავ განამტკიცებს სტალინის კულტს“.

სტალინის სახლ-მუზეუმის არსებობის მოწინააღმდეგეთა თვალსაზრისი ძირითადად, ორი ტიპის იყო - არ უნდა არსებობდეს იმიტომ, რომ:

- ✓ სტალინი სახელმწიფოებრიობის და ჰუმანიზმის მტერი იყო
- ✓ ხალხი უნდა გამოდიოდეს წარსულიდან და ცხოვრობდეს აწმყოში

ექსპერტის ირაკლი ჩხაიძის განცხადებით, ძალიან საინტერესო საჩვენებელია ტურისტისთვის თავად ის ფაქტი, თუ როგორ საუბრობენ გიდები სტალინის მუზეუმში. მუზეუმის ამ ფორმით არსებობა თავისთავად ძალიან საინტერესოა; ის გამოხატავს სტალინის შესახებ ჯერ კიდევ არსებულ ძლიერ პოზიტიურ მეხსიერებას, განსაკუთრებით კი მშობლიურ გორში.  სინამდვილეში მოცემული სახით ესაა დიდების მუზეუმი. სტალინის პოზიტიური ხატი იმდენად ძლიერია საქართველოში, რომ აღნიშნული მუზეუმი ვერ იქცა ოკუპაციის, რეპრესიების მუზეუმად. ეს მუზეუმი ჯერ კიდევ არის წარსული დიდების ამსახველი მუზეუმი. სასურველია, რომ მუზეუმი იყოს ოკუპაციის მიმართ უფრო სენსიტიური. ამისათვის კი პირველ რიგში მუზეუმის ექსპოზიციის განახლებაა საჭირო (პირისპირი ინტერვიუ. 25.01.2023).

2021 წლის დეკემბერში სტატია "ყველაზე ცუდი მუზეუმი მსოფლიოში", გამოაქვეყნა ცნობილმა ყოველდღიურმა ფრანგულმა გაზეთმა *Le Monde*-მა. სტატია ეხებოდა გორში იოსებ სტალინის მუზეუმს (იხ. ტაბულა, 2021).

ფრანგულ სტატიაში ვრცლად იყო მიმოხილული არამხოლოდ გორში მდებარე კონკრეტული მუზეუმი, არამედ ზოგადად სტალინის კულტი საქართველოში. ავტორი აღნიშნავდა, რომ მუზეუმში არ იყო მოცემული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იოსებ სტალინი დიქტატორი იყო და არც ის მილიონობით ადამიანი იყო მოხსენიებული, ვინც სტალინის რეპრესიებს შეეწირა.

ფრანგული გაზეთი ასევე აღნიშნავდა, რომ რომ „ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ქვეყანაში დიქტატორის 9 ახალი ძეგლი დაიდგა, რაც რიგ შემთხვევებში ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით ხდებოდა“.

„ტაბულამ“ სტატიის ქართული თარგმანი შესთავაზა მკითხველს, რომელიც ნაშრომს ერთვის. (დანართი N4)

როგორც ისტორიკოსი, ოთარ ჯანელიძე იხსენებს, ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში აქტუალური გახდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ მაშინ არსებული მუზეუმი „სტალინიზმის მუზეუმად“ გარდაქმნილიყო. 2015 წელს კულტურის სამინისტროსთან შეიქმნა სტალინის მუზეუმის კონცეფციის შემმუშავებელი ჯგუფი, რომლის წევრი თავადაც იყო. ჯგუფმა ეს მოსაზრება არ

გაიზიარა და მიიჩნია, რომ მუზეუმის სახელი უნდა დარჩენილიყო უცვლელი. საგამოფენო სივრცესთან დაკავშირებით კი, ჯგუფმა 3 ხედვა წარადგინა:

1. ექსპოზიცია უნდა განახლებული სრულად და გამოფენილიყო ახალი შევსებული ვერსია;

2. არსებული ექსპოზიცია დარჩენილიყო ხელუხლებლად და დამატებოდა, რაც გამოტოვებული იყო იდეოლოგიური მოსაზრებებით;

3. არსებული ექსპოზიციის უცვლელად შენარჩუნებით, მოწყობილიყო პარალელური გამოფენა; სტალინის განდიდების ნაცვლად, ყურადღება გამახვილდებოდა მისი ფენომენის წინააღმდეგობრივ ხასიათსა და აღქმაზე.

ამასთან, ჯანელიძის თქმითვე, კონკრეტულად მისი შეთავაზება იყო შემდეგი: ექსპოზიცია სტალინის ცხოვრება-მოღვაწეობასთან ერთად, საბჭოთა ეპოქასაც, სსრ კავშირის თავგადასავალსაც უნდა ასახავდეს და მის შესახებაც ქმნიდეს რეალურ წარმოდგენას. საბჭოთა სინამდვილე უნდა წარმოჩნდეს არა ცალმხრივად და მხოლოდ მუქ ფერებში, არამედ თავისი შუქ-ჩრდილებით, – მიღწევებითა და ხარვეზებით. სტალინის პიროვნებისა და მუზეუმის ფონდების მასშტაბურობიდან გამომდინარე, მუზეუმისათვის საგანმანათლებლო პროფილის პარალელურად, პრიორიტეტული უნდა იყოს კვლევითი საქმიანობაც (უნდა გააჩნდეს ბეჭდური გამოცემა, ქართული, რუსული და ინგლისურენოვანი ინტერნეტსაიტები, აწყობდეს ონლაინ კონფერენციებსა და სხვ.). სახლ-მუზეუმი ნაკლებად უნდა იყოს ტაძარი და მეტად – ფორუმი, თავისუფალი დროის ორგანიზებისა და შემეცნებითი პროგრამებით, თავისი შეხვედრების ადგილებით, დებატებით, კინოჩვენებებით, საგანმანათლებლო კლასებით ბავშვებისა და მოზარდებისათვის და სხვ.

ამასთან ერთად, ჯანელიძის აზრით, მუზეუმის განვითარებისათვის აუცილებელია ასევე, რომ მას ჰქონდეს საკონფერენციო დარბაზი და საკუთარი ბიბლიოთეკა, სხვადასხვაენოვანი მდიდარი წიგნადი ფონდით. (პირისპირი ინტერვიუ, 04.01.2023).

ვახტანგ გურული ხაზს უსვამს მუზეუმის ფინანსურ შესაძლებლობებს, რომელიც შესაძლებელია, სახელმწიფომ გონივრულად გამოიყენოს - „მუზეუმი ქვეყანაში ვალუტის შემოტანის წყაროდ უნდა იქცეს“. მისივე თქმით, მუზეუმმა არსებობა უნდა განაგრძოს განახლებული ექსპოზიციით, თუმცა ძველი

დოკუმენტების შენარჩუნებით; მუზეუმში პირველ რიგში სტალინის ცხოვრების ამსახველი ექსპოზიცია უნდა იყოს. აქვე იხსენებს გორბაჩოვის მიერ საქართველოსთვის გადმოცემულ სტალინის კაბინეტს. საინტერესოა, რომ გურული პარალელს ავლებს მავზოლეუმიდან ლენინის გამოტანასა და სტალინის მუზეუმის არსებობას შორის. მისი თქმით, „ლენინი მუზეუმიდან გამოსატანია, იმის გამო, რომ ის დღესაც რუსული შოვინიზმის სიმბოლოა, სტალინი კი აღარაფრის სიმბოლო აღარ არის ქართველებისთვის" (პირისპირი ინტერვიუ, 26.12.2022).

„სტალინს მუზეუმი ეკუთვნის მსოფლიო ომის მოგებისათვის" - სტალინის გამორჩეულ როლზე ნაციზმის დამარცხებაში უსვამს ხაზს და შესაბამისად მისი მუზეუმის არსებობას საქართველოში ემხრობა ისტორიკოსი ალექსანდრე დაუშვილი. ის ასევე მუზეუმის ფინანსურ შესაძლებლობებს აღნიშნავს განსაკუთრებულად. მისი თქმით, სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ის ფინანსური რესურსი, რაც სტალინის მუზეუმს აქვს (პირისპირი ინტერვიუ, 20.01.2023).

ისტორიკოსის, შოთა ვადაჭკორიას აზრით, სტალინის მუზეუმი უნდა გვქონდეს იმიტომ, რომ „უნდა იყოს წარმოჩენილი ის უბედურებები, რომელიც მან თავს დაგვატეხა. მომავალმა თაობამ, რომელიც საქართველოს მესაჭე უნდა იყოს, უნდა იცოდეს ვინ ვინ არის". ის აკრიტიკებს მუზეუმის დღევანდელ მდგომარეობას და სტალინის მაქებარ ექსპოზიციას უსვამს ხაზს - „საბჭოთა პერიოდის აღმშენებლობის მთელი სისტემაა წარმოჩენილი". მისი აზრით, უნდა შეიცვალოს გამოფენა - „1921 წლიდან დაწყებული, ყველა ის უბედურება, რაც საქართველოს დაატყდა თავს საარქივო დოკუმენტების საფუძველზე, რომელიც უკვე ხელმისაწვდომია, უნდა იყოს წარმოდგენილი" (პირისპირი ინტერვიუ, 17.01.2023).

## 4.3. პროექტი - სტალინის გარშემო არსებული დეზინფორმაციისა და ნოსტალგიის დაძლევა: ახალი იდენტობა ქალაქ გორისთვის

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) 2022 წლის 12 იანვრიდან ახორციელებდა პროექტს „სტალინის გარშემო არსებული დეზინფორმაციისა და ნოსტალგიის დაძლევა: ახალი იდენტობა ქალაქ გორისთვის". როგორც ოფიციალურ ვებ-გვერდზეა აღნიშნული, „დეზინფორმაციული ნარატივები, რომლებიც შიდა ქართლში სტალინის მიმართ სენტიმენტებსა და ნოსტალგიას

ეფუძნება, თაობიდან თაობას გადაეცემა და კვლავაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონის იდენტობის ჩამოყალიბებაში. სტალინის კულტის მუდმივი ინსტრუმენტალიზაციის გამო, რეგიონი კვლავ საზრდოობს სტალინის გარშემო არსებული მითებით.

ზემოაღნიშნული გამოწვევის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ხელი შევუწყოთ სტალინისა და საბჭოთა პერიოდის მიმართ გაღრმავებული ნოსტალგიის დეესკალაციას და ხელი შევუშალოთ ამ შეხედულებების მომავალი თაობებისთვის, ყოველგვარი კრიტიკული მიდგომის გარეშე, გადაცემას. გორის, როგორც შიდა ქართლის ცენტრის, ისტორიული იდენტობა მკვეთრად არის გადაჯაჭვული სტალინის ფიგურასთან, რომელიც ხელს უშლის რეგიონის განსხვავებული ისტორიული როლის ან ტურისტული პოტენციალის ალტერნატიულ განვითარებას“ (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2022).

მნიშვნელოვანია, რომ პროექტის განხორციელებაში ჩართულები იყვნენ ადგილობრივი ორგანიზაციები, „გორის საინფორმაციო ცენტრისა“ და „ფოტოგრაფთა კლუბის“ წარმომადგენლები. ასევე, როგორც კრეატიული სააგენტო ლივინგსტონი და “საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია” (Sovlab). პროექტი ხორციელდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და Zinc Network-ის დახმარებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გორში მცხოვრები ახალგაზრდების მონაწილეობა პროექტში.

აღსანიშნავია, რომ პროექტი რამდენიმე ეტაპად ხორციელდებოდა და მისი მიზნები იყო:

- გორის/შიდა ქართლის ალტერნატიული ისტორიის შესახებ ცნობიერების გაზრდასა და სტალინის ფიგურის ჩანაცვლებაში წვლილის შეტანა;
- რეგიონის/ქალაქის ისტორიასთან დაკავშირებული საარქივო მასალების მოძიება, ანალიზი, ინტერპრეტაცია და ვიზუალიზაცია;
- ახალი, ქალაქის ისტორიაზე დაფუძნებული, “იდენტობის რუკის“ შექმნა, რომელიც გარკვეულწილად ჩაანაცვლებს სტალინის ფიგურას, როგორც ქალაქის სიამაყის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს;
- ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა ქალაქის იდენტობის შესახებ დისკუსიაში;

- აქამდე უცნობი ადამიანების, ტრავმისა და ტრიუმფის მეხსიერების ადგილებისა და მნიშვნელოვანი ისტორიული მომენტების აღნიშვნა და ხაზგასმა.

რაც შეეხება პროექტის განხორციელებისათვის დაგეგმილ აქტივობებს, როგორც ავტორები გვაწვდიან ინფორმაციას, დაგეგმილი იყო:

- შიდა ქართლისა და მისი მცხოვრებთა ისტორიის, მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებისა და ადგილების კვლევა;
- მოსახლეობის ნაწილისგან ზეპირი ისტორიების შეგროვება კონკრეტულ საკითხებსა და პიროვნებებზე;
- ონლაინ და ფიზიკური პლატფორმების იდენტიფიცირება, სადაც უნდა განთავსებულიყო გამოკვლეული და დამუშავებული ინფორმაცია;
- ადგილობრივ ხელისუფლებასთან კომუნიკაცია, საჭირო ნებართვების მოპოვება;

აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2022 წლის 11 თებერვალს გაიმართა შეხვედრა გორის მერთან, ვლადიმერ ხინჩეგაშვილთან. როგორც ვერ-გვერდზე ვკითხულობთ, გორის მერმა პროექტში მონაწილება პირებს მხარდაჭერა აღუთქვა (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. 2022).

ამავე პროექტის ფარგლებში 2022 წლის თებერვალშივე შედგა შეხვედრა გორელ ახალგაზრდებთან; მათ სურვილი გამოთქვეს, ჩაერთონ პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებში (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. 2022).

პროექტის შედეგად შეიქმნა ვებ-გვერდი (https://gorimaps.ge/ka/), რომლის პრეზენტაცია პროექტის ავტორებმა სიმბოლურად 7 აგვისტოს დაამთხვიეს. ვებ-გვერდი საგანმანათლებლო და ტურისტულ ხასიათს ატარებს.

ამავე პროექტის ფარგლებში, გორელ ახალგაზრდებთან შეხვედრები შედგა 2022 წლის მაისში. 9 მაისის სიმბოლური მნიშვნელობის და ფალსიფიცირებული ისტორიის რუსულ ჰიბრიდულ ომში გამოყენების გათვალისწინებით, საუბარი სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა. მნიშვნელოვანია, რომ პროექტის ავტორები სწორედ ფალსიფიცირებული ისტორიის და დამახინჯებული ფაქტების შესახებ ამახვილებენ განსაკუთრებულ ყურადღებას. კერძოდ, ისინი აღნიშნავდნენ, რომ

„ისტორიის ფალსიფიცირება, ფაქტების დამახინჯება და კონტექსტის გარეშე გამოყენება ერთ-ერთი სტრატეგიაა, რომელსაც რუსულ ჰიბრიდულ ომში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

დღეს, დეზინფორმაციული ნარატივები ცდილობს რუსეთი წარმოაჩინოს “დამცველ” და “განმათავისუფლებელ” ძალად, ამისთვის კი, ერთი მხრივ, ისტორიულ ნარატივებს, მეორე მხრივ კი - გამარჯვების ინსტრუმენტალიზაციას მიმართავს.

9 მაისის აღნიშვნას ქალაქ გორში განსაკუთრებულად სენსიტიური დატვირთვა აქვს და ზოგიერთი ჯგუფისთვის ძირითადად სტალინის სახელთან და მის პირად გამარჯვებასთან ასოცირდება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა თაობა დაინტერესებულია ახალი კითხვების დასმითა და 9 მაისის სიმბოლურ მნიშვნელობაზე დისკუსიის გამართვით.

“საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის გაკვეთილებიდან, ისტორიული ნარატივების მონოპოლიზება და მისი გადაწერა, ლოკალურ და საერთაშორისო დონეზე, ეფექტური იარაღია. ამრიგად, ისტორია და მის ინტერპრეტირებაზე ჰეგემონიის ამბიცია კრემლის ინტერესებში კვლავ მოექცა და მისი ჰიბრიდული ომის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცა. რუსული ისტორიული პროპაგანდა არ შეეხება მხოლოდ რუსეთის ფედერაციასა და რუს ხალხს, არამედ მისი მიზანია საერთაშორისო დონეზე სხვა ერების სანდოობის შელახვა და მათი ისტორიული ნარატივების მონოპოლიზება“ (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2022).

აღსანიშნავია, რომ პროექტის დაწყებას გამოეხმაურა გრიშა ონიანი, რომელმაც მოითხოვა, 2010 წელს აღებული სტალინის ძეგლის მათთვის გადაცემა. როგორც ონიანი ამბობდა, ინფორმაცია გავრცელდა იმის შესახებ, რომ ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას სურს სტალინის ჩანაცვლება და თითქოს ამაში მათ ეხმარება ვლადიმერ ხინჩეგაშვილი. ის დაუკავშირდა გორის ხელმძღვანელობას და მას განუმარტეს, რომ „ლადო მართლაც შეხვდა მათ, მაგრამ იქ სულ სხვა მიმართულებით ყოფილა საუბარი“. ის ასევე სტალინის ძეგლს ითხოვდა - „თუ არ სურთ სტალინის ძეგლი, მოგვცენ ჩვენ და ჩვენ თვითონ მივხედავთ“ (შიდა ქართლი-საინფორმაციო ცენტრი, 2022).

## 4.4.რატომ უნდა იყოს სტალინის დედის საფლავი მთაწმინდაზე

საზოგადოების განხილვის თემად დროდადრო იქცევა ხოლმე ასევე სტალინის დედის, კეკე გელაძის საფლავი მთაწმინდაზე. პერიოდულად ისმის კითხვა იმის შესახებ, თუ რატომ არის დასაფლავებული ბელადის დედა ცნობილი მოღვაწეების პანთეონში და საზოგადოების გარკვეული ჯგუფები მოითხოვენ მის სხვაგან გადასვენებას.

2021 წლის აპრილში მთავრობის კანცელარიაში 5 პუნქტიანი მოთხოვნა შევიდა, რომელიც სხვებთან ერთად კეკე გელაძის მთაწმინდიდან გადასვენებასაც მოიცავდა. საზოგადოებრივი გაერთიანება "ეროვნული იმპერატივი" ბელადის დედის საფლავის ადგილმონაცვლეობასთან ერთად აყენებდა ასევე მოთხოვნას იმის შესახებ, რომ გორში მდებარე სტალინის მუზეუმისთვის სახელი გადაერქმიათ და მისთვის ეწოდებინათ „საბჭოთა ტოტალიტარიზმის მუზეუმი". ორგანიზაციის წევრთა კიდევ ერთი მოთხოვნა იყო მთელი ქვეყნის მასშტაბით სოფლებსა თუ ქალაქებში ქუჩების საბჭოთა დასახელებების შეცვლა. საჯარო სივრცეები კი გათავისუფლებულიყო საბჭოთა ბელადების სკულპტურებისა თუ სიმბოლიკისგან. ზემოთ მოცემულ მოთხოვნას გამოეხმაურა მოძრაობა სტალინელის ხელმძღვანელი გრიგოლ ონიანი. მისთვის აღნიშნული ინიციატივის შესრულება წარმოუდგენელი იყო და განაცხადა, რომ მის აღსრულებას შეეწინააღმდეგებოდა.

სტალინის დედის საფლავის შესახებ დისკუსია იყო რამდენიმე წლის წინაც, როდესაც გააქტიურდა განხილვა მახათას მთაზე ახალი პანთეონის მშენებლობასთან დაკავშირებით. 2017 წელს, თბილისის მერის მოადგილე, ნინა ხატისკაცი აცხადებდა, რომ მიუხედავად მისი მოსაზრებისა - ბელადის დედა არ უნდა იყოს დაკრძალული მთაწმინდაზე, თბილისის მერიას არ გააჩნია შესაბამისი უფლებამოსილება, გადაწყვიტოს მსგავსი საკითხი. მისივე განცხადებით, მერია მხოლოდ პასუხისმგებელი იყო საფლავების მოვლა-პატრონობაზე, დაკრძალულთა ვინაობა კი მას არ ეხებოდა და ეს საკითხი საზოგადოების ფართო მსჯელობის საგანი უნდა გამხდარიყო.

ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს მოქალაქეთა გარკვეული ნაწილის პოზიციაც, რომელთათვისაც კეკე გელაძის საფლავი მთაწმინდაზე ისტორიის ნაწილია, ხოლო ისტორიის გადაწერა არ შეიძლება;

ისტორია ისეთი უნდა მივიღოთ და დავინახოთ, როგორიცაა. აღნიშნული პოზიციის მომხრეთა განცხადებით, ბელადის დედა არ უნდა გადაასვენონ პანთეონიდან, ვინაიდან „სწორედ იმით არის პანთეონი საინტერესო, რომ ჩვენ ხილულად გვაჩვენებს ისტორიას“. მწერალი ლაშა ბუღაძე მიიჩნევს, რომ „არ უნდა შევცვალოთ ისტორია არავითარ შემთხვევაში... საბრალო კეკეს არანაირად არ ჰქონდა იმის ამბიცია, რომ პანთეონში დაეკრძალათ, მაგრამ ლავრენტი ბერიამ გადაწყვიტა ეს“ (Ipress, 2017).

1937 წელს გარდაცვლილი კეკე გელაძე მთაწმინდაზე, ცოტა ხნით ადრე გადასვენებული ვაჟა-ფშაველას გვერდით დაკრძალეს. სტალინი დედის დაკრძალვას არ დასწრებია, მხოლოდ გვირგვინი გამოაგზავნა წარწერით: „ძვირფას და საყვარელ დედაჩემს მისი შვილის იოსებ ჯუღაშვილისაგან (სტალინისგან)“.

1979 წელს გამოიცა მთაწმინდის პანთეონს ცნობარი, სადაც დაკრძალული მოღვაწენი იყოფოდნენ რამდენიმე ჯგუფად:

- XIX საუკუნის მწერლები და მოღვაწენი;
- საბჭოთა მწერლები და მოღვაწენი;
- მეცნიერები;
- კომუნისტური პარტიის მოღვაწეები;
- ხელოვნების მოღვაწენი.

კეკე გელაძე მიეკუთვნებოდა „კომუნისტური პარტიის მოღვაწეთა“ ჯგუფს ცხაკაიასთან, მახარაძესთან და თოდრიასთან ერთად.

1991 წელს იმავე ავტორმა (მამია ჩორგოლაშვილი) გამოსცა ახალი ცნობარი, სადაც პანთეონში დაკრძალულთა დაჯგუფებების დასახელებები შეიცვალა:

- XIX საუკუნის მწერლები და მოღვაწენი;
- XX საუკუნის მწერლობა;
- ხელოვნების მოღვაწენი;
- მეცნიერები;
- საქართველოსთვის თავდადებულნი.

კეკე გელაძე არცერთ ამ ჯგუფში აღარ გვხვდება. ისევე როგორც ამ კლასიფიკაციაში ვერ ვპოულობთ მანამდე მასთან ერთად „კომუნისტური პარტიის მოღვაწეების“ ჯგუფში მყოფ ბოლშევიკებს.

1989 წლის 9 აპრილის შემდეგ „კომუნისტური პარტიის მოღვაწეები“[36] მთაწმინდის პანთეონიდან გადაასვენეს, განსხვავებით ზელადის დედისაგან. ამას კი ისტორიკოსთა ნაწილი შემდეგ ახსნას უძებნის: „კეკეს არგადმოსვენება მთაწმინდიდან იმაზე მიუთითებს, რომ ეროვნული მოძრაობის დროსაც კი სტალინის ფიგურა მნიშვნელოვანი იყო მისი ნაციონალური კუთვნილების გამო. ვერ შეეხნენ კეკეს, როგორც „ყველაზე დიდი ქართველის“ მშობელს“ (რეხვიაშვილი, 2020). გარდა ამისა, მთაწმინდაზე დასაფლავებული კომუნისტი ლიდერებისგან განსხვავევებით, სტალინის დედას რაიმე დანაშაული არ ჩაუდენია.

ისტორიკოსის, სახელმძღვანელოთა ავტორის, ოთარ ჯანელიძის თქმით, სტალინის დედა საერთოდ არ უნდა დაეკრძალათ მთაწმინდაზე, თუმცა იმასაც ამატებს, რომ იგი ბოლშევიკებთან ერთად უნდა გადაესვენებინათ მთაწმინდიდან. მისი აზრით, მთაწმინდის პანთეონი, როგორც მისი სრული დასახელება ცხადყოფს („ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონი“), განკუთვნილია გამოჩენილი მწერლების, საზოგადო მოღვაწეთა, მეცნიერთა და ხელოვანთა სამუდამო განსასვენებლად. ამდენად, „სტალინის დედა იქ არ უნდა დაეკრძალათ. პოსტსაბჭოთა პერიოდში მთაწმინდიდან გადაასვენეს ქართველი ბოლშევიკების, ფილიპე მახარაძისა და მიხა ცხაკაიას ნეშტები. სასურველი იყო, მათთან ერთად ჩვეულებრივ სასაფლაოზე გადაესვენებინათ ეკატერინე (კეკე) გელაძე-ჯუღაშვილიც. (პირისპირი ინტერვიუ, 04.01.2023).

ვახტანგ გურულის თქმით, კეკე გელაძის დასაფლავება მთაწმინდაზე „პოლიტიკური აქტი იყო, მისი გადმოსვენებაც პოლიტიკური აქტი იქნება“. მიუხედავად იმისა, რომ კეკეს დასაფლავებას მთაწმინდაზე შეცდომად მიიჩნევს, სტალინის დედის გადმოსვენებას მთაწმინდიდან „ნეობოლშევიზმად“ თვლის; ასევე, მისივე განმარტებით, „არ შეიძლება მიცვალებულზე შურისძიება; ასე დავემსგავსებით ბოლშევიკებს, რომელთაც გვიან იცოდნენ შურისძიება“ (პირისპირი ინტერვიუ, 26.12.2022)

ალექსანდრე დაუშვილის აზრით, „რა თქმა უნდა არ უნდა იყოს კეკე გელაძე მთაწმინდაზე“, „არ უნდა ყოფილიყო თავიდანვე“, თუმცა ის ასევე აღნიშნავს, რომ

---

[36] ფილიპე მახარაძე; მიხა ცხაკაია; სილიბისტრო თოდრია; სიმონ ჯუღელი. აღსანიშნავია, რომ 1935 წელს გარდაცვლილი სიმონ ჯუღელი მთაწმინდაზე თავად ბოლშევიკებმა დაკრძალეს; 1937 წელს კი ის „ხალხის მტრად“ გამოაცხადეს და თავადვე გადაასვენეს პანთეონიდან.

„გარდაცვლილებთან ბრძოლის“ მოწინააღმდეგეა. მისივე მოსაზრებით, სტალინის საქართველოში გადმოსვენების შემთხვევაში ის დედასთან ერთად შესაძლებელია დასაფლავდეს მუზეუმის ეზოში. ასეთ პირობებში „კანონზომიერი იქნება კეკეს გადმოსვენება მთაწმინდიდან“ (პირისპირი ინტერვიუ, 20.01.2023).

შოთა ვადაჭკორიას თქმით, სტალინის დედა მთაწმინდაზე არ უნდა იყოს დაკრძალული და ის უნდა გადაასვენონ სხვაგან. ხოლო ყველა ხელისუფლების მიერ ამ საკითხისადმი თავის არიდებას უკავშირებს მათ პოლიტიკურ მიზნებს - „შიდა ქართლის მოსახლეობის დიდი ნაწილი სტალინელია“ და მათ გაღიზიანებას ერიდებიან. მისი თქმით სწორედ ამ ფაქტით აიხსნება ის, რომ საბჭოთა ბელადის დედა კვლავ მთაწმინდაზეა დასვენებული. (პირისპირი ინტერვიუ, 17.01.2023).

ირაკლი ჩხაიძის თქმით, კეკე გელაძე უნდა იყოს მთაწმინდაზე. ეს ილუსტრირებაა ჩვენი დამოკიდებულების საბჭოთა ბელადის მიმართ. კულტურული არტეფაქტია - ჩვენი ისტორიის დიდებული ფიგურების გვერდით სტალინის დედის ყოფნა. ხელისუფლებები ერიდებიან კეკე გელაძის გადმოსვენებას იმ მიზეზებით, რომ აქვთ გარკვეული მოკრძალება, ერიდებიან ხმაურს - „მიცვალებულებს თხრიან“; არაფერი დაუშავებია კეკეს იმის გარდა, რომ დაბადა სტალინი, ამიტომ ნეიტრალურია ქართველების მეხსიერებაში, განსხვავებით იმ ბოლშევიკებისაგან, რომლებიც საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში გადაასვენეს მთაწმინდიდან ხუდადოვის სასაფლაოზე (პირისპირი ინტერვიუ, 25.01.2023).

## 4.5. დავით გარეჯი, საზღვრები და სტალინის როლი საქართველოს ოკუპაციაში

2019 წელს დავით გარეჯის გარშემო დაწყებული დისკუსიის დროს, კვლავ გაიჟღერა სტალინის სახელმა და ის ქართულ პოლიტიკურ ველზე ბრალდებების ახალ მიზეზად იქცა.

საქართველოს პარლამენტის წევრმა, გიორგი კანდელაკმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუკა და იმ ტერიტორიათა ჩამონათვალი, რომელიც მისი თქმით „სტალინის უშუალო თანხმობით, სხვადასხვა პერიოდში, საქართველოს მეზობლებს გადაეცათ“. მათ შორის ართვინის და არტაანის ოლქები, ზაქათალა, ლორე და დავით გარეჯის ნაწილი.

კანდელაკის განცხადებით, 1991 წელს გამსახურდიამ საქართველოს დამოუკიდებლობა ამ მომენტისთვის არსებულ, საბჭოთა საზღვრებში გამოაცხადა, რის მიხედვითაც გარეჯის ნაწილი აზერბაიჯანის შემადგენლობაში დარჩა. მას შემდეგ, ქართული მხარის მცდელობების მიუხედავად - გაუცვალოს მეზობელ აზერბაიჯანს გარეჯის აღნიშნული ტერიტორია სხვა მიწებში და დავით გარეჯი სრულად საქართველოს შემადგენლობაში მოექცეს, შედეგი არ დგება. ამას კი საქართველოს პარლამენტის წევრი მიჰყავს რუსულ კვალთან და სტალინთან - „ის, რომ რუსული პროპაგანდის გამხმოვანებლები არაფერს ამბობენ ამ პრობლემის წყაროზე, საქართველოს საბჭოთა ოკუპაციასა და სტალინზე სრულიად ბუნებრივია, სხვანაირად ვერც იქნებოდა“ - აღნიშნავს კანდელაკი (კანდელაკი, 2021).

## 4.6. „გამარჯვების დღე“ - 8 თუ 9 მაისი? - დისკუსია ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით

საქართველოში, როგორც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში, ფაშიზმზე გამარჯვების დღე 9 მაისს აღინიშნება. თუმცა ბოლო წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა მსჯელობა იმის შესახებ, რომ საქართველომაც, სხვა ევროპული სახელმწიფოების მსგავსად, გამარჯვების დღე 8 მაისს უნდა აღნიშნოს, ვინაიდან საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთის ფედერაციისათვის 9 მაისი გადაიქცა მისი იმპერიალისტური მისწრაფებების ერთ-ერთ მთავარ სიმბოლოდ, პროპაგანდის იარაღად, რასაც საკმაოდ წარმატებით იყენებს რუსეთის თანამედროვე ხელისუფლება.

საქართველოში ტრადიციულად ყოველი წლის 9 მაისს სტალინის მშობლიურ ქალაქ გორში მოქალაქეები იკრიბებიან „გამარჯვების დღის“ აღსანიშნავად. მათთვის გამარჯვება სტალინის სახელთანაა დაკავშირებული - „ომი სტალინმა მოიგო“. საბჭოთა სიმბოლიკით სტალინის მუზეუმში შეკრება ძირითადად ხმაურიანია, შეკრებილები ითხოვენ სტალინის ძეგლის აღდგენას. მათთვის სტალინი „არის ბელადი, რომელმაც ჩვენ მოგვიტანა მშვიდობა და გამარჯვება ფაშიზმზე“.

9 მაისი უქმე დღედ ბრეჟნევმა გამოაცხადა 1965 წელს და აქედან მოყოლებული ჯერ საბჭოთა კავშირში, შემდეგ კი რუსეთში უმნიშვნელოვანეს თარიღად იქცა. 9 მაისმა შეიძინა სიმბოლური მნიშვნელობა, ის გამოხატავდა ჯერ საბჭოეთის, XXI საუკუნეში კი რუსეთის ფედერაციის უმთავრეს გამარჯვებას. თანამედროვე

რუსეთისათვის 9 მაისი იქცა ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. რუსეთის ხელმძღვანელობა გამარჯვების თარიღს პოლიტიკურ იარაღად იყენებს არამხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ საზღვრებს გარეთაც, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებთან ურთიერთობისას.

2022 წლის აპრილში პოლიტიკურმა გაერთიანება „რეფორმების ჯგუფმა“ საქართველოს პარლამენტში დაარეგისტრირა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ცვლილებებს „შრომის კოდექსში“ და ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღნიშვნას არა 9, არამედ 8 მაისს. „ამ ინიციატივით, ჩვენ კიდევ ერთხელ დავაფიქსირებთ, თუ სად დგას საქართველო, ევროპასთან და ცივილიზებულ სამყაროსთან თუ რუსეთთან“ (პუბლიკა, 2022). ინიცირებული კანონპროექტი 2023 წლის სექტემბერში პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ჩავარდა (20 მომხრე, 4 წინააღმდეგი). კანონპროექტის მომხსენებელი გააკრიტიკა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ირაკლი კობახიძემ. მან ოპოზიცია საზოგადოების გახლეჩის მცდელობაში დაადანაშაულა მათ შორის იმ მიზეზით, რომ „ვეტერანებთან კონსულტაციები არ გაგივლიათ, მით უმეტეს ერთი წლის წინ თუ დააინიციირეთ ეს კანონპროექტი, რა ედგა წინ ვეტერანებთან კონსულტაციების გავლას. თქვენ იცით, რომ, რა თქმა უნდა, მათი რეაქცია იქნება უარყოფითი, ამის მიუხედავად, რტომ გამოგაქვთ ეს კანონპროექტი, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია”. უმრავლესობის ლიდერს კანონპროექტის ავტორმა, ოპოზიციონერმა თეონა აქუბარდიამ უპასუხა და ახსნა, რატომ ვერ გაიარა კონსულტაცია ვეტერანებთან - „დავიწყოთ იმით, რომ კანონპროექტი დარეგისტრირებულია შარშან 9 მაისამდე და კომიტეტიდან გამომდინარე... გარდა ამისა, მე ვერ დავიწყებდი ვეტერანებთან სიარულს, იმიტომ კი არა, რომ მეზარება, არამედ არ მაქვს ამ ხალხის მისამართი და არ შემიძლია, ეს ინფორმაცია მე არ გამაჩნია” (რადიო თავისუფლება, 2023).

ამ საკითხთან დაკავშირებით შეჯერებული აზრი არ არსებობს - საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის თარიღის ცვლილება ისტორიის გადაწერა და დამახინჯებაა; მეორე ნაწილისათვის 8 მაისის აღნიშვნა რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ევროპული მომავლის მნიშვნელოვანი სიმბოლოა. 1921 წელს საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია მოახდინა, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იძულებით შეყვანილი საქართველო კი 1945 წლის შემდგომ მასთან

ერთად აღნიშნავდა ფაშიზმზე გამარჯვებას. თანამედროვე რუსული პოლიტიკისათვის მნიშვნელოვანია მისი აგრესიული, ექსპანსიონისტური მიდრეკილებების გამართლება/პროპაგანდა, რასაც კრემლი დიდი, საერთო „გამარჯვების დღითაც" ცდილობს. სწორედ ამიტომ, თარიღის ცვლილების მომხრეთა უმთავრესი არგუმენტია, რომ როგორც ასი წლის წინანდელი, ისე თანამედროვე საქართველოს ოკუპანტი ქვეყნის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი - 9 მაისი - ოკუპანტ და ოკუპირებულ ქვეყნებს საზიარო არ უნდა ჰქონდეთ. ამის მაგივრად საქართველომ ფაშიზმზე გამარჯვება 8 მაისს უნდა აღნიშნოს, ევროპულ სახელმწიფოებთან ერთად, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის გაცხადებული მიზანი ევროპულ ცივილიზაციასთან ყოფნაა, და ესოდენ მნიშვნელოვანი თარიღი სწორედ მათთან უნდა გვქონდეს საერთო.

გერმანელების მიერ კაპიტულაციაზე ხელის მოწერის შემდგომ, როდესაც გერმანულმა ძალებმა სამხედრო მოქმედებები შეაჩერეს, საბჭოთა კავშირში უკვე 9 მაისი იდგა. შესაბამისად საბჭოთა (ჩვენს შემთხვევაში საქართველოს) მოქალაქეთათვის მტრის დამარცხება სწორედ აღნიშნულ თარიღთან ასოცირდება.

როგორც უკვე აღინიშნა, თავდაპირველად იყო „დროში სხვაობით" გამოწვეული სხვაობა. ევროპა 8 მაისს, ხოლო საბჭოთა კავშირი 9 მაისს აღნიშნავდა, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ 9 მაისმა შეიძინა ჯერ საბჭოთა კავშირის, შემდგომ კი რუსეთის ფედერაციის იდეოლოგიური დასაყრდენის მნიშვნელობა. 9 მაისი რუსეთმა „დაამახინჯა" და იყენებს შემდეგნაირად:

ა) საბჭოთა კავშირის აღდგენის პროპაგანდა;

ბ) რუსეთის ძლიერების პროპაგანდა;

ამ პროპაგანდის ნაწილია რამდენიმე წლის წინ დაარსებული „უკვდავი პოლკიც".

9 მაისის აღნიშვნის შემადგენელი ნაწილია „უკვდავი პოლკის" მსვლელობა. ორგანიზაცია 2012 წელს დაარსდა მისი წევრები თავდაპირველად ომში დაღუპული ნათესავების სურათებით გამოდიოდნენ სხვადასხვა ქალაქის ქუჩებში, რითაც მათთდამი პატივისცემის გამოხატვას ცდილობდნენ. თუმცა მალევე ორგანიზაცია სრულად კრემლის გავლენის ქვეშ მოექცა. მსვლელობას ყოველთვის ესწრებიან რუსეთის მაღალი თანამდებობის პირები და პირადად ვლადიმერ პუტინი.

ორგანიზაციის სიმბოლო წმინდა გიორგის ლენტია - მას რუსეთში ხშირად იყენებენ ხელისუფლების მიერ დაფინანსებულ სხვადასხვა ღონისძიებაზე, გამარჯვების აღლუმებზე, რუსეთის გარეთ კი, ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებისათვის ის კრემლის აგრესიული პოლიტიკის, დარღვეული სუვერენიტეტის უმთავრესი სიმბოლოა.

საქართველოში 2017 წლიდან იმართება „უკვდავი პოლკის" მსვლელობა. რამდენიმე წლის წინ იუსტიციის სამინისტრომ ის ოფიციალურად დაარეგისტრირა - „პატრიოტული საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოს უკვდავი პოლკი". აღნიშნული ორგანიზაციის მსვლელობა ხმაურის ფონზე მიმდინარეობს ხოლმე. მათ საპირისპიროდ გამოდიან მოქალაქეები, რომლებიც აპროტესტებენ რუსეთის ოკუპაციას და „უკვდავი პოლკის", როგორც ოკუპანტი ქვეყნის მიერ დაფინანსებული ორგანიზაციის, მისი პროპაგანდის ინსტრუმენტის მოქმედებას.

2021 წლის 9 მაისს გორში ტრადიციულად ხმაურით ჩაიარა გამარჯვების დღის აღნიშვნამ. საზოგადოების განხილვის თემად იქცა სტალინის მუზეუმში საბჭოთა სიმბოლიკებით მისული მოქალაქეების, მოძრაობა „სტალინელების" წევრების განცხადება სტალინის და საბჭოთა კავშირის შესახებ და იმასთან დაკავშირებით, რომ „ეს არის ბელადი, რომელმაც ჩვენ მოგვიტანა მშვიდობა და გამარჯვება ფაშიზმზე". ამავე მოძრაობის ერთ-ერთი წევრის განცხადებით კი „დამპყრობელ ორგანიზაციაში გვეპატიჟებიან, რომელსაც ჰქვია ნატო".

2022 წლის 9 მაისს ტრადიციულად გორში სტალინისტები შეიკრიბნენ „გამარჯვების დღის" აღსანიშნავად, მათ შორის „ერთიანი კომუნისტური პარტიის" წევრები. მათთვის ფაშიზმის დამარცხება პირდაპირაა დაკავშირებული სტალინის სახელთან და „მის სიბრძნესთან". აღსანიშნავია, რომ შეკრებილებს თან ჰქონდათ ბანერი - „მოვითხოვთ! აღსდგეს დიპლომატური ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან!" ერთიანი კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის განცხადებით, 2010 წელს, სტალინის ძეგლის აღება სამარცხვინო და გორელების და მთელი საქართველოს შეურაცხყოფა იყო. მისივე თქმით, გორის მოსახლეობის დიდ ნაწილს სურს ბელადის ძეგლის დაბრუნება, ის ქალაქის მოსახლეობას მოუწოდებს მეტი აქტიურობისკენ (ტელეკომპანია სეზონი, 2022).

სტალინელები 2023 წლის 9 მაისსაც გორში, საბჭოთა ბელადის მუზეუმის ეზოში შეიკრიბნენ. ომში დაღუპულებს პატივი მიაგეს და ქალაქში, გამგეობის წინ ძეგლის დადგმა მოითხოვეს. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი ხელისუფლებას დაემუქრნენ. მათი თქმით, 2012 წლის შემდეგ მათგან „კოლოსალური რაოდენობის ხმა“ შევიდა „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ არჩევნებზე იმ იმედით, რომ „დანაპირებს შეასრულებდნენ და სტალინის ძეგლს აღადგენდნენ“, თუმცა პირობა არ შეასრულეს. შესაბამისად გორში შეკრებილები ამბობდნენ, რომ ისინი მომდევნო არჩევნებზე ხმას აღარ მისცემდნენ „ქართულ ოცნებას“. შეკრებილები გამოეხმაურნენ სტალინის ქუჩისთვის სახელის გადარქმევის ინიციატივას  და განაცხადეს, რომ „სტალინის ძეგლი რომ ჩუმად მოიპარეს, ეგ იმას არ ნიშნავს, რომ სტალინის ქუჩასაც ჩუმად გადაარქმევენ სახელს“. შეკრებილებმა შეასრულეს სტალინისადმი მიძღვნილი სიმღერები. მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს კი „გამოფხიზლებისკენ“ და მათთან შეერთებისკენ მოუწოდეს (Tv Dia, 2023).

## 4.7. სტალინის დაბადების დღე

სტალინთან დაკავშირებული ერთ-ერთი ხმაურიანი თარიღი მისი დაბადების დღეა - 21 დეკემბერი. ამ დღეს ტრადიციულად გორში მოქალაქეთა ნაწილი იკრიბება. სხვადასხვა მოთხოვნას შორის ძირითადი სტალინის ძეგლის დაბრუნებაა.

ხმაურიანი იყო 2021 წლის 21 დეკემბერი. სტალინის დაბადების დღის შეკრებიდან სურათი გავრცელდა („პრაიმ ტაიმი - Prime Time“, 2021), სადაც ჩანდა ერთ-ერთი მოქალაქე სტალინის, ჩერჩილის და ტრუმენის „ხატით“. როგორც სურათის აღწერიდან ვიგებთ, შეკრებილებმა ზემოთჩამოთვლილი სამეული „წმინდანებად“ გამოაცხადეს.

2022 წლის 21 დეკემბერს გორში სტალინისტებმა კვლავ აღნიშნეს საბჭოთა ბელადის დაბადების დღე. ისინი მოითხოვდნენ 21 დეკემბრის საზეიმო თარიღად - „სტალინობად“ გამოცხადებას და სტალინის ძეგლის დაბრუნებას ქალაქის ცენტრში. მათი ერთ-ერთი მოთხოვნა ასევე შეეხებოდა სტალინის მუზეუმის საკითხსაც. შეკრების მონაწილეები ითხოვდნენ მუზეუმის მათთვის გადაცემას და მისი შემოსავლების გორში დატოვებას. აღსანიშნავია ასევე, რომ შეკრების ერთ-ერთი მონაწილის განცხადებით, თუ სტალინის ძეგლი არ დაიდგმება, არც ის და არც სხვა სტალინელები, „ამ მთავრობას ხმას არ მისცემენ“. აქციის კიდევ ერთი მონაწილის

განცხადებით, „1952 წელს, ძეგლის გახსნას ესწრებოდა, იქიდან უყვარს სტალინი და საბჭოთა ბელადი კიდევ უფრო შეუყვარდა ძეგლის აღების შემდეგ“ (აფციაური, 2022).

სტალინის დაბადების დღე გორში 2023 წელსაც აღინიშნა. შეკრებილებმა აღებული ძეგლის დაბრუნება და რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა მოითხოვეს (ახალკაცი, 2023).

21 დეკემბერი 2024 წელსაც იზეიმეს გორში. შეკრებილებმა მიტინგი გამართეს სტალინის სახლ-მუზეუმთან, შემდეგ კი ყვავილები მიიტანეს ბელადის ძეგლთან. გააკეთეს განცხადება, რომელშიც გაკრიტიკებულია მმართველი პარტიის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა, მეორე მხრივ – „ხაზგასმულია პროფაშისტური რეჟიმის რესტავრაციის რეალური საფრთხეც“. შეკრებილთა სლოგანი იყო „არა კაპიტალიზმს! არა საქართველოს უკრაინიზაციას!“ (საქართველო და მსოფლიო, 2024).

სტალინის ძეგლის დადგმას ეწინააღმდეგებიან ადგილობრივი სამოქალაქო აქტივისტები. საინიციატივო ჯგუფ „მაროს“ წევრები მოითხოვენ სტალინის ქუჩას გორში მარო მაყაშვილის სახელი ეწოდოს. მათი კიდევ ერთი მოთხოვნა ასევე შეეხება ტოტალიტარიზმის სიმბოლოების აკრძალვას. სტალინის ძეგლი კი მათივე განცხადებით სწორედ ასეთ სიმბოლოს წარმოადგენს. აღსანიშნავია ასევე, როგორც აქტივისტები აცხადებენ უკვე რამდენიმე წელია, სახელმწიფო უწყებებისგან ისინი ითხოვენ ფაშისტური და ტოტალიტარული სიმბოლოების (ძეგლები, ბარელიეფები, ქუჩის სახელწოდებები...) აკრძალვას, თუმცა „რეაგირება არის ნული“.

აღსანიშნავია, რომ ყოველი წლის 21 დეკემბერს აქტიურდებიან სოციალურ ქსელებში კონკრეტული გვერდები თუ ჯგუფები, რომლებიც ღია სიმპათიას გამოხატავენ სტალინის მიმართ. 2024 წლის 21 დეკემბერს გვერდმა worldnews.ge (323 ათასი გამომწერით) გაავრცელა მოსკოვში, სტალინის საფლავთან გადაღებული კადრები („სტალინის დაბადების დღე!!! უწყვეტი რიგი სტალინის საფლავის პატივსაცემად მოსკოვში!!! "ფელდმარშალს რიგითზე არ ვცვლი"(სტალინი)), სადაც მოქალაქეები და მათ მიერ მიტანილი ყვავილებით შემკული სტალინის ძეგლი ჩანს[37]. გვერდი მომხმარებლებს აღნიშნული ვიდეოს გაზიარებისკენ მოუწოდებს.

[37] რუსეთში სტალინის პოპულარობას ადასტურებს 2024 წლის დეკემბერში მის დაბადების დღეზე ქალაქ ვოლოგდაში მისი ძეგლის გახსნა. ვოლოგდას გუბერნატორმა, რომელმაც ძეგლის გახსნა მოსახლეობის მოთხოვნით ახსნა, სტალინს ერთ-ერთი “ყველაზე გრანდიოზული და უდიდესი

## 4.8. სტალინი და მართლმადიდებლობა

საქართველოსა და რუსეთში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საერთო მითი სტალინის შესახებ მის რელიგიურობას უკავშირდება.

სტალინის რუსულ პოლიტიკაში დაბრუნება და მისდამი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის გამოყენებით ხდება - სტალინის დაკავშირება რელიგიასთან ხშირია რუსეთში. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ მართლმადიდებლური ეკლესია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დასაყრდენია რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის, ეკლესია და სახელმწიფო სტალინის, როგორც რელიგიური სიმბოლოს (სტალინის ხატიც კი შეიქმნა, რასაც ეკლესია ოფიციალურად არ აღიარებს) გამოყენებას ცდილობენ - ითვალისწინებენ სტალინის პოპულარობას საზოგადოების ნაწილში (იხ. ცხრილი #1).

რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში დროდადრო ისმის მოწოდებები სტალინის წმინდანად კურთხევის თაობაზე, თუმცა ამ საკითხზე საზოგადოების რეაქცია არაერთგვაროვანია. გარკვეული პერიოდულობით რუსეთში ჩნდება ხატები სტალინის გამოსახულებით. ერთ-ერთი მათგანი გამოხატავდა მატრონასა და სტალინის შეხვედრის სცენას. აღნიშნული ხატი 2008 წელს ლენინგრადის ოლქის ქალაქ სტრელნაში, ადგილობრივი ტაძრის წინამძღვარმა სალოცავად განათავსა, რასაც მოქალაქეების პროტესტი მოჰყვა. როგორც გამოცემა მიუთითებდა, ხატს ადგილი შეუცვალეს, თუმცა ტაძრიდან არ გაუტანიათ (ინტერპრესნიუსი, 2008). - ამავდროულად პეტერბურგის ეპარქიამ უარყო მატრონას და სტალინის შესაძლო შეხვედრა 1941 წელს.

2015 წლის 16 ივნისს, სარატოვში, ქალაქ ენგელსის ბირთვული ბომბდამშენების ავიაბაზაზე სტალინის ხატით ბომბდამშენები და ტანკები აკურთხეს. ხატზე სტალინი საბჭოთა კავშირის მარშლებთან ერთად იყო გამოსახული, ხატზევე იყო ღვთისმშობელი ყრმა იესოსთან ერთად. სტალინის ხატის დემონსტრაცია

---

ფიგურა" უწოდა რუსეთის ისტორიაში, "რომლის ხსოვნა უნდა შენარჩუნდეს, პატივი მიეგოს და შთამომავლების თაობიდან თაობას გადაეცეს" (tbilisifm 93.5, 2024).

პროხაროვკას ბრძოლისადმი[38] მიძღვნილ მემორიალთან იმავე წლის 28 მაისს გაიმართა (ტაბულა, 2015).

2016 წელს საქართველოში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში კერძო პირის მიერ წმინდა მატრონას სახელობის ტაძარი აიგო.

2024 წლის იანვარში ცნობილი გახდა, რომ თბილისის მთავარ საკათედრო ტაძარში განთავსდა მოსკოველი წმინდანის, მატრონას ხატი, რომელზეც გამოსახული იყო სტალინიც. აღნიშნულმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია საზოგადოებაში. ხატს ერთ-ერთმა აქტივისტმა საღებავი შეასხა; ხატი რესტავრაციის შემდეგ ტაძარში აღარ დაუბრუნებიათ (2025 წლის თებერვლის მდგომარეობით).

მატრონა მოსკოველი რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანადაა შერაცხული. ის სიცოცხლეშივე სასწაულმოქმედად და წინასწარმეტყველად აღიარეს. მასთან ადამიანები განსაკურნებლად და სულიერი რჩევების მისაღებად მიდიოდნენ. გავრცელებულია ამბავი იმის შესახებ, რომ მატრონასთან რჩევის მისაღებად მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სტალინიც იყო მისული და სწორედ მისგან მიღებული რჩევით შემოატარა მტრისგან გარშემორტყმულ მოსკოვს ყაზანის ღვთისმშობლის ხატი. მისივე რჩევით არ დატოვა დედაქალაქი, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში „გამარჯვება მას დარჩებოდა“.

მატრონა მოსკოველის ხატი, რომელზეც სტალინი იყო გამოსახული სამების ტაძარს პოლიტიკური პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, დავით თარხან-მოურავმა შესწირა. პარტია და აღნიშნული პოლიტიკოსი გამოირჩევა პრორუსული შეხედულებებით. ისინი საქართველოს ნეიტრალიტეტს ემხრობიან და ხშირად ხვდებიან რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს (ფორმულა, 2002). როგორც პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენლებმა განაცხადეს, მათ ხატის დაწერა რუსეთში შეუკვეთეს, თუმცა მათივე თქმით სტალინის ხატზე გამოსახვა არ ნიშნავს, რომ იგი დადებითად იყო გამოსახული და ლოცვის ობიექტი გახლდათ, ამის დასადასტურებლად კი წმინდა გიორგის ხატზე გველეშაპის (ეშმაკის) გამოსახვა მოიყვანეს.

აღნიშნულ ფაქტს გამოეხმაურა საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთნ ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, ანდრია ჯაღმაიძე, რომელმაც ხატის

---

[38] 1943 წლის ივლისში გერმანულ და საბჭოთა ძალებს შორის გამართული ბრძოლა კურსკში.

განთავსების გამო ატეხილი აჟიოტაჟი უსაფუძვლოდ მიიჩნია და განაცხადა, რომ სტალინის გამოსახვა ხატზე იმას არ ნიშნავს, რომ „ეს სტალინის ხატია“ და ის ლოცვის ობიექტია. მისივე თქმით, პერსონაჟები, რომლებიც ეკლესიისათვის უარყოფითად მიიჩნევიან ხშირად არიან გამოსახულნი ხატებზე (Civil Georgia, 2024)

სამებაში განთავსებული ხატის ფოტოების გავრცელებიდან მალევე, ერთერთმა სამოქალაქო აქტივისტმა ხატს ლურჯი საღებავი შეასხა და აღნიშნულის შესახებ სოციალურ სივრცეში განაცხადა, რასაც მისი მისამართით მუქარის შემცველი შეტყობინებები მოჰყვა. აღნიშნულის შესახებ პოლიციას ეცნობა. პრორუსული და ანტიდასავლური "კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს" წევრები სამოქალაქო აქტივისტის სახლთან პოლიციის კორდონს დაუპირისპირდნენ. ისინი ხელისუფლებას მოუწოდებდნენ დაესაჯათ აქტივისტის მკრეხელური ქმედებები. ამას მოჰყვა მმართველი პარტიის, "ქართული ოცნების" წარმომადგენელთა განცხადებები, რომლის თანახმადაც ისინი დააინიცირებდნენ "ცვლილებებს, რომელიც რელიგიური ნაგებობებისა და ნივთების შეურაცხყოფისთვისთვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გაამკაცრებდა" (საქართველოს პარლამენტი, 2024).

## 4.9. დისკუსია ცნობილი ადამიანების მიერ სტალინის ხსენების გამო

იოსებ სტალინის ხსენება რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ვნებათაღელვას იწვევს, დადასტურდა ქართველი სპორტსმენების, მერაბ დვალიშვილისა და გენო პეტრიაშვილთან დაკავშირებულ ეპიზოდებში, სტალინის შესახებ ორივე მათგანის მიერ გამოთქმული მოსაზრება განხილვის საგნად იქცა.

2024 წლის აგვისტოში სოციალურ ქსელში ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის, გენო პეტრიაშვილის ვიდეო გავრცელდა, სადაც ჩემპიონმა სტალინი "გორელების ხუთეულში" შეიყვანა. ვიდეოს გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოების ნაწილის მხრიდან. პოლიტიკოსმა გიორგი კანდელაკმა "სამარცხვინო ამბავი" უწოდა (Palitravideo.ge, 2024). აღსანიშნავია, რომ გენო პეტრიაშვილის მშობლიური ქალაქი გორია.

აბსოლუტური საბრძოლო ჩემპიონატის (UFC) ქართველი ჩემპიონი, მერაბ დვალიშვილი 2024 წლის სექტემბერში ჯეიკ შილდის იუთუბ არხის სტუმარი იყო[39]. სხვადასხვა თემაზე საუბრის შემდეგ, მერაბმა გულშემატკივრის კითხვებსაც უპასუხა. ერთ-ერთი კითხვა სტალინს შეეხებოდა. ქართველ ჩემპიონს ჰკითხეს, თუ რას ფიქრობენ ქართველები სტალინის შესახებ. დვალიშვილის პასუხი და დამოკიდებულება სტალინის შესახებ საქართველოში განხილვის მნიშვნელოვან თემად იქცა სოციალურ ქსელებში. ვიდეო გააზიარეს სხვადასხვა გვერდზე; კომენტარების ავტორთა დიდი ნაწილი გულისწყრომას გამოხატავდა დვალიშვილის პოზიციის გამო, რომ "სტალინი ხალხს ხოცავდა, ის დიქტატორი იყო და ჩვენ გვძულს ის". გულშემატკივართა გარკვეული ნაწილი წერდა, რომ "დვალიშვილს უფლება არ აქვს სტალინი ასე მოიხსენიოს" და რომ "დვალიშვილმა ამ განაცხადით ხაზი გადაუსვა საკუთარ სპორტულ მიღწევებს".

აღსანიშნავია, რომ დვალიშვილის ვიდეო ვირუსულად ვრცელდებოდა რამდენიმე დღის განმავლობაში სოციალურ ქსელში როგორც სპორტული, ისე სხვადასხვა საინფორმაციო გვერდის მიერ. აღნიშნული გვერდების მომხმარებლები საკმაოდ აქტიურად ეხმაურებოდნენ დვალიშვილის პოზიციას და გამოთქმული კომენტარების უმრავლესობაში მას აკრიტიკებდნენ დაფიქსირებული აზრის გამო. იგივეს ვერ ვიტყვით პეტრიაშვილის ვიდეოზე - შესაძლებელია ითქვას, რომ ოლიმპიური ჩემპიონის პოზიცია ძირითადად სპორტული გვერდების საშუალებით გახდა ცნობილი საზოგადოებისთვის და არც აქტიური განხილვის საგნად ქცეულა მოსახლეობის მხრიდან.

განსხვავებული გამოხმაურება ორი ჩემპიონის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ საქართველოში საზოგადოების გარკვეულ ნაწილი ეჭვქვეშ არ აყენებს იმას, რომ სტალინი ყველაზე ცნობილი გორელია და ამ პოზიციის დაფიქსირებისთვის პეტრიაშვილის მიმართ კრიტიკა ნაკლებია; რაც შეეხება დვალიშვილს, მისი მოსაზრების გამო სოციალური ქსელის მომხმარებელთა უმრავლესობის კრიტიკული რეაქციებიდან გამომდინარე, საქართველოში სტალინის უარყოფითად მოხსენიება, გარკვეულწილად კვლავაც პრობლემური საკითხია.

---

[39] Jake Shield's Fight Back Podcast. (Sep 22, 2024). *The Man Who Dethroned Sean O'Malley | Merab Dvalishvili | Fight Back Ep. 11*
https://www.youtube.com/watch?v=60kHrerzvxk

# თავი V. ისტორიის სახელმძღვანელოები - სტალინზე მითების დაძლევის ერთ-ერთი გზა

სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოს, როგორც კოლექტიური მეხსიერების ფორმირებაში მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, დიდი როლი აქვს ახალგაზრდების ეროვნული თუ კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებაში. სახელმძღვანელოები, მასში მოცემული ინფორმაციის შესაბამისად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს რომელიმე სახელმწიფოს მომავალი განვითარების, მიზნების თუ პოლიტიკური ორიენტაციის წარმოსაჩენად. რეალური ისტორიის გაცნობა მნიშვნელოვანია, რადგან სწორი ინფორმაციის მიწოდებით მან მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს მოსწავლის მსოფლმხედველობის ფორმირებაში. სკოლაში ისტორიის სახელმძღვანელოებიდან მიღებული ინფორმაცია მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ახალგაზრდის დამოკიდებულებას მისი ქვეყნის არამხოლოდ წარსულის, არამედ მიმდინარე და მომავალი მოვლენების შესახებ. საბჭოთა პერიოდში მოსკოვიდან ნაკარნახევი ისტორიის სწავლის/სწავლების შემდეგ, საინტერესოა, დამოუკიდებელ საქართველოში გამოცემული სახელმძღვანელოები როგორ ასახავს რეალურ წარსულს და რა ინფორმაციას აწვდის მოსწავლეებს.

საბჭოთა საქართველოში ისტორია, როგორც სასკოლო საგანი გაუქმებულ იქნა 1922 წელს, იმ მიზეზით, რომ როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები ხსნიდნენ, „ისტორიის შესწავლა იქნებოდა მნიშვნელოვანი დაბრკოლება მშრომელი მასებისთვის სოციალიზმის მშენებლობის გზაზე. 1920-იანი წლებიდან 1940-იან წლებამდე თაობები აღიზარდა საბჭოურ იდეოლოგიურ დოგმებზე, რომელთათვისაც საქართველო, როგორც სამშობლო არ არსებობდა“ (ვარდოსანიძე, 1998, გვ. 52). ხელისუფლება ცდილობდა ჭეშმარიტი ისტორიკოსების დევნის პარალელურად საბჭოთა დოგმებით გაჟღენთილი, ახალი შინაარსისა და სახელწოდების სახელმძღვანელოები შეედგინა, რომლებიც დაიკავებდა ნამდვილი ისტორიის ადგილს. ასე გაჩნდა 1920-იან წლებში კლასთა ბრძოლის ისტორიის სახელმძღვანელოები, რომლებიც ისტორიის მამოძრავებელ ძალად კლასთა ბრძოლას აცხადებდნენ.

მთავრობის 1934 წლის 16 მაისის დადგენილებით „სსრ კავშირის სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ“ ისტორია, როგორც საგანი აღდგა; მოსკოვსა და მოკავშირე რესპუბლიკებში შეიქმნა ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორთა კოლექტივები. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოზე მუშაობა დაიწყეს ივ. ჯავახიშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა, ს. ჯანაშიამ და გ. ხაჭაპურიძემ. სახელმძღვანელოს ხელნაწერს უნდა გაცნობოდნენ სტალინი, ჟდანოვი და კიროვი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში შეასწორებდნენ კიდეც მას. ამ შესწორებების მიზანი კი იყო ის, რომ სახელმძღვანელო მთავრობის სამსახურში ჩაეყენებინათ. მნიშვნელოვანია, რომ სახელმძღვანელოთა ავტორებს შემდეგი მიმართულებით უნდა ემუშავათ:

- შეესუსტებინათ საქართველოს ისტორიაში ქრისტიანული სარწმუნოების, საქართველოს ეკლესიის როლი და მნიშვნელობა;
- ქართველ ხალხს საუკუნეთა მანძილზე დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება არ ჰქონია. ის ან ირანისა და ოსმალეთის, ან კი იმპერიული რუსეთის ქვეშევრდომი იყო. ამ თვალსაზრისის მიზანი კი იყო, მოსწავლეებს ეფიქრათ, რომ 1918-1921 წლების საქართველოს დამოუკიდებლობა ანაქრონიზმი იყო;
- საქართველოს ისტორიული წარსულიდან უპირატესობა მიენიჭებინათ გაორებული, სადავო პიროვნებებისთვის, სამშობლოსა და სარწმუნოებისთვის თავდადებული გმირები კი ჩრდილში მოექციათ;
- მეზობელ ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობაში ყველაზე კეთილშობილ მეზობლად რუსეთის ჩვენება;
- XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავადაზნაურულ, რეაქციულ გამოსვლებად აღიარება.

ასეთი წნეხის ვითარებაში მუშაობდა ავტორთა კოლექტივი საქართველოს ისტორიის ახალ სასკოლო სახელმძღვანელოზე, რომლის სასიგნალო ეგზემპლარები სსრ კავშირში პირველად საქართველოში გამოიცა 1940 წელს, ხოლო დაიბეჭდა 1943 წელს გადამუშავებული სახით. დაბეჭდილ სახელმძღვანელოში ყველა ავტორის ნაშრომი შევიდა ხაჭაპურიძის გარდა, მისი სამუშაო ნაწილი, რომელიც მოიცავდა

XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიას, სახელმძღვანელოს საბოლოო ვერსიაში არ შესულა (ვარდოსანიძე, 1998, გვ. 52).

ისტორიის სახელმძღვანელოების კვლევისას გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზის მეთოდი და განხილულია საბჭოთა პერიოდში გამოსული 6 და პოსტსაბჭოთა პერიოდში გამოსული საქართველოს ისტორიის 17 სახელმძღვანელო, სადაც განხილულია მეოცე საუკუნე და სტალინის მოღვაწეობა. ანალიზის დროს გათვალისწინებულია წარმოდგენილი მასალის მოცულობა; შეფასებითი მხარე და ძირითადი დებულებები; ფოტო და დოკუმენტური მასალის არსებობა.

პოსტსაბჭოთა პერიოდში გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელოები შესაძლებელია დაჯგუფდეს სამ თაობად - საქართველოს ხელმძღვანელობის ცვლილების შესაბამისად: 1. ედუარდ შევარდნაძის მმართველობა („მოქალაქეთა კავშირი“ (1993 წლიდან) - 1992-2003); 2. მიხეილ სააკაშვილის მმართველობა („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 2003-2012); 3. ბიძინა ივანიშვილის მმართველობა („ქართული ოცნება“ - 2012 წლიდან).

**ცხრილი #5**

**პოსტსაბჭოთა ისტორიის სახელმძღვანელოების სამი თაობა**

| საქართველოს ხელმძღვანელობა | სახელმძღვანელო |
|---|---|
| ედუარდ შევარდნაძის მმართველობა - (1992-2003); | • ბოლოთაშვილი, 1998<br>• ვაჩნაძე & გურული, 2000<br>• ვაჩნაძე & გურული, 2002<br>• ლომაშვილი, 2002 |
| მიხეილ სააკაშვილის მმართველობა („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 2003-2012); | • ბოლოთაშვილი, კიღურაძე, მეძმარიაშვილი, 2004<br>• ვაჩნაძე & გურული, 2005<br>• ვაჩნაძე & გურული, 2006<br>• აბდალაძე, კუპატაძე...2008<br>• ახმეტელი, მურღულია, 2008<br>• მალაზონია, კვიტაშვილი, მალაზონია, 2008 |
| ბიძინა ივანიშვილის მმართველობა | • კიღურაძე, გაჩეჩილაძე, სანიკიძე, |

| | |
|---|---|
| („ქართული ოცნება“ - 2012 წლიდან). | 2012<br>• აბდალაძე, კუპატაძე...2012<br>• ჯანელიძე, თაბუაშვილი...2012<br>• ასათიანი, ლორთქიფანიძე...2012<br>• ახმეტელი, ლორთქიფანიძე, ფირცხალავა, 2020<br>• სურგულაძე, კეკელია...2021<br>• ახმეტელი, ლორთქიფანიძე, ფირცხალავა, 2021 |

კვლევაში შესწავლილ სახელმძღვანელოებში სტალინის მმართველობის და მის სახელთან დაკავშირებული თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ფაქტია მოცემული - მისი რევოლუციური საქმიანობა, საქართველოს გასაბჭოებაში მისი როლი, 1920-იან წლებში საქართველოში მიმდინარე ანტისაბჭოთა მოძრაობის განადგურებაში მონაწილეობა, დაწინაურება კომუნისტურ პარტიაში, რეალურ თუ პოტენციურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლა, საბჭოთა ეკონომიკაში გატარებული ცვლილებები, სტალინის პიროვნების კულტის ფორმირება, საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა, 1930-იანი წლების რეპრესიები, ტოტალიტარული სისტემის დამკვიდრება, საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომში, ომის შემდგომი მოვლენები, ცივი ომის დაწყება, სტალინის გარდაცვალების შემდგომი მოვლენები, დესტალინიზაციის პროცესი და აქედან გამომდინარე საქართველოში დაწყებული გამოსვლები (1956 წელს სტალინის კულტის დაგმობის და მასთან ერთად დაწყებული ანტიქართული კამპანიის საწინააღმდეგო მიტინგის სისხლში ჩახშობა) და ა.შ.

## 5.1. ისტორიის სახელმძღვანელოები დამოუკიდებელ საქართველოში

იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოთა პერიოდში „შესაბამისი“ ისტორიის სწავლება მიჩნეული იყო ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების გატარებისათვის, საჭიროა, მოკლედ შევეხოთ, დამოუკიდებელ საქართველოში განათლების სისტემაში გატარებულ რეფორმას, კონკრეტულად კი სახელმძღვანელოებთან დაკავშირებულ საკითხებს. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, საქართველოს ისტორია ცალკე საგნად

ისწავლებოდა როგორც საშუალო, ისე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, „საბჭოთა კავშირის ისტორიის" პარალელურად. საბჭოთა კავშირის დაშლის კვალდაკვალ რეალური ისტორიის გადმოცემის მცდელობის შედეგად, სახელმძღვანელოები გათავისუფლდა იდეოლოგიური წნეხისგან, გაქრა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ციტატები, გაჩნდა ინფორმაცია და დოკუმენტები საქართველოს პირველი რესპუბლიკის, 1920-იან წლებში ანტისაბჭოთა აჯანყებებისა და 1930-იანი წლების რეპრესიების შესახებ.

ისტორიის ნამდვილი ვერსიის დამკვიდრებას ხელს უწყობდნენ აგრეთვე ეროვნული მოძრაობის ლიდერები, რომლებიც საბჭოთა პერიოდში საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილისთვის ნაცნობ ანტისაბჭოთა ბრძოლის ისტორიაზე საჯარო მიტინგებზე საუბრობდნენ. მათ შორის ერთ-ერთი იყო 1920-იან წლებში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, რომელიც მალევე, ისტორიის სახელმძღვანელოებში გამოჩნდა, როგორც ეროვნული გმირი (Chikovani, 2013).

1997 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი განათლების შესახებ, რომელიც სისტემის გარდაქმნას და დასავლური განათლების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას, ასევე ეროვნული და სახელმწიფოებრივი აზროვნების გაძლიერებას ისახავდა მიზნად (ჭანტურია, ქადაგიძე და მელიქაძე, 2020). ის განსაზღვრავდა ისტორიის სწავლების პრინციპებსა და მიზნებს. აღინიშნებოდა, რომ სწავლების მიზანი არამხოლოდ ისტორიული ფაქტების ცოდნა, არამედ მოსწავლისათვის დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების განვითარება უნდა ყოფილიყო; ასევე სწავლება შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ქვეყნის დემოკრატიზაციასა და მის პოლიტიკურ ორიენტაციასთან. თუმცა, როგორც აღინიშნება, მნიშვნელოვანი განსხვავებები არ არის 1997 წლამდე და მის შემდგომ გამოცემული სახელმძღვანელოებს შორის (Chikovani, 2013).

ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, 2004 წელს, საქართველოს მთავრობის №84 დადგენილებით ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები დამტკიცდა, რომლის მიხედვითაც: „საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის" (ჭანტურია, ქადაგიძე

და მელიქაძე, 2020, გვ.63). 2005 წლიდან დაიწყო ეროვნული სასწავლო გეგმისა და მის საფუძველზე შექმნილი სახელმძღვანელოების დანერგვა და გამოცდა. 2011 წელს სახელმძღვანელოების გამოყენების ახალი კრიტერიუმები დაინერგა. სახელმძღვანელოები, რომლებიც არ იყო დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ, შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო როგორც დამატებითი მასალა, თუ ისინი ხელს უწყობდნენ ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევას. ისტორიის სწავლების მეთოდოლოგია ორიენტირებული გახდა მასალები განსხვავებული კუთხით წარმოედგინა, რაც ხელს შეუწყობდა მოსწავლეთათვის კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას და სტერეოტიპების დამსხვრევას; მხარდაჭერასა და პატივისცემას მოსწავლეთა მრავალფეროვანი ინტერესებისა და რელიგიური, ეთნიკური თუ სხვა ტიპის განსხვავებულობის მიუხედავად (Chikovani, 2013).

2012 წელს, ხელისუფლებაში “ქართული ოცნების” მოსვლის შემდეგ, ცვლილებები შეეხო 2011-2016 წლებში მოქმედ ეროვნულ სასწავლო გეგმას. “ქართული ოცნების” მთავარი დაპირება იყო განათლების “დეპოლიტიზება”. 2014 წელს მომზადდა „განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების“ პროექტი, რომელმაც მომავალი 10 წლიანი პერიოდისთვის განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების ვექტორები განსაზღვრა.

2017 წელს, მთავრობის დადგენილებით განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021 დამტკიცდა. გამომცემლობებისა და საავტორო ჯგუფების შექმნილი სახელმძღვანელო რომ სასწავლო მასალად იქცეს, გრიფირება უნდა გაიაროს. დღეისათვის საქართველოში ისტორია ისწავლება ორ საგნად: საქართველოსა და მსოფლიო ისტორიად, რაც ქმნის საჭიროებას, შედგეს მსოფლიოსა და საქართველოს ისტორიის ცალ-ცალკე სახელმძღვანელოები.

აღსანიშნავია, რომ “ქართული ოცნების” ხელისუფლების პირობებში გარკვეული სირთულეები უკავშირდებოდა სახელმძღვანელოთა გრიფირების წესს. სახელმძღვანელოების ავტორებისა და გამომცემლობების შეფასებით, სახელმძღვანელოების მომზადებისათვის განსაზღვრული ვადების სიმცირე, ასევე, საუკეთესო სახელმძღვანელოების გამოვლენის მიზნით, წიგნების შერჩევის

პროცედურაში სკოლებისა და მასწავლებლების ჩართულობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა (ჭანტურია, ქადაგიძე და მელიქაძე, 2020).

სანამ დამოუკიდებელ საქართველოში გამოცემულ სახელმძღვანელოებში სტალინსა და მასთან დაკავშირებულ პერიოდზე მოცემულ ფაქტებს განვიხილავთ, მოკლედ შევეხები 1961 წელს გამოცემულ ორ სახელმძღვანელოში მოცემულ ცნობებს სტალინის შესახებ. (გუჩუა & მესხია, 1961; საქართველოს ისტორია ბერძენიშვილის რედაქციით, 1961). აღსანიშნავია, რომ ორივე სახელმძღვანელოში სტალინის შესახებ ცნობები მწირია, თუმცა გამოქვეყნების პერიოდის გათვალისწინებით (დესტალინიზაციის პოლიტიკა 1956 წლიდან) ეს გასაგებია. ამავე დროს გუჩუასა და მესხიას ავტორობით გამოცემული სახელმძღვანელოსაგან განსხვავებით, ბერძენიშვილის რედაქტორობით გამოცემულ სახელმძღვანელოში უფრო მეტჯერ არის ნახსენები სტალინი და მისი სურათიცაა მოცემული (საქართველოს ისტორია, 1961. ჩანართი გვ. 300-301 შორის). ორივე წიგნში სტალინზე საუბარია საქართველოს გასაბჭოების და მეორე მსოფლიო ომის განხილვისას. სერგო ორჯონიკიძის დეპეშის (საქართველოს გასაბჭოების ცნობა) ადრესატი ლენინთან ერთად სტალინიცაა; აგრეთვე, ომის პერიოდში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელად სტალინის დანიშვნის შესახებ ცნობას ორივე სახელმძღვანელო გვაწვდის. ბერძენიშვილის რედაქტორობით გამოცემული სახელმძღვანელო სტალინის რევოლუციურ საქმიანობაზეც ამახვილებს ყურადღებას ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროინდელ საქართველოში და მას ერთ-ერთ ლიდერად მოიხსენიებს საქართველოში მოქმედ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში. ორივე სახელმძღვანელო სტალინის მმართველობის პერიოდის ძირითადი მოვლენების განხილვისას მიღწეულ წარმატებებს "კომუნისტურ პარტიასა და მთავრობას" უკავშირებს და იშვიათად ახსენებს იოსებ სტალინს. აღსანიშნავია, რომ გუჩუასა და მესხიას ნაშრომისაგან განსხვავებით ბერძენიშვილის რედაქციით გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია სტალინის გარდაცვალებაზე, თუმცა იგი მოხსენიებულია არა როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ლიდერი, არამედ "დიდი მარქსისტ-ლენინელი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე" (საქართველოს ისტორია, 1961, გვ. 401).

საბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელოებისაგან განსხვავებით, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიის სახელმძღვანელოებში სტალინის მმართველობის პერიოდში საქართველოსა და ზოგადად საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენები პირდაპირ მის სახელთანაა დაკავშირებული და იგი საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის შემქმნელად მოიხსენიება.

იმის მიუხედავად, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დღემდე, საქართველოს ხელისუფლების პირველი პირების პოზიცია, ისევე, როგორც სახელმწიფო პოლიტიკა სტალინისადმი განსხვავებულია ერთმანეთისაგან, შეიძლება ითქვას, რომ ეს არ ასახულა მათი მმართველობის პერიოდში გამოცემულ სახელმძღვანელოებზე.

ედუარდ შევარდნაძე ითვალისწინებდა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების პოზიტიურ დამოკიდებულებას სტალინისადმი, ვინაიდან მისი მმართველობის პერიოდში ვეტერანები და მათ ოჯახის წევრები მნიშვნელოვან ელექტრორალურ რესურსს წარმოადგენდნენ. ფაშიზმის დამარცხების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, შევარდნაძე გორში ჩავიდა და პატივი მიაგო იოსებ სტალინის ხსოვნას. პრეზიდენტის ამ ნაბიჯს დიდი გამოხმაურება მოჰყვა ქართულ საზოგადოებაში (გამცემლიძე, 2019). აღსანიშნავია, რომ 2006 წელს გივი ბერძენიშვილის მიერ გამოცემული წიგნის "სტალინი: პერმანენტული გამარჯვებების ღმერთი: (ნამდვილი ბიოგრაფია)" რედაქტორად, გამომცემლად და წინასიტყვაობის ავტორად სწორედ ედუარდ შევარდნაძეა მითითებული (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა).

მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობისას, განსაკუთრებით კი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, გამკაცრდა პოლიტიკა როგორც კონკრეტულად სტალინის, ისე ზოგადად საბჭოთა სიმბოლოების მიმართ. ამ პოლიტიკის ყველაზე მკაფიო გამოხატულება 2010 წელს გორში სტალინის ძეგლის აღება იყო. 2011 წლის 31 მაისს კი საქართველოს პარლამენტმა მიიღო „თავისუფლების ქარტია", რომლის ერთ-ერთ მიზანს კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება და კომუნისტური/ფაშისტური სიმბოლიკის, მათ შორის ძეგლების აღმოფხვრა

წარმოადგენს. კანონმა კომუნისტური სიმბოლიკის გამოყენება საჯარო სივრცეში დასჯადი გახადა.

2012 წელს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ხელისუფლების დამოკიდებულება უფრო „ლიბერალური“ გახდა და ადგილობრივ დონეზე აღარ ებრძოდნენ რიგითი მოქალაქეების მიერ სტალინის მიმართ „პოზიტიური დამოკიდებულების“ გამოხატვას; დაიწყო სტალინის ბიუსტების აღდგენა სოფლებში ომის ვეტერანთა მემორიალებთან. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე შემთხვევაში ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა ძეგლები აიღეს, თუმცა ვერ(არ) ხერხდება 2011 წელს მიღებული კანონის უფრო ეფექტური აღსრულება. აღსანიშნავია, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საქართველოში სტალინის 10-მდე ძეგლი დაიდგა, თუმცა „ქართული ოცნება“ უარს ამბობს სტალინის მშობლიურ ქალაქ გორში, მუზეუმის ტერიტორიაზე 2010 წელს ქალაქის ცენტრში აღებული ძეგლის აღდგენაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, დამოუკიდებელ საქართველოში ხელისუფლებისა და მისი წარმომადგენლების პოზიციების ცვლილების, განსხვავებული სახელმწიფო პოლიტიკის გატარების მიუხედავად, სახელმძღვანელოებში სტალინისადმი დამოკიდებულება ძირითადად უცვლელია.

წინამდებარე თავში მოცემულია როგორც სახელმძღვანელოებში გადმოცემული მოვლენები, სახელმძღვანელოთა ავტორების შეფასებები ზოგადად სტალინის მმართველობის შესახებ, აგრეთვე კონკრეტული ინფორმაცია, რომელსაც შეუძლია გააბათილოს ბეჭდურ თუ სოციალურ მედიაში გავრცელებული კონკრეტული მითები და რომელთაც მოსწავლეებს სახელმძღვანელოები აწვდის.

## 5.2. სტალინის როლის გაშუქება საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარებაში

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს ისტორიის პოსტსაბჭოთა სახელმძღვანელოებში სწორად არის წარმოდგენილი 1921 წელს რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესია საქართველოს წინააღმდეგ და მისი შედეგები. თუმცა ყველა სახელმძღვანელოში არ არის გამოკვეთილი სტალინის როლი ამ საქმეში, რაც გარკვეულწილად ხელს უწყობს სტალინზე არსებული მითების შენარჩუნებას. ბოლო

წლების უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებს რაც შეეხება, შეიძლება ითქვას, რომ სტალინისა და სერგო ორჯონიკიძის როლი საქართველოს გასაბჭოების საქმეში მკაფიოდ არის გამოკვეთილი.

როგორც უკვე ითქვა, საქართველოში განსაკუთრებით პოპულარულია ორი სახის მითები სტალინის შესახებ. ერთი - სტალინი დიდი პოლიტიკოსი, რომელიც იღვწოდა საბჭოთა კავშირის და შესაბამისად, რუსეთის საკეთილდღეოდ და მეორე - სტალინი, საქართველოზე მზრუნველი, რომელმაც ბევრი კარგი რამ გააკეთა საქართველოსთვის.

სწორედ ამ მეორე ტიპის მითებს აქვთ განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოში სტალინის პოზიტიური იმიჯის შესანარჩუნებლად. სტალინის, როგორც „კარგი ქართველის“ მითოლოგიაში ერთ-ერთი „სუსტი ადგილი“ 1921 წელს საქართველოში წითელი არმიის შემოჭრა და იძულებითი გასაბჭოებაა.

სტალინის მითოლოგიაში ამ ბრალდებებიდან ორგვარ გამოსავალს პოულობენ. 1) 1918-1921 წლებში საქართველოს „ნამდვილი დამოუკიდებლობა“ არ ჰქონია. ეს „დებულება“ საბჭოთა პერიოდიდან მომდინარეობს და დღეს ამაში ძნელია, ვინმე დააჯერო; 2) საქართველოს გასაბჭოება ლენინმა გადაწყვიტა და სტალინი 1921 წელს განვითარებულ მოვლენებში დამნაშავე არ არის. ეს მეორე დებულებაც, თუკი დღეს ცნობილ დოკუმენტებს გავითვალისწინებთ, სიმართლეს არ შეესაბამება.

<u>საბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელოები.</u> საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საბჭოთა პერიოდში ადგილობრივი აჯანყების შედეგად წარმოადგენდნენ, რომელსაც რუსეთის წითელი არმია დაეხმარა და არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ მომზადდა საქართველოზე თავდასხმა. ბუნებრივია, სტალინის როლზე ამ თავდასხმაში არაფერი იყო ნათქვამი, მხოლოდ ნახსენები იყო თბილისში წითელი არმიის შესვლასთან დაკავშირებით ს. ორჯონიკიძის მიერ ლენინისა და სტალინისათვის გაგზავნილი დეპეშა. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში ნ. ბერძენიშვილის რედაქციით აღნიშნულია:

„აჯანყებულთა რაზმების და საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თხოვნით დასახმარებლად მოსული წითელი არმიის ნაწილები 1921 წლის 25

თებერვალს შემოვიდნენ საქართველოს დედაქალაქში. ამასთან დაკავშირებით ს. ორჯონიკიძემ ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს გაუგზავნა დეპეშა: „თბილისის თავზე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“. (საქართველოს ისტორია, 1961).

ორჯონიკიძის დეპეშა გაქრა საქართველოს ისტორიის მომდევნო საბჭოურ სახელმძღვანელოში შ. მესხიას და ვ. გუჩუას რედაქტორობით. ამის მიზეზი სავარაუდოდ ხრუშჩოვის მიერ დაწყებული „დესტალინიზაცია“ იყო და ორჯონიკიძის დეპეშაში ლენინის გვერდით სტალინის დაყენება პოლიტიკურად „მიზანშეუწონელი“ გახდა. ახალ სახელმძღვანელოში მოკლედ იყო ნათქვამი: „1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მშრომელებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და საბჭოთა რუსეთის დახმარებით, დაამხეს მემამულეებისა და ბურჟუაზიის ბატონობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება“ (მესხია & გუჩუა, 1968, გვ. 254).

<u>პოსტსაბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელოები.</u> პოსტსაბჭოთა პერიოდში, როდესაც უკვე ცნობილი იყო 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის რეალური ისტორია, სახელმძღვანელოებში გაჩნდა ფაქტები ამ პროცესში სტალინის მონაწილეობის შესახებ.

ორჯონიკიძის დეპეშა „დაბრუნდა“ პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში.

ავტორთა კოლექტივის მიერ დაწერილ საქართველოს ისტორიის მე-9 კლასის 2012 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში სერგო ორჯონიკიძის დეპეშა სტალინისთვის წარმოდგენილი არაა, სამაგიეროდ მოტანილია ზემოთნახსენები ნაწყვეტი სტალინის 1921 წლის 28 იანვრის დეპეშიდან სერგო ორჯონიკიძისადმი: „ცეკამ მიიღო გადაწყვეტილება გასწიოს მოსამზადებელი მუშაობა იმ ვარაუდით, რომ შესაძლოა საჭირო შეიქნას სამხედრო ჩარევა და საქართველოს ოკუპაცია“[40] (ასათიანი და სხვ., 2012. გვ. 379).

2000-იანი წლების საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები ვ. გურულისა და მ. ვაჩნაძის ავტორობითაა გამოსული. მერაბ ვაჩნაძის და ვახტანგ გურულის მე-9 კლასის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში აღნიშნულია: „მოსკოვში

[40]ასევე ნაწყვეტი სტალინის 1921 წლის 16 თებერვლის დეპეშიდან სერგო ორჯონიკიძისადმი: „...ახლავე შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი...“.

საქართველოს დაპყრობის საქმეს კოორდინაციას უწევდა და აჩქარებდა საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ავტორიტეტული მოღვაწე, რუსეთის ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარი (მინისტრი) იოსებ სტალინი" (ვაჩნაძე & გურული, 2000, გვ. 137). იგივე ჩანაწერია ამავე ავტორების მიერ 2005 წელს გამოქვეყნებულ საქართველოს ისტორიის IX კლასის სახელმძღვანელოში (ვაჩნაძე & გურული, 2005, გვ. 100).

ამავე ავტორების მე-11 კლასის სახელმძღვანელოში საქართველოს ოკუპაციის მომზადების საქმეში სტალინის როლის შესახებ მხოლოდ შემდეგია ნათქვამი: „იოსებ სტალინმა სერგო ორჯონიკიძეს აცნობა, რომ მე-11 არმიას დაუყოვნებლივ უნდა დაეკავებინა თბილისი. ყოველივე ეს უაღრესად საიდუმლოდ ხდებოდა" (ვაჩნაძე & გურული, 2002, გვ. 118).

ფარნაოზ ლომაშვილის 2002 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში (ლომაშვილი, 2002), ერთი თავი ეთმობა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას. სხვა ბოლშევიკებთან ერთად ყურადღება გამახვილებულია სტალინსა და მის როლზე საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარებაში. ავტორი დოკუმენტურად ცდილობს მოსწავლეებს მომავალი ბელადის, როგორც ერთ-ერთი ხელმძღვანელის როლი დაანახოს საქართველოს გასაბჭოების საქმეში. „იოსებ სტალინი ფიქრობდა, რომ საქართველოს დაპყრობისათვის საერთაშორისო პირობები უკვე მომწიფებული იყო 1920 წლის ოქტომბერ-ნოემბრისათვის" (ლომაშვილი, 2002, გვ. 53). ავტორი აღნიშნავს, რომ სტალინი გადაჭრით მოითხოვდა წითელი არმიის გადასროლას ბაქოში, საიდანაც მარტივი იქნებოდა სომხეთისა და საქართველოს დაპყრობა. თუმცა ვიცით, რომ 1920 წელს ეს ვერ მოახერხეს. თუმცა მალევე, მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა გაუმჯობესდა, ამ საკითხს კვლავ მიუბრუნდნენ. სახელმძღვანელოში საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის, გიორგი ჩიჩერინის სიტყვებია მოყვანილი - „საქართველო ისე გათავხედდა", რომ საჭიროა მისი სამხედრო ჩარევით გასაბჭოებაო. ჩიჩერინს ეთანხმებოდა სტალინი და ამის დასადასტურებლად სახელმძღვანელოში მისი წერილია მოტანილი, რომელშიც რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებს მიმართავს: - „წინადადებას გაძლევთ, მოიწონოთ ამხ. ჩიჩერინის ხაზი საქართველოს საკითხზე" (გვ. 56). ამავე საკითხის

გაგრძელებაა წიგნში მოხმობილი სტალინის ორი დეპეშა, მიმართული სერგო ორჯონიკიძისადმი, მათ შორის ცნობილი „ახლავე შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი" (გვ. 56). სტალინის როლის გამოკვეთას საქართველოს გასაბჭოებაში ავტორი კიდევ ერთხელ უბრუნდება უკვე ქართველ ბოლშევიკთა, ე.წ. „ნაციონალ-უკლონისტთა" შესახებ საუბრისას - „ეს სწორედ ის ქართველი ბოლშევიკ-კომუნისტები იყვნენ, რომლებიც სერგო ორჯონიკიძესთან ერთად წინ მიუძღოდნენ ლენინისა და სტალინის მიერ საქართველოს დასაპყრობად გამოგზავნილ წითელ არმიას" (ლომაშვილი, 2002, გვ. 60).

2012 წელს დამტკიცებულ მე-12 კლასის ისტორიის სახელმძღვანელოში ავტორები საქართველოს გასაბჭოებას შემდეგნაირად აღწერენ: „1921 წლის 12 თებერვალს „აჯანყება" დაიწყო,... 1921 წლის 15 თებერვალს სტალინმა ორჯონიკიძეს მოსკოვიდან აცნობა, რომ XI არმიას სასწრაფოდ უნდა დაეკავებინა თბილისი. აქვე მოყვანილია ორჯონიკიძის ცნობილი დეპეშა სტალინისადმი - „თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს" (აბდალაძე და სხვ., 2012, გვ. 150-153).

ასევე 2012 წელს, სულაკაურის გამომცემლობის მიერ გამოცემულ მე-12 კლასის სახელმძღვანელოში საქართველოს გასაბჭოების შესახებ საუბრისას არაა კონკრეტული პიროვნების (ინიციატორის ან აღმსრულებლის) როლი გამოკვეთილი. ავტორები მხოლოდ ახსენებენ საქართველოს რევკომის წევრებს, უკვე გასაბჭოებულ საქართველოში კი სერგო ორჯონიკიძის მმართველობაზე აკეთებენ აქცენტს - „იძულებით გასაბჭოებულ საქართველოში, რეალურ ძალაუფლებას წარმოადგენდა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკთა) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო, რომელსაც სერგო ორჯონიკიძე თავმჯდომარეობდა" (კიღურაძე, გაჩეჩილაძე & სანიკიძე, 2012, გვ. 133). ამავე სახელმძღვანელოში საბჭოთა კავშირის შექმნის შესახებ საუბრისას ავტორები აგრეთვე ეხებიან საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარებას; ახსენებენ სტალინს და შემდეგს წერენ: „სამოქალაქო ომის დროსვე რუსეთმა დაიწყო დაბრუნება კავკასიაში, რაც დაასრულა საქართველოს დაპყრობით 1921 წელს: აქ აქტიურობდა ლენინის კიდევ ერთი თანამებრძოლი - ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი). (კიღურაძე, გაჩეჩილაძე & სანიკიძე, 2012, გვ. 143).

კიდევ ერთი სახელმძღვანელო, რომელიც საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას მიმოიხილავს 2012 წელს გამოცემული საქართველოს ისტორიის მე-9 კლასის წიგნია (ჯანელიძე და სხვ., 2012). კონკრეტულად სტალინის როლის შესახებ არაფერია ნათქვამი საქართველოს გასაბჭოების საკითხის განხილვისას.

საქართველოს ისტორიის პოსტსაბჭოთა სახელმძღვანელოებში სწორად არის წარმოდგენილი 1921 წელს რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესია საქართველოს წინააღმდეგ და მისი შედეგები. თუმცა ყველა სახელმძღვანელოში არ არის გამოკვეთილი სტალინის როლი ამ საქმეში. ეს გარკვეულწილად ხელს უწყობს სტალინის შესახებ მითების შენარჩუნებას. კარგი იქნებოდა, რომ ყველა სახელმძღვანელოში მკაფიოდ იყოს წარმოჩენილი სტალინის პირადი როლი 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის მომზადებასა და განხორციელებაში.

სტალინისა და ორჯონიკიძის როლი საქართველოს გასაბჭოების საქმეში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ბოლო წლებში უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებში. უჩა ბლუაშვილი ცდილობს ახსნას „სტალინისა და ორჯონიკიძის, საერთოდ ქართველი ბოლშევიკების მოჭარბებული გულმოდგინება საქართველოში რაც შეიძლება სწრაფად გასაბჭოებისაკენ“. ერთი მხრივ, მათ სჯეროდათ, რომ „კარგ საქმეს აკეთებდნენ“, მეორე მხრივ კი, როგორც ბლუაშვილი აღნიშნავს, „მათ, როგორც რუსეთში მოღვაწე არარუსებს, სხვა გზა არ ჰქონდათ. ეროვნულ საკითხში სულ ოდნავი მერყეობის შემთხვევაშიც, მათ მაშინვე დაადანაშაულებდნენ ადგილობრივ ნაციონალიზმში, რაც მათი კარიერისთვის (იქნებ სიცოცხლისთვისაც) შესაძლოა, საბედისწეროც ყოფილიყო. რუსეთის შემადგენლობაში გასაბჭოებული საქართველოს ყოფნა კი ამ საშიშროებას საგრძნობლად ამცირებდა“ (ბლუაშვილი, 2016).

სკოლის კიდევ ერთ ახალ სახელმძღვანელოში ხაზგასმულია ეროვნებით ქართველი ბოლშევიკების დაინტერესება საქართველოს საბჭოთა ოკუპაციით: „რუს კომუნისტ ლიდერებზე მეტად, საქართველოს ოკუპაციის განხორციელებაში ქართველი ბოლშევიკები იოსებ სტალინი, სერგო ორჯონიკიძე და ფილიპე მახარაძე აქტიურობდნენ“ (სურგულაძე და სხვ.,, 2021, გვ.205/37) იხ. (ორჯონიკიძე, 2021).

## 5.3. სტალინის როლის გაშუქება საბჭოთა კავშირის შექმნასთან დაკავშირებით

2012 წლის სახელმძღვანელოში, რომელიც მე-12 კლასისთვისაა განკუთვნილი, ცალკე ქვეთავია სახელწოდებით - „საბჭოთა ტოტალიტარიზმი - სტალინიზმი“ (კიღურაძე, გაჩეჩილაძე & სანიკიძე, 2012, გვ. 143-148). თავი დაყოფილია საკითხებად და ერთ-ერთი თემა საბჭოთა კავშირის შექმნაა.

აღნიშნულ ქვეთავში ავტორები ყურადღებას რამდენიმე საკითხზე ამახვილებენ, სადაც პირდაპირ გამოკვეთენ სტალინის როლს. ერთ-ერთია რუსეთის კავკასიაში დაბრუნება, „რაც დასრულდა საქართველოს დაპყობით 1921 წელს: აქ აქტიურობდა ლენინის კიდევ ერთი თანამებრძოლი - ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი)“(კიღურაძე, გაჩეჩილაძე & სანიკიძე, 2012, გვ. 143).

ფარნაოზ ლომაშვილის ავტორობით 2002 წელს გამოცემულ XI კლასის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში ავტორი სანამ სსრკ შექმნას განიხილავს, მანამდე აღწერს ბოლშევიკთა თვალსაზრისს გასაბჭოებული ტერიტორიების მოწყობასთან დაკავშირებით. მათ შორისაა სტალინისა და ლენინის გეგმები. სტალინის „საბჭოთა რესპუბლიკების ავტონომიზაციის გეგმის“ შესახებ საუბარი სახელმძღვანელოში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით იწყება, სპეციალური კომისიის შექმნით სტალინის ხელმძღვანელობით, რომელსაც უნდა მოემზადებინა საკითხი „დამოუკიდებელ რესპუბლიკებთან რსფსრ ურთიერთდამოკიდებულების შესახებ“. სწორედ ამ კომისიამ შეადგინა „ავტონომიზაციის“ გეგმა, რომელიც უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რსფსრ შემადგენლობაში შესვლას ითვალისწინებდა ავტონომიური ერთეულების სტატუსით და რომელიც სახელმძღვანელოს ავტორის შეფასებით „აშკარად იმპერიულ ხასიათს ატარებდა“ (ლომაშვილი, 2002, გვ. 59).

საბჭოთა კავშირის შექმნას კიდევ ერთი, 2021 წელს გამოცემული IX კლასის საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია წარმოგვიდგენს. სსრკ-ში რელიგიასა და კომუნიზმის რწმენასთან დაკავშირებით საუბრისას კი ავტორები აღნიშნავენ, რომ „საბჭოთა ქვეყნის ხელისუფლება ადამიანებისგან მოითხოვდა, თავიანთი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები უარეყოთ და კომუნისტური იდეალები ეწამათ, ხოლო ურყევ ავტორიტეტებად კომუნისტური პარტიის ბელადები ეღიარებინათ.

ასეთი ბელადები ჯერ ლენინი და სტალინი (1924-დან 1953 წლამდე) იყვნენ, 1953 წელს სტალინის გარდაცვალების შემდეგ კი - მხოლოდ ლენინი (სურგულაძე და სხვ., 2021, გვ. 211/43).

საბჭოთა კავშირის შექმნის შესახებ საუბრისას 2004 წელს გამოცემული IX კლასის უახლესი ისტორიის სახელმძღვანელოს ავტორები (ზოლოთაშვილი, კიღურაძე და მეძმარიაშვილი, 2004) ხაზს უსვამენ შემდეგ გარემოებას: „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი:

- არ იყო საბჭოთა, რადგან საბჭოები მხოლოდ ადასტურებდნენ ბოლშევიკების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.
- არ იყო სოციალისტური, რადგან სისხლიან სოციალისტურ ბოლშევიკურ სოციალიზმს არაფერი საერთო არ ჰქონდა სოციალისტების მიერ აღიარებულ ჰუმანურ სოციალიზმთან
- არ იყო რესპუბლიკური, რადგან რესპუბლიკა წარმოდგება ორი ლათინური სიტყვისაგან რეს-საქმე და პუბლიკა-ხალხი, ბოლშევიკებმა კი სახალხო საქმე თავის დანაშაულებრივ თეორიასა და პრაქტიკას შესწირეს.
- არ იყო კავშირი, რადგან ბოლშევიკების მიერ შექმნილი სახელმწიფო იყო ცენტრალიზებული, უნიტარული, ტოტალიტარული იმპერია, სადაც მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები, იმ დროისათვის სსრკ-დან გასვლის უფლების ჩათვლით, ნომინალურად იყო წარმოდგენილი“ (ზოლოთაშვილი, კიღურაძე & მეძმარიაშვილი, 2004, გვ. 33).

აქვე სტალინის შესახებ მცირე ბიოგრაფიული ცნობებია მოცემული. აგრეთვე, ავტორები იმის აღნიშვნის გარდა, რომ ლენინის გარდაცვალების შემდგომ ტროცკის ერთპიროვნულად ხელისუფლების სათავეში მოსვლის მოწინააღმდეგეები სტალინის გარშემო გაერთიანდნენ (რომლებიც მომავალმა ბელადმა მოგვიანებით თავიდან მოიშორა), ავტორები მოიხმობენ როგორც ბოლშევიკი რასკოლნიკოვის, ასევე ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის, უინსტონ ჩერჩილისეულ დახასიათებას სტალინისას, სადაც ვკითხულობთ, რომ „მან [სტალინმა] ყოველთვის იცის თუ რა უნდა და განუხრელად, ულმობელი მეთოდურობით აღწევს თავის მიზანს“ (ზოლოთაშვილი, კიღურაძე & მეძმარიაშვილი, 2004, გვ. 35).

2012 წელს ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემულ მეთორმეტე კლასის ისტორიის სახელმძღვანელოში საბჭოთა კავშირის შექმნაზე საუბარი იწყება კონკრეტული გეგმებით, რომელიც სტალინმა (საბჭოთა რესპუბლიკების „ავტონომიზაციის გეგმა“) და ლენინმა (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის გეგმა) წარმოადგინეს. აქვე მოცემულია დეკლარაცია საბჭოთა კავშირის შექმნის შესახებ (აბდალაძე და სხვ., 2012, გვ. 155-156).

## 5.4. სტალინის როლის გაშუქება საქართველოში 1924 წლის აჯანყების დროს

1924 წლის აჯანყების შესახებ საბჭოთა პერიოდის საქართველოში ბევრი არ იწერებოდა, აღნიშნული მოხსენიებული იყო როგორც „მენშევიკური ავანტურა“. აჯანყების ნამდვილი ისტორიის შესახებ საუბარი დიდწილად დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაიწყო და სასკოლო სახელმძღვანელოებშიც ამ პერიოდიდან გაჩნდა შესაბამისი მასალები.

ძირითადად რამდენიმე მიმართულება გამოიკვეთა, რაზეც განხილულ სახელმძღვანელოთა ავტორები ყურადღებას ამახვილებენ:

- ანტისაბჭოთა მოძრაობა მთელ საქართველოში იყო გავრცელებული;
- ყველა კლასსა და ფენას მოიცავდა;
- საბჭოთა ხელისუფლება აჯანყების ორგანიზატორებსა და მხარდამჭერებს განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდა;
- 1924 წლის აჯანყებით გამოიკვეთა, რომ ქართველი ხალხი ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაკარგვას არ შეურიგდებოდა და თავისუფლებისათვის იბრძოლებდა;
- 1924 წლის აჯანყება შემდგომი ეპოქის ეროვნული მოძრაობის „იდეური საზრდო“ იყო.

2002 წელს ფარნაოზ ლომაშვილის ავტორობით გამოცემული მეთერთმეტე კლასისათვის განკუთვნილი „საქართველოს ისტორია 1801-2001“, არამხოლოდ აღწერს 1924 წლის აჯანყებას, არამედ აჯანყების ჩახშობის შემდგომ განვითარებულ მოვლენებზეც გვაწვდის ინფორმაციას. ლომაშვილი იმ რეპრესიებზე წერს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ თავს დაატეხა მოსახლეობას: „მარტო აჯანყების დღეებში

მოკლეს ან დახვრიტეს 4000 კაცი. თვით იარაღაყრილებსა და შემორიგებულებსაც აღარ ინდობდნენ...კრწანისის ტრაგედიის შემდეგ ქართველ ხალხს ასეთი სისხლიანი დღეები არ დასდგომია“ (ლომაშვილი, 2002, გვ. 64). სახელმძღვანელოში სწორედ ამ რეპრესიებთან დაკავშირებით მოყვანილია დოკუმენტებიდან ამონარიდები. ავტორი გვაცნობს ბოლშევიკ ხელისუფალთა შორის მიმოწერას, სადაც ჩანს არამხოლოდ ცენტრის (მოსკოვის), არამედ ადგილობრივი კომუნისტების (ამიერკავასიის სამხარეო კომიტეტი) დამოკიდებულება აჯანყებისადმი. საგულისხმოა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა მიუხედავად იმისა, რომ ითხოვდა აჯანყების დაუყოვნებლივ ჩახშობას, ამავდროულად „კატეგორიულად უარყოფს პატიმართა მასობრივად დახვრეტის პოლიტიკას. ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს ამიერკავკასიის ჩეკას გადაწყვეტილებით დაუყოვნებლივ შეჩერდეს მიმდინარე დახვრეტები“ (ლომაშვილი, 2002, გვ. 67). აქ მნიშვნელოვანია ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ სტალინი პირდაპირ არაა ნახსენები, ფრაზებში „საბჭოთა ხელმძღვანელობა“, „ცენტრი“, პირველ რიგში სწორედ სტალინი შეგვიძლია მოვიაზროთ, ვინაიდან ამ პერიოდში ლენინი უკვე გარდაცვლილია და გადაწყვეტილების მიმღებ პირთა შორის სტალინს მოწინავე პოზიცია უკავია. მისი თანამდებობის გათვალისწინებით, (რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი 1922 წლიდან) შეუძლებელია საბჭოთა ხელმძღვანელობას რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, მით უფრო საქართველოსთან დაკავშირებით, მიეღო მის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ სტალინს ამ პერიოდისთვის ერთპიროვნული ძალაუფლება ჯერ კიდევ არ ჰქონდა, არც მისი მოწინააღმდეგეები, პირველ რიგში კი ტროცკი, იყვნენ იმდენად ძლიერნი, რომ სტალინის მონაწილეობის გარეშე მოეთხოვათ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისაგან „მიმდინარე დახვრეტების პოლიტიკის დაუყოვნებლივი შეჩერება“.

კონკრეტულად სტალინის დამოკიდებულებას 1924 წლის აჯანყებისადმი აღწერს 2012 წელს გამოცემული მეთორმეტე კლასისათვის განკუთვნილი „ისტორია“ (კიღურაძე, გაჩეჩილაძე & სანიკიძე, 2012). სახელმძღვანელოში მოცემულია იოსებ სტალინის მიერ აჯანყების მომზადების შესახებ ინფორმაციის მიღებისას წამოთქმული შემდეგი ფრაზა: „დაე, აჯანყდნენ! საქართველოს სისხლი ჯერ არ გამოუშვია!“ (კიღურაძე, გაჩეჩილაძე & სანიკიძე, 2012, გვ. 243).

კიდევ ერთი სახელმძღვანელო, რომელიც 1924 წლის აჯანყების შესახებ აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას 2021 წელს გამოცემული IX კლასის საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიაა. ახლადშექმნილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შეყვანილ საქართველოში ანტისაბჭოთა აჯანყებების განხილვისას სახელმძღვანელოს ავტორები ლევ ტროცკის იმოწმებენ, რომელიც კონკრეტულად 1924 წლის აჯანყებაზე წერს და იმ შედეგებზე საუბრობს, რომელიც „საქართველოს ნაადრევმა გასაბჭოებამ" მოიტანა. კერძოდ, „გააძლიერა მენშევიკები და გამოიწვია ფართო მასობრივი აჯანყება 1924 წელს. თვითონ სტალინის აღიარებითაც, საქართველო წაღმა-უკუღმა უნდა გადახნულიყო" (სურგულაძე და სხვ., 2021, გვ. 213/45 ).

კიღურაძე-გაჩეჩილაძის სახელმძღვანელოში 1924 წლის აჯანყების აღწერისას ყურადღება გამახვილებულია რეპრესიებზე, რომლის თაობაზეც დაწვრილებითი ანგარიში იგზავნებოდა „კრემლში", რომელშიც პირველ რიგში უკვე სტალინი უნდა ვიგულისხმოთ: „ქართველი ერისთვის ჭკუის სასწავლებლად" საბჭოთა ხელისუფლებამ სამაგალითოდ დასაჯა „კლასობრივი მტერი", ძირითადად ყოფილი თავადაზნაურობა, რომელთაგან აჯანყებაში ერთეულები მონაწილეობდნენ: აჯანყებული ძირითადად ქართველი გლეხობა იყო. ხალხს აპატიმრებდნენ არისტოკრატიული წარმოშობისა ან არაკომუნისტური პარტიული კუთვნილების მიხედვით და მერე ჯგუფ-ჯგუფად ხვრეტდნენ. ბუნებრივია, ყოველგვარი გასამართლების გარეშე. სერგო ორჯონიკიძე კრემლს უპატაკებდა: „დავხვრიტეთ 900 კონტრრევოლუციონერი!" სინამდვილეში, ბევრად მეტი, ზოგიერთი შეფასებით რამდენიმე ათასი ადამიანი დაასაჯეს სიკვდილით. სადგურ შორაპანში სატვირთო ვაგონებში გამომწყვდეული დაპატიმრებული ადამიანები გარედან ტყვიამფრქვევებით ჩახოცეს: მათი რაოდენობა უცნობია" (კუღურაძე, გაჩეჩილაძე და სანიკიძე, 2012, გვ.243) იხ. (ორჯონიკიძე, 2022).

## 5.5. ისტორიის სახელმძღვანელოები სტალინის მიერ საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის შექმნის შესახებ

2012 წლის ისტორიის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში, რომელიც მე-12 კლასისთვისაა განკუთვნილი ცალკე ქვეთავია მოცემული სახელწოდებით - „საბჭოთა ტოტალიტარიზმი - სტალინიზმი" (კიღურაძე, გაჩეჩილაძე & სანიკიძე, 2012, გვ. 143-

148). თავი დაყოფილია საკითხებად და მოიცავს შემდეგ თემებს: „ჩეკა“; საბჭოთა კავშირის შექმნა; სოციალისტური ეკონომიკის სტალინური მოდელი. ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია; მასობრივი რეპრესიები“.

აღნიშნულ ქვეთავში ავტორები ყურადღებას რამდენიმე საკითხზე ამახვილებენ, სადაც პირდაპირ გამოკვეთენ სტალინის როლს. ერთ-ერთია რუსეთის კავკასიაში დაბრუნება, „რაც დასრულდა საქართველოს დაპყობით 1921 წელს: აქ აქტიურობდა ლენინის კიდევ ერთი თანამებრძოლი - ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი)“(კიღურაძე, გაჩეჩილაძე & სანიკიძე, 2012, გვ. 143).

მოცემულ ქვეთავშივე ავტორები საუბრობენ სტალინის მიერ ლენინის ჩანაცვლებაზე საბჭოთა კავშირის უმაღლეს თანამდებობაზე - „1922 წლიდან, როდესაც ლენინი ავადმყოფობის გამო ხელმძღვანელობას ჩამოშორდა (ის 1924 წლის დასაწყისში გარდაიცვალა) იგი შეცვალა იოსებ სტალინმა. ის რუსეთის (1925 წლიდან - სრულიად საკავშირო) კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი იყო 1922 წლიდან 1952 წლამდე, ხოლო 1941-1953 წლებში საბჭოთა მთავრობის მეთაურიც“ (კიღურაძე, გაჩეჩილაძე & სანიკიძე, 2012, გვ. 144).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოს ავტორები ერთმანეთს ადარებენ ლენინს, სტალინსა და ტროცკის, ვინაიდან მათივე განმარტებით „ზოგიერთი ისტორიკოსი ცდილობს, ლენინი დაუპირისპიროს სტალინს, როგორც სიკეთე-ბოროტებას“. და შემდეგს წერენ: „ყველა ფაქტი გვიჩვენებს, რომ ლენინი არაფრით იყო სტალინზე „კეთილი“. ლენინი, ისევე, როგორც ტროცკი, სტალინზე არანაკლებ სასტიკ მეთოდებს მიმართავდა მოწინააღმდეგეების მიმართ“. ამას კი მათი საერთო მიზნით ხსნიან - მსოფლიოში კომუნიზმის დამყარებისთვის გამართლებულად მიაჩნდათ ნებისმიერი საშუალების გამოყენება (კიღურაძე, გაჩეჩილაძე & სანიკიძე, 2012, გვ. 144).

აქვე ლენინის მემკვიდრეობისთვის ბრძოლაზეცაა საუბარი, როდესაც სტალინმა „ლენინური გვარდიის“ სხვა წევრები თავიდან მოიშორა - პოლიტბიუროს 7 წევრიდან ბუნებრივი სიკვდილით მხოლოდ ლენინი და სტალინი გარდაიცვალნენ, ყველა დანარჩენი ძალადობრივად გარდაიცვალა (დახვრიტეს, მოკლეს).

ლენინის გარდაცვალების შემდგომ საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენები შეგვიძლია ავტორთა სიტყვებითვე შევაჯამოთ - „1920-იანი წლების ბოლოს სტალინი

სახელმწიფოს ერთპიროვნული ლიდერი გახდა". „ლენინიზმი გადაიზარდა სტალინიზმში" (კიღურაძე, გაჩეჩილაძე & სანიკიძე, 2012, გვ. 144). ამის გათვალისწინებით, ამ პერიოდის შემდგომ საბჭოთა კავშირში მომხდარი ყველა მნიშნელოვანი მოვლენა (აღნიშნულ ქვეთავში განხილული) პირდაპირაა სტალინის სახელთან დაკავშირებული.

ამავე ქვეთავში ავტორები განიხილავენ საბჭოთა კავშირში ტოტალიტარული სისტემის ჩამოყალიბებას - სადაც ყველაფერს აკონტროლებს პარტია, ერთადერთი ლიდერის - სტალინის ხელმძღვანელობით. აქვე აღნიშნულია პიროვნების კულტის ჩამოყალიბების პროცესიც - „საბჭოთა პროპაგანდა განადიდებდა მას და უნერგავდა ადამიანებს რწმენას, რომ ის არის შეუცდომელი და შეუცვლელი ხელმძღვანელი" (კიღურაძე, გაჩეჩილაძე & სანიკიძე, 2012, გვ. 145). ყურადღება გამახვილებულია ინდუსტრიალიზაციასა და კოლექტივიზაციაზე, მათი თანმხლები პროცესებით, მათ შორის განკულაკება, „გოლოდომორი" და სხვ.

მასობრივი რეპრესიები ცალკე საკითხადაა გამოყოფილი. ავტორები გვაცნობენ რეპრესიების დაწყების საბაბს -კიროვის მკვლელობას; მიზეზს - „კომუნისტური რეჟიმის განსამტკიცებლად და სრული დისციპლინისათვის მომავალ ომში, რასაც მსოფლიოში კომუნიზმის დამყარება უნდა მოჰყოლოდა, ტოტალიტარულ რეჟიმს სჭირდებოდა უსიტყვო მორჩილება. საზოგადოების სრულად დასამორჩილებლად სტალინს საჭიროდ მიაჩნდა ქვეყანაში შიშის სინდრომის დანერგვა"(კიღურაძე, გაჩეჩილაძე & სანიკიძე, 2012, გვ. 147). აქვე მოცემულია მდგომარეობა შრომით ბანაკებში.

ამავე ქვეთავში ავტორები გვთავაზობენ დოკუმენტს, რომელზეც ასახულია კომპარტიის ერთ-ერთი საოლქო კომიტეტის მოთხოვნა I კატეგორიის (დასახვრეტთა) რიცხვის 300 კაცამდე, და II კატეგორიის (8-10 წლით პატიმრობა) 1000 კაცამდე გაზრდის შესახებ. რომელსაც ადევს სტალინის რეზოლუცია: „გაიზარდოს I კატეგორია არა 300, არამედ 500 კაცამდე, მეორე კატეგორია კი - 800 კაცამდე" (კიღურაძე, გაჩეჩილაძე & სანიკიძე, 2012, გვ. 148).

2012 წელს გამოცემულ კიდევ ერთ ისტორიის სახელმძღვანელოში, რომელიც მე-12 კლასისთვისაა განკუთვნილი, ერთი თავი ეთმობა მეოცე საუკუნეში მსოფლიოში ჩამოყალიბებულ ტოტალიტარულ მმართველობებს, მათ შორის

საბჭოთა კავშირს (აბდალაძე და სხვ., 2012, გვ.155). სტალინის, როგორც მოწინააღმდეგეების დამარცხების შემდგომ ქვეყნის ერთპიროვნული დიქტატორის პოლიტიკის განხილვისას, სახელმძღვანელოს ავტორები ყურადღებას ამახვილებენ „სოციალიზმის მშენებლობის გეგმაზე". განხილულია ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის, მასთან დაკავშირებული რეპრესიების პროცესი, როგორც მთლიანად სსრკ-ში, ასევე კონკრეტულად საქართველოში; მიზეზები, რის გამოც აღნიშნული პოლიტიკის გატარებას საჭიროდ მიიჩნევდა სსრკ-ის ხელმძღვანელობა (სტალინი).

იოსებ სტალინი - XX საუკუნის უდიდესი დიქტატორი - ამ ფრაზით იწყება სტალინის მოკლე ბიოგრაფია აღნიშნულ სახელმძღვანელოში[41]. ქვეთავში აღწერილია პროცესები, რომლის შემდეგაც სტალინი ერთპიროვნულ ბელადად იქცა საბჭოეთში; რეპრესიები და მათი განმახორციელებელი ორგანოები (ჩეკა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, გულაგი) პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დევნა, სტალინის კულტის მიზანმიმართული დანერგვა სახელმძღვანელოში ეს საკითხებია განხილულია როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირის, ასევე კონკრეტულად საქართველოში მომხდარი პროცესებით. მოცემულია წყაროები - რეპრესირებულთა ჩვენებები, გაზეთი „კომუნისტი" და ა.შ.

საინტერესოა, რომ სახელმძღვანელო მოსწავლეებს საბჭოური დამუშავებული ფოტოების ნიმუშებსაც სთავაზობს. წიგნში მოცემულია რამდენიმე სურათი, სადაც სტალინი სხვა თანამებრძოლებთან ერთად არის, თუმცა იქვე გვაქვს სურათებიც, სადაც დანარჩენები გამქრალნი არიან (ძირითადად რეპრესიებს შეეწირნენ „ხალხის მტრის" სტატუსით) ან სახე აქვთ გადაშლილი და სტალინი უკვე მარტო ან მხოლოდ გადარჩენილ ადამიანებთან ერთადაა - შეუძლებელია ბელადი ხალხის მტრებთან ერთად სურათს იღებდეს (აბდალაძე და სხვ., 2012, გვ. 171).

კიდევ ერთი სახელმძღვანელო გვაწვდის ინფორმაციას საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე XX საუკუნის 20-30-იან წლებში. ხაზგასმულია ბერიას სახელი - „რეპრესიები კრემლიდან იმართებოდა. იქ განისაზღვრებოდა დასახვრეტ-

---

[41] აღნიშნულ ბიოგრაფიაში მეტად საინტერესო ფრაზას ვკითხულობთ: „II მსოფლიო ომში გადამწყვეტი როლი შეასრულა „ღერძის ბლოკის" დამარცხებაში, რის შემდეგაც მისი ძალაუფლება გავრცელდა აღმოსავლეთ ევროპაზეც" (აბდალაძე, კუპატაძე, ახმეტელი, მურღულია, 2012. გვ.166). კონკრეტულად სტალინის როლი რომ გადამწყვეტი იყო ღერძის სახელმწიფოთა დამარცხებაში ალბათ ძალიან საკამათო საკითხია.

დასაპატიმრებელთა რაოდენობა და ზოგიერთ შემთხვევაში ვინაობაც... საქართველოში პოლიტიკური რეპრესიები ძირითადად დაკავშირებულია ლავრენტი ბერიას სახელთან“ (ჯანელიძე და სხვ., 2012, გვ. 348). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე წიგნში სტალინი მოხსენებულია, როგორც საბჭოთა კავშირის (კრემლის) ხელმძღვანელი - „ლენინის სიკვდილის შემდეგ, 1924-1953 წლებში საბჭოთა იმპერიას იოსებ სტალინი მეთაურობდა“ (ჯანელიძე და სხვ., 2012, გვ. 342). შესაბამისად, საქართველოში განხორციელებული რეპრესიები მის სახელთანაა დაკავშირებული. ამ აზრს ამყარებს შემდეგი ჩანაწერიც - „საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგებში რამდენჯერმე ჩატარდა „წმენდა“. დახვრიტეს ცნობილი ქართველი ბოლშევიკები, რომელთა ადგილზე ი. სტალინის ერთგული ახალგაზრდა კადრები დააწინაურეს“ (ჯანელიძე და სხვ., 2012, გვ. 348).

2003 წელს გამოცემული კიდევ ერთი სასკოლო სახელმძღვანელო მიმოიხილავს ტოტალიტარიზმსა და დემოკრატიას და მათ შორის მსგავსება/განსხვავებებზე ამახვილებს ყურადღებას. (ბოლოთაშვილი, 2003). წიგნის სპეციფიკიდან გამომდინარე (*მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია)* ძალიან მოკლედაა განხილული ყველა საკითხი. სტალინზე საუბარი XX საუკუნის მსოფლიოში ჩამოყალიბებულ ტოტალიტარულ სისტემებს უკავშირდება - „ბოლშევიკური (სტალინური) რეჟიმი“ (ბოლოთაშვილი, 2003, გვ. 257).

მეორე მსოფლიო ომის განხილვისას კი ბოლოთაშვილი სტალინს, მის ტოტალიტარულ რეჟიმს ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევს „ევროპაში კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნის წარუმატებელი ცდისას“ (ბოლოთაშვილი, 2003, გვ. 260).

პოლიტიკური რეპრესიების განხილვისას ვაჩნაძე და გურული 2005 წელს გამოცემულ IX კლასის სახელმძღვანელოში „მეგრელთა საქმეზე“ ამახვილებენ ყურადღებას და აღნიშნავენ, რომ ამ საქმის „პროვოკატორთა“ რეალური ჩანაფიქრი ჯერ კიდევ არ არის ცნობილი. სახელმძღვანელოში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „1951 წელს ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა ერთ ჯგუფს ბრალად დასდეს საქართველოდან სამეგრელოს გამოყოფის მცდელობა და ამ მიზნით უცხოეთის დაზვერვასთან კავშირი; დააპატიმრეს უამრავი უდანაშაულო ადამიანი.

მსხვერპლი გაცილებით დიდი იქნებოდა, რომ ბოლოს გონს არ მოგებულიყო და ეს პროვოკაცია არ შეეწყვიტა“ (ვაჩნაძე და გურული, 2005, გვ. 131-132).

## 5.6. მეორე მსოფლიო ომი და „გვიანი სტალინიზმი“ ისტორიის სახელმძღვანელოებში

2012 წელს აბდალაძის, კუპატაძის, ახმეტელისა და მურღულიას ავტორობით გამოცემულ XII კლასის სახელმძღვანელოში მეორე მსოფლიო ომის შესახებ საუბრისას, ავტორები ყურადღებას მხარეთა განზრახვებზე ამახვილებენ. განხილულია როგორც დასავლეთ ევროპის, ასევე გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მოლოდინები ახალი დიდი ომის დაწყებამდე. ავტორები საბჭოთა კავშირისა და გერმანიის თანამშრომლობაზე ამახვილებენ ყურადღებას მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან (1939 წლის 1 სექტემბრიდან) გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირზე თავდასხმამდე (1941 წლის 22 ივნისამდე). მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი სახელმძღვანელოში შეფასებულია, როგორც სტალინის მიერ ჰიტლერის წაქეზება პოლონეთში ინტერვენციისათვის. 1939 წლის 28 სექტემბრის ბრესტში გერმანია - საბჭოთა კავშირის ჯარების მიერ გამართულ საერთო აღლუმს კი სახელმძღვანელოს ავტორები მხარეების მიერ ზემოთაღნიშნული პაქტის საიდუმლო პირობების განხორციელებად და პოლონეთის შუაზე გაყოფად მოიხსენიებენ. სახელმძღვანელოში ასევე საუბარია საბჭოთა კავშირის მიერ დაპყრობილ აღმოსავლეთ პოლონეთის ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენებზე. ყურადღება გამახვილებულია ფსევდორეფერენდუმზე, რომლითაც პოლონეთის ტერიტორიები უკრაინისა და ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკებს მიუერთდა; აღნიშნულია, აგრეთვე, ხელისუფლებისათვის მიუღებელი 2 მილიონამდე ადამიანის გულაგებსა თუ შუა აზიის რესპუბლიკებში გადასახლება (აბდალაძე და სხვ., 2012, გვ. 219). სახელმძღვანელოში მოცემულია ასევე კატინის ტრაგედიის შესახებ ინფორმაცია. ავტორთა განმარტებით, „საბჭოთა ცინიზმის ტიპური გამოხატულება იყო კატინის ტყის მახლობლად, ნაცისტური მსხვერპლის მემორიალის აგება და საბჭოთა ისტორიის წიგნებში კატინის ნაცისტურ დანაშაულად გამოცხადება“.

სახელმძღვანელოში აღწერილია საბჭოთა კავშირის მიერ ფინეთის წინააღმდეგ წარმოებული 1939-1940 წლების ზამთრის ომიც. ხოლო ბალტიის სახელმწიფოების

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოქცევა შეფასებულია როგორც სტალინის „მტკიცე განზრახვა“, მიეღო ის ტერიტორიები, რომლებიც ჰიტლერმა დაუთმო მას 1939 წლის 28 სექტემბრის მოსკოვის შეთანხმებით.

რაც შეეხება უშუალოდ 1941 წლის 22 ივნისის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, როგორც სახელმძღვანელოშია აღნიშნული, „სტალინმა მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის დადებისთანავე დაიწყო მოსალოდნელი ომისთვის მზადება“ და შესაბამისად სსრკ-ზე ჰიტლერის თავდასხმა არ იყო „მოულოდნელი და ვერაგული“, როგორც მიღებული იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. საბჭოთა კავშირმა თანამშრომლობა დაიწყო სტალინისათვის მანამდე მიუღებელ „დასავლელ ლიბერალებთან“ - რუზველტთან და ჩერჩილთან, მოცემულია ინფორმაცია ასევე მოკავშირეთა მიერ საბჭოთა კავშირისთვის გაწეულ დახმარებაზე. აღსანიშნავია, რომ ავტორები აღნიშნავენ ომის მიმდინარეობისას აღმოსავლეთის ფრონტზე წარმატების მიღწევის მნიშვნელობას, ვინაიდან - „II მსოფლიო ომის მთავარი ფრონტი აღმოსავლეთზე გადიოდა“. სტალინგრადთან გამარჯვება კი მოხსენიებულია როგორც „ომში შემობრუნების წერტილი“ (აბდალაძე და სხვ., 2012, გვ.228).

ომის დასასრულის განხილვისას სახელმძღვანელოს ავტორები ხაზს უსვამენ სტალინის გეგმებს აღმოსავლეთ ევროპასთან დაკავშირებით - „სტალინს სურდა, დაესწრო დასავლელი მოკავშირეებისთვის და რაც შეიძლება მეტი ტერიტორია დაეკავებინა აღმოსავლეთ ევროპაში“. (აბდალაძე და სხვ., 2012, გვ.231). განსაკუთრებული აღსანიშნავია ინფორმაცია, რომელსაც მოცემულ სახელმძღვანელოში შეხვდებიან მოსწავლეები; ავტორები საჭოთა ჯარისკაცების სისასტიკესა და დანაშაულებებზე ამახვილებენ ყურადღებას და ამ ყველაფერს მთავარსარდლობას უკავშირებენ - „საბჭოთა ჯარისკაცები გერმანიის ტერიტორიაზე ხშირად ისევე იქცეოდნენ, როგორც ნაცისტები საბჭოეთში. მთავარსარდლობამ მათ მოქმედების სრული თავისუფლება მისცა. ჯარისკაცები ხოცავდნენ, აწამებდნენ და ძარცვავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას“ (აბდალაძე და სხვ., 2012, გვ. 232).

აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოში მეორე მსოფლიო ომის განხილვისას რამდენჯერმე მოცემულია წყაროები ისტორიკოს ალან პალმერის ავტორობით. იალტის კონფერენციის შეფასებებისას სწორედ მისი სიტყვებია წარმოდგენილი, სადაც აღნიშნულია, რომ „ცივი ომის დროს იალტის კონფერენციას უწოდეს „მეორე

მიუნხენი", სადაც დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მ კაპიტულაცია გამოაცხადეს სტალინის წინაშე" (აბდალაძე და სხვ., 2012, გვ. 234).

სახელმძღვანელოში მოცემულია ინფორმაცია 1945-1953 წლებში განვითარებული მოვლენების შესახებ და აღნიშნულია ტერიტორიული პრეტენზიები, რომელიც თურქეთს წაუყენა საბჭოთა კავშირმა და რომელიც არამხოლოდ საერთაშორისო დიპლომატიურ დონეზე იდგა, არამედ აქტიურად ეწეოდა პროპაგანდაც პრესაში. სახელმძღვანელოში მოცემულია პოტსდამის კონფერენციის სტენოგრამიდან ნაწყვეტი, სადაც ჩერჩილი და სტალინი მათ შორის საქართველოსთვის თურქეთის მიერ ტერიტორიების დაბრუნების საკითხს განიხილავენ. აქვეა მოცემული აგრეთვე სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის ავტორობით ამონარიდი 1945 წლის 14 დეკემბრის გაზეთ „კომუნისტიდან" - „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ", სადაც ვკითხულობთ, რომ „ქართველმა ხალხმა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფაშიზმის განადგურების საქმეში, უფლება მოიპოვა წარადგინოს თავისი კანონიერი მოთხოვნები. ჩვენ მივმართავთ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს თურქეთის მიერ წართმეული ჩვენი ძველისძველი მიწა-წყლის შესახებ... ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნდეს თავისი მიწა-წყალი, რომელზეც არასდროს უთქვამს უარი და ვერც იტყვის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არტაანის (არდაგანის), ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ისპირის, ბაიბურთის, გიუმიშხანეს რაიონები და აღმოსავლეთ ლაზისტანი, ტრაბზონისა და გირესუნის რაიონების ჩათვლით, ე.ი. საქართველოსათვის წართმეული ტერიტორიების მხოლოდ ნაწილი" (აბდალაძე და სხვ., 2012, გვ. 240)

მეორე მსოფლიო ომის განხილვას ვაჩნაძე და გურული 2005 წელს გამოცემულ IX კლასის სახელმძღვანელოში ომის დაწყების მიზეზებით იწყებენ. აქვე მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტზეა ყურადღება გამახვილებული და აღნიშულია, რომ „პაქტის დადებით იოსებ სტალინმა გამორიცხა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინგლის-საფრანგეთ-გერმანიის სამხედრო პოლიტიკური კავშირის შექმნის შესაძლებლობა". სახელმძღვანელოს ავტორები ხაზს უსვამენ აგრეთვე სსრკ ტერიტორიულ გაფართოებას პოლონეთის ნაწილის (დასავლეთ უკრაინა და დასავლეთ ბელორუსია) და ბალტიის სახელმწიფოების ხარჯზე. აქვე აღსანიშნავია, რომ ავტორები

აკრიტიკებენ საქართველოში ტერმინის „სამამულო ომი“ გამოყენებას და შემდეგს წერენ: „ცხადია, ეს ომი რუსი ხალხისთვის ნამდვილად სამამულო ომი იყო, მაგრამ საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი და საბჭოთა კავშირში ძალით გაერთიანებული საქართველოსთვის ომი არ შეიძლებოდა სამამულო ყოფილიყო“. ამის მიუხედავად საბჭოთა პროპაგანდის მნიშვნელობაზე ამახვილებენ ყურადღებას და წერენ, რომ ომმა მალე პატრიოტული ხასიათი მიიღო და „საქართველო, როგორც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკა, ომში ჩათრეული აღმოჩნდა“ (ვაჩნაძე და გურული, 2005, გვ. 126-127).

მეორე მსოფლიო ომის განხილვას ბოლოთაშვილი, კიღურაძე და მეძმარიაშვილი იწყებენ ფრაზით - „1939-40 წ.წ. სსრკ გერმანიასთან დაახლოების ნაყოფს იმკიდა“ (ბოლოთაშვილი, კიღურაძე და მეძმარიაშვილი, 2004, გვ. 44). ავტორები დასავლეთით საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ გაფართოებაზე ამახვილებენ ყურადღებას; გამოყოფენ აგრეთვე სტალინგრადის ბრძოლას და მას მიიჩნევენ „გერმანული ფაშიზმის უდიდეს სამხედრო და პოლიტიკურ მარცხად, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაზე“ (ბოლოთაშვილი, კიღურაძე და მეძმარიაშვილი, 2004, გვ. 47).

მეორე მსოფლიო ომის განხილვისას ომის დასაწყისში სსრკ-ს მოქმედებებს, გერმანიასთან თანამშრომლობას და მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის საფუძველზე მის ტერიტორიულ გაფართოებას მიმოიხილავენ ავტორები კიდევ ერთ, 2012 წელს გამოცემულ XII კლასის სახელმძღვანელოში. მოჰყავთ ამონარიდი სტალინის ინტერვიუდან, რომელიც „პრავდაში“ დაიბეჭდა 1939 წლის 30 ნოემბერს და სადაც საბჭოთა ბელადი ინგლისსა და საფრანგეთს ადანაშაულებდა გერმანიაზე თავდასხმაში. ამავე სახელმძღვანელოში ვხვდებით ვრცელ ინფორმაციას ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საბჭოთა კავშირისთვის მიწოდებულ დახმარებაზე, ინფორმაციას კონკრეტული საბრძოლო საშუალებებისა და მათი რაოდენობების შესახებ. აქვეა ამონარიდები სტალინისა და რუზველტის მიმოწერიდან, სადაც საბჭოთა ბელადი აშშ-ს პრეზიდენტს წერს, რომ „ამერიკული მოწოდების შესრულებას, მათ შორის ტანკებისა და თვითმფრინავების, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საერთო საქმისათვის“ (კიღურაძე და სხვ., 2012, გვ. 180-181).

ამავე სახელმძღვანელოში ავტორები მეორე მსოფლიო ომში სტალინის როლის გამოკვეთას ცდილობენ და წერენ, რომ „სტალინის პიროვნული თვისებები, მისი ულმობელი სისასტიკე, მართლაც ხელსაყრელი გამოდგა ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებისათვის“ (კიღურაძე და სხვ., 2012, გვ. 148).[42] უნდა ითქვას, რომ ეს ფრაზა რბილად რომ ვთქვათ არაკორექტულია და არასწორ წარმოდგენებს შეუქმნის მოსწავლეებს. სტალინის „ულმობელი სისასტიკის“ ხელსაყრელობის აღნიშვნა ომის დროს ამ სისასტიკის გამართლებას წარმოადგენს. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ომის წინ რეპრესიების შედეგად არმიის ოფიცერთა კორპუსის განადგურება 1941-1942 წლებში წითელი არმიის მარცხის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა.

რიგ სახელმძღვანელოებში ყურადღება ეთმობა ე. წ. „მეგრელთა საქმეს“, რომელიც სტალინის სახელთან დაკავშირებულ ერთ-ერთ უკანასკნელ დაგეგმილ მასშტაბურ რეპრესიას წარმოადგენს, რაც, საბედნიეროდ, ბოლომდე არ განხორციელებულა.

„მეგრელთა საქმეს“ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მიმდინარე რეპრესიების განხილვისას აფასებს და „შეთითხნილს“ უწოდებს ფარნაოზ ლომაშვილი 2002 წელს გამოცემულ XI კლასის სახელმძღვანელოში. აღნიშნავს, რომ „მეგრული წარმოშობის ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს (კირილე ბეჭვაია, ალექსანდრე მირცხულავა, მიხეილ ბარამია, მამია ზოდელავა, ნინო ჟვანია და სხვ.) ბრალად დასდეს საბჭოთა

---

[42]უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოს ჩვენს მიერ განხილულ ქვეთავში მოცემულია შემდეგი ფრაზა: „II მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირი მხოლოდ 1941 წლის 22 ივნისს ჩაება, როდესაც მას გერმანია დაესხა თავს. იქამდე კი თითქმის ორი წლის განმავლობაში, საბჭოთა კავშირი, ფაქტობრივად ნაცისტური გერმანიის მოკავშირის რანგში, ადევნებდა თვალს, როგორ იპყრობდა და ანადგურებდა ევროპის ქვეყნებს ჰიტლერი“ (გვ. 147). თუმცა ვიცით, რომ მეორე მსოფლიო ომის დაწყების დღიდან (1939 წლის 1 სექტემბრიდან) გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყებამდე (1941 წლის 22 ივნისამდე) საბჭოთა კავშირი მხოლოდ დამკვირვებლის როლში არ ყოფილა. მან გერმანიის მოკავშირის რანგში, 1939 წლის სექტემბერშივე აღმოსავლეთიდან შეუტია პოლონეთს და დაიკავა მისი თითქმის ნახევარი; ამავე წლის ნოემბერში წამოიწყო ომი ფინეთის წინააღმდეგ; 1940 წელს საბჭოთა კავშირში შეიყვანა ბალტიის სახელმწიფოები; რუმინეთს ჩამოართვა ბესარაბია და შექმნა იქ მოლდავეთის საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც ასევე გააწევრიანა საბჭოთა კავშირში და ა.შ. - მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის საიდუმლო პროტოკოლით გათვალისწინებული პუნქტები ორივე მხარემ ზედმიწევნით შეასრულა - მხოლოდ ჰიტლერი არ „იპყრობდა და ანადგურებდა ევროპის ქვეყნებს“ და საბჭოთა კავშირი მხოლოდ „თვალს არ ადევნებდა“ მას - ამ პერიოდში სტალინიც ჰიტლერის მსგავსად ექცეოდა სხვა სახელმწიფოებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეორე მსოფლიო ომი, საბჭოთა კავშირის ქმედებები (პოლონეთთან, ფინეთთან, ბალტიის სახელმწიფოებთან ურთიერთობა) მისი დაწყების შემდეგ უფრო დეტალურად განხილულია ამავე სახელმძღვანელოს სხვა ქვეთავში (გვ. 177).

კავშირიდან საქართველოს გამოყოფისა და თურქეთთან შეერთების მცდელობა, უცხოეთის დაზვერვასთან კავშირი და სხვ. ეს ბრალდებები იმდენად უსაფუძვლო იყო, რომ ყველა რეპრესირებული სტალინის გარდაცვალებისთანავე გაათავისუფლეს“ (ლომაშვილი, 2002, გვ. 85).

„მეგრელთა საქმეზე“ გურული და ვაჩნაძე 2006 წელს გამოცემულ XI კლასის სახელმძღვანელოშიც საუბრობენ. საქმეს ლავრენტი ბერიას ძალაუფლებისკენ მისწრაფებას უკავშირებენ, რომელსაც სტალინი „ეჭვის თვალისთ უყურებდა და მისი ალაგმვა სურდა“ (ვაჩნაძე და გურული, 2006, გვ. 155). ავტორები ვარაუდს გამოთქვამენ იმასთან დაკავშირებით, რომ საქმე სწორედ ბერიას წინააღმდეგ მომზადდა და არაერთი ყალბი ბრალდება შეიქმნა მეგრული წარმოშობის ხელმძღვანელი მუშაკების წინააღმდეგ.

სტალინთან დაკავშირებული რეპრესიების შესახებ საუბრისას 2004 წელს გამოცემული სახელმძღვანელოს ავტორები აღნიშნავენ, რომ რეპრესიები მაღალჩინოსნებსაც შეეხო („ლენინგრადის საქმე“; „მეგრელთა საქმე“). ამას კი სტალინის გეგმას უკავშირებენ - შეეცვალა გარემოცვა, თუმცა აღნიშნული ვერ მოასწრო გარდაცვალების გამო. უშუალოდ „მეგრელთა საქმეზე“ კი სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „მეგრელთა საქმის“ საფუძველი გახდა საქართველოში „მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის“ არსებობის ვერსია. ეს ჯგუფი თითქოს დაკავშირებული იყო თურქებთან, აგრეთვე ქართული ემიგრაციის პარიზის ცენტრთან და ჯაშუშურ მოღვაწეობას ეწეოდა. თანამდებობიდან დაითხოვეს და დააპატიმრეს მრავალი პარტიული და სახელმწიფო მუშაკი. ასევე საქართველოდან შუა აზიაში ოჯახებიანად გადაასახლეს ის მოქალაქეები, რომლებსაც ნათესავები საზღვარგარეთ ჰყავდათ (ბოლოთაშვილი და სხვ., 2004, გვ. 113).

ბოლოთაშვილის, კიღურაძისა და მეძმარიაშვილის სახელმძღვანელოში (2004) მოცემულია გაკვეთილი სათაურით „სტალინური ეპოქის დასასრული“, რომელსაც შეჯამების სახით ერთვის ცხრილი (გვ.114) სტალინის საქმიანობის დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოყოფით. აღნიშნული ცხრილი ბევრ კითხვას წარმოშობს. მაგალითად, რატომ იყო „დადებითი“ მოვლენა კოლმეურნეობების შექმნა, ანდა ცენტრალური ევროპის ბოლშევიზაცია, რამაც „საბჭოთა კავშირის საზღვრები უსაფრთხო გახადა“. ამასთან დასახელებულ „დადებით“ მხარეს იქვე აბათილებს

ცხრილის მეორე ნაწილში წარმოდგენილი „უარყოფითი“ შედეგი. ფაქტობრივად, სტალინის საქმიანობის „დადებით“ მხარედ წარმოდგენილია ჯერ კიდევ სტალინის მოღვაწეობის პერიოდში ჩამოყალიბებული მითები სტალინის შესახებ. მთლიანობაში ცხრილი არაკორექტულია და სწორ წარმოდგენას არ უქმნიდა ამ წიგნის შემსწავლელ მოსწავლეებს (იხ. ცხრილი #6).

ცხრილი #6

რა გააკეთა სტალინმა საბჭოთა კავშირისთვის?

| დადებითი | უარყოფითი |
|---|---|
| 1. მან ერთი თაობის განმავლობაში ჩამორჩენილი, აგრარული, ომით დანგრეული რუსეთი აქცია დიდ სამრეწველო ქვეყნად, რისთვისაც მაგალითად დიდ ბრიტანეთს საუკუნე დასჭირდა. საბჭოთა კავშირი ზესახელმწიფო გახდა და სამრეწველო განვითარების დონით მსოფლიოში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. | 1. ამის ფასი მაღალი იყო: დაახლოებით 15 მლნ. კულაკი ფიზიკურად მოისპო ან შრომით ბანაკებში აღმოჩნდა. მილიონობით ადამიანი შეეწირა გრანდიოზულ მშენებლობებს. ეკონომიკურ წარმატებებს აზვიადებდნენ. სამრეწველო პროდუქციის ხარისხი დაბალი იყო. |
| 2. მან კაპიტალისტური სისტემის ნაშთები (ნეპი) გარდაქმნა კომუნისტურად (კოლმეუნეობები) | 2. ომმა კულაკების წინააღმდეგ ქვეყანას დააკარგვინა საუკეთესო მეურნეები. თვით კოლექტივიზაცია შეცდომა იყო. მან სათავე დაუდო დაბალ მოსავლიანობასა და საკვების უკმარისობას. მოსავალი 1913 წლისაზე დაბალი იყო. კოლმეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა კი ცუდი |
| 3. განამტკიცა ცენტრალიზებული კონტროლი პროდუქციის წარმოებასა და ხარისხზე. | 3. მკაცრი ცენტრალიზებული კონტროლი იყო უაზრო, უშედეგო და არაკომპეტენტური. |
| 4. იმდენად გააძლიერა ქვეყანა, რომ ის | 4. სინამდვილეში საბჭოთა კავშირი არ |

| | |
|---|---|
| მომზადებული შეხვდა 1941 წ. გერმანიასთან ომს და 1945 წ. შეძლო მისი განადგურება. ომის განმავლობაში სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ხალხებმა ერთიანობა შეინარჩუნეს. | იყო მზად 1941 წლისათვის. სტალინმა არ დაიჯერა ომის დაწყების თარიღი. დიდი ტერორის დროს არმიამ დაკარგა საუკეთესო ოფიცრები. ომში პირველი წარმატებები ხალხის უდიდესი მსხვერპლის ფასად იქნა მიღწეული. |
| 5. მან დაიბრუნა 1918 წლის ბრესტ-ლიტოვსკის ზავით დაკარგული ტერიტორიები. 1945 წლის შემდეგ მოახდინა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბოლშევიზაცია, რითაც საბჭოთა კავშირის საზღვრები უსაფრთხო გახადა. | 5. მან არაფრად ჩააგდო ადგილობრივი ხალხების ნება-სურვილი. არსებული კომუნისტური რეჟიმები საბჭოთა ხიშტებს ემყარებოდა. |
| 6. მისი მმართველობის განმავლობაში ქვეყანაში არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი არეულობა, ჯანყი. სახელმწიფოში სტაბილური მდგომარეობა იყო. | 6. „ჩკ“ (მოგვიანებით სუკ-ი) უზრუნველყოფდა წესრიგს ადამიანების ფიზიკური მოსპობით, მკვლელობებით, ან შრომით ბანაკებში დამწყვდევით უმნიშვნელო ეჭვის ნიადაგზეც კი. |
| 7. 1953 წ. საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონე უფრო მაღალი იყო, ვიდრე 1929 წ. (უკეთესი საცხოვრებელი პირობები, სახლები, მედიცინა). | 7. ცხოვრების დონე გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე დასავლეთში. მაღაზიებში საქონლის ღარიბი ასორტიმენტი იყო. ძირითადი პროდუქტების უკმარისობა - საყოველთაო, ბინები უვარგისი (კომუნალური). |
| 8. ხალხს განათლების მიღების უკეთესი შესაძლებლობა ჰქონდა. 1950 წლისათვის მარტო პატარა ბავშვებმა | 8. განათლება უკიდურესად იდეოლოგიზირებული იყო. |

| | |
|---|---|
| არ იცოდნენ წერა-კითხვა. მუშები და გლეხები სარგებლობდნენ პრივილეგიებით უმაღლესი განათლების მიღებისას. | |
| 9. სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზარდა 20 წლით. | 9. მილიონობით ადამიანი მაინც დიდხანს არ ცოცხლობდა და ვერ აღწევდა სიცოცხლის ხანგრძლივობის მაქსიმუმს. |
| 10. მოკლედ, სტალინმა მოახერხა ქვეყნის მოდერნიზება. ის დიდი ბელადი იყო. | 10. მოკლედ, სტალინი იყო ერთ-ერთი ყველაზე ულმობელი დიქტატორი, ვისაც კი ოდესმე უცხოვრია დედამიწაზე, მისი ტირანიის შედეგად მილიონობით უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა. |

აღსანიშნავია, რომ ცხრილის დასასრულს დასმულია შემდეგი კითხვა: „ამ ცხრილის გაცნობის შემდეგ, როგორ შეაფასებთ სტალინის მოღვაწეობას? ვინ იყო ის - დიდი ბელადი თუ ულმობელი დიქტატორი? რა უფრო მეტი გააკეთა მან - კარგი თუ ცუდი?“ (ზოლოთაშვილი და სხვ., 2004, გვ. 114).

## 5.7. დესტალინიზაცია და 1956 წლის 9 მარტი ისტორიის სახელმძღვანელოებში

სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკის გამო დაწყებული საპროტესტო გამოსვლები 1956 წლის 9 მარტს საბჭოთა ხელისუფლებამ სისხლიანი ანგარიშსწორებით აღკვეთა. მომხდარმა დიდი გავლენა მოახდინა ქართული საზოგადოების პოლიტიკურ აზროვნებაზე.

საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში 1956 წლის 3-9 მარტის მოვლენების შესახებ საერთოდ არაფერი იყო ნათქვამი. მომხდარი

ტრაგიკული მოვლენები „გაუჩინარებული“ იყო ოფიციალური საბჭოთა ისტორიული მეხსიერებიდან, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან მომხდარს მიცემული ჰქონდა ოფიციალური „შეფასება“ - რომ ეს იყო „ანტისაბჭოური, ნაციონალისტური, კონტრრევოლუციური ხასიათის გამოსვლა“.

სახელმძღვანელოთა შინაარსობრივმა ანალიზმა გამოკვეთა ფაქტობრივი მასალის გადმოცემისას თვალში საცემი განსხვავება დაღუპულთა რაოდენობის დასახელებაში. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ საკითხი ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი და სამომავლოდ მოხერხდება სახელმძღვანელოებში დაღუპულთა და დაზარალებულთა ზუსტი რაოდენობის დასახელება.

სახელმძღვანელოების ავტორები პირველ რიგში ცდილობენ იმის ახსნას თუ რა იყო 3-9 მარტის გამოსვლების მიზეზები, გამოსვლებისა, რომლებიც სტალინის დაცვის ლოზუნგით, მისი კრიტიკის შეწყვეტის მოთხოვნით მიმდინარეობდა. გამოსვლების მიზეზების განმარტებისას სახელმძღვანელოების ავტორები ერთმანეთთან ახლოს მდგომ, მაგრამ მაინც განსხვავებულ მიზეზებს ასახელებენ: ა) სტალინის პიროვნების კრიტიკა ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ საქართველოში ეროვნულ შეურაცხყოფად აღიქვეს; ბ) სტალინის პიროვნების კრიტიკამ ანტიქართული ხასიათი მიიღო და ქართველი ხალხის ლანძღვასა და დამცირებაში გადაიზარდა; გ) სტალინის კულტის პროპაგანდის შედეგად საქართველოში სტალინის და სამშობლოს სიყვარული ერთმანეთში იყო გადახლართული. როგორც ვხედავთ, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოების ავტორების აზრით, სტალინის დაცვის ლოზუნგით გამოსული ადამიანები სინამდვილეში თავიანთი ეროვნული ინტერესების დაცვას ცდილობდნენ.

ამიტომაც რიგ სახელმძღვანელოებში აღნიშნულია 3-9 მარტის მოძრაობის წინააღმდეგობრივი ხასიათი: ერთი მხრივ, ის მიმართული იყო „რევიზიონისტი“ ხრუშჩოვის წინააღმდეგ და თითქოსდა ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი საბჭოთა იმპერიის შენარჩუნებას ემსახურებოდა. მეორე მხრივ კი ეს გამოსვლები ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გამოცოცხლების რეალურ საფუძველს ქმნიდა.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოების ავტორები, რიგ შემთხვევებში, ცდილობენ შეფასება მისცენ 3-9 მარტის გამოსვლებს. სახელმძღვანელოებში

მოცემული შეფასება მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ: ეს იყო ანტი-სამთავრობო პროტესტი ეროვნული შეფერილობით.

სახელმძღვანელოებში დიდი ყურადღება ეთმობა 1956 წლის 3-9 მარტის გამოსვლების და მასთან სისხლიანი ანგარიშსწორების შედეგების ჩვენებას საქართველოსთვის. მომხდარმა განაპირობა საზოგადოების პოლიტიკური აზროვნების განთავისუფლების დაწყება საბჭოური და სტალინისტური ფორმებისა და რიტორიკისაგან. 3-9 მარტის მოვლენებმა განაპირობა ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპის დასაწყისი. არალეგალური ჯგუფები, რომელთა მოწოდებებში სტალინი აღარ ფიგურირებდა და წმინდა ეროვნულ ხასიათს ატარებდა; მათ შორის „გორგასლიანი" (შექმნეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ), „სიღნაღის ახალგაზრდა გვარდია", „სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა კავშირი"... აქვე საყურადღებოა შემდეგი გარემოება - ზოგიერთი სახელმძღვანელოს ავტორები, მარტის მოვლენებს უკავშირებენ არამხოლოდ საქართველოში ჩამოყალიბებულ ეროვნულ ორგანიზაციებს, არამედ აღნიშნავენ, რომ 1956 წლის მარტის მოვლენებმა გამოაცოცხლა ემიგრანტული მოძრაობაც.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ სახელმძღვანელოთა ავტორები ცდილობენ ახსნან მიზეზი, თუ რატომ გაუსწორდნენ ასეთი სისასტიკით მომიტინგეებს - მიიჩნევენ, რომ ხელისუფლებამ საქართველო სამაგალითოდ დასაჯა. აღნიშნული უნდა გაეთვალისწინებინათ სხვა რესპუბლიკებს, სადაც სტალინს ასევე ჰყავდა უამრავი დამცველი. ავტორები გამოკვეთენ ასევე საქართველოს ხელისუფლების როლსა და ინტერესებს 9 მარტის ტრაგედიის დამალვაში - მათი ინტერესი მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნება იყო და მოსკოვის მითითებებს ემორჩილებოდნენ წინააღმდეგობის გაწევის გარეშე; რიგი სახელმძღვანელოთა ავტორების აზრით, სწორედ მათმა უმოქმედობამ და უპრინციპობამ გამოიწვია 9 მარტის ტრაგედიის მიჩქმალვა.

<u>საბჭოთა პერიოდის დუმილი.</u> საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებმა დუმილი არჩიეს 1956 წლის 9 მარტის მოვლენების შესახებ. ძალიან მოკლედ იყო აღნიშნული პიროვნების კულტის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლაც. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით 1961 წელს გამოსულ საქართველოს

ისტორიის სახელმძღვანელოში სკკპ XX ყრილობაზე საუბრისას ნათქვამი იყო: „ყრილობამ გაილაშქრა აგრეთვე პიროვნების კულტის წინააღმდეგ, რადგან პიროვნების კულტი მოასწავებს პარტიისა და ხალხის მასების როლის შეუფასებლობას, პარტიაში კოლექტიური ხელმძღვანელობის მნიშვნელობის დამცირებას“ (საქართველოს ისტორია, 1961, გვ.412).

შ. მესხიას და ვ. გუჩუას საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში ასევე არაფერია ნათქვამი 9 მარტის მოვლენების შესახებ, სამაგიეროდ უფრო მეტია დაწერილი პიროვნების კულტთან დაკავშირებით. აღნიშნულია, რომ საქმე ეხება სტალინის პიროვნების კულტს: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება სტალინის პიროვნების კულტისა და მისი მავნე შედეგების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ყრილობამ დაავალა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს თანმიმდევრობით განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მარქსიზმ-ლენინიზმთან შეუთავსებელი პიროვნების კულტის სრულ დაძლევას და მისი შედეგების ლიკვიდაციას...“ (მესხია და გუჩუა, 1968, გვ. 515-516).

<u>პოსტსაბჭოთა სახელმძღვანელოები.</u> საბჭოთა პერიოდის დუმილის შემდეგ 1956 წლის მარტის მოვლენებს დიდი ყურადღება დაეთმო საქართველოს ისტორიის პოსტსაბჭოთა სახელმძღვანელოებში. აქ მნიშვნელოვანია, თუ რაში ხედავენ საპროტესტო გამოსვლების მიზეზებს, რა შეფასება ეძლევა და რა ცვლილებების დასაწყისად მიიჩნევა მომხდარი.

2006 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში „საქართველოს ისტორია XIX საუკუნის დამდეგიდან XXI საუკუნის დამდეგამდე“ 1956 წლის 9 მარტის ამბებს პარაგრაფის ნაწილი ეთმობა სათაურით: „1956 წლის 9 მარტის ტრაგედია“ (ვაჩნაძე და გურული, 2006, გვ.156).

შეიძლება გამოიყოს რამდენიმე დებულება:

1. სტალინის კულტის პროპაგანდის შედეგად საქართველოში სტალინის და სამშობლოს სიყვარული ერთმანეთში იყო გადახლართული - „ბუნებრივია, სტალინის კულტი საქართველოში უფრო მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული. წლების მანძილზე სტალინისა და სამშობლოს სიყვარულს ერთნაირი ძალით უნერგავდნენ ახალგაზრდობას. **ქართველ ახალგაზრდობაში სტალინისა და სამშობლოს**

**სიყვარული ერთ დონეზე იდგა.** ასეთი უეცარი და ასეთი მკვეთრი შემობრუნება ხალხისთვის გაუგებარი გახდა. სტალინის კრიტიკას ქართველი ახალგაზრდობა საკუთარი ეროვნული ღირსების შეურაცხყოფად აღიქვამდა (ვაჩნაძე და გურული, 2006, გვ.156).

2. გადმოცემულია თბილისში მოვლენათა განვითარება 3-9 მარტს - „საქართველოში საპროტესტო მოძრაობა იოსებ სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავზე დაიწყო. 1956 წლის 3 მარტიდან თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში იმართებოდა ცალკეული მანიფესტაციები. მანიფესტაციები სწრაფად იღებდა საყოველთაო ხასიათს. 5 მარტს კი სტუდენტები ქუჩაში გამოვიდნენ. მათ დედაქალაქის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა აუბა მხარი. თბილისის ცენტრალური და მტკვრის სანაპირო ქუჩები დემონსტრანტებითა და მანიფესტანტებით დაიფარა. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სადაც აღმართული იყო სტალინის ვეებერთელა მონუმენტი, დაიწყო მრავალათასიანი მიტინგები. **5-9 მარტს მიტინგებმა და დემონსტრაციებმა განუწყვეტელი ხასიათი მიიღო.** საპროტესტო მოძრაობა მოედო მთელ საქართველოს. მრავალათასიანი მიტინგები ტარდებოდა გორში, თელავში, ქუთაისში, ბათუმსა და თითქმის ყველა რაიონულ ცენტრში“ (ვაჩნაძე და გურული, 2006, გვ.157).

3. ცალკეა გამოყოფილი მომიტინგეთა მოთხოვნები - „თბილისში გამართულ მრავალათასიან მიტინგებზე მოითხოვდნენ სტალინის კრიტიკისა და ქართველი ერის შეურაცხყოფის შეწყვეტას. მომიტინგეები ასევე მოითხოვდნენ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გადადგომას, კერძოდ, ნიკიტა ხრუშჩოვის გადაყენებასა და პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში სტალინის ძველი თანამებრძოლის, ხრუშჩოვის მიერ განდევნილი მოლოტოვის დაყენებას“ (ვაჩნაძე და გურული, 2006, გვ.157).

4. აღნიშნულია, რომ მოსკოვს შეეძლო კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება, მაგრამ მოაწყო „არაადამიანური სისასტიკითა და დაუნდობლობით განხორციელებული სისხლიანი ანგარიშსწორება“ (ვაჩნაძე და გურული, 2006. გვ.157); მოკლეს 150-ზე მეტი ადამიანი. „დახოცილთა და დაჭრილთა რაოდენობას ხელისუფლება ბოლომდე საიდუმლოდ ინახავდა (ვაჩნაძე და გურული, 2006, გვ.157).

5. ახსნილია, თუ რატომ გაუსწორდნენ მომიტინგეებს ასეთი სისასტიკით - „სისხლიანი ანგარიშსწორება მოსკოვს მხოლოდ იმიტომ სჭირდებოდა, რომ სტალინის კრიტიკით გამოწვეული საპროტესტო მოძრაობა მთელ საბჭოთა კავშირში არ გავრცელებულიყო და ხელისუფლებისთვის საშიში ხასიათი არ მიეღო. საქართველოს მკაცრად დასჯა მაგალითი უნდა ყოფილიყო სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, სადაც სტალინს ასევე მრავალრიცხოვანი დამცველი ჰყავდა. სისხლიანი ანგარიშსწორება მოსკოვს იმისთვისაც სჭირდებოდა, რომ სტალინის დაცვის მიზნით დაწყებული მოძრაობა მომავალში ანტირუსულ, ეროვნულ მოძრაობაში არ გადაზრდილიყო" (ვაჩნაძე და გურული, 2006, გვ.157).

6. აღნიშნულია, რომ ბიძგი მიეცა ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპის დასაწყისს. განხილულია არალეგალური ორგანიზაციები, რომლებიც 9 მარტის მოვლენების შემდეგ შეიქმნა საქართველოში – „1956 წლის 9 მარტის ტრაგედიამ ძლიერი ბიძგი მისცა ქართველი ერის ცნობიერებას. საქართველოში სერიოზულად დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა საფრთხეს უქმნიდა საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ცხოვრება" (ვაჩნაძე და გურული, 2006, გვ.157).

<u>2012 წლის სახელმძღვანელოები.</u> 1956 წლის მარტის მოვლენებზეა საუბარი ასევე 2012 წლის ისტორიის XII კლასის მოსწავლის წიგნშიც, თუმცა უშუალოდ 9 მარტს განვითარებულ მოვლენებზე ვრცლად არ წერია. სახელმძღვანელოს ავტორები ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ საპროტესტო ტალღის აგორების მიზეზებსა და იმ მოვლენებზე, რაც მარტის დემონსტრაციების შემდგომ ქვეყანაში განვითარდა. ხაზგასმულია, რომ „სტალინის კრიტიკას თან ახლდა ქართველი ერის შეურაცხყოფა. სტალინის ქართველობაზე ხაზგასმას არ შეეძლო არ გამოეწვია უსამართლობის გრძნობის გაჩენა" (კიღურაძე და სხვ., 2012, გვ. 260).

საინტერესოა, რომ აღნიშნული სახელმძღვანელოს ავტორები მომიტინგეთა მიერ სტალინის რეაბილიტაციის მოთხოვნას ქართული ნაციონალიზმის გამოვლინებად მიიჩნევენ - „მიუხედავად იმისა, რომ დემონსტრანტები სტალინის რეაბილიტაციას მოითხოვდნენ, მოძრაობა უპირველესად ეროვნული გრძნობების შეურაცხყოფაზე რეაქციას წარმოადგენდა. პრაქტიკულად ეს იყო ქართული ნაციონალიზმის პირველი გამოხატულება განვლილი ოცდაათი წლის მანძილზე" (კიღურაძე და სხვ., 2012, გვ. 260).

სახელმძღვანელოს ავტორებმა 1956 წლის მარტის მოვლენები დააკავშირეს შემდგომ პერიოდში ქვეყანაში ჩამოყალიბებულ არალეგალურ ეროვნულ ორგანიზაციებთან - „სწორედ 1956 წლის 9 მარტის მოვლენების შემდეგ იქმნება პირველი არალეგალური ეროვნული ორგანიზაციები: „გორგასლიანი" (შექმნეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ), „სიღნაღის ახალგზარდა გვარდია", „სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა კავშირი" (კიღურაძე და სხვ., 2012, გვ. 260-261).

აქვე საყურადღებოა შემდეგი გარემოება - აღნიშნული სახელმძღვანელოების ავტორები, მარტის მოვლენებს უკავშირებენ არამხოლოდ საქართველოში ჩამოყალიბებულ ეროვნულ ორგანიზაციებს, არამედ აღნიშნავენ, რომ „სწორედ 1956 წლის 9 მარტის მოვლენების შემდეგ... შედარებით გამოცოცხლდა ემიგრანტული მოძრაობაც" (კიღურაძე და სხვ., 2012, გვ. 261).

მნიშვნელოვანია, რომ 1956 წლის მარტის მოვლენების განხილვისას, სახელმძღვანელოში მოცემულია მოკლე ამონარიდი ამერიკელი ისტორიკოსის, რონალდ სიუნის წიგნიდან, „ქართველი ერის ჩამოყალიბება", სადაც ავტორი, სტალინის გარდაცვალების შემდგომ საქართველოში ქართული ნაციონალიზმის აყვავების რამდენიმე მიზეზზე საუბრობს, მათ შორის, - „პოლიტიკური რეპრესიების შედარებითი შემსუბუქება და სტალინური ტერორის ეპოქის დასასრული; საქართველოში ეროვნული ელიტის კონსოლიდაცია ხრუშჩოვის ეპოქაში. მოსკოვიდან ნებადართული ავტონომიურობის ხარისხის გაზრდა; ისტორიული მეხსიერების გამოღვიძება და ზრუნვა ეროვნული ენისა და კულტურის დაცვაზე (უპირველესად რუსულისაგან); მარქსისტული იდეოლოგიის გახრწნა და მისი შეცვლა პატრიოტიზმითა და ნაციონალიზმით...ნაციონალიზმი იძლეოდა უკეთესი მომავლის იმედის დიადი წარსულის მუდმივი მოხმობის საფუძველზე" (კიღურაძე და სხვ., 2012, გვ. 260).

კიდევ ერთი სახელმძღვანელო, სადაც 1956 წლის მარტის მოვლენებია აღწერილი, 2012 წელს გამოცემული, XII კლასის მოსწავლის წიგნია. „სისხლიანი პარასკევი"-ასეთი სათაურითაა მოთხრობილი სახელმძღვანელოში კომუნისტური პარტიის XX ყრილობის, ხრუშჩოვის მოხსენების და მის შემდგომ საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ. ავტორები აღნიშნავენ, რომ მეოცე ყრილობაზე

დაწყებულ დესტალინიზაციის პროცესს დიდი გამოხმაურება მოჰყვა ბელადის სამშობლოში ვინაიდან, „წლების მანძილზე სტალინისა და სოციალისტური სამშობლოს სიყვარულს ერთნაირი ძალით უნერგავდნენ ახალგაზრდობას. ქართველი ახალგაზრდობისთვის **სტალინის სიყვარული სამშობლოს სიყვარულს ნიშნავდა**" (აბდალაძე და სხვ., 2012, გვ. 272). სტალინის სამშობლოსთან ასეთმა მყარმა კავშირმა და ამ მიმართულებით პოლიტიკის ცვლილებამ გაუგებრობა გამოიწვია ქართველ ახალგაზრდებში - „სტალინის კრიტიკას ქართველი ახალგაზრდობა საკუთარი ეროვნული სიამაყის შეურაცხყოფად აღიქვამდა" (აბდალაძე და სხვ., 2012, გვ. 272). აქვე ხაზგასმულია საბჭოეთში სტალინის გარდაცვალების შემდგომ დაწყებული დემოკრატიზაციის მნიშვნელობა - „დემოკრატიზაციის დაწებულმა პროცესებმა ხელი შეუწყო საზოგადოების აქტიურობის ზრდას". სახელმძღვანელოში მოცემულია ამონარიდი ცკ-ს დადგენილებიდან „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ".

აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოში მოცემულია 9 მარტის ტრაგედიის მსხვერპლთა ნაწილის სურათები. ავტორები აღნიშნავენ, რომ გარდაცვლილთა რიცხვმა 150-ს გადააჭარბა, სახელმძღვანელოში კი 12 მსხვერპლის სურათი და მათი გვარებია ნაჩვენები.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმძღვანელოში თვითმხილველთა მონათხრობს შეგვიძლია გავეცნოთ. საინტერესოა, რომ მოცემულია როგორც დემონსტრაციის მონაწილეების, ასევე  მილიციის უფროსის ჩანაწერები. მსვლელობის მონაწილე აღწერს დარბევის პროცესს - „დაახლოებით ცხრის ნახევარზე დემონსტრანტთა ერთი ჯგუფი გაემართა კავშირგაბმულობის სახლისკენ, რომ მოსკოვისა და ლენინგრადის ახალგაზრდობისადმი მიმართვა გაეგზავნათ... იქ სახურავიდან დაგვიშინეს ტყვიამფრქვევის ჯერი. ხალხმა სანაპიროსკენ დაიხია, აქ კი ტანკები გველოდა. ტანკებმა სტალინის ძეგლთან მდგომ ხალხს გადაუარა" (აბდალაძე და სხვ., 2012, გვ. 273).

„ღამის 2 საათზე თუ უფრო გვიან რესპუბლიკის მილიციის სამმართველოს უფროსმა თავისთან შეგვკრიბა და მოგვცა მიცვალებულთა დაკრძალვის ინსტრუქცია...დილის ხუთ საათზე ჭირისუფლებთან მივიდოდნენ მილიციის მუშაკები და წაიყვანდნენ საავადმყოფოში. მხოლოდ დაღუპულის მშობლებს, და-

ძმებს, მეუღლეს ან შვილს შეეძლო მისვლა და სპეციალურად გამოყოფილ ოთახში მიცვალებულის გლოვა...ხმამაღლა ტირილი და სასახლის ხუფის ახდა აკრძალული იყო. ამ პროცედურის შემდეგ სასწრაფო დახმარების მანქანით მიცვალებულს სასაფლაოზე გადაასვენებდნენ“ (აბდალაძე და სხვ., 2012, გვ. 273-274). ირონიულია, რომ როგორც მილიციის უფროსის მონათხრობიდან ირკვევა - „დაკრძალვა მოხდებოდა სახელმწიფოს ხარჯზე“ (აბდალაძე და სხვ., 2012, გვ. 273).

სახელმძღვანელო ასევე გვაცნობს გამოსვლების ერთ-ერთი მონაწილის ჩვენების ნაწილსაც, რომელიც სწორედ იმ მიზეზებს ეხება, რომელმაც ახალგაზრდობაში პროტესტი გამოიწვია - „ჩვენი საქმიანობა დაიწყო სტიქიურად ხრუშჩოვის მოხსენების შინაარსის გავრცელებით. გავიგე, რომ მან სტალინი გალანძღა, იქვე შეურაცხყოფა მიაყენა ქართველებს, შეეცადა დაეცინა და დაეკნინებინა ქართველი ხალხი, მათი ღირსება. ჩვენი გამოსვლებიც ამ ღირსების დაცვას ისახავს მიზნად, რომ არ ყოფილიყო ხრუშჩოვის ასეთი მოხსენება, არც ეს მოვლენები იქნებოდა თბილისში“ (აბდალაძე და სხვ., 2012, გვ. 274). აქვე შეგვიძლია მისი (ქართველი ახალგაზრდების ნაწილის) დამოკიდებულება გამოვარკვიოთ სტალინის მიმართ, სადაც ნათლად იკითხება დაბნეულობა სტალინის მიმართ მკვეთრად შეცვლილი პოლიტიკით - კითხვაზე პასუხად, თუ რატომ იცავენ სტალინს, „მას ხომ არც ქართველებისთვის გაუკეთებია კარგი?“ - გამოსვლის მონაწილე პროტესტს გამოთქვამს - „ბავშვობაში მის სიყვარულს გვინერგავდით, მისი სიყვარულით და მისდამი პატივისცემით გვზრდიდით... ჩვენთან რა გინდათ, რას მოითხოვთ ახალგაზრდებისგან, ჩვენ ამ სულისკვეთებით ხომ თქვენი აღზრდილები ვართ?“

სახელმძღვანელოს ავტორები მიიჩნევენ, რომ კომუნისტურმა ხელისუფლებამ საქართველო სამაგალითოდ დასაჯა. აღნიშნული უნდა გაეთვალისწინებინათ სხვა რესპუბლიკებს, სადაც სტალინს ასევე ჰყავდა უამრავი დამცველი და ასევე, „სისხლიანი ანგარიშსწორება მოსკოვს იმისთვისაც სჭირდებოდა, რომ სტალინის დაცვის მიზნით დაწყებული მოძრაობა ანტირუსულ, ეროვნულ მოძრაობაში არ გადაზრდილიყო“ (აბდალაძე და სხვ., 2012, გვ. 274).

ავტორები გამოკვეთენ ასევე საქართველოს ხელისუფლების როლსა და ინტერესებს 9 მარტის ტრაგედიის დამალვაში - „საქართველოს ხელისუფლება მხოლოდ მოსკოვის მითითებებს ემორჩილებოდა და ხელისუფლების შენარჩუნებაზე

ფიქრობდა. სწორედ ხელისუფლების უსუსურობამ და უპრინციპობამ შეუწყო ხელი თბილისის ტრაგედიის მიჩუმათებას“ (აბდალაძე და სხვ., 2012, გვ. 274).

მოცემული სახელმძღვანელოც ამახვილებს ყურადღებას 1956 წლის მარტის ამბების შემდგომ საქართველოში არალეგალური ეროვნული ორგანიზაციების ჩამოყალიბებაზე, რომელსაც ხელი სწორედ 9 მარტის დარბევამ შეუწყო - „1956 წლის 9 მარტის ტრაგედიამ ძლიერი ბიძგი მისცა ქართველი ერის ცნობიერებას... სტუდენტთა და მოსწავლეთა მცირე ჯგუფებმა ფარულად დაიწყეს საქართველოს გათავისუფლების იდეის პროპაგანდა. გაჩნდა არალეგალური ორგანიზაციები, არალეგალური გამოცემები“ (აბდალაძე და სხვ., 2012, გვ. 275). მოთხრობილია სხვადასხვა ორგანიზაციის დაფუძნების, მათი საქმიანობის შესახებ. მოყვანილია ასევე ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ დაფუძნებული „გორგასლიანის“ პროკლამაცია - „ქართველებო! ხომ არ დაგავიწყდათ ცხრა მარტის სისხლიანი ღამე? ხომ არ დაგავიწყდათ სისხლიანი ოცდაოთხი და ოცდაჩვიდმეტი, ქართველი ხალხის დარბევისა და გაჟლეტის წლები? როდემდის უნდა გვქონდეს ქედი მოხრილი მტარვალი კომუნისტების მახვილქვეშ? ჩვენს წინაპრებს სისხლი არავისთვის შეურჩენიათ და არც ჩვენ უნდა შევირცხვინოთ თავი“ (აბდალაძე და სხვ., 2012, გვ. 275). აღნიშნული პროკლამაციით ავტორები საკუთარ მოსაზრებას ამყარებენ, 1956 წლის 9 მარტის მოვლენები იქცა დამპყრობლის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ისტორიულ თარიღად და ამავე დროს ხელი შეუწყო ახალი ძალით ამ ბრძოლის განახლებას. „1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის შემდეგ შექმნილი არალეგალური ორგანიზაციების საქმიანობა მოწმობდა, რომ საქართველოში ეროვნული მოძრაობა გრძელდებოდა“ (აბდალაძე და სხვ., 2012, გვ. 275).

ერთი თავი აქვს დათმობილი 1956 წლის მარტის მოვლენების განხილვას ფარნაოზ ლომაშვილის მეთერთმეტე კლასის სახელმძღვანელოში(ლომაშვილი, 2002). ავტორი მარტის გამოსვლების რამდენიმე მიზეზს ასახელებს, მათ შორის სტალინის ქართველობას და მისი კულტის მდგრადობას ქართველ ხალხში, ასევე მისი ქართველობით გამოწვეულ ეროვნულ სიამაყეს და სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკის გადაზრდას ანტიქართულ კამპანიაში.

ლომაშვილი გამოსვლებს შემდეგნაირად ახასიათებს: „პირველ ხანებში იგი თავისი არსით კონსერვატულ ხასიათს ატარებდა და მიმართული იყო მთელ ქვეყანაში დაწყებული „ოტოპელის“ - წინააღმდეგ. ის ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილ „ნამდვილ საბჭოთა წყობილებას“ და „რეალურ სოციალიზმს“ რევიზიონისტი ხრუშჩოვისაგან იცავდა და, ამრიგად, ფაქტობრივად იმპერიის შენარჩუნებას ემსახურებოდა. მაგრამ, მეორე მხრით, ყოველივე ეს მასობრივი საპროტესტო გამოსვლის საიმედო ფარი იყო დაეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მისი გადაზრდის ტრეალურ საფუძველს ქმნიდა“(ლომაშვილი, 2002, გვ. 89).

დაღუპულთა და დასახიჩრებულთა შესახებ ინფორმაცია შემდეგია: „ათობით ახალგაზრდა მოკლეს. ასობით დემონსტრანტი დაჭრეს და დაასახიჩრეს“ (გვ. 89).

1956 წლის 9 მარტის მოვლენები მოცემულია კიდევ ერთ სახელმძღვანელოში 2012 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის მე-9 კლასის წიგნში (ჯანელიძე და სხვ., 2012). სახელმძღვანელოს ავტორები გამოსვლების მიზეზად ასახელებენ იმას, რომ სტალინის კულტის კრიტიკამ ანტიქართული ხასიათი მიიღო - „სტალინის ქართველობაზე ხაზგასმას, საქართველოს მოსახლეობის უკმაყოფილება და მწვავე რეაქცია მოჰყვა. საზოგადოება, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, რომელიც სტალინის კრიტიკას საკუთარი ეროვნული თავმოყვარეობის შელახვად აღიქვამდა, საპროტესტოდ დაირაზმა“ (ჯანელიძე და სხვ., 2012, გვ. 353). აქვე ხაზგასმულია, რომ „გამოსვლები ყველგან ლენინ-სტალინის სურათებითა და საბჭოთა ლოზუნგებით მიმდინარეობდა.. თუმცა „ახალგაზრდების ერთმა ნაწილმა საქართველოს დამოუკიდებლობის ლოზუნგი წამოაყენა. გაჩნდა მოწოდება: „ძირს კოლონიალიზმი, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“

სახელმძღვანელოში მოცემულია ასევე თვითმხილველთა ნაამბობი მარტის გამოსვლებთან დაკავშირებით, შექმნილ ვითარებასა და საზოგადოების განწყობაზე. გარდაცვლილთა ზუსტ რაოდენობას ავტორები ვერ ასახელებენ, მოცემულია მხოლოდ, რომ „დანამდვილებით ცნობილია 26 გარდაცვლილის ვინაობა (ჯანელიძე და სხვ., 2012, გვ. 354).

მნიშვნელოვანია მოცემული სახელმძღვანელოს ავტორთა შეფასება 1956 წლის 9 მარტის გავლენაზე; როგორც სახელმძღვანელოში ვკითხულობთ - „1956 წლის 9

მარტის ტრაგედიამ ქართველ ერზე დიდი მორალური და ფსიქოლოგიური ზემოქმედება იქონია. ბევრის შეგნებაში ამ დღეს საფუძველი შეერყა რწმენას კომუნისტური პარტიისადმი და დაიმსხვრა ილუზია საბჭოთა ნათელ მომავალზე" (ჯანელიძე და სხვ., 2012, გვ. 355). (ორჯონიკიძე, 2022).

## 5.8. სტალინზე გავრცელებული მითები და სახელმძღვანელოებში მოცემული ინფორმაცია

სტალინის შესახებ დღევანდელ საქართველოში გავრცელებული მითები მრავალფეროვანია. განვიხილავთ მხოლოდ იმ ძირითად მითებს, რომლებიც სტალინს საქართველოს ისტორიაში პოზიტიურად წარმოაჩენს (მითები აღებულია სტალინური პუბლიკაციებიდან ბეჭდურ მედიაში და სოციალური ქსელიდან). ასევე ვაჩვენებთ, თუ როგორ არის მოთხრობილი ამ ფაქტების შესახებ სახელმძღვანელოებში და რამდენად უწყობს  მოცემული ინფორმაცია ხელს კონკრეტული მითის გაბათილებას.

მითი 1. თანამედროვე სტალინისტებისთვის საქართველოში, რომლებიც პატრიოტულ პოზიციებზე დგანან, სტალინის როლი საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ოკუპაციაში ერთ-ერთი ყველაზე „მტკივნეული" თემაა. სწორედ ამიტომ ამტკიცებენ, რომ **„1921 წელს რუსეთის წითელი არმია საქართველოში ლენინის ბრძანებით შემოიჭრა და ამაში სტალინს ბრალი არ მიუძღვის".**

საქართველოს გასაბჭოებაზე საუბრისას სახელმძღვანელოებში მწირადაა მოცემული დოკუმენტები, მათ შორის იმ პერიოდის ოფიციალური დეპეშები, რაც 1921 წელს საქართველოზე საბჭოთა რუსეთის თავდასხმაში სტალინის პირდაპირ მონაწილეობას ასაბუთებს. მათ შორისაა 1921 წლის იანვარ/თებერვალში სტალინის მიერ ქართველი ბოლშევიკის და საქართველოში რუსეთის ოკუპაციის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორის, სერგო ორჯონიკიძისადმი (1886-1937 წ.წ.) მიწერილი დეპეშები - „ცეკამ მიიღო გადაწყვეტილება გასწიოს მოსამზადებელი მუშაობა იმ ვარაუდით, რომ შესაძლოა საჭირო შეიქნას სამხედრო ჩარევა და საქართველოს ოკუპაცია"; აგრეთვე - „ახლავე შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი" (ასათიანი და სხვ., 2012, გვ. 379). ერთ-ერთ სახელმძღვანელოში მოცემულია აგრეთვე ორჯონიკიძის

პასუხი - „თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“ (აბდალაძე და სხვ., .2012, გვ. 153). თუმცა, ეს დეპეშები ადასტურებს სტალინის მონაწილეობას საქართველოს ოკუპაციაში და არა იმას, რომ საქართველოში რუსეთის წითელი არმიის შემოყვანის ინიციატორი და ხელმძღვანელი სწორედ სტალინი იყო.

**მითი 2. „სტალინი-ილია ჭავჭავაძის თანამოაზრე“** - სტალინის დაკავშირება თანამედროვე საქართველოსთვის საკვანძო პიროვნებასთან, ილია ჭავჭავაძესთან (1837-1907 წ.წ.). ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა ფაქტი (ნამდვილი და გამოგონილი) შესაბამისი ინტერპრეტაციით - „ახალგაზრდა სტალინი ილია ჭავჭავაძის მდივანი იყო[43]“; „ილია ჭავჭავაძე სოციალ-დემოკრატებმა მოკლეს, რაშიც სტალინი არ მონაწილეობდა; მისი რეაბილიტაცია მოახდინა; 1937 წელს საკავშირო მასშტაბით აღინიშნა ილია ჭავჭავაძის 100 წლის იუბილე, მოგვიანებით კი დაისაჯა მისი ერთ-ერთი მკვლელი“.

ამგვარი მითების გაბათილება სასკოლო ისტორიის სახელმძღვანელოს მეშვეობით ძნელია, რადგანაც ძირითადად ფაქტების ინტერპრეტაციასთან გვაქვს საქმე და სასკოლო სახელმძღვანელოებში ზოგიერთი რამ შეიძლება არც იყოს ნახსენები.

სახელმძღვანელოებში მოცემულია საბჭოთა პერიოდის პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწეების უარყოფითი შეფასებები ილია ჭავჭავაძის საქმიანობასთან დაკავშირებით, მათ შორის ცნობილი ქართველი ბოლშევიკის, ფილიპე მახარაძის (1868-1941 წ.წ.) შეფასება, რომ „ილია ჭავჭავაძე იყო მუშების და გლეხების ექსპლოატატორი (კიღურაძე და სხვ., 2012, გვ. 247). ასევე, ერთ-ერთი პროლეტარი მწერლის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ „ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ ნაციონალისტური და რეაქციონერული ნაწარმოებია, რომლის ფორმულას „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, არაერთი წვინტლიანი ინტელიგენტი აუსლოკინებია“ (კიღურაძე და სხვ., 2012, გვ. 247). იმის გათვალისწინებით, რომ სტალინი ერთპიროვნულად მართავდა საბჭოთა სახელმწიფოს და ცალკეული პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწეები ცენტრისგან

[43] 6 ივლისი, 2022. „წმინდა ბერი ნიკოლოზი“ - https://www.facebook.com/profile/100047176984420/search/?q=%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90

განსხვავებულ, მითუმეტეს მასთან დაპირისპირებულ პოზიციას ვერ გამოხატავდნენ ხმამაღლა, ეს ფრაზები გამორიცხავს სტალინის დადებით დამოკიდებულებას ილია ჭავჭავაძისადმი. თუმცა აღსანიშნავია, რომ ზემოთმოყვანილი პირები გამოხატავდნენ 1920-იანი წლების თვალსაზრისს და შეხედულებებს ილია ჭავჭავაძესთან, მის საქმიანობასთან დაკავშირებით, რაც სტალინმა შეცვალა მოგვიანებით და ამის შემდეგ ილიას უკვე მხოლოდ პოზიტიურად აფასებდნენ.

მითი 3. „1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების ჩახშობაში სტალინს ბრალი არ მიუძღვის"

საბჭოთა ოკუპაციის ერთ-ერთი მძიმე ფურცელი 1924 წლის აჯანყებას უკავშირდება. საქართველოს გასათავისუფლებლად მოწყობილი აჯანყება ბოლშევიკურმა რეჟიმმა სასტიკად ჩაახშო და მრავალი ადამიანი დახვრიტა. ამიტომაც ცდილობენ სტალინის გამიჯვნას სისხლიანი ანგარიშსწორებისაგან.

სახელმძღვანელოებში მოცემული ინფორმაცია შევსებას საჭიროებს. ერთ-ერთ სახელმძღვანელოში მოცემულია სტალინის ფრაზა 1924 წლის აჯანყების შესახებ ცნობების მიღებისას - „დაე აჯანყდნენ, საქართველოს სისხლი ჯერ არ გამოუშვია" (კიღურაძე და სხვ., 2012, გვ. 243). ერთ-ერთი სახელმძღვანელო კი ცნობილი რევოლუციონერის, ლევ ტროცკის მოსაზრებას გვაცნობს საქართველოში 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების შესახებ, სადაც სტალინზეც საუბრობს - „ნაადრევმა გასაბჭოებამ საქართველოში გარკვეული პერიოდის განმავლობაში გააძლიერა მენშევიკები და გამოიწვია ფართო მასობრივი აჯანყება 1924 წელს. თვითონ სტალინის აღიარებითაც, საქართველო წაღმა-უკუღმა უნდა გადახნულიყო" (სურგულაძე და სხვ., 2021, გვ. 45/213). ლევ ტროცკისა და სტალინის ურთიერთდამოკიდებულებას თუ გავითვალისწინებთ, შესაძლებელია მოსწავლეთათვის არცთუ სანდო იყოს ტროცკის მიერ ნათქვამი ფრაზა სტალინის, მისი სიტყვებისა თუ საქმეების შესახებ.

მითი 4. - „სტალინმა ააყვავა საქართველოს ეკონომიკა"

სახელმძღვანელოებში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ინდუსტრიალიზაციამ საქართველოს ეკონომიკა მიაბა რუსეთს; კოლექტივიზაციას კი მოჰყვა გლეხთა გადასახლებები და დახვრეტები. სახელმძღვანელოებში მოცემულია რუსული და ქართული პლაკატები კულაკთა „მავნებლობის" შესახებ,

აგრეთვე მოწოდებები მათთან საბრძოლველად - „გადაჭრით შევუტიოთ კულაკს და ვიბრძოლოთ ახალი კოლმეურნეობისა და სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისთვის (სურგულაძე და სხვ., 2021, გვ. 47/215); „გავყაროთ კულაკები კოლმეურნეობიდან“ (ახმეტელი და სხვ., 2021, გვ.282).

მითი 5. - „რეპრესიების შესახებ სტალინმა არ იცოდა“

სახელმძღვანელოებში მოთხრობილია საქართველოში მიმდინარე რეპრესიებზე, მათ შორის ინტელიგენციის წარმომადგენლების მიმართ, მოცემულია ნაწყვეტები რეპრესირებულთა მოგონებებიდან; მოცემულია აგრეთვე 1937 წლის 30 ივლისის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის #00477 საიდუმლო ბრძანება ყოფილი კულაკების, კრიმინალებისა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების რეპრესიების შესახებ (ახმეტელი და სხვ., 2021, გვ.295). სახელმძღვანელოებში ნათქვამია ასევე, რომ „1930-იანი წლების მასობრივი რეპრესიების მთავარი მიზეზი და საფუძველი ქვეყნის ხელმძღვანელობისგან, უპირველეს ყოვლისა, სტალინისგან განსხვავებული აზრი და პოზიცია იყო“ (ასათიანი და სხვ., 2012, გვ. 390/391). თუმცა არაა ნაჩვენები სტალინის უშუალო მონაწილეობა დოკუმენტურად (ხელმოწერები დასახვრეტთა სიებზე...).

მითი 6. - „სტალინი მორწმუნე იყო და რუსეთის ეკლესიას აღიარებინა საქართველოს ავტოკეფალია“

სახელმძღვანელოებში მეტ-ნაკლებად სრულადაა მოცემული ინფორმაცია სასულიერო პირების მიმართ განხორციელებული რეპრესიების, ეკლესიათა დახურვა/დანგრევის და საეკლესიო ქონების დატაცების შესახებ. მოცემულია საბჭოთა პლაკატები, რომლებიც რელიგიის „უარყოფით როლზე“ მიუთითებენ - „რელიგია - საწამლავია. გაუფრთხილდი ბავშვებს“; „რელიგია ხუთწლედის მუხრუჭია; რელიგია მშრომელთა დამონების საშუალებაა“ (ახმეტელი და სხვ., 2021, გვ. 293); აგრეთვე 1920-1930-იან წლებში დანგრეული ეკლესიების მცირე აღწერა და სურათები.

მითი 7 - „სტალინი ზრუნავდა საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებაზე - მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სტალინმა თურქეთს მოსთხოვა საქართველოს ისტორიული ტერიტორიები“

აღნიშნული საკითხი სახელმძღვანელოებში ფაქტობრივად არაა განხილული. უმჯობესი იქნებოდა, მოსწავლეებისათვის მიეწოდებინათ ინფორმაცია იმის შესახებ,

რომ საბჭოთა კავშირმა მართლაც წაუყენა ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთს მეორე მსოფლიო ომის ბოლო დასასრულს (1945-1953 წ.წ.), რაც საქართველოსა და სომხეთის ისტორიული ტერიტორიის დაბრუნებასაც მოიცავდა, თუმცა ეს მხოლოდ იმიტომ გაკეთდა, რომ სტალინი დაინტერესებული იყო შავი ზღვის სრუტეებზე კონტროლით. სწორედ აღნიშნულთან ერთად განიხილებოდა საქართველოს ტერიტორიის საკითხიც. თურქეთმა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერით საბჭოთა კავშირის პრეტენზიებს უარით უპასუხა, 1952 წელს კი ის ნატოში გაწევრიანდა. აღსანიშნავია, რომ სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირმა უარი განაცხადა თურქეთისადმი წაყენებულ ტერიტორიულ პრეტენზიებზე.

მითი 8 - „სტალინი კარგი ქართველი იყო - უყვარდა ქართული კულტურა და ტრადიციები"

ქართული კულტურისადმი სტალინის დამოკიდებულებასთან დაკავშირებით სახელმძღვანელოებში კონკრეტულად არაა საუბარი, თუმცა მოცემული ინფორმაცია არაპირდაპირ მაინც უპირისპირდება ამ მითს. სტალინის „კარგი ქართველობა და მისი სიყვარული ქართული კულტურისადმი ძირითადად „მტკიცდება" ქართველი ხელოვანების თუ პოლიტიკურ მოღვაწეთა მოგონებებიდან, რომელიც აქტიურად ვრცელდება თანამედროვე პერიოდში (აკაკი ვასაძე; კანდიდ ჩარკვიანი; ნიკო ბერძენიშვილი...). ამ ტიპის მითების გაქარწყლება რთულია ისტორიის სახელმძღვანელოებში, თუმცა ის ინფორმაცია (ოკუპაციაში მონაწილეობა, რეპრესიები ინტელიგენციის მიმართ, ეკლესიის მდგომარეობა...) რასაც აღნიშნული სახელმძღვანელოები აცნობენ მოსწავლეებს, საკმარისი უნდა იყოს სტალინის საქართველოსთან, მის კულტურასა თუ ტრადიციებთან უარყოფითი დამოკიდებულების გასაგებად (Orjonikidze, 2024).

## 5.9. რას იმახსოვრებენ სასკოლო სახელმძღვანელოებიდან სტალინის შესახებ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოყვანილი ძირითადი ფაქტები

პოსტსაბჭოთა პერიოდის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების შინაარსობრივი ანალიზი აჩვენებს, რომ სახელმძღვანელოებში ფაქტობრივად მოცემულია ყველა ძირითადი ფაქტი, რაც სტალინის საქმიანობას უკავშირდება და რომელთა თაობაზეც დღეისათვის არსებობს სხვადასხვა მითები. იმის

გათვალისწინებით, რომ დღეისთვის სკოლებში ისტორიის სწავლება 2012 წლის და მომდევნო წლებში გამოცემული სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს, ნაშრომში მოცემულია ცხრილი, რომელიც კონკრეტულად სტალინთან დაკავშირებით 2012 წლის შემდგომ გამოცემულ სახელმძღვანელოებში მოცემულ ფაქტებს აჩვენებს. აქვე აღსანიშნავია, რომ რიგ სახელმძღვანელოებში გაერთიანებულია მსოფლიოსა და საქართველოს მეოცე საუკუნის ისტორია, რაც ყველა მოვლენის შესახებ ჯეროვან მსჯელობას ართულებს - შეზღუდული მოცულობიდან გამომდინარე. შესაბამისად, საქართველოსთან დაკავშირებული ფაქტების სიმცირე შესაძლოა სწორედ ამ ფაქტს მივაწეროთ.

ცხრილი #7

**სტალინთან დაკავშირებული ინფორმაცია 2012 და შემდეგ წლებში გამოცემულ სახელმძღვანელოებში**

| N | საკითხი | ასათიანი,ლორთქიფანიძე...2012 | კიღურაძე, გაჩეჩილაძე..., 2012 | აბდალაძე, კუპატაძე..., 2012 | ჯანელიძე, თაბუაშვილი.2012 | სურგულაძე, კეკელია... 2021 | ახმეტელი, ლორთქიფანიძე....2021 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | სტალინის როლი საქართველოს გასაბჭოებაში | + | – | + | – | + | – |
| 2. | სტალინის დეპეშა - „დასტურია“ | + | – | – | – | – | – |
| 3. | ორჯონიკიძის დეპეშა - „ფრიალებს“ | – | – | + | – | – | – |
| 4. | სტალინის როლი 1924 წლის აჯანყების ჩახშობის დროს | – | + | – | – | + | – |
| 5. | სტალინი - 1937 წლის რეპრესიები | + | + | + | + | + | + |
| 6. | „საქართველოს ისტორიული მიწების დაბრუნების მცდელობა | – | – | + | – | – | – |

ჩემ მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა უმრავლესობის შეფასებით, სასკოლო სახელმძღვანელოებში სტალინის და მისი მოღვაწეობის შესახებ ზედაპირული ინფორმაციაა მოცემული. ასეთ შეფასებას, სახელმძღვანელოების შინაარსის გაცნობის შემდეგ, უაპელაციოდ ვერ გავიზიარებთ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთი შეფასების ავტორებს ცუდათ აქვთ ნასწავლი, ან შესწავლილი მასალა მათთვის შთამბეჭდავი არ აღმოჩნდა.

სასკოლო სახელმძღვანელოებიდან სტალინთან დაკავშირებით ძირითადად ახსოვთ (ჩამოთვლით საკითხების გახსენების სიხშირის მიხედვით):

- ✓ მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობა;
- ✓ დიქტატორი;
- ✓ სტალინთან დაკავშირებული რეპრესიები;
- ✓ პიროვნების კულტი;
- ✓ რეფორმები;
- ✓ „დიდებული მმართველი“;
- ✓ საქართველოს გასაბჭოებაში მისი როლი;
- ✓ საქართველოსთვის ტაო-კლარჯეთის დაბრუნების მცდელობა თურქეთისგან.

კვლევის ერთ-ერთ მონაწილეს გაახსენდა სტალინის ფრაზა 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით - „ქართველებისათვის საკმარისი სისხლი ჯერ არ გამოგვიცლია“ - მსგავსი ფრაზა მართლაც არის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში: „დაე, აჯანყდნენ! საქართველოს სისხლი ჯერ არ გამოუშვია!“ (კიღურაძე და სხვ., 2012, გვ. 243), რომელიც აღნიშნულ პიროვნებას ზემოთ მოყვანილი სახით დაამახსოვრდა.

აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ მოსწავლე-ახალგაზრდებს ამახსოვრდებათ არა იმდენად თარიღები, არამედ ემოციების გამომწვევი ფაქტები და, შესაძლოა, ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები ამ მიმართულებით სრულყოფას საჭიროებენ.

უცნაურია სასკოლო სახელმძღვანელოებთან სტალინის როგორც „დიდებული მმართველის“ დაკავშირება. პოსტსაბჭოთა პერიოდის ისტორიის სახელმძღვანელოებიდან ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველი არ არსებობს.

აღსანიშნავია თავად სახელმძღვანელოს ავტორთა პოზიცია: ჩავატარე ინტერვიუები ამ პერიოდზე მომუშავე მკვლევრებთან და სახელმძღვანელოთა

ავტორებთან. მათი ნაწილი აღნიშნავს, რომ თუკი ამ კუთხით განვიხილავთ სახელმძღვანელოებს, გარკვეული ხარვეზები არსებობს, თუმცა მათი ახსნით, ეს დაკავშირებულია სახელმძღვანელოთა სპეციფიკასთან (მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოებში საქართველოს შესახებ ინფორმაცია მცირეა) და მასალის მოცულობის შეზღუდვასთან.

# დასკვნა

თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრებისათვის დამახასიათებელია პოლიტიკური მითების აქტიური გამოყენება. დღეისათვის პოლიტიკური მითები „პოლიტიკის კეთების“ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს, გამონაკლისი არ არის დღევანდელი საქართველოც.

პოლიტიკური მითების შესახებ მნიშვნელოვანი სამეცნიერო ლიტერატურის არსებობის მიუხედავად, მისი ერთიანი განსაზღვრება არ არსებობს. თუმცა, ფაქტობრივად ყველა განსაზღვრება თანხმდება იმაზე, რომ პოლიტიკური მითი არის რთულ საკითხებზე მარტივი და აქედან გამომდინარე, არასწორი და არასრული პასუხი. მითის ძალა სიმარტივეა და ასევე ის ემოციები და სიმბოლოები, რითაც მითები არის დატვირთული. თუმცა, პოლიტიკურ მითებში ეს არ არის მთავარი. პოლიტიკური მითები იმიტომ არსებობენ, რომ გარკვეული პოლიტიკური ინტერესების მატარებელნი არიან და ამ პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებიან. სწორედ ამიტომ პოლიტიკური მითების განხილვისას მკაფიოდ უნდა იქნას წარმოჩენილი მათ უკან მიმალული პოლიტიკური ინტერესები.

პოლიტიკური მითების დიდი ნაწილი ისტორიულ პიროვნებებს, ფაქტებს და მოვლენებს ეძღვნება. სწორედ ამ სახეობას განეკუთვნება მითები სტალინის შესახებ, რომელთა შესწავლაც წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს.

კვლევამ დაადასტურა ნაშრომში წამოყენებული ორივე ჰიპოთეზა.

პოსტსაბჭოთა საქართველოში სტალინის შესახებ მითების არსებობის საფუძველი გახდა ისტორიისადმი გაზრდილი ინტერესი, როდესაც საბჭოთა პერიოდში ისტორიული ფაქტების მიჩუმათებას მოჰყვა წარსულზე თავისუფლად წერის შესაძლებლობა და მრავალი ისტორიული დოკუმენტისა და ფაქტის გამომზეურება. ცხადია, ყურადღების ქვეშ მოექცა სტალინი და მის მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები. ამ თემისადმი ყურადღებას ზრდიდა და განსაკუთრებულ მგრძნობელობას ანიჭებდა სტალინის ქართველობა.

სტალინთან დაკავშირებული თემატიკისადმი ინტერესის ზრდას ხელს უწყობდა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა თაობა, რომელიც ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ძალა იყო პოსტსაბჭოთა პერიოდის დასაწყისში. ვეტერანები წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან ელექტორალურ სეგმენტს, რომელთაც გავლენის

მოხდენა შეეძლოთ თავის ოჯახის წევრების პოზიციაზეც. ვეტერანთა დიდი უმრავლესობა პოზიტიურად იყო განწყობილი სტალინისადმი, ედუარდ შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირი“ კი ამით სარგებლობდა. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, პოსტსაბჭოთა პერიოდში ქართველი პოლიტიკოსები, როგორც წესი, თავს არიდებდნენ სტალინის კრიტიკას. თუმცა, სტალინის სახელით მოქმედება პოსტსაბჭოთა ქართულ პოლიტიკაში არასოდეს ყოფილა წარმატების მომტანი. არჩევნებში მონაწილეობის შედეგები აჩვენებდა მათ მარგინალურ ხასიათს. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში არ მონაწილეობდა და არც დარეგისტრირება უცდია არცერთ პოლიტიკური ძალას, რომლის სახელწოდებაშიც სიტყვა „სტალინი“ იქნებოდა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ არც 2024 წლის არჩევნებზე დარეგისტრირებულ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის არ ყოფილა ისეთი, რომლის სახელშიც სიტყვები „სტალინი“ ან „კომუნისტური“ იქნებოდა.

თანამედროვე რუსეთის ხელისუფლება ჰიბრიდული ომის პირობებში აქტიურად იყენებს სხვადასხვა შესაძლებლობას ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ურთიერთობისას. საქართველოს შემთხვევაში სტალინი საკმაოდ სასარგებლოა ამ კუთხით. სტალინი გამაერთიანებელია რუსეთისა და საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში. დისერტაციაში წარმოდგენილი საქართველოსა და რუსეთში ჩატარებული კვლევები ამას მოწმობს. რუსეთის ფედერაციაში სტალინის მზარდი რეიტინგი, როგორც ყველაზე გამოჩენილი ისტორიული ფიგურის, თანხვდება საქართველოში ბოლო წლებში ჩატარებული კვლევების შედეგებს, სადაც გამოკითხულთა (განსაკუთრებით საშუალო ასაკის) საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი სტალინისადმი პოზიტიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს და ამავდროულად სტალინის როლზე ამახვილებს ყურადღებას XX საუკუნის მსოფლიო პოლიტიკაში.

სტალინი „გაქრა“ როგორც ფაქტორი, რომელსაც უშუალო გავლენის მოხდენა შეუძლია ქართულ პოლიტიკაზე. მაგრამ არ გამქრალა მითები სტალინის შესახებ. სწორედ აღნიშნულ მითებს იყენებს თანამედროვე რუსეთის ხელისუფლება, რომლისთვისაც როგორც უკვე აღინიშნა, სტალინი კარგი ინსტრუმენტია საქართველოში გავლენის გასავრცელებლად. საქართველოში არსებული პრორუსულად განწყობილი ჯგუფებიც სტალინის სახელს ეყრდნობიან - „ერთიან,

დიდებულ ოჯახში“ დასაბრუნებლად, რომელიც სტალინმა შექმნა (საბჭოთა კავშირი) და რომლის მემკვიდრე რუსეთს ფედერაცია გახდა.

მითები სტალინის შესახებ ძირითადად ორი ტიპისაა:

ა) სტალინი - დიდი პოლიტიკოსი, რომლის მოღვაწეობამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მსოფლიო ისტორიაზე. ამგვარი მითების დიდი ნაწილი რუსეთშია შექმნილი და შემოტანილია საქართველოში. პოსტსაბჭოთა პერიოდში რუსეთში შეიქმნა „სტალინური“ ლიტერატურის უდიდესი რაოდენობა. იქ მოთხრობილი ისტორიები საქართველოშიც აქტიურად ვრცელდება და დამატებით სტიმულს წარმოადგენს სტალინის თემატიკისადმი ინტერესის შენარჩუნებისათვის;

ბ) სტალინი - საქართველოზე მზრუნველი, რომელსაც არასოდეს დავიწყებია თავის სამშობლო და ზრუნავდა მასზე. ასეთი მითები „ქართულ ნიადაგზეა“ შექმნილი და ხელს უწყობს სტალინისადმი პოზიტიური დამოკიდებულების შენარჩუნებას.

მიუხედავად იმისა, რომ „სტალინის თემა“ ქართული პოლიტიკის წამყვან თემატიკას არ მიეკუთვნება, რჩება რიგი საკითხები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად მის სახელს უკავშირდება და აქტიურად განიხილება ხოლმე. ესაა სტალინის ძეგლების საკითხი, სტალინის სახლ-მუზეუმის არსებობის საკითხი, სტალინის დედის საფლავი მთაწმინდის პანთეონში, დავა „გამარჯვების დღესთან“ დაკავშირებით (როდის უნდა აღინიშნოს, - 8 თუ 9 მაისს). ყოველთვის ახსენდებათ სტალინის დაბადების დღე, მით უმეტეს, თუ ეს „მრგვალი თარიღი“ აღმოჩნდება.

საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებიდან, როდესაც ცენზურა გაქრა და დოკუმენტებიც ხელმისაწვდომი გახდა, ქართველი ავტორები ცდილობენ სტალინთან დაკავშირებული ნაცნობი თუ მანამდე უცნობი ინფორმაციის გააზრებას. მათი ნაშრომები რამდენიმე ძირითად ჯგუფად შესაძლებელია დაიყოს: რუსულიდან თარგმნილი ლიტერატურა, ძირითადად პოზიტიური ხასიათის ინფორმაციით; დოკუმენტებზე დაყრდნობით ნაშრომების შექმნა იმისათვის, რომ დაანგრიონ სტალინის შესახებ არსებული დადებითი შეხედულებები და ნაშრომები, სადაც ავტორები ხაზს უსვამენ იმას, რომ მათი მიზანია სტალინის მოღვაწეობის ობიექტური გაშუქება. საბჭოთა ბელადზე შექმნილი ლიტერატურა წარმოადგენს ერთ-ერთ „კითხვად მასალს“. ამას ადასტურებს საიმონ სებაგ მონტეფიორეს,

ინგლისელი მწერლის ნაშრომების (სტალინი: წითელი მეფის კარი, ახალგაზრდა სტალინი) ხელახალი გამოცემა ქართულ ენაზე.

ინტერნეტში სტალინის შესახებ დიდი ინფორმაციაა ქართულ ენაზე. არსებობს ათეულობით გვერდი ინტერნეტში და ბეჭდური მედია, რომელიც ავრცელებს პოზიტიური შინაარსის მასალებს სტალინის შესახებ. ისინი მკვეთრად ანტიდასავლური პოზიციით გამოირჩევიან და განსაკუთრებით აქტიურობენ სტალინთან დაკავშირებულ კონკრეტულ თარიღებში.

სტალინი არ არის „ადგილობრივი მნიშვნელობის" ფიგურა და უცხოურ პრესაში პერიოდულად ჩნდება სტატიები საქართველოში სტალინის ძეგლთან, სტალინურ სუვენირებთან ან სახლ-მუზეუმთან დაკავშირებით. ასეთი პუბლიკაციები მიმდინარე კამათს აძლიერებს ან, საერთოდ საფუძვლად ედება დისკუსიის განახლებას.

სტალინის შესახებ მითების შენარჩუნების და გავრცელების მნიშვნელოვანი წყაროა სოციალური ქსელები, სადაც დღეისათვის არსებობს რიგი გვერდები, რომლებიც განვიხილეთ წარმოდგენილ ნაშრომში.

სტალინის თემას, როგორც „კითხვად მასალას" იყენებს დღეს გამომავალი ზოგიერთი ქართული ჟურნალი და გაზეთი. ამ გამოცემებში გამოქვეყნებული მასალების შინაარსობრივი ანალიზი ადასტურებს ნაშრომში ჩამოყალიბებულ მეორე ჰიპოთეზას: ისტორიული მითები სტალინის შესახებ საქართველოში ემსახურება საბჭოთა პერიოდისადმი პოზიტიური დამოკიდებულების შენარჩუნებას, „ერთიანი დიდი სახელმწიფოს" ნოსტალგიას და შესაბამისად, რუსეთთან ხელახალი ინტეგრაციის პოლიტიკისადმი მხარდაჭერის ფორმირებას.

ამგვარი მითების შენარჩუნებით და გავრცელებით დაინტერესებული არის ერთი მხრივ რუსეთი, რომელიც პუტინის მმართველობის პერიოდში „პოსტსაბჭოთა სივრცის რეინტეგრაციას" და „ისტორიული რუსეთის აღდგენას" თავის უმთავრეს ამოცანად მიიჩნევს; მეორე მხრივ კი საქართველოში გააქტიურებული პრორუსული ძალები, რომლებიც ცდილობენ საქართველოს დასავლეთისგან დისტანცირებას და ქვეყნის რუსულ ორბიტაზე გადაყვანას.

სტალინის შესახებ საზოგადოებაში გავრცელებული მითების დაძლევის მნიშვნელოვანი გზაა ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები, რომლებიც

მოწოდებულნი არიან მოსწავლე ახალგაზრდობას გააცნონ წარსული, მართალი ისტორია, მისთვის გასაგები და შთამბეჭდავი ფორმით. წარმოდგენილ ნაშრომში დაწვრილებითაა განხილული პოსტსაბჭოთა პერიოდის ისტორიის სახელმძღვანელოები. კვლევის ფარგლებში საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სახელმძღვანელოების შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია იმის თქმა, რომ სახელმძღვანელოებში მოცემულია სტალინის მოღვაწეობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა ფაქტი (გასათვალისწინებელია სახელმძღვანელოთა სპეციფიკა-მასალის შეზღუდული მოცულობა), რამაც შესაძლებელია ახალგაზრდა თაობაში გააქარწყლოს საზოგადოებაში გავრცელებული მითები და სწორი ინფორმაცია მიაწოდოს მოსწავლეებს.

შეიძლება ითქვას, რომ დღეს მოქმედ საქართველოს და მსოფლიო ისტორიის თანამედროვე სასკოლო სახელმძღვანელოებში წარმოდგენილია სტალინთან დაკავშირებული ძირითადი ისტორიული ფაქტები, რაც, პრინციპში საფუძველს ქმნის სტალინის შესახებ ისტორიული მითების დასაძლევად. უნდა აღინიშნოს, რომ ამას თავისი შედეგი მოაქვს - ნაშრომში მოტანილ კვლევებში ჩანს, რომ ახალგაზრდებში შემცირებულია სტალინის პოზიტიური აღქმა და ამის განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ ბევრი რამ დამოკიდებულია სწავლების ეფექტურობაზე, რაც, როგორც ჩანს, გაუმჯობესებას საჭიროებს.

# გამოყენებული ლიტერატურა


აბაშიძე, ზ. (2021). *„ცივი ომი“: მოგზაურობა დღევანდელ წარსულში.* თბილისი. გამომცემლობა პალიტრა L

აბდალაძე, გ. კუპატაძე, ბ. ახმეტელი, ნ., & მურღულია, ნ. (2012). ისტორია.თბილისი. გამომცემლობა “დიოგენე”.

აბდალაძე, გ. კუპატაძე, ბ. კვიტაიშვილი, ნ. & ჯანუაშვილი, კ. (2008). *უახლესი ისტორია.* თბილისი. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“.

ავტორხანოვი, ა. (1990). *სტალინის სიკვდილის საიდუმლო.* თბილისი

„ალია“ #17 10-16 მაისი 2021 გვ.20-21

ასათიანი, ნ. ლორთქიფანიძე, ნ. ლომაშვილი, ფ. მეტრეველი, რ. სანიკიძე, გ., & ოთხმეზური, გ. (2012). *საქართველოს ისტორია.* სულაკაურის გამომცემლობა.

ახმეტელი, ნ. ლორთქიფანიძე, ბ., & ფირცხალავა, ნ. (2020). *ისტორია.* თბილისი. გამომცემლობა „დიოგენე“.

ახმეტელი, ნ. ლორთქიფანიძე, ბ., & ფირცხალავა, ნ. (2021). *ისტორია.* თბილისი. გამომცემლობა „დიოგენე“.

ახმეტელი, ნ., & მურღულია, ნ. (2008). *საქართველოსა და მსოფლიო ისტორია.* გამომცემლობა „დიოგენე“.

ამბები.ge. (02.08.2012). *სტალინის სახლ-მუზეუმის პარკის რეაბილიტაციას ნაძვები და ძვირფასი ქვები ეწირება.* მოძიებულია 23.10.2021.

https://www.ambebi.ge/article/58354-stalinis-saxl-muzeumis-parkis-reabilitacias-nazvebi-da-zvirpasi-kvebi-ecireba/

ამბები.ge. (21.12.2012). *ახმეტაში სტალინის განახლებული ძეგლი გაიხსნა.* მოძებულია 27.10.2021

https://www.ambebi.ge/article/67977-axmetashi-stalinis-ganaxlebuli-zegli-gaixsna/

ანტონოვ-ოვსეენკო, ა. (1989) *ლავრენტი ბერია.* თბილისი. გამომცემლობა „მერანი“.

ასავალ-დასავალი, 2020 წ. 21-27 დეკემბერი, N 52, *სტალინი 141 წლისაა.* გვ.26

ასავალ-დასავალი #20 10-16 მაისი 2021 გვ.20-21

„ასავალ-დასავალი“ 2021 #21, 17-23 მაისი, გვ.18-19

„ასავალ-დასავალი“ #22, 24-30 მაისი, გვ.22-23

„ასავალ-დასავალი“ #23, 31 მაისი-6 ივნისი გვ.22-23

„ასავალ-დასავალი“ #25 (1385)

„ასავალ-დასავალი“ #26 21-27 ივნისი, გვ.22-23

აფციაური, გ. (25.06.2021). *უძეგლო გორი და გრიშა ონიანის გამოცხადება.* რადიო თავისუფლება. მოძიებულია 12.10.2021. https://www.radiotavisupleba.ge/a/31326121.html

აფციაური, გ. (21.12.2022). *ძეგლი, „სტალინობა“ და მუზეუმი - სტალინისტების მოთხოვნები საბჭოთა დიქტატორის დაბადების დღეზე.* მოძიებულია 05.03.2023. https://shorturl.at/f0VWH

აღმოაჩინე გორი - https://gorimaps.ge/ka/

ახალკაცი, გ. (21.12.2023). *სტალინელებმა გორში სტალინის დაბადების დღე აღნიშნეს.* მთავარი არხი. მოძიებულია 20.10.2024.

https://mtavari.tv/news/143635-stalinelebma-gorshi-stalinis-dabadebis-dghe

ბათუმელები. (27.10.2015). *გოგი თოფაძე: ცოტა ხანში სტალინის სურათი ყველგან დაიკიდება.* მოძიებულია 19.06.2020.

https://batumelebi.netgazeti.ge/news/22011/

ბენდიანიშვილი, ა. (1999). *საქართველოს ისტორია 1801-1921.* დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. თბილისი. „განათლება“.

ბერძენიშვილი, ლ. (2022). *1921-1990 ერთი კაცის და ქვეყნის ამბავი.* თბილისი. გამომცემლობა „არტანუჯი“.

ბესო ჩუბინიძის საავტორო გადაცემა „სტალინი“. https://www.facebook.com/watch/101719445481837/1933437266838464

ბექიშვილი, ნ. (რედ). (2008). *ალჟირის პატიმართა პორტრეტები: - სტალინიზმის ისტორიიდან.* თბილისი. ჰაინრიხ ბიოლის ფონდი.

ბიძინაშვილი, ნ. (10.05.2018). *აქტივისტთა ჯგუფი გორში სტალინის გამზირისთვის სახელის გადარქმევას ითხოვს.* Netgazeti, მოძიებულია 10.09.2022 https://netgazeti.ge/news/275410/

ბლუაშვილი, უ. (2016). *საქართველოს ისტორია 1900-2016,* თბილისი. „მწიგნობარი“.

ბოლოთაშვილი, გ. (1998). *უახლესი ისტორია.* თბილისი. გამომცემლობა „კონა“.

ბოლოთაშვილი, გ. (2003). *მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია.* თბილისი. გამომცემლობა შ.პ.ს. „ფავორიტი“

ბოლოთაშვილი, გ. კიღურაძე, ნ., & მეძმარიაშვილი, ე. (2004). *უახლესი ისტორია (1918-1991).* თბილისი. გამომცემლობა „კონა“

გამცემლიძე, დ. (3.12.2019). *ედუარდ შევარდნაძე და სტალინის პროტოტიპი.* EXPERTI.GE. მოძებულია 15.05.2024.

https://shorturl.at/DvHethttps://shorturl.at/DvHet

გაჩეჩილაძე, რ. (2017). *საქართველო მსოფლიო კონტექსტში.* თბილისი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

„გენერალისიმუსი“, 2025, N 2.

„გენერალისიმუსი“, 2025, N 5.

„გენერალისიმუსი“, 2025, N 7.

გვაძაბია, მ. (29.07.2020). *ვინ და რატომ დადგა ზესტაფონში სტალინის ძეგლი.* ნეტგაზეთი. მოძიებულია 20.05.2021. (https://netgazeti.ge/news/470856/

გორგილაძე, რ. (2021). *დიქტატურის გემო.* თბილისი. „სეზან ფაბლიშინგი“.

გორის სათემო რადიო (19.07.2019). *რესურსი, რომელსაც გორისთვის ფინანსური სარგებელი არ მოაქვს.* მოძიებულია 17.07.2021.

https://radiomosaic.ge/index.php/rubrics/5879-2019-07-19-09-20-18

გურული, ვ. (2014). *მეფე-მამა. სტალინის დიდი ექსპერიმენტი.* თბილისი. გამომცემლობა არტანუჯი.

გუჩუა, ვ., & მესხია, ს. (1961). *საქართველოს ისტორია: VII-X კლასების სახელმძღვანელო.* თბილისი. „განათლება“.

დათიშვილი, ს. (07.05.2020). *გამარჯვების დღე: 8 მაისი თუ 9 მაისი? როდის უნდა აღვნიშნოთ?* რადიო თავისუფლება. მოძიებულია 09.10.2020 https://shorturl.at/2f0rH

დაუშვილი, ა. (2016). *სტალინი.* თბილისი. გამომცემლობა პალიტრა L.

დაუშვილი, ა. (2021). *საქართველოს II რესპუბლიკა.* თბილისი. გამომცემლობა „მწიგნობარი“.

დვალი, თ., & ქორიძე, დ. (01.11.2019) *„ამით გავიხსენებ საქართველოს“ - იცით, რას ჰყვება სტალინზე გორის მუზეუმი“?* რადიო თავისუფლება. მოძიებულია 03.11.2021. https://shorturl.at/cVtjM

„დიდება დიდ სტალინს“ - https://www.facebook.com/groups/981404929219166

„დიდი სამამულო ომის“ დაწყებიდან 80 წლისთავი“, (23-29 ივნისი, 2021) („საქართველო და მსოფლიო“, N 22(587), გვ.15

დოიჩერი, ი. (2014). *სტალინი.* ტ1; ტ2. თბილისი. ქართული ბიოგრაფიული ცენტრი.

დოლიძე, ლ. (21-27 დეკემბერი, 2020). *„სტალინი 141 წლისაა“.* „ასავალ-დასავალი“, N 52, გვ.26

ელიზბარაშვილი, ა. (12.04.2021). *საზოგადოების ნაწილი მთაწმინდიდან სტალინის დედის გადასვენებას ითხოვს-5 პუნქტიანი ინიციატივა.* მოპიებულია 13.07.2021.
https://mtavari.tv/news/39692-sazogadoebis-nacili-mtacmindidan-stalinis-dedis

ეროფეევი, ვ. (2018). *მამაჩემი. კარგი სტალინი.* თბილისი. გამომცემლობა „ინტელექტი“

ვარდოსანიძე, ს. (1998). *როგორ იწერებოდა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები.* ისტორია. გამომცემლობა „სკოლა“.

ვაჩნაძე, მ., & გურული, ვ. (2000). საქართველოს ისტორია (XIX-XX საუკუნეები). IX კლასის სახელმძღვანელო. თბილისი. „არტანუჯი“.

ვაჩნაძე, მ., & გურული, ვ. (2002) საქართველოს ისტორია (XIX-XX საუკუნეები). XI კლასის სახელმძღვანელო. თბილისი. „არტანუჯი“.

ვაჩნაძე, მ., & გურული, ვ. (2005). *საქართველოს ისტორია XIX საუკუნის დამდეგიდან XXI საუკუნის დამდეგამდე.* IX კლასის სახელმძღვანელო. თბილისი. „არტანუჯი“.

ვაჩნაძე, მ., & გურული, ვ. (2006 წ.) *საქართველოს ისტორია XIX საუკუნის დამდეგიდან XXI საუკუნის დამდეგამდე.* XI კლასის სახელმძღვანელო. თბილისი. გამომცემლობა „არტანუჯი“.

ვახანია, ვ. (2014). *იოსებ ბესარიონის ძე სტალინის პირადი საიდუმლო სამსახური (სტრატეგიული დაზვერვა და კონტრდაზვერვა).* დოკუმენტების კრებული.

ვაჭარაძე, ა. & კლდიაშვილი, გ. (2021). *საბჭოთა ტოტალიტარული ტოპონიმიკა საქართველოში.* ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი.

ვიჰავაინენი, ტ. (2012). *სტალინი და ფინელები.* თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“.

თბილისელები. (2025). #1

თბილისელები. (2025). #2

თბილისელები. (2025). #3

თბილისელები. (2025). #4

თბილისელები. (2025). #5

თბილისელები. (2025). #6

თბილისელები. (2025). #7

თავდგირიძე, ხ. (2015). *ახალი მითოლოგიური პარადიგმა – პოლიტიკური მითი.* სემიოტიკა. მოძიებულია 10.03.2020.

https://tinyurl.com/y248er7m

იაგორაშვილი, ი. (03.02.2022). *3 მითი სტალინის შესახებ.* მითების დეტექტორი. მოძიებულია 07.03.2022.

https://tinyurl.com/4tfsy95h

იდეოლოგიური დაპირისპირება ქართველ სტალინისტებს შორის. (მაისი 2021). „სტალინელი“, N 11 (53), გვ.3.

„ილორი“ 2021 #498 გვ.8-9 21 აპრილი-9 მაისი

„ილორი“ #499 12-25 მაისი, 2021. გვ.11

ინტერპრესნიუსი. (08.03.2014). *ირაკლი ოქრუაშვილი მზადაა, გორში სტალინის ძეგლი დააბრუნოს.* მოძებულია 19.10.2029.

https://www.interpressnews.ge/ka/article/273081-irakli-okruashvili-mzadaa-gorshi-stalinis-zegli-daabrunos/

ინტერპრესნიუსი, 26.11.2008. *სტალინის წმინდანად შერაცხვის შესახებ რუსული მართლმადიდებლური ეკლესია ალაპარაკდა.* მოძიებულია 19.05.2024. https://www.interpressnews.ge/ka/article/6509-stalinis-cmindanad-sheracxvis-shesaxeb-rusuli-martlmadidebluri-eklesia-alaparakda

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. (12.01.2022). *სტალინის გარშემო არსებული დეზინფორმაციისა და ნოსტალგიის დაძლევა: ახალი იდენტობა ქალაქ გორისთვის - ეტაპი 1.* მოძიებულია 19.01.2022. https://idfi.ge/ge/overcoming_disinformation_and_nostalgia_surrounding_stalin

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. (14.02.2022). *პროექტის „გორის ალტერნატიული იდენტობა“ განხორციელება დაიწყო.* მოპიებულია 19.01.2022.
https://idfi.ge/ge/implementation_of_the_project_a_new_identity_for_the_city_of_gori_has_started

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. (23.02.2022). *პროექტის „გორის ალტერნატიული იდენტობა“ ფარგლებში გაიმართა სადისკუსიო შეხვედრები გორელ ახალგაზრდებთან.* მოპიებულია 19.03.2022.

https://tinyurl.com/56vnwap8

იოსებ სტალინი/Joseph Stalin.

https://www.facebook.com/profile.php?id=100052958903175

იოსებ სტალინი/Joseph Stalin. (12.11.2021). *ქართველების სტუმრობისას, სტალინი სხვებს დელიკატურად სთხოვდა კაბინეტის დატოვებას.* მოპებულია 07.01.2022. *https://tinyurl.com/23htbb9w*

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. (17.05.2022). შეხვედრა გორის ახალგაზრდობასთან - გაყალბებული ისტორია და ტრიუმფალური 9 მაისი: ისტორია და თანამედროვეობა. მოპიებულია 19.10.2022.

https://idfi.ge/ge/idfi_heldameeting_with_the_youthofgori_falsified_history_and_triumphant_may_9_history_and_modernity

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი. (2012). *კავკასიის ბარომეტრი 2012 საქართველო.* მოპიებულია 19.01.2022. https://caucasusbarometer.org/ge/cb2012ge/STLN1/

კანდელაკი, გ. (30.01.2021). მოპიებულია 29.04.2021.
https://www.facebook.com/gkandelaki/posts/10157994903795496

კარანაძე, ვ. (27.10.2011). თბილისელები. *ქართველების სტუმრობისას, სტალინი სხვებს დელიკატურად სთხოვდა კაბინეტის დატოვებას.* მოპებულია 10.11.2024. http://old.tbiliselebi.ge/index.php?newsid=12759

კახიძე, გ. (1995). *იოსებ სტალინი. თანამედროვეთა მოგონებანი სტალინზე.* ბათუმი. გამომცემლობა „აჭარა“.

კერიგანი, მ. (2020). *სტალინი. ფოლადის კაცი თუ მასობრივი მკვლელი?* თბილისი. გამომცემლობა პალიტრა L.

კვარაცხელია, ვ. (2017). *მანიფესტი სტალინზე* . თბილისი

„კვირის პალიტრა“ 2021#25. 21-27 ივნისი გვ.13

კიღურაძე, ნ. გაჩეჩილაძე, რ., & სანიკიძე, გ. (2012). *ისტორია. მოსწავლის წიგნი. XII კლასის სახელმძღვანელო.* თბილისი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

კუპატაძე, ბ & ცუცქირიძე, ლ. (2017). *13 მითი სტალინის შესახებ. თბილისი*

Ipress. (24.03.2017). „ლაშა ბუღაძე: არ ვარ მომხრე, რომ სტალინის დედა მთაწმინდის პანთეონიდან სხვაგან დაკრძალონ“. მოძიებულია 10.11.2020. https://ipress.ge/new/lasha-bughadze-ar-var-momkhre/

ლიბერალი. (10.05.2019). *ნაციზმზე გამარჯვების დღედ 8 მაისის გამოცხადების მოთხოვნით, პეტიცია შეიქმნა.* მოძებულია 21.05.2021.

https://tinyurl.com/4reyjete

ლიპმანი, მ. გუდკოვი, ლ., & ბაქრაძე, ლ. (2013). *სტალინის თავსატეხი.* თბილისი

ლომაშვილი, ფ. (1990). *საქართველოს ისტორია. X კლასის სახელმძღვანელო.*

თბილისი. გამომცემლობა „განათლება“.

ლომაშვილი, ფ. (2002). *საქართველოს ისტორია 1801-2001.* თბილისი. ივერია. გამომცემლობა“ცისარტყელა“.

მალაზონია, დ. კვიტაიშვილი, ნ., & მალაზონია, თ. (2008). *საქართველოს ისტორია.* „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“.

მესხია, შ., & გუჩუა, ვ. (1968). *საქართველოს ისტორია. VII-X კლასების სახელმძღვანელო.* თბილისი, „განათლება“.

„მთავარი არხი“. (03.07.2021). *გადავიფიქრე გორის მერობა-გრიშა ონიანი.* მოძიებულია 10.10.2024. https://mtavari.tv/news/49242-gadavipikre-goris-meroba-grisha-oniani

„მითების დეტექტორი“. https://mythdetector.ge/ka/

„მითების დეტექტორი“. https://www.facebook.com/mythdetector

მითების დეტექტორი. (11.11.2016). „დეზინფორმაცია: „სამამულო ომის“ შემდეგ სტალინმა 22 000 ეკლესი ააშენა“ (2016). მოძიებულია 21.08.2020

https://mythdetector.ge/ka/myth/dezinpormatsia-samamulo-omis-shemdeg-stalinma-22-000-eklesia-aashena-0

მითების დეტექტორი. (27.12.2021). *2021 წლის ტოპ 10 ისტორიული მითი.* მოძებულია მოძიებულია 10.10.2024 https://mythdetector.ge/ka/2021-tslis-top-10-istoriuli-mithi/

მონტეფიორე, ს.ს. (2009). *ახალგაზრდა სტალინი.* „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბილისი

მონტეფიორე, ს.ს. (2012). *სტალინი. წითელი მეფის კარი.* „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბილისი

მუკბანიანი, თ. (21.12.2021). *42 400 ვიზიტორი 9 თვეში - რომელი ქვეყნებიდან სტუმრობს ყველაზე ხშირად სტალინის მუზეუმს დამთვალიერებელი.* მოძიებულია 12.11.2024. https://www.bpn.ge/article/89719-42-400-vizitori-9-tveshi-romeli-kveqnebidan-stumrobs-qvelaze-xshirad-stalinis-muzeums-damtvalierebeli

ნადირაძე, გ. (2013). *სტალინი - ქართველი კაცი?* თბილისი. გამომცემლობა „არტანუჯი“.

ნეტგაზეთი. (09.05.2019). *„უკვდავი პოლკი“ და ანტისაოკუპაციო აქტივისტები ერთმანეთის პირისპირ - ფოტორეპორტაჟი.* https://netgazeti.ge/news/362671/

Ipress. (23.03.2017). „ნინა ხატისკაცი: არა, სტალინის დედის, კეკეს ადგილი მთაწმინდაზე არ არის“. მოძიებულია 13.09.2020. https://ipress.ge/new/nina-khatiskatsi-ara-stali/

ნიუპოსტი. (20.02.2022). *სოფელ ვარიანში, ახლადდადგმული სტალინის ძეგლი წითლად შეღებეს.* მოძიებულია 13.04.2022.

https://www.newposts.ge/news/politica/sofel-varianshi-akhladdadgmuli-stalinis-dzegli-tsitlad-sheghebes

ნიუპოსტი. (17.12.2022) *საგარეჯოში სტალინის გამოსახულებიანი მარმარილოს ქვა დააზიანეს. მოძიებულია* მოძიებულია 13.09.2022.

https://tinyurl.com/2ahcehvu

ონიანი, გ. (2016). *„სტალინი: წაკითხული, განცდილი და გაგონილი“.* ტ. I თბილისი.

ონიანი, გ. (2016). *„სტალინი: წაკითხული, განცდილი და გაგონილი“.* ტ. II თბილისი.

ონიანი, გ. (2017). *„სტალინი: წაკითხული, განცდილი და გაგონილი“.* ტ. III თბილისი.

ონიანი, გ. (2018). *„სტალინი: წაკითხული, განცდილი და გაგონილი“.* ტ. IV თბილისი.

ონიანი, გ. (2019). *„სტალინი: წაკითხული, განცდილი და გაგონილი“.* ტ. V თბილისი.

ონიანი, გ. (2020). *„სტალინი: წაკითხული, განცდილი და გაგონილი“.* ტ. VI თბილისი.

ონიანი, გ. (2021). *„სტალინი: წაკითხული, განცდილი და გაგონილი“.* ტ. VII თბილისი.

ონიანი, გ. (2021). *„სტალინი: წაკითხული, განცდილი და გაგონილი“.* ტ. VIII თბილისი.

ონიანი, გ. (2018-2019). *სტალინი და...ორი იდიოტი.* საქართველო და მსოფლიო. ნაწილი პირველი - დეკემბერი 26, 2018. მოძიებულია 19.10.2020. https://tinyurl.com/ytnp2d66

ონიანი, გ. (2018-2019). *სტალინი და...ორი იდიოტი.* საქართველო და მსოფლიო. ნაწილი მეორე - იანვარი 17, 2019. მოძიებულია 19.10.2020. https://tinyurl.com/4mxr56p6

ონიანი, გ. (2020). *სტალინი - კაცობრიობის ამოუხსნელი ფენომენი.* საქართველო და მსოფლიო, 23.12.2020, N 47, გვ.12-13

ონიანი, გ. (23-29 ივნისი, 2021), *„სტალინი: წაკითხული, განცდილი და გაგონილი“.* „საქართველო და მსოფლიო“, N 22 (587), გვ.13

ორჯონიკიძე, თ. (2022). *1924 წლის აჯანყება ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში.* პოლიტიკა. ტომი 6, N 6. მოძიებულია 12.12.2024.

https://www.psage.tsu.ge/index.php/Politics/article/view/313

ორჯონიკიძე, თ. (2022). *1956 წლის 9 მარტი საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში.* პოლიტიკა. ტომი 6, N 4. მოძიებულია 12.12.2024. https://www.psage.tsu.ge/index.php/Politics/article/view/302

ორჯონიკიძე, თ. (2021). *საბჭოთა პერიოდის მითები და საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები (სტალინის როლის გაშუქება საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარებაში).* პოლიტიკა. ტომი 5. კონფერენციის მასალები. მოძიებულია 12.12.2024. https://www.psage.tsu.ge/index.php/Politics/article/view/256

ორჯონიკიძე, თ. (2021). *პოლიტიკური მითები თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში (მითები სტალინის შესახებ).* პოლიტიკა. ტომი 5, N 4 https://www.psage.tsu.ge/index.php/Politics/article/view/268

პოლიტიკანო - Politicano“ - https://www.facebook.com/PoliticanoGeorgia/

პოლიტიკანო - Politicano“. (18.08.2020) - „სტალინის 12 პატრიოტული საქმე, რომელიც დავიწყებას მიეცა“. მოძიებულია 10.01.2021.

https://tinyurl.com/44f5rbr7

პოლიტიკანო-Politicano – (09.03.2019), „მივიწყებული ისტორია: ბრიტანელების მიერ ბათუმის ოკუპაცია 1918 წელს“. მოძიებულია 10.01.2021. https://tinyurl.com/4py5cnne

პრაიმ ტაიმი - Prime Time. (21.12.2021). *გორში შეკრებილმა სტალინისტებმა ტრუმენი, სტალინი და ჩერჩილი „წმინდანებად“ გამოაცხადეს და მათი „ხატი“ მიიტანეს.* მოძიებულია 12.01.2022.

https://www.facebook.com/PrimeTimeMagazine/photos/a.260139300669613/5449840555032769/

პუბლიკა. (18.04.2022). *8 მაისი, 9 მაისის ნაცვლად - „რეფორმების ჯგუფის ინიციატივა ფაშიზმზე გამარჯვების აღნიშვნაზე.* მოძიებულია 09.09.2024. https://publika.ge/8-maisi-9-maisis-nacvlad-reformebis-jgufis-iniciativa-fashizmze-gamarjvebis-aghnishvnaze/

პუბლიკა. (11.05.2022). *მოსახლეობის 66% ეთანხმება, რომ სტალინი ბრძენი ლიდერი იყო, რომელმაც საბჭოთა კავშირი ძლიერებასა და კეთილდღეობამდე მიიყვანა“*– CRRC. მოძიებულია 15.04.2024. https://publika.ge/mosakhleobis-66-etankhmeba-rom-stalini-brdzeni-lideri-iyo-romelmac-sabchota-kavshiri-dzlierebasa-da-ketildgheobamde-miiyvana-crrc/

Palitravideo.ge. (21.12.2012) *„დიდება დიდ სტალინს!“ - ახმეტაში სტალინის ძეგლი გაიხსნა.* მოძიებულია 09.10.2019.

https://www.palitravideo.ge/yvela-video/akhali-ambebi/25001-qdideba-did-stalinsq-akhmetashi-stalinis-dzegli-gaikhsna.html

Palitravideo.ge. (26.08.2024). *"ზოდიში აქვს მოსახდელი... ეს არის სამარცხვინო ამბავი, ასეთი წარმოუდგენელი რამის თქმა ხუმრობითაც კი ყველანაირ სპორტულ მიღწევას აუფასურებს" - რას წერს გიორგი კანდელაკი გენო პეტრიაშვილზე?* მოძიებულია 12.12.2024.

https://tinyurl.com/2kxst3un

ჟუხრაი, ვ. (1997). *სტალინი: სიმართლე და სიცრუე.* თბილისი. „დიადემა“.

რადიო თავისუფლება, (09.10.2024). პაპუაშვილი: *აღმაშფოთებელია, რომ რეზოლუციაში მოთხოვნილია ივანიშვილისათვის სანქციის დაწესება“.* მოძიებულია 13.11.2024.

https://www.radiotavisupleba.ge/a/33151992.html

რადიო თავისუფლება. (05.09.2023). *„ფაშიზმზე გამარჯვების დღედ" 9 მაისის ნაცვლად, 8 მაისის გამოცხადებას პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა.* მოძიებულია 11.01.2025.

https://www.radiotavisupleba.ge/a/32579668.html

რადიო თავისუფლება. (09.05.2021). *გორში ნაცისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე აღნიშნეს.* მოძიებულია 19.06.2021.
https://www.radiotavisupleba.ge/a/31245274.html?fbclid=IwAR0vSWN00RwG7X-bk3JCDuhnK8V81-0h5W5FDN7gNgWolW5JDcnY7xxi18o

რადიო თბილისი /FM 93.5/ Radio Tbilisi. (17.03.2022). *ევროპარლამენტარი ფოტოს აქვეყნებს.* მოძიებულია 11.07.2023.
https://www.facebook.com/share/p/15HLeaNUiU/

რადიო თბილისი /FM 93.5/ Radio Tbilisi. (05.03.2022). დახურეთ სტალინის მუზეუმი გორში. მოძიებულია 11.07.2023.
https://www.facebook.com/share/p/15ew8JEJjV/

„რეპრესირებულთა ისტორიები - 1937-1938“. მოძიებულია 10.10.2023. https://www.facebook.com/GreatTerrorGeo/

რეხვიაშვილი, ჯ. (03.06.2020). *რა აკავებს სტალინის დედას?* მოძიებულია 14.06.2020. https://www.radiotavisupleba.ge/a/30651183.html

რიზი, ლ. (2016). *მეორე მსოფლიო ომი დახურულ კარს მიღმა. სტალინი, ნაცისტები და დასავლეთი.* თბილისი. სტამბა „დამანი“.

„საერთო გაზეთი“ 2021. #20, გვ.16

„საერთო გაზეთი“ 2021 #21 (613) გვ.14

„საერთო გაზეთი“ #22 (614)

Civil Georgia. (11.01.2024). სტალინის გამოსახვამ ხატზე სამების ტაძარში სახალხო მღელვარება გამოიწვია. მოძიებულია 11.01.2024. https://civil.ge/ka/archives/576908

Civil Georgia. (25.06.2010). *გორის ცენტრიდან სტალინის ძეგლი აიღეს.* მოძიებულია 03.11.2019.

https://civil.ge/ka/archives/148008

Civil Georgia. (09.10.2024). *პაპუაშვილი: ევროპარლამენტის რეზოლუციის პროექტი „აღმაშფოთებელი, სამარცხვინო და ამაზრზენია“* . მოძიებულია 10.10.2024. https://civil.ge/ka/archives/627833

საქართველოს რესპუბლიკა. (7-9 მაისი 2021). N 97-98, გვ.8 სასწაული ძლევისა. გვ.8

„საქართველოს ახალი ამბების სააგენტო“. (11.02.2021). *რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების 100 წლისთავი ფართოდ უნდა აღინიშნებოდეს.* https://www.ghn.ge/news/258243-ruset-sakartvelos-omis-datsqebis-100-tslistavi-fartod-unda-aghinishnebodes-giorgi-kandelaki

საქართველო და მსოფლიო. მოძიებულია 10.12.2024.
https://geworld.ge/ge/
საქართველო და მსოფლიო. (23.12.2024). სტალინის 145-ე იუბილე გორში. მოძიებულია 03.01.2024.
https://tinyurl.com/4py5cnne

„საქართველოს რესპუბლიკა“ #97-98, 7-9 მაისი 2021. გვ.8

„საქართველო და მსოფლიო“ #16, 12-18 მაისი გვ.8

„საქართველო და მსოფლიო“ 2021 #17. 19-25 მაისი, გვ.12-13

„საქართველო და მსოფლიო“ 2021 #18, 26 მაისი-1 ივნისი, გვ.12-13

„საქართველო და მსოფლიო“ 2021. #19. გვ.12-13

„საქართველო და მსოფლიო“ 9-15 ივნისი 2021 #20(585) გვ.12-13 გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი 7-13 ივნისი. #24 (1384). გვ.20-21

საქართველო და მსოფლიო #21 (586) გვ.12-13

„საქართველო და მსოფლიო“, N 22(587), 23-29 ივნისი, 2021 წ., გვ,15

საქართველოს ისტორია. XX საუკუნე. (2003). *სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.* ვ. გურულის რედაქტორობით. თბილისი, თსუს გამომცემლობა. გამომცემლობა „არტანუჯი“.

საქართველოს ისტორია. (1961). ბერძენიშვილის რედაქტორობით. თბილისი. „განათლება“.

სურგულაძე, მ. კეკელია, ვ. ლაბაძე, რ. მურუსიძე, შ., & ქურთუბაძე, მ. (2021). *საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია.* თბილისი. ლოგოს პრესი

საქართველოს კანონი. თავისუფლების ქარტია (31.05.2011). მოპიებულია 20.01.2020. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1381526?publication=15

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. მოპიებულია 19.05.2024. https://tinyurl.com/8z7rjz6k

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. *სტალინური სიები საქართველოდან.* მოპიებულია 09.01.2022. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=26

საქართველოს პარლამენტი. (10.01.2024). ანრი ოხანაშვილი: უახლოეს პერიოდში დავაინიცირებთ ცვლილებებს, რომელიც რელიგიური ნაგებობისა და ნივთების შეურაცხყოფისთვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გაამკაცრებს. მოპიებულია 24.05.2024.
https://tinyurl.com/5c86zywm

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმი. მოპიებულია 20.08.2019.
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3435886?publication=0

საქართველოს პარლამენტი, (2011). *საქართველოს საარჩევო კოდექსი* https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=92

On.ge. (10.10.2019). *საჯარო რეესტრმა საქართველოს უკვდავი პოლკი სახალხო-პატრიოტულ მოძრაობად დაარეგისტრირა.* მოპიებულია 19.12.2019.

https://tinyurl.com/53xyuyms

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერიული) იურიდიული პირების რეესტრიდან. საიდენტიფიკაციო ნომერი: 404585873. (09.10.2019).

სნაიდერი, თ. (2014). *სისხლიანი მიწები, ევროპა ჰიტლერსა და სტალინს შორის.* თბილისი. რადარამი.

სნაიდერი, თ. (2019). *ტირანია: მეოცე საუკუნის 20 გაკვეთილი.* თბილისი. Poezia Press.

სონღულაშვილი, ა. (2021). *ისტორია პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობები.* თბილისი. გამომცემლობა „უნივერსალი“.

„სტალინელი“, N 11 (53), გვ.3. „საქართველოს მშრომელთა პოლიტიკური ორგანიზაციის (პარტიის) პროგრამის პროექტი“. (მაისი 2021).

„სტალინელი“ 2021 #11(53) მაისი

*სტალინი 125.* (2004). თბილისი. გამომცემლობა „კოლორიტი“

სტალინი ისტორიასა და ისტორიკოსთა შეფასებებში. (2002). (რედ. მამულია გ.). თბილისი. გამომცემლობა „დედაენა“.

*სტალინი - ძალაუფლება და იდეები.* (2015). თბილისი. გამომცემლობა „არტანუჯი“,

სტალინის მუზეუმი გორში http://www.stalinmuseumi.ge/geo/

სურგულაძე, მ. კეკელია, ვ. ლაბაძე, რ. მურუსიძე, შ., & ქურთუბაძე, მ. (2021). *საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია.* თბილისი. ლოგოს პრესი

სუვოროვი, ვ. (2003). *წმენდა.* თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“.

სუვოროვი, ვ. (2017), *აკვარიუმი.* თბილისი. გამომცემლობა პალიტრა L.

სუხოტინი, ი.ლ. (1991). *სტალინის ვაჟი. იაკობ ჯუღაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.* თბილისი. გამომცემლობა „სამშობლო“.

ტაბატაძე, მ. (18.01.2024). *2023 წელს სტალინის სახლ-მუზეუმს 137 ათასზე მეტი დამთვალიერებელი ესტუმრა.* BPN. მოძიებულია 25.11.2024 https://www.bpn.ge/article/119105-2023-cels-stalinis-saxl-muzeums-137-atasze-meti-damtvalierebeli-estumra/

ტაბულა. (07.03.2014). ოქრუაშვილი გორელებს სტალინის ძეგლის აღდგენას პირდება. მოძიებულია 15.11.2020

https://tabula.ge/ge/news/561337-okruashvili-gorelebs-stalinis-dzeglis-aghdgenas

ტაბულა. (27.10.2015). ტყემალაძე: სტალინი არის ისტორიული პიროვნება, რომლის არაღიარებაც არ შეიძლება. მოძიებულია 15.11.2020. https://tabula.ge/ge/news/579697-tqemaladze-stalini-aris-istoriuli-pirovneba

ტაბულა. (20.02.2016). *თოფაძე: რომ სტალინის ლანძღვა და გინება არცერთ ქართველ პატრიოტ კაცს არ ეკადრება. მოძიებულია 17.08.2019.* https://tabula.ge/ge/news/583228-topadze-stalinis-landzghva-gineba-arts-ert

ტაბულა. 17.06.2015. *რუსეთში ბირთვული ბომბდამშენი და ტანკი სტალინის ხატით აკურთხეს.* მოძიებულია 10.06.2024.

https://tabula.ge/ge/news/576234-rusetshi-birtvuli-bombdamsheni-tanki-stalinis

ტაბულა. (21.12.2021) „ყველაზე ცუდი მუზეუმი მსოფლიოში" – Le Monde-ის სტატია გორში სტალინის მუზეუმზე. მოძიებულია 16.01.2022. https://tabula.ge/ge/news/677928-qvelaze-tsudi-muzeumi-msoplioshi-le-monde-statia

ტაბულა. (22.02.2022). *სტალინის დაფა.* მოძიებულია 24.02.2022. https://www.facebook.com/tabula.ge/photos/a.134158469946557/5393333874028964/

ტაბულა, (09.10.2024). *ევროპარლამენტის რეზოლუცია ქართული ოცნების წინააღმდეგ-რა წერია დოკუმენტში.* მოძიებულია 11.09.2024. https://tabula.ge/ge/news/724098-evroparlamentis-rezolutsia-kartuli-otsnebis

ტაკიძე, ნ. (2013). *იოსებ სტალინი.* თბილისი. გამომცემლობა „ივერიონი".

ტელეკომპანია სეზონი. (09.05.2022). 9 მაისი, გორი, 2022 ფაშიზმზე გამარჯვების 77 წლისთავი. მოძიებულია 11.05.2022.

https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=680552169876851

ტორაძე, მ., & მაისაშვილი, ხ. (2019). *მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები.* თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა

ტროცკი, ლ. (2010) *ჩემი ცხოვრება.* თბილისი. ქართული ბიოგრაფიული ცენტრი.

tbilisifm 93.5. (21.12.2024). სტალინის დაბაების დღე. მოძიებულია 25.12.2024. https://www.instagram.com/tbilisifm93.5/p/DD2DH5xMwVF/

Tv Dia, (09.05.2023). *გორში ფაშიზმზე გამარჯვების დღე აღნიშნეს 9.05.2023.* მოძიებულია 25.12.2024.
https://www.youtube.com/watch?v=laFL6T0pKrY

WeReaserch. (2021). *„საქართველოს ახალგაზრდები და ისტორია-გამოცდილების, დამოკიდებულებებისა და ღირებულებების კვლევა“.* თბილისი

ფორმულა. 06.04.2022. *პატრიოტთა ალიანსი მოსკოვში გაემგზავრა და რუსეთის ფედერალურ საბჭოში შეხვედრაზე იყო.* მოძიებულია 09.06.2024. https://formulanews.ge/News/68126

ფორმულა. (09.05.2021). *გორში, მოძრაობა „სტალინელების“ წევრები პრორუსულ განცხადებებს აკეთებენ.* მოძიებულია 13.10.2021.
https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=741691396523513

ფორმულა. (19.02.2022). *გორის სოფელ ვარიანში სტალინის ძეგლი აღმართეს.* მოძიებულია 21.02.2022.
https://formulanews.ge/News/64789?fbclid=IwAR1P2MXQgmdj66wtsE7Vce7Qtpj1kujdaL6T3jkKhpvvZQvsftWYyjDsPqc

DIA. (16.05.2014). *„ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი გორის ბაზრისა და სტალინის ძეგლის საკითხის მოგვარებას გეგმავს.* მოძიებულია 03.09.2019. https://www.youtube.com/watch?v=IKGFI-rW2wE

ქარქაშაძე, ნ. (1999). *სტალინი.* თბილისი. გამომცემლობა „საქართველო“

ქარჩილავა, ე. (20. 12. 2020). სტალინის დაბადების 141-ე წლისთავი. მოძიებულია 25. 12. 2020.

https://www.facebook.com/111207413702597/posts/236621994494471/

ქევანიშვილი, ე. (10.10.2014). *სტალინური სიები საქართველოდან - დახვრეტილთა არდასავიწყებელი ამბავი.* რადიო თავისუფლება. მოძიებულია 04.05.2019.
https://www.radiotavisupleba.ge/a/stalinuri-siebi/26630395.html

ქისტაური, ა. (11.03.2021), *პოლიტიკანო ისტორიული ოკუპაციის ძიებაში და რუსეთის ოკუპაციის უარყოფაში.* მითების დეტექტორი. მოძიებულია 18.03.2021 https://mythdetector.ge/ka/politikano-istoriuli-okupatsiis-dziebashi-da-rusethis-okupatsiis-uarqhophashi/

შარაშენიძე, თ. (2021). *დიპლომატიის ისტორია 1920-1939.* თბილისი. „სულაკაურის გამომცემლობა“.

შველიძე, დ. (2021). *საქართველოს უახლესი ისტორია (1917-2012).* თბილისი. „მერიდიანი“

შიდა ქართლი-საინფორმაციო ცენტრი. (17.02.2022). - გრიშა ონიანი მიმართავს ხინჩეგაშვილს: სტალინის ძეგლი თუ არ გჭირდებათ, მოგვეცით ჩვენ! მოძიებულია 20.02.2022.

https://tinyurl.com/5hfdxb2m

ჩერჩილი, უ. (2006). *მოახლოებული ქარიშხალი.* თბილისი. გამომცემლობა ინტელექტი

ჩიბჩიური, ნ. (21.12.2016). *„გორის მოსახლეობის დაახლოებით 80%-ს სურვილი აქვს რომ გორში სტალინის ძეგლი იდგეს“* - გორის მაჟორიტარი დეპუტატი. ფაქტ-მეტრი. მოძიებულია 19.01.2020.
https://factcheck.ge/ka/story/27088-mosakhelobis-daakhloebith-80-s-survili-aqvs-rom-gorshi-stalinis-dzegli-idges

ჩიბჩიური, ნ. (12.05.2023). *300 000-ზე მეტი ვიზიტორი 2019-2022 წლებში - რომელი ქვეყნებიდან სტუმრობენ სტალინის მუზეუმს?* BUSINESS MEDIA. https://bm.ge/news/shtagonebuli-var-mamatsi-qartvelebit-romlebits-protests-agrdzeleben-jo-uilsoni მოძიებულია 10.01.2025.

ჩიგოგიძე, ი. (2015). *გამარჯვება ღვთის ხელშია.* მოძიებულია 05.01.2019. https://www.youtube.com/watch?v=GggrzQzyFQ&feature=emb_title&ab_channel=Giorgikandelaki

ჩიტალაძე, ა. (31.07.2020), *2012 წლიდან საქართველოში სტალინის ძეგლი 9-ჯერ აღადგინეს.* მითების დეტექტორი. მოძიებულია 09.09.2020.

https://www.mythdetector.ge/ka/myth/2012-clidan-sakartveloshi-stalinis-dzegli-9-jer-aghadgines

ჩიქვანაია, ლ. (2002). *სტალინი ანფასში.* თბილისი. გამომცემლობა „დია“.

ცერცვაძე, მ. (1973). *საქართველოს ისტორია.* თბილისი. გამომცემლობა „განათლება“.

ციხისთავი, ლ. ცერცვაძე, მ., & მახარაძე, ი. (1968). *საქართველოს ისტორია. VII-X კლასების სახელმძღვანელო.* თბილისი. გამომცემლობა „განათლება“.

ცესკო-საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია https://tinyurl.com/ycnp9xk9

ცქიტიშვილი, კ. ვეშაპელი, თ., & გაბელაია, ა. (1990). *მე-იოსებ სტალინი.* თბილისი. წიგნის მოყვარულთა საზოგადოება.

„წმინდა მამა ნიკოლოზის გვერდი“ https://www.facebook.com/tsmindamamanikolozismrevli

წულაძე, ზ. (25.06.2010). *პატარა გორში დიდი სტალინის ძეგლი აღარ დგას.* ამერიკის ხმა. მოძიებულია 16.09.2024. https://www.amerikiskhma.com/a/article-----------97174334/530120.html

ხარჩილავა, ვ. (1989). *სისხლიანი ქრონიკები.* თბილისი. გამომცემლობა „მერანი“.

ხლევნიუკი, ოლეგ. (2022). *სტალინი.* თბილისი. გამომცემლობა „არტანუჯი“.

ჭანტურია, გ. ქადაგიძე, მ. & მელიქაძე, გ. (2020). სასკოლო განათლების ისტორია 1990-2020.

ჯანელიძე, ო. თაბუაშვილი, ა. თავაძე, ლ., & ირემაშვილი, ნ. (2012). *საქართველოს ისტორია.* მეცხრე კლასის სახელმძღვანელო. თბილისი. გამომცემლობა „კლიო“.

ჯაფარიძე, დ. (2018). *საბჭოთა ეკონომიკა.* თბილისი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ხოჯა, ენვერ. (2010) *სტალინთან ერთად.* გამომცემლობა „ნენტორი“.

ჯუღაშვილი, ე. (2016). *პაპაჩემი სტალინი.* თბილისი. გამომცემლობა აზრი.

Apolte, T., & Müller, J. (2019). The dynamics of political myths and ideologies. *CIW Discussion Paper, No. 1/2019,*

Azaryahu, M. (1996). The power of commemorative street names. *Environment and Planning D: Society and Space*, *14*(3), 311-330. https://doi.org/10.1068/d140311

Baciu, C. (2009) The Meaning of Political Myth in Ernst Cassirer*. Journal Cogito: Multidisciplinary Res. J*

Bernhard, R., Grindel, S., Hinz, F., & Meyer-Hamme, J. (2019) Historical myth: a definition from the perspective of history education research. *Eckert. Dossiers 4 (2019)*

Bottici, C. (2009). A Philosophy of political myth, *European Journal of Political Theory* 8(3) 365–382

Ceglarska, A. (2018). *The Role of Myth in Political Thought.* Cracow Studies of Constitutional and Legal History, Volume 11, Issue 3, Volume 11 (2018), pp. 343 – 355

Chikovani, N. (2013). *"The De-Sovietisation and Nationalization of History in Post-Soviet Georgia,"* in "Myths and Conflict in the South Caucasus".

Denisiyk, S., & Neprytska, T. (2015). *Instrumental influence of political myths on the formation of the political and cultural space.* P.P. 81-93

En Géorgie, « le pire musée du monde » à la gloire de Staline, trente ans après la chute de l'URSS (19.12.2021). მოძიებულია 27.12.2021. https://www.lemonde.fr/international/article/2021/12/19/en-georgie-le-pire-musee-du-monde_6106714_3210.html

European Parliament, 2024. *Joint Motion for a Resolution on the democratic backsliding and threats to political pluralism in Georgia.* 08.10.2024. მოძიებულია 12.10.2024. https://www.europarl.europa.eu/doceo/document/RC-10-2024-0070_EN.html

Fica, I., & Ďoubalová, K. (2014). Myth, History and Art. *Procedia - Social and Behavioral Sciences* 149 (2014) 339 – 343

Flood, C. (2013). *Political myth.* Routledge Taylor &. Francis Group LONDON AND NEW YORK

Jake Shield's Fight Back Podcast. (Sep 22, 2024). *The Man Who Dethroned Sean O'Malley | Merab Dvalishvili | Fight Back Ep. 11.* მოძიებულია 13.11.2024. https://www.youtube.com/watch?v=60kHrerzvxk

Kabachnik, P., Kirvalidze, A., & Gugushvili, A. (2016). *Stalin Today: Contending with the Soviet Past in Georgia.* Tbilisi. Ilia State Univeristy Press

Magdy, R. (2020). *Mythos Politicus: A Theoretical Framework for the Study of Political Myths.* Athens Journal of Mediterranean Studies- Volume 6, Issue 2, April 2020 – Pages 155-178

Mellenthin, J., & Shapiro, S. (2017). *Mythology Unbound: An Online Textbook for Classical Mythology Utah State University*

Milošević, K., & Stojadinović, M. (2012). Understanding the contemporary political myth through the prism of national identity. Series: *Philosophy, Sociology, Psychology and History* Vol. 11, No1, 2012, pp. 77 – 87

Orjonikidze, T. (2024). Myths about Stalin in Georgian Politics and Georgian History School Textbooks. The Soviet and Post-Soviet Review, 1, 1-29

Petersson, B. (2016). *Legitimacy, Popularity and the Construction of Political Myth: Contemporary Discussions.* Malmö University

Sala, V. (2016). *Europe's Odyssey?: Political Myth and the European Union*. Nations and Nationalism, 22: 524–541.

Shteynman, M. (2016). Political Myth and Political Glory: Shaping Media Reality. *RUSSIAN SOCIOLOGICAL REVIEW.* VOL. 15. NO 4.

Stoica, M. (2017). Political myths of the populist discourse. *Journal for the Study of Religions and Ideologies,* vol. 16, issue 46 pp. 63-76.

Svilicic, N., & Maldini, P. (2014) Political Myths and Totalitarianism: An Anthropological Analysis and Roles of Political Myths, *Coll. Antropol. 38* (2014) 2: pp. 725–738.

Tamse, C.A. (1975). The Political Myth. *Britain and the Netherlands some political mythologies Volume* V pp. 1-18

Tudor, H. (1972). *Political Myth, Pall Mall Press,* New York.

Worldnews.ge (21.12.2024) https://www.facebook.com/share/v/1A8XfDTZJo/

АНИКИН, Д.А. (2018) ИСТОРИЧЕСКИЙ МИФ КАК ПРЕДМЕТ "MEMORY STUDIES": В ПОИСКАХ МЕТОДОЛОГИИ ИССЛЕДОВАНИЯ. მოძიებულია 20.03.2020. https://www.elibrary.ru/item.asp?id=36287950

Белов, С. И. (2018). «Соотношение концептов "политический миф" и "исторический миф"», - Вестн. Моск. Ун-та. Серю 12. Политические Наукию 2018 № 3. მოძიებულია 20.03.2020.

https://tinyurl.com/mz5uu33a

*САМЫЕ ВЫДАЮЩИЕСЯ ЛИЧНОСТИ В ИСТОРИИ. (*21.06.2021). „Левада-Центр”- მოძიებულია 10.05.2024. https://tinyurl.com/3y5p29du

# დანართები

## დანართი N1

**ევროპარლამენტის რეზოლუცია საბჭოთა ნოსტალგიის შესახებ საქართველოში**

სხვა საკითხებთან ერთად, რეზოლუციის ტექსტში ნახსენები იყო საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობებისა და სტალინისა და საბჭოთა კავშირის მიმართ განწყობების ცვლილების შესახებ. კერძოდ, მიღებულ რეზოლუციაში ევროპარლამენტარები შეშფოთებას გამოთქვამენ საქართველოში რუსეთის გავლენის ზრდის გამო. აღნიშნავენ „სტალინის მზარდ კულტს“ და საბჭოთა ნოსტალგიის მომძლავრებას, რასაც, რეზოლუციისვე მიხედვით, მხარს უჭერს ხელისუფლება, რაც „ხაზს უსვამს რუსეთთან კიდევ უფრო მჭიდრო დაახლოებას“. უფრო ზუსტად რეზოლუციაში კვლევისათვის საინტერესო ჩანაწერები შემდეგია:

**ევროპული პარლამენტი**

22. გამოთქვამს ღრმა შეშფოთებას საქართველოში რუსეთის გავლენის ზრდის გამო, მათ შორის რუსეთიდან გაზრდილი იმიგრაციის, სავაჭრო კავშირების გაძლიერებისა და საქართველოს სურვილის გამო, გააგრძელოს რუსეთის მიმართ შერიგების პოლიტიკა, მიუხედავად უკრაინაში რუსეთის ომისა და საქართველოს სუვერენული ტერიტორიის მეხუთედის ოკუპაციისა; მოუწოდებს საქართველოს მთვრობას, დააწესოს სანქციები რუსეთის წინააღმდეგ მისი აგრესიული ომის საპასუხოდ უკრაინაში, გააგრძელოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკა და შეასრულოს თავისი ვალდებულება, გაატაროს ეფექტური ზომები, რათა თავიდან აიცილოს (რუსეთის მიერ) ევროპული სანქციებისთვის გვერდის ავლა; მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, სრულ თანხვედრაში მოვიდეს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკასთან და ევროკავშირის რუსეთისადმი სტრატეგიასთან.

24. აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობამ კიდევ უფრო გააუარესა საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, მათ შორის, საბჭოთა დროის არქივებზე. ეს ხდება ევროკავშირის საერთო მონაცემების დაცვის რეგულაციის გამოყენებით, რათა „გაამართლოს“ არქივებზე დაშვებისა და შეზღუდვის დრაკონული პირობები, და ის, რომ საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი საბჭოთა დროის არქივებიდან ზოგიერთი (მათ შორის ყოფილი KGB-ის და ყოფილი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის არქივები) სრულად ჩაკეტა 2023 წლის ოქტომბრიდან ყოველგვარი განმარტების გარეშე; ხაზს უსვამს რუსეთის მიერ მანიპულაციას და ისტორიის გაყალბებას, მათ შორის, საბჭოთა ისტორიის, უკრაინის წინააღმდეგ აგრესიული ომისა და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ სამხედრო საფრთხის ფარგლებში; გამოთქვამს წუხილს სტალინის ზრდად კულტსა და საბჭოთა ნოსტალგიის მომატებაზე საქართველოში, რასაც მხარს უჭერს მმართველი ხელისუფლება, რაც ხაზს უსვამს რუსეთთან კიდევ უფრო მჭიდრო დაახლოებას (European Parliament, 2024).

დანართი N2

„სტალინის ღვაწლი საქართველოზე“

1. 1943 წელს სტალინის ბრძანებით საქართველოს გადაეცა ქლუხორისა და ახალხევის რაიონები, რომლებსაც საქართველო 1955 წლამდე ფლობდა. 1955 წელს სტალინისა და ქართველების დიდმა მოძულემ, ნიკიტა ხრუშჩოვმა ქლუხორი და ახალხევი საქართველოს ჩამოართვა.
2. 1944 წელს სტალინის ბრძანებით სამცხე-ჯავახეთიდან აყარეს პროთურქულად განწყობილი თურქები, აზერები, ქურთები და ლეკები. საერთო ჯამში 120 000-მდე ადამიანი, რომლებიც შუა აზიაში გადაასახლეს. მათ ადგილას კი ქართველები ჩაასახლეს.
3. 1943 წელს სტალინმა აღადგინა საქართველოს ავტოკეფალია.
4. 1944 წელს სტალინი დაუკავშირდა შარლ დე გოლს და მოსთხოვა მენშევიკების დროს საქართველოდან გაზიდული ეროვნული საგანძურის დაბრუნება. 248 ყუთიდან დაბრუნდა 39 ყუთი, რომელსაც ექვთიმე თაყაიშვილი ინახავდა. დანარჩენი: სახელმწიფო ხაზინა, ოქროს ზოდები, ვერცხლი და ფული, მენშევიკებმა ლევილის მამულის შეძენაში და საფრანგეთში დროსტარებაში დახარჯეს.
5. 1922 წელს მიიღეს საქართველოს კონსტიტუცია. სახელმწიფო ენად ქართული გამოცხადდა. მსგავსი პრივილეგიით არცერთ რესპუბლიკას არ უსარგებლია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს მოსახლეობა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებზე უკეთ ცხოვრობდა. ტყუილია, რომ სტალინი თავს რუსად თვლიდა. ოფიციალურ დოკუმენტებში, ეროვნების გრაფაში თავის ხელით აქვს ჩაწერილი: ეროვნება-ქართველი.
6. სტალინის ბრძანებით აფხაზეთში, სოჭში, სამაჩაბლოში, სამცხე-ჯავახეთში და ჩრდილოეთ კავკასიაში ჩაასახლეს ქართველები, რის შედეგადაც გაუმჯობესდა ეთნიკური ბალანსი ქართველების სასარგებლოდ.
7. 1929 წელს სტალინმა გააუქმა აფხაზეთის რესპუბლიკის სტატუსი და იგი ისევ საქართველოს განუყოფელ ნაწილად აქცია. სტალინის ახალი

კონსტიტუციით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ჩამოერთვათ უფლება, გამოყოფოდნენ როდესმე საქართველოს. ცნობილია ფაქტები, თუ როგორ სასტიკად გაუსწორდა სტალინი და ბერია აფხაზ და სომეხ სეპარატისტებს.

8. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სტალინმა მიზნად დაისახა საქართველოსთვის ისტორიული ტერიტორიების დაბრუნება. მან თურქეთის მისამართით ტერიტორიული პრეტენზიები წამოაყენა. განაცხადა, რომ 1921 წელს თურქეთმა მოახდინა ართვინის, არდაგანისა და ყარსის ოლქების ანექსია. თუკი თურქეთს სურს მოკავშირეობა, მაშინ საზღვრები უნდა გაასწორონო. წინააღმდეგ შემთხვევაში მოკავშირეობა გამორიცხულიაო. სტალინმა შეიმუშავა თურქეთზე თავდასხმის გეგმა ტრაპიზონის, ყარსის და ერზრუმის მიმართულებით, მაგრამ თურქეთს დამცველად აშშ და ბრიტანეთი მოევლინა. აშშ ამ პერიოდში ერთადერთი სახელმწიფო იყო, რომელიც ბირთვულ იარაღს ფლობდა, ამიტომაც სტალინი იძულებული გახდა მასთან დაპირისპირებაზე და დაჩანაფიქრის განხორციელებაე უარი ეთქვა.
9. მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ოპერაციას, რომელიც ბელორუსიის განთავისუფლებას ისახავდა მიზნად, სტალინმა პეტრე ბაგრატიონის საპატივცემულოდ უწოდა „ოპერაცია ბაგრატიონი“.
10. 1945 წლის 2 მაისს საბჭოთა ჯარებმა აიღეს ბერლინი. სტალინის ბრძანებით რაიხსტაგზე დროშის აღმართვის პატივი წილად ხვდა ქართველს და რუსს: მელიტონ ქანთარიას და მიხეილ ეგოროვს.
11. 1942 წელს გასამართლებული იქნენ ილია ჭავჭავაძის მკვლელები, რომელთაც დახვრეტა მიესაჯათ. 1937 წელს სტალინის ბრძანებით დიდი პატივითა და პომპეზურობით გადაიხადეს ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლის იუბილე.
12. 1951 წელს სტალინმა მიიღო გადაწყვეტილება თბილისში მეტროპოლიტენის მშენებლობაზე. მეტრო იმ დროს მხოლოდ მილიონიან ქალაქებს ეკუთვნოდათ, თბილისის მოსახლეობა კი დაახლოებით ნახევარი მილიონი იყო. მიუხედავად ამისა, გასაგებია მიზეზების გამო, გადაწყდა აშენებულიყო თბილისში მეტროპოლიტენი. თბილისი იყო მე-4 ქალაქი

საბჭოთა კავშირში, სადაც მეტრო აშენდა. მეტროპოლიტენის აშენება მოხდა არამარტო კომფორტული გადაადგილებისთვის, არამედ ის წარმოადგენდა თავშესაფარს დაბომბვის შემთხვევაში და მას უნდა დაეცვა მოსახლეობა დიდი მსხვერპლისაგან.

## დანართი N3

### ილიას საფლავის ხელყოფა და სტალინის პასუხი

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ილია ჭავჭავაძე, როგორც საზოგადო მოღვაწე და მწერალი, მივიწყებული იყო. მეტიც, 30-იან წლებში მის წინააღმდეგ საბოლოო დარტყმა მზადდებოდა – მიზანი ქართული ცნობიერებიდან სულმნათი ილიას სრული ამოკვეთა იყო. იმდროინდელმა პარტიულმა ხელმძღვანელმა და ილიას მკვლელობის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ფილიპე მახარაძემ, „საქმე" პანთეონიდან მისი გადასვენების მცდელობით დაიწყო. სტალინმა შეიტყო ამ შავბნელი საქმის შესახებ და რადიკალური ზომები მიიღო.

1933 წლის აპრილში მწერალმა შოთა ლეკვეიშვილმა ცნობილი მწერლების საფლავების დასათვალიერებლად, მთაწმინდის პანთეონი მოინახულა და სწორედ იმ დროს დაინახა, რომ ილია ჭავჭავაძის საფლავთან შეკრებილიყვნენ ბრიგადირი და ხუთი მუშა წერაქვებით, ბარებითა და ნიჩბებით. შეწუხებულმა ბრიგადირმა აღიარა, რომ ილიას საფლავის კუკიის სასაფლაოზე გადატანა ჰქონდა დავალებული. ლეკვეიშვილი იძულებული გახდა, ეცრუა და ეთქვა, რომ ეს ამბავი თითქოს სტალინის მეგობარმა, პეტრე კაპანაძემ, გაიგო (პეტრე იოსებ ჯუღაშვილს არალეგალური საქმიანობის დროს ეხმარებოდა და მისი ახლო მეგობარი იყო) და სპეციალურად ჩავიდა მოსკოვში ამ საკითხთან დაკავშირებით. ბრიგადირმა კი მწერალს სთხოვა, რომ იგივე მას, ქალაქის საბჭოს აღმასკომის სამშენებლო განყოფილების უფროსისთვისაც მოეხსენებინა, რადგან განკარგულება მისგან ჰქონდა მიღებული. შოთა ლეკვეიშვილი ჯერ აღმასკომში მივიდა და გადაწყვეტილება შეაჩერებინა, შემდეგ სასწრაფოდ გაემგზავრა ხაშურში, შეხვდა პეტრე (პეტა) კაპანაძეს და ყველაფერი უამბო. პეტა – ყოფილი მღვდელი სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა. ის აღაფრთოვანა ახალგაზრდა კაცის პატრიოტულმა საქციელმა და დაუყოვნებლივ გაემგზავრა მოსკოვში. მას კრემლის მუდმივი საშვი ჰქონდა. იმის მიუხედავად, რომ კაბინეტში სტალინს სტუმრები ჰყავდა, პეტა იხსენებს, რომ, „ბელადი ფეხზე წამოდგა, ხელი ჩამომართვა და მითხრა, დაბრძანდიო. იმ ორ კაცს კი განუცხადა, ახლა ჩვენ ქართულად ვისაუბრებთ და

შეგიძლიათ, დაგვტოვოთო. ისინიც ადგნენ და გავიდნენ.“ პეტამ ჩვეულებრივად უამბო სტალინს საქართველოს ამბები და იქვე, გულნატკენმა უთხრა ილიას საფლავის ხელყოფის შესახებ. საფლავს რაღას ერჩიანო, აღშფოთებულა სტალინი. ყურმილი აიღო და მაშინვე თბილისში დარეკა, მეგობარს კი უთხრა: შეგიძლია, დამშვიდდე, ილიას საფლავს კაციშვილი ხელს ვერ ახლებსო. მას ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. ამით ყველაფერი დამთავრდა. მოსკოვიდან წამოსულმა პეტრემ შოთა ლეკვეიშვილს სტალინის ხელით დაწერილი წერილი გადასცა, სადაც ბელადი მას მადლობას უხდიდა. ორიოდე კვირის შემდეგ, შოთამ ქალაქის საბჭოს აღმასკომის სამშენებლო განყოფილებაში შეიარა. კარი შეაღო და ხმამაღალი ლაპარაკი შემოესმა. განყოფილების გამგე ამბობდა: ვენაცვალე პეტრე კაპანაძეს, დედა უტირა ფილიპე მახარაძესო!

## დანართი N 4

### ფრანგული გაზეთი სტალინის სახლ-მუზეუმის შესახებ

"გორში, სტალინის მშობლიურ ქალაქში, მუზეუმი მის სახელს ატარებს, ხოლო დიქტატორის ქანდაკებები კვლავ ჩნდება ქვეყანაში. მუზეუმის შესასვლელში მაღაზიაა, რომელიც სავსეა სტალინის სუვენირებით. გასაღების საკიდები, ჭიქები, მაისურები, ჩანთები, კალმები, ღვინის ბოთლები...

"ბევრი ადამიანი იმიტომ ყიდულობს ამ სუვენირებს სხვისთვის საჩუქრად, ან სახუმაროდ" – ღიმილით განმარტავს გამყიდველი – "ფრანგები ხშირად იღებენ ღვინის ბოთლს, მაგრამ ყველაზე მეტს რუსები ყიდულობენ".

გორში, რომელიც იოსებ სტალინის (1878-1953) დაბადების ადგილია, საბჭოთა დიქტატორი ადგილობრივი გმირია. მუზეუმი, რომელიც მის სახელს ატარებს, 1957 წელს გაიხსნა და ყველაზე პოპულარულია ქვეყანაში. 2019 წელს, Covid-19-ის პანდემიის დაწყებამდე, მას 175 000-ზე მეტი ვიზიტორი ჰყავდა.

შენობის დარბაზში ფრანგი წყვილი აკვირდება სტალინის შთამბეჭდავ ქანდაკებას, რომელიც კიბეებზე დგას. 30 წლის მაშველი ორელიენი და მისი კომპანიონი, 27 წლის მედდა ხესია (გვარის დასახელება არ ისურვეს), მას შემდეგ აღმოჩნდნენ მუზეუმში, რაც აღმოაჩინეს, რომ საბჭოთა კავშირის ყოფილი ლიდერი აქ დაიბადა. ახალგაზრდას უკვირს: იყო, თუ არა დიქტატურა ცუდი რამ? კარგი, საშინელებაა ასე თუ ისე გაიძულებდნენ რაღაცების გაკეთებას, მაგრამ მე უფრო კარგ მხარეს ვხედავ, ხალხს ჰქონდა საკვები და სამუშაო. მისი კომპანიონი მხრებს იჩეჩავს: მე ეს ყველაფერი არ მაინტერესებს.

კოშმარი

მათ უკან ერთ-ერთი გიდი, მოლურჯო ქურთუკში გამოწყობილი, ტურს იწყებს და ფოტოების, ნახატების, ქანდაკებებისა და გობელენების ნაკადში შედის, რომლებზეც ხალხის "პატარა მამის" ფიგურებია გამოსახული. ერთი საათის განმავლობაში 60 წლის ლარისა გაზაშვილი კითხვების თავიდან არიდებას ცდილობდა.

30 წელია, ლარისა აქ მუშაობს და ყოველი ვიზიტი კოშმარია.

"ეს არის ყველაზე ცუდი მუზეუმი მსოფლიოში! ხალხი არასოდეს არის ბედნიერი" – ამბობს ის – "ყველას, ვინც აქ მოდის, სტალინზე განსხვავებული აზრი აქვს. ხან ნეოკომუნისტები მოდიან, ხან ნეონაცისტები, ხან მსხვერპლთა შთამომავლები... ყოველ ჯერზე ხალხი კითხვებს მაყრის. შეურაცხყოფასაც კი მაყენებენ"!

ლარისა გაზაშვილმა ნახა, როგორ ტიროდნენ ახალგაზრდა გიდები, როდესაც მნახველები მათ ცუდად ექცეოდნენ.

"წამებაა იმუშაო ისეთ ხალხთან, რომელიც ნერვებზე თამაშობს და პასუხს არასდროს გაცდის"!

იმისთვის, რომ რაც შეიძლება, მეტი მნახველი კმაყოფილი დარჩეს, გიდები მათ სურვილებს ერგებიან. თუ ტურისტები პოსტსაბჭოთა რესპუბლიკიდან არიან, მაშინ ხშირად გიდები სტალინს უფრო დადებით კონტექსტში მოიხსენიებენ, ხოლო თუ ტურისტი ევროპიდან, ან ამერიკიდანა, მაშინ სტალინს ნეიტრალურად განიხილავენ.

დისკურსის შეცვლა კიდევ უფრო მარტივია, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მუზეუმს არანაირი ახსნა-განმარტება არ გააჩნია. ტექსტები მხოლოდ ადგილმდებარეობებსა და დასახელებების სიებს შეიცავს.

აქ არსად იხსენიებენ 1930-იანი წლების დიდ ტერორს, გულაგებსა და სტალინის რეჟიმის მილიონობით მსხვერპლს, გარდა კიბეების მიღმა დამალული პატარა ოთახისა. სიტყვა "დიქტატორი" არსად წერია.

"ეს არ არის კერძო მუზეუმი, ეს არის სახელმწიფო მუზეუმი" – ამბობს ლარისა გაზაშვილი – "მე ჩემს პრეზენტაციაში ვამბობ, რომ დიქტატორი იყო, მაგრამ ეს განმარტებაში არ წერია, რადგან ჩვენ არ გვაქვს უფლება, ჩვენი აზრი გამოვთქვათ".

ახსნა საქართველოში არსებული ამბივალენტურობისა და უხერხულობის მანიშნებელია იმ ფიგურის მიმართ, რომელიც მე-20 საუკუნის ყველაზე საშინელი კრიმინალია. გორში 2010 წლამდე იდგა სტალინის ძეგლი. ავტო ქუსრაშვილი, მუზეუმში დასასვენებლად მოსული, სტალინის ერთ-ერთი ყველაზე დიდი თაყვანისმცემელია.

ყველას უნდა უყვარდეს სტალინი. მან მეორე მსოფლიო ომი მოიგო და პროლეტარიატის ღმერთი იყო. დაილოცოს მისი სული" – ენთუზიაზმით გვეუბნება 82 წლის კაცი, ყოფილი მუშა, რომლის სახლშიც სტალინის დიდი პორტრეტია

გამოკრული, ინახავს სუვენირს იმ პერიოდიდან, როცა სტალინი პირადად ნახა. ის 11 წლის იყო და პიონერების ბანაკში ისვენებდა ზაფხულში – ეს სკაუტების კომუნისტური ვარიანტია. "გვითხრეს, რომ როდესაც მოვიდოდა, საპატიო haie d'honneur გაგვეკეთებინა. როდესაც გაიარა, დავიყვირეთ "გაუმარჯოს სტალინს! გაუმარჯოს სტალინს!". მან მანქანიდან ხელი დაგვიქნია. ისეთი ამაყი ვიყავი". დღემდე ემოციებისგან ცახცახებს 82 წლის მოხუცი.

მსგავსი ენთუზიაზმი საქართველოში მარგინალური არ არის. მიუხედავად იმისა, რომ 30 წელი გავიდა საბჭოთა კავშირის დანგრევიდან, ქვეყანა დღემდე საბჭოთა მემკვიდრეობას ებრძვის. სკოლაში საბჭოთა ისტორია 4 გაკვეთილში ეტევა. როგორც კავკასიის კვლევითი ცენტრის 2015 წლის კვლევა აჩვენებს, რესპონდენტთა 38.9%-ს სკოლაში სტალინი პოზიტიურ კონტექსტში გაუგია, 35.5% კი ამბობს, რომ ამ თემაზე არც უსაუბრიათ. ეს მოქმედებს იმაზეც, თუ როგორი დამოკიდებულებაა მის მიმართ. მოსახლეობის 29%-ზე მეტი მას "აბსოლუტურად დადებითად" აფასებს, ხოლო 41% კი ფიქრობს, რომ ის მალულად ქრისტიანი იყო.

რუსული პროპაგანდა

ამაზე უფრო შემაშფოთებელი ის ფაქტია, რომ 2012 წლის შემდეგ სტალინის 9 ახალი ქანდაკება დადგეს ქვეყნის მასშტაბით, ზოგჯერ ეს ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით ხდებოდა. ქანდაკებების გამოჩენა ხელისუფლებაში ქართული ოცნების მოსვლას ემთხვევა, რომელსაც ოპოზიცია პრორუსულობაში ადანაშაულებს. გიორგი კანდელაკი, ისტორიკოსი და ყოფილი დეპუტატი, აღნიშნავს, რომ ეს ფენომენი დამთხვევა არ არის. "ეს ასახავს რუსული დეზინფორმაციისა და მათი სატელიტების წარმატებას ჩვენს ქვეყანაში, რომლებიც სტალინს ხატავენ, როგორც პატრიოტს, ვისითაც ქართველები უნდა ამაყობდნენ".

საქართველო წლებია, ცდილობს ევროკავშირთან და NATO-თან დაახლოებას და მოსკოვის გავლენის სფეროდან თავის დაღწევას, რომელთაც 2008 წელს ომი ჰქონდა. "როგორ შეიძლება, საზოგადოება უყვარდეს სტალინი და თან ამბობდეს, რომ იზიარებს ევროპულ და დემოკრატიულ ღირებულებებს" – ამბობს ისტორიკოსი – "ეს მუზეუმი ქვეყნის სირცხვილია".